საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№16 (298)
6 - 12 მაისი, 2015
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

გულითადად გილოცავთ დიდ სამამულო ომში გამარჯვების 70 წლისთავს!

«ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება» 11

# ოპერაცია «ლოკომოტივი» ფინიშს უახლოვდება

«ოცნება» ძალაუფლებას ამერიკელთა ახალ «ბახალებს» გადასცემს» 3



## «თქვენ გენაცვალეთ, ბიჭებო!» 6

5 «დღეს საქართველო ამერიკის ყველაზე უუფლებო, უუნარო შტატია!»

7 «აქამდე უკრაინელებს პატივს ვცემდი, მაგრამ ყოფილან «ჩმორები»

9 «ევროინტეგრაცია — ეს არის ქვეყნების ეკონომიკური დამორჩილების, ეკონომიკური კოლონიზაციის სახეობა»

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტში გაირწმუნებული დანიშნეს 17



4 «ირაკლი ღარიბაშვილი უკვე მხოლოდ სიბრალულს იწვევს»

## თხუნელები

მამა გრიგოლი (მეზვრიშვილი):
შენდობას ვითხოვ ჯუღაშვილის სულისგან, რაც უსამართლოდ მითქვამს მის მიმართ!



12

ხსოვნა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ადამიანებსა და ქვეყნებს შორის ურთიერთობის მოწესრიგების გზები უნდა ვეძებოთ არა ძალისმიერი და ხისტი მეთოდებით, არამედ გმირობითაც, სამშობლოს დაცვითაც და შეწყალებითაც!



# ანდერძად დაბარებული

**გარდაიცვალა დიდი ქართველი ხელოვანი, საქვეყნოდ ცნობილი კინორეჟისორი, საზოგადო მოღვაწე და მამულიშვილი რეზო ჩხეიძე.**
**ამ დღეებში ბევრს დაწერენ მის მრავალმხრივ შემოქმედებაზე, ბევრს და კარგს იტყვიან და ყველაფერი იქნება მართალი, რადგან მისი ფილმები, ყველა, როგორც ერთი, შედევრია, მისი მოღვაწეობა ქვეყნის სასიკეთოდ გაწეული შრომაა, მისი პოზიცია ჭეშმარიტად ქათულია, ამაღლებული და უხინჯო. მატერიალიზებული სულიერებაა მაღალი.**

გარდაიცვალა რეზო ჩხეიძე, ლეგენდარული „ჯარისკაცის მამის" ავტორი, დიადი გამარჯვების 70-ე წლისთავის ზეიმამდე ექვსი დღით ადრე.

ამ ომის თემაზე ესაუბრა თავის დროზე ბატონი რეზო „საქართველო და მსოფლიოს". თქვა ის, რასაც ფიქრობდა, დაუფარავად, გულწრფელად, კონიუნქტურული სიბეცისა და სიცრუის საწინააღმდეგოდ ილაპარაკა.

**„არ მიმაჩნია სწორად, როცა ამბობენ, რომ ქართველებისთვის ეს იყო სხვისი ომი. ხომ ცნობილია, რომ ის მსხვერპლი, რომელიც ამ ომში გაიღო ქართველმა ხალხმა, ამერიკის, ამ კოლოსალური სახელმწიფოს მიერ გაღებულ მსხვერპლს აღემატება. ასე მოხდა იმიტომ, რომ ქართველები ვაჟკაცურად იბრძოდნენ და არც უფიქრიათ, სიმხდალე და დეზერტირობა გაემართლებინათ იმით, რომ ომი ყველაფერს ჩამოწერს, მათ შორის, სულმდაბლობასაც".**

ბატონი რეზო დარწმუნებით აცხადებდა, რომ ფაშიზმისგან კავკასიის, კერძოდ კი, საქართველოს დაცვის დროს ჩვენი თანამემამულეების მიერ გამოჩენილი გმირობა ისეთივე საამაყოა ჩვენთვის, მათ თავდადებას „ისეთივე პატივი უნდა მივაგოთ, როგორც ლეგენდარული სამასი არაგველის, ცხრა ძმა ხერხეულიძის, თუნდაც ცოტნე დადიანის და სხვათა და სხვათა გმირობასა და თავდადებას".

მსოფლიო დაპირისპირებიდან 2008 წლის აგვისტოს ომის კონკრეტიკაზე რომ გადავინაცვლეთ, აქაც პრინციპული იყო:

**„ამ ომის დაწყებაც და მისი იმ კონფლიქტად გადაქცევაც, რომელიც დღეს რუსეთსა და საქართველოს შორის ჩამოყალიბდა, არასწორ პოლიტიკად მიმაჩნია. იგი საქართველოსთვის სასარგებლო არ არის. სხვა ქვეყნისთვისაა სასარგებლო და მომგებიანი, სხვა დიდი ქვეყნისთვის, ჩვენ ხომ ვიცით, რომელზეც ვლაპარაკობთ... ეს არ არის ეროვნული პოლიტიკა".**

მორალური დაცემა-დაკნინება ბატონ რეზოს დამანგრეველ ბუნებრივ კატაკლიზმებზე უარეს მოვლენად მიაჩნდა. მისთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო ერის გმირული წარსულის ამოშანთვის ის მიზანმიმართული მცდელობა, რომელიც ყოფილ ხელისუფლებას სახელმწიფო პოლიტიკის დონემდე ჰქონდა აღზევებული. უკომპრომისო იყო მისი პოზიცია „საქართველო და მსოფლიოსთან" განცხადებული: „გამართლება არა აქვს ძეგლებისა და მემორიალების ნგრევას. მეშინია, რომ ის საომარი ჟინი და ვაჟკაცობა, რომლებიც ქართველებს ახასიათებდა, შეიცვლება ფულის კეთების ჟინით, რომლის რეციდივებიც, სამწუხაროდ, უკვე სახეზეა... არადა, **იმის მაგალითი, როცა კაცი მაღალი იდეალებისთვის თავს სწირავს, ქართველ ხალხს ძალიან სჭირდება".**

ასე ფიქრობდა და ამისკენ მოგვიწოდებდა მთელი თავისი შემოქმედებით ბატონი რეზო ჩხეიძე.

და „პროვოკაციულ" შეკითხვას, აგვისტოს ომის დროს გიორგი მახარაშვილი სად დადგებოდა, უპასუხა, როგორც შეჰფეროდა დიდ ჰუმანისტს ისე:

„მე მგონი, ამ პირობებში გიორგი მახარაშვილს საქართველოს მხარეზე უნდა ებრძოლა და, ამასთანავე, უნდა გამოენახა საშუალება, არ დაგვეკარგა ჩვენს მეზობელთან მისასვლელი გზები. ჰუმანიზმი ორივე მხარეს უნდა გამოეჩინა. **მე მგონი, ჯარისკაცის მამა ამ ომშიც ისევე გადაარჩენდა რუს ჯარისკაცს, როგორც ფილმში გიორგი მახარაშვილი — სერგო ზაქარიაძე — გადაარჩენს რუს ჯარისკაცს.** ეს ხომ ჩვენს ჯიშსა და გენშია. ხომ ყველას გვახსოვს „ლექსი ვეფხისა და მოყმისა", უმაღლესი ჰუმანურობის გამოვლენა, მოყმის დედის მიერ გამჟღავნებული:

**იქნება, ვეფხის დედაი**
**ჩემზე მწარედა სტირისა,**
**წავიდე, მეც იქ მივიდე,**
**სამძიმარ ვუთხრა ჭირისა,**
**ისიც მიამბობს ამბავსა,**
**მეც ვუთხრა ჩემი შვილისა,**
**იმასაც ბრალი ექნების,**
**უწყალოდ ხმლით**
**დაჭრილისა.**

დედის რძესთან ერთად შესისხლხორცებული მორალური კრედო!

„ეს გენიალური ხალხური ლექსი გვასწავლის, რომ **ადამიანებსა და ქვეყნებს შორის ურთიერთობის მოწესრიგების გზები უნდა ვეძებოთ არა ძალისმიერი და ხისტი მეთოდებით, არამედ, გმირობითაც, სამშობლოს დაცვითაც და შეწყალებითაც!** რადგან ისტორიულად ასე მომხდარა ყოველთვის".

ანდერძივითაა, მომავალი თაობისთვის დატოვებულ სიტყვასავით.

**არმაზ სანებლიძე**

# გმადლობთ! გემშვიდობებით!



**ბატონო რეზო!**
**თქვენს სახლში ჩვენ ხელი მოვაწერეთ დიდ ქართულ დოკუმენტს — „ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო" და მას „მოქმედების მანიფესტი" ვუწოდეთ.**
**ეს იყო და არის თქვენი სულისთქმა.**

გვახსოვს, მაშინ თქვით: „ჩვენი თაობის მეგობართა ფართო წრე ბოლო წლებში ბევრს ვფიქრობდით ასეთი დოკუმენტის შექმნაზე. ამ განწყობას გვიძლიერებდა ჩვენი პატრიარქის სიბრძნით სავსე ქადაგებები. ჭაბუა ამირეჯიბს, გიგა ლორთქიფანიძეს, მუხრან მაჭავარიანს, მერაბ ბერძენიშვილს, რეზო ამაშუკელს, ჯანსუღ ჩარკვიანს და არაერთ სხვა მოღვაწეს ღამეები გვითენებია ამ საქვეყნო სატკივარზე ფიქრში. ქვეყნის მდგომარეობით გამოწვეული ტკივილი თან წაიღო სამმა გენიოსმა — ჭაბუამ, მუხრანმა და გიგამ. დიდხანს მინდა, ვიცოცხლო, ვიყო თქვენ გვერდით და ვიმოქმედოთ ერთად, რომ შევკრათ გათითოკაცებული სიკეთე ბოროტების სიყვარულით დასამარცხებლად. გიყვარდეთ საქართველო! გაუფრთხილდით საქართველოს! დაიცავით საქართველო! ეს არის ჩვენი ანდერძი, ისეთივე მამაშვილური, როგორიც ჩვენ მივიღეთ წინა თაობებისგან".

მართლაც, გენიალური ნათქვამია, წინასწარმეტყველური.

**თქვენ გრძნობდით, რომ მიდიოდით ჭაბუასთან, მუხრანთან, გიგასთან და ძველით ახალი წლის წინა დღეებში, საავადმყოფოში დაწოლის წინა დღეს, გვითხარით, თქვენი თხოვნა ერისა და ბერისათვის გადასაცემად. იგი შოთა რუსთაველის 850 წლისთავის იუბილეს აღნიშვნასა და საქართველოში მსოფლიო კონგრესის მოწვევას ეხებოდა და ასე დაასრულეთ: „ეს არის ჩემი თხოვნა, იქნებ უკანასკნელიც".**

მართლაც უკანასკნელი აღმოჩნდა, მაგრამ ზუსტად ის სთხოვეთ ერსა და ბერს, რაც მართლაც გამოკვეთილად სჭირდება დღეს საქართველოს. თქვენ მიგაჩნდათ და აბსოლუტურად ზუსტად, რომ მსოფლიო პოეზიის ერთი დიდი მწვერვალის, გენიალური შოთა რუსთაველის იუბილე ჩვენი სიძლიერისა და ჩვენი ერთობის დემონსტრაციად უნდა ვაქციოთ ხალხმა და ხელისუფლებამ.

სწორედ ჩვენი ქვეყნის დიდი ისტორიული წარსულის გათვალისწინებით, პლანეტარული აზროვნებით, უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით დავიწყეთ დიდი მოძრაობა გელათიდან „მოქმედების მანიფესტში" ჩამოყალიბებული დიდი ქართული მიზნისათვის... ვიფიქრეთ „ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესის" მოწვევაზე, ვიფიქრეთ გენიალური შოთა რუსთაველის 850 წლისთავის იუბილეზე... ყოველივე ეს საქართველოს გულისთქმაც არის, პრაქტიკულად, მომავლის საქართველოა, რომელზეც თქვენ ოცნებობდით!

ჩვენ ერთგულების კაცურ სიტყვას ვამბობთ: ეჭვი არ გვეპარება, რომ ერისა და ბერის ერთიანობაც იქნება და ყველაფერი ეს შესრულდება.

გიყვარდათ გამოთქმა: „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი!" სწორედ ამის გამო იყო, რომ გენიალური მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება ჩვენს სიმბოლოდ ვაქციეთ, „პატივდების სიგელზე" გამოვკვეთეთ, იმ სიგელზე, რომელსაც ჩვენი საერთო ხელმოწერით გადავცემდით და გადავცემთ კიდეც მომავალში გულანთებულ ქართველებს, საქართველოს ნამდვილ მეგობრებს, რამეთუ, როგორც თქვენ ბრძანეთ, „პატივდების სიგელი" — ეს არის საქართველოსთვის ბრძოლის განწყობის აღიარება და მოქმედების მანიფესტით შეკავშირება იმ ადამიანებისა, რომელთაც გააცნობიერეს, რომ ქვეყანა, რომელიც ქრისტეშობამდე და მის შემდგომ აღიარებდა ოჯახის, საკუთრებისა და სახელმწიფოს პრიორიტეტს, ქვეყანა, რომელიც ბიბლიური ფასეულობებით ცხოვრობდა პირველივე საუკუნიდან, არ შეიძლება, 21-ე საუკუნეში უარყოფდეს საკუთარ ფასეულობებს და აფეტიშებდეს სხვისას.

ეპოქალური ნათქვამია.

თქვენ მიგაჩნდათ, რომ „მოქმედების მანიფესტს" უნდა შემოუერთდეს სრულიად საქართველო, ჩვენი სამშობლოს ყველა მეგობარი, რომ მხოლოდ ასეთ ერთობას შეუძლია, დაასრულოს ქვეყნის გარედან მართვა, დაიბრუნოს საქართველო, გახადოს იგი რეალურად დამოუკიდებელი და დემოკრატიული, გვაცხოვროს სულიერებითა და სიყვარულით.

ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს.

ასეც იქნება!

**გმადლობთ! გემშვიდობებით!**

„ქართული ერთობის დარბაზის" სახელით,

**ანზორ ერქომაიშვილი, გივი თოიძე, ტარიელ ხარხელაური, თემურ გუგუშვილი, ომარ მხეიძე, არნოლდ გეგეჭკორი, რომან რურუა, რამაზ ყურაშვილი, გიგა ბათიაშვილი, გიორგი კანდელაკი, რამაზ ლომინაძე, ოთარ შამათავა, ავთანდილ ჩხაიძე, მიხეილ ჩიკვილაძე, თემურ შაშიაშვილი, ემილ მიქაია, გოგი ჯაოშვილი, ოლეგ ნიკოლეიშვილი, ჯონი ჯანელიძე, როლანდ კილაძე, ალექსი კობაიძე, გიგა მჭედლიშვილი, ირაკლი მაჭავარიანი, მურად ანჯაფარიძე, ნიაზ ბოლქვაძე, ლევან ნინიძე, გიორგი სიგუა, ლეონ ფირცხალავა**

**რესპუბლიკური პარტიის წევრების მიერ მთავრობაში დაკავებულ და დასაკავებელ პოსტებს თუ დავუმატებთ პარლამენტის თავმჯდომარის პოსტს, რომელიც ასევე რესპუბლიკელ დავით უსუფაშვილს უკავია; პარლამენტში რესპუბლიკელთა 9-კაციან ფრაქციასა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტს (რესპუბლიკელი ნინო გვენეტაძე), ნათელი გახდება, რომ საქართველოში კიდევ ერთი რევოლუცია მოხდა და „ქართული ოცნება“, რომელზეც „ნაციონალური მოძრაობის“ 9-წლიანი მმართველობით გატანჯულ-გაუბედურებული ხალხი იმედს ამყარებდა, ნელ-ნელა გადასცემს ძალაუფლებას ურეიტინგო, უცხო ქვეყნის ინტერესების დამცველ რესპუბლიკურ პარტიას.**

პოლიტიკა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ოპერაცია «ლოკომოტივი» ფინიშს უახლოვდება —

# «ოცნება» ძალაუფლებას ამერიკელთა ახალ «ბახალებს» გადასცემს

**საქართველოს მთავრობაში კვლავ დატრიალდა საკადრო კარუსელი, თუმცა გადაადგილებების ეს ახალი ტალღა ჯამსაც ცვლის და შინაარსსაც. რესპუბლიკურ პარტიას, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად საქართველოსთვის ბევრი უბედურების მომტანი „ვარდების რევოლუციის“ შემოქმედია, მინისტრთა კაბინეტში ორი პორტფელი დაემატა – თავდაცვისა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრების. თავდაცვის მინისტრის პოსტზე თინა ხიდაშელის კანდიდატურა დასახელდა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის პოსტზე — გიგლა აგულაშვილის. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოსტი კი რესპუბლიკელ პაატა ზაქარეიშვილს 2012 წლიდან უკავია, ანუ საქართველოს მთავრობის 20-წევრიან (პრემიერმინიტრის ჩათვლით) გუნდში სამი თითქმის ნულოვანი რეიტინგის მქონე რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელია, იმ პარტიისა, რომლის მიმართ ქართველ საზოგადოებას მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება აქვს და, რომ არა „მაშველი რგოლი“ — ბიძინა ივანიშვილი, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ბარიერს ნამდვილად ვერ გადალახავდა.**

რესპუბლიკური პარტიის წევრების მიერ მთავრობაში დაკავებულ და დასაკავებელ პოსტებს თუ დავუმატებთ პარლამენტის თავმჯდომარის პოსტს, რომელიც ასევე რესპუბლიკელ დავით უსუფაშვილს უკავია, პარლამენტში რესპუბლიკელთა 9-კაციან ფრაქციასა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტს (რესპუბლიკელი ნინო გვენეტაძე), ნათელი გახდება, რომ საქართველოში კიდევ ერთი რევოლუცია მოხდა და „ქართული ოცნება“, რომელზეც „ნაციონალური მოძრაობის“ 9-წლიანი მმართველობით გატანჯულ-გაუბედურებული ხალხი იმედს ამყარებდა, ნელ-ნელა გადასცემს ძალაუფლებას ურეიტინგო, უცხო ქვეყნის ინტერესების დამცველ რესპუბლიკურ პარტიას. თუმცა ისიც საკითხავია, „ქართული ოცნება“ ძალაუფლებას თავისი ნებით გადასცემს რესპუბლიკელებს თუ გარე ძალის თითის დაქნევით.

ზუსტად არავინ იცის, რა ეშმაკის კერძი იხარშება „ქართული ოცნების“ კულისებში, მაგრამ ფაქტია: რესპუბლიკელები ბიძინა ივანიშვილს ფავორიტის რანგში ჰყავს აყვანილი. მას ისე მოსწონს ეს პარტია, რომ პრემიერმინიტრმა ირაკლი ღარიბაშვილმაც კი, რომელიც წინასაარჩევნოდ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ფარულ აუდიოჩანაწერში თინა ხიდაშელს ქრესტომათიული კახური გინებით ამკობდა, ეს ქალბატონი თავდაცვის მინისტრის პოსტზე დიდი მოწიწებით დაასახელა. არადა, **როდესაც ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ჯერ კიდევ პრემიერმინისტრ ივანიშვილს ჟურნალისტებმა მისი მთავარი დასაყრდენი პირების — რესპუბლიკელების — ციტატები გააცნეს, სადაც ისინი, ფაქტობრივად, აღიარებენ აფხაზეთის დამოუკიდებლობას, ივანიშვილმა გაიკვირვა, — თინა მართლა ეგეთებს ამბობდაო?**

საუბარია 2001 წლის 19-23 მარტს სოჭში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ასპექტების განხილვის ფარგლებში გამართულ დისკუსიაზე, სადაც „კავკასიის სტაბილურობის პაქტზე“ იმსჯელეს. ინტერნეტგამოცემა droni.ge ამ დისკუსიის ზოგიერთი ქართველი მონაწილის Fფრაზებს ავრცელებს და იქვე აფრთხილებს მკითხველს: „ჩვენ შეგნებულად მოგვყავს ვრცელი ციტატები, რათა არ შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს მკითხველს კონტექსტიდან ამოგლეჯილ, აზრობრივად დამახინჯებულ ფრაზებს ვაწვდით“.

მაშ ასე, მხოლოდ ციტატები:

**პაატა ზაქარეიშვილი, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი:**

„...აფხაზური საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ განვითარებულ, ძლიერ სახელმწიფოს შეუძლია. თუკი ჩვენ ახლა ვაღიარებთ აფხაზეთს, ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი რიგზე იქნება. აფხაზეთის აღიარება (ღმერთმა ქნას) მოხდება მხოლოდ ძლიერი სახელმწიფოს პირობებში, მაგრამ ეს ძალიან გრძელი პროცესი იქნება. შესაძლოა, ბოლო აკორდიც კი გახდეს. **აფხაზეთის აღიარებით საქართველოს ნამდვილი სახელმწიფოებრიობა დაიწყება...“**

**თინა ხიდაშელი, თავდაცვის მინისტრობის კანდიდატი, ამჟამად საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატი:**

„...აფხაზეთის გარეშე თუ აფხაზეთთან ერთად — ეს ჩემთვის ყველაზე მცირე პრობლემათაგანია. ჩემთვის მთავარი გადასაჭრელი პრობლემა ისაა, ვიცხოვრო სახელმწიფოში. **...მე კი ვიცი, რა მსურს, რადგან აფხაზეთი ჩემი პრობლემა არ არის... აფხაზეთისთვის საქართველო თემაა, ანუ, თქვენ გინდათ აღიარება საქართველოს მხრიდან და მერე აპირებთ, რაიმე გააკეთოთ, ჩემთვის კი ეს არაა პრობლემა. აი, ამაშია სხვაობა ჩვენ შორის.**



**ბატალ კობახია (აფხაზეთის კულტურისა და ისტორიული მემკვიდრეობის დაცვის მინისტრის მოადგილე — რედ.):**

ჩვენ მუდამ ვლაპარაკობთ საქართველოზე, მაგრამ არა — აფხაზეთზე. რადგან, როცა თქვენ ლაპარაკობთ აფხაზეთზე, მხედველობაში გაქვთ ის, როგორც საქართველოს ნაწილი, ამიტომაც გამოგვდის მხოლოდ საქართველოზე ლაპარაკი.

**თინა ხიდაშელი:** ბატალ, **მე კი გეუბნები, რომ აფხაზეთს საქართველოს ნაწილად არ განვიხილავ!“**

**დავით ბერძენიშვილი, პარლამენტის წევრი, ფრაქცია „რესპუბლიკელების“ თავმჯდომარე:**

„ნებისმიერ სხვა სიტუაციაში შეთანხმებები აფხაზურ და ქართულ ნომენკლატურებს შორის ვერ იქნება ერთ სახელმწიფოში მათი თანაცხოვრების მყარი საფუძველი. ვფიქრობ, **აფხაზებს აქვთ უფლება, შექმნან ცალკე სახელმწიფო...“**

აი, ეს თვალსაზრისი აქვთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლებს, რომლებიც ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილმა მოიყვანა და ახლა ძალაუფლების მნიშვნელოვან ბერკეტებს გადასცემს.

მოლოდინი, რომლისაც ბევრს ეშინოდა, დღითი დღე მართლდება — საქართველოში ხდება სახელმწიფო გადატრიალება — ბიძინა ივანიშვილი ნაბიჯ-ნაბიჯ აბარებს ხელისუფლებას რესპუბლიკურ პარტიას, რომელიც ქართველ ხალხს არ აურჩევია და რომელიც, ამომრჩევლის დაუფარავი უკმაყოფილების მიუხედავად, ბიძინა ივანიშვილმა ჯიუტად შეიყვანა კოალიციაში. არადა, მოსაზრებას, რომ ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის ნამდვილი მიზანი სხვა სიბრტყეში უნდა გვეძებნა და რომ ის ამერიკელებმა რესპუბლიკური პარტიის ლოკომოტივად გამოიყენეს, ჯერ კიდევ 2013 წლის აგვისტოში გამოთქვამდა (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №31 (218). 21 აგვისტო-4 სექტემბერი, 2013 წ.) ცნობილი პოლიტოლოგი **ალექსანდრე ჭაჭია:**

„ივანიშვილს არანაირი პრინციპული უთანხმოება სააკაშვილსა და მის რეჟიმთან არ ჰქონდა, მაგრამ ეს თავხედი ახალგაზრდები მისგან სულ მეტ და მეტ ფულს მოითხოვდნენ, ამასთან, მადლობის თქმითაც არ იწუხებდნენ თავს. უცერემონიო სააკაშვილმა, ეტყობა, აწყენინა მას, არ გამოვრიცხავ, რომ შეურაცხყოფაც მიაყენა. ივანიშვილი თავმოყვარე ადამიანია, საკუთარი ღირსების გამძაფრებული გრძნობით. შეუძლებელია, ამერიკელებს ყურადღება არ მიექციათ ამ ურთიერთობებისთვის. მათ თავიანთი პრობლემა ჰქონდათ: ცხადი გახდა, რომ სააკაშვილისა და მისი გუნდის შემდგომი დარჩენა ხელისუფლებაში შეუძლებელი იყო — უკმაყოფილება მოიცავდა მოსახლეობის სულ უფრო ფართო მასებს, მწიფდებოდა მასშტაბური სტიქიური ბუნტი, „ნაცმოძრაობის“ სასარგებლოდ კიდევ ერთი არჩევნების გაყალბებას ხალხი ვერ მოითმენდა, იქმნებოდა სოციალური აფეთქების რეალური საფრთხე. ეს არა მხოლოდ აშშ-ის იმიჯს ურტყამდა, რომელიც ბოლო 9 წლის მანძილზე საქართველოს „დემოკრატიის შუქურად“ აღიარებდა, არამედ შეუძლებელს ხდიდა კონტროლირებადი პოლიტიკური ძალების შემდეგი ეშელონის ხელისუფლებაში მოყვანას, რადგან ამერიკულ „ბახალებს“ სოროსის სტრუქტურებიდან ხალხი უკვე აღარ მიიღებდა. როგორც ჩანს, სწორედ მაშინ გადაწყდა ოპერაცია „ლოკომოტივის“ ჩატარება. ამერიკელები მოელაპარაკნენ ივანიშვილს, რომ არ დაუშვებენ არჩევნების მასობრივ ფალსიფიკაციას, მაგრამ სანაცვლოდ ივანიშვილმა თავისთან ერთად პარლამენტში ის პარტიები უნდა შეათრიოს, რომლებსაც რეკომენდაციას ამერიკელები მისცემენ. ამგვარად, ივანიშვილმა შური იძია სააკაშვილსა და მის თანამზრახველებზე, დაიკმაყოფილა საკუთარი თავმოყვარეობა, ხოლო ამერიკელებმა მიიღეს სასურველი პარლამენტი“.

როგორც ხედავთ, ცნობილი პოლიტოლოგის ეს პოლიტიკური პროგნოზი (ისევე, როგორც სხვა არაერთი) ზედმიწევნით ახდა. დღეს კი ოპერაცია „ლოკომოტივი“, ანუ ხელისუფლების გადაბარება ამერიკელთა სასურველი ძალისთვის, ფინიშის სწორზე გადის.

**ქართული საზოგადოება კი, თუ ამ ოპერაციის განხორციელებას წინ არ აღუდგება, სულ იმის შიშით იცხოვრებს, რომ ამერიკელთა მიერ ხელდასხმულმა ახალმა „ბახალებმა“ აფხაზეთის დამოუკიდებლობა არ აღიარონ და, მათთან ზნეობრივად ახლოს მყოფი მეცოცხე „ნაციონალების“ მსგავსად, ხალხის წამება-გაუპატიურება არ დაიწყონ...**

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„როდესაც გაიძახი, რომ გაქვს პროდასავლური გეზი და მომავალი განვითარების გზას ხედავ მხოლოდ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში, ცხადია, მზად უნდა იყო იმისთვის, რომ იგივე დასავლეთი მისთვის სანდო სუბიექტების დანიშვნას მოგთხოვს მნიშვნელოვან თანამდებობებზე. ეს პოლიტიკის პრინციპია“**



აკაკი ასათიანი:

# ღარიბაშვილი უკვე მხოლოდ სიბრალულს იწვევს

**ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება „ტრადიციონალისტთა კავშირის" თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.**

**— ბატონო აკაკი, ბოლო ორი კვირის განმავლობაში სამი მინისტრი გადადგა. მინისტრთა კაბინეტი 1/3-ით შეიცვალა, რის გამოც მთავრობას პარლამენტის მხრიდან ნდობის ხელახლა გამოცხადება სჭირდება. თქვენი აზრით, რა ხდება — მინისტრებს მართლა მოენატრათ ოჯახები, როგორც თვითონ განაცხადეს, თუ სხვა რამესთან გვაქვს საქმე?**

— ვფიქრობ, თოჯინების თეატრია, ანუ ჩვენ ახლა ვართ, უკეთეს შემთხვევაში, მოზარდ მაყურებელთა თეატრის მაყურებლები, თანაც, სცენაზე გამოსულები თამაშობენ ძალიან უნიჭოდ. მოგეხსენებათ, მსახიობის ოსტატობა არის ის, რომ დაგარწმუნოს იმაში, რასაც ასრულებს. მაგალითად, თუ ჰამლეტის როლს თამაშობს, უნდა დაგარწმუნოს, რომ ჰამლეტია, თუ ყვარყვარე თუთაბერის როლშია, უნდა დაგარწმუნოს, რომ ყვარყვარეა. **ამ შემთხვევაში უბედურება ის არის, რომ ვიცით, ვიმყოფებით თოჯინების თეატრში, რეჟისორი და ამ თოჯინების მმართველი კი გვეუბნება, არაფერ შუაში ვარო და ჩვენ რატომ უნდა ვიყოთ ამ საცოდაობის მომზირალნი, არავინ იცის.**

რაც შეეხება მინისტრების გადადგომას, ვიღაცას თურმე ოჯახი მოენატრა და ამიტომ გადადგა თანამდებობიდან, კი ბატონო, გასაგები განცდაა, მაგრამ მანამდე რატომ არ იცოდა, რომ ოჯახის გარეშე ვერ გაძლებდა? ეს ერთი. სხვა მინისტრებიც ისე გადადგნენ, ნორმალური, დასაბუთებული არგუმენტი ვერ მოვისმინე. პრემიერმინისტრის განცხადებებზე არაფერს ვამბობ, ღარიბაშვილი უკვე მხოლოდ სიბრალულს იწვევს; ამ ქვეყანაში ისედაც ბევრია შესაცოდებელი ადამიანი და ისღა გვაკლდა, პრემიერმინისტრი და მინისტრებიც დაემატონ.

**— თავდაცვის მინისტრად თინა ხიდაშელის დანიშვნამ მითქმა-მოთქმა და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ამბობენ, რომ მისი კანდიდატურის წამოყენებას უშუალოდ ამერიკის ელჩი ლობირებდა.**

— ამერიკის მხრიდან ფორმულირება იყო ასეთი: ჩვენ, როგორც საქართველოს სტრატეგიული პარტნიორები, დაინტერესებული ვართ, რომ თავდაცვის სამინისტრომ კურსი არ შეიცვალოს დასავლეთთან თანამშრომლობაში. მეტი რა უნდა გითხრან, თუ ვინმეს ეს არ ესმის, თავის თავს დააბრალოს. **როდესაც გაიძახი, რომ გაქვს პროდასავლური გეზი და მომავალი განვითარების გზას ხედავ მხოლოდ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში, ცხადია, მზად უნდა იყო იმისთვის, რომ იგივე დასავლეთი მისთვის სანდო სუბიექტების დანიშვნას მოგთხოვს მნიშვნელოვან თანამდებობებზე. ეს პოლიტიკის პრინციპია და კიდევ ვიმეორებ, ვისაც ეს არ ესმის, მისი პრობლემაა. ვფიქრობ, უცნაური და ალოგიკური აქ არაფერი ხდება...**

**— ფაქტია, რომ დღეს ყველა მნიშვნელოვანი თანამდებობა დაკავებული აქვთ რესპუბლიკელებს: თავდაცვის მინისტრი რესპუბლიკელია, რეინტეგრაციის და გარემოს დაცვის მინისტრები რესპუბლიკელები არიან...... რესპუბლიკელია პარლამენტის თავმჯდომარე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეც, ანუ მათ, პრაქტიკულად, მთლიანად გადაიბარეს ხელისუფლება. სხვათა შორის, პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნებამდე პროგნოზირებდა ამას და ამბობდა, რომ ივანიშვილი სწორედ ამ ძალის — რესპუბლიკელების ლოკომოტივად იყო ამერიკის მიერ მოყვანილი.**

— რესპუბლიკელების მიმართ ივანიშვილს განსაკუთრებული სიმპათია რომ აქვს და ამერიკელებსაც, ფაქტია, მაგრამ მაინც მგონია, რომ თავდაპირველად ალასანიაზე აკეთებდნენ აქცენტს. უბრალოდ, მას დიდი ამბიციები აღმოაჩნდა და ამის გამო მიუღებელი გახდა როგორც ივანიშვილისთვის, ისე ვაშინგტონისთვისაც.

**რესპუბლიკელებს რაც შეეხება, ისინი აღმოჩნდნენ უფრო მორჩილები, ამიტომ მათ დაეყრდნენ და დღეს მიმდინარე ძალაუფლების გადაბარების პროცესი სწორედ ამის შედეგია.** მართალია, შიგადაშიგ წამოიკნავლებს ხოლმე ეს პარტია და სრულიად უმნიშვნელო საკითხებზე კრიტიკულ განცხადებებს აკეთებს, მაგრამ ყველამ ვიცით, ეს რეალურად რისთვის კეთდება — რომ შეიქმნან ობიექტურობის იმიჯი. თუმცა, ვფიქრობ, ჯამში, რესპუბლიკელები ძალიან ჭკვიანურად იქცევიან სათავისოდ და უფრო შორსაც წავლენ; ასე რომ, ბატონი ჭაჭიას პროგნოზები ყოველთვის სიზუსტით გამოირჩევა და მართლდება ხოლმე. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც ყველაფერი ზუსტად აგვიხდება...



**— ისე, ამბიცია ალასანიაზე არანაკლებ დიდი აღმოაჩნდა მარგველაშვილსაც, თავდაპირველად ის თითქოს თანახმა იყო ნებისმიერ საკანონმდებლო ცვლილებაზე, რომელიც პრეზიდენტის უფლებამოსილებებს შეზღუდავდა, მაგრამ დღეს ამ უფლებამოსილებებს მაქსიმალურად იყენებს. იმავე მინისტრებისთვის ნდობის გამოცხადების პროცესიც ერთი კვირით გადადო, ეს ყველაფერი ხომ ერთგვარი ფხის გამოჩენაა?**

— მარგველაშვილი იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებებს, აბა, რა ეგონა ივანიშვილს?! ამ ადამიანის პრობლემა არის ის, რომ ჰგონია, ფულით ყველაფრის ყიდვა შეიძლება. ანუ ის, რომ ვიღაცას ფულს მისცემს ან რაღაც კამპანიას დაუფინანსებს და ხელს შეაშველებს, ჰგონია, უკვე ნაყიდი ჰყავს და მთელი ცხოვრება მას უნდა შესციცინებდეს თვალებში. პოლიტიკაში ასე არ ხდება. აქ თუ ვიღაცას ფულს აძლევ, ესე იგი, შენ ის გჭირდება; და თუ გჭირდება, მაშინ დასამადლებელიც არაფერია — მან სამსახური გაგიწია, შენ ფული გადაუხადე, მორჩა.

**— ეტყობა, „შეთანხმება“ ასეთი არ იყო.**

— ახლა ერთმანეთში არკვიონ მარგველაშვილმა და ივანიშვილმა, რა იყო და რა არა. **ყველას კარგად გვახსოვს, როგორ დადიოდა ეს კაცი სოფელ-სოფელ და გვეუბნებოდა, ეს არის ევროპული პრეზიდენტიო; თანაც გაიძახოდა, მე შეუმცდარი ვარ, კაცს რომ შევხედავ, ეგრევე ვცნობ, რის გამკეთებელიაო. რამდენჯერ უნდა შეეშალოს ამ ადამიანს, საინტერესოა: მერაბიშვილს აქებდა — შეეშალა; ადეიშვილს აქებდა — შეეშალა; ახლა მარგველაშვილი... შეცდომების შემდეგ ხომ უნდა ისწავლოს კაცმა ჭკუა?!**

**— თუმცა ივანიშვილი თავიდანვე აღიარებდა, რომ პოლიტიკოსი არ არის და პოლიტიკის სფეროში ბევრი არაფერი ესმის.**

— გასაგებია და ეს გულწრფელობაც გარკვეულწილად დასაფასებელია, მაგრამ ჩნდება მარტივი შეკითხვა: რაც შენი საქმე არ არის, იქ ცხვირს რატომ ჰყოფ?! ზუსტად ეს იყო მისი ყველაზე დიდი შეცდომა, მან გააკეთა „ქართუ ჯგუფი“, სახელმწიფო კი „ქართუ ჯგუფი“ არ არის...

**— ის, რაც დღეს ხდება ხელისუფლებაში, თუნდაც მინისტრების გადაგომა და მთავრობის ხელახლა დაკომპლექტება, დაპირისპირება პრემიერსა და პრეზიდენტს შორის, ხომ არ მიიყვანს კოალიციას იქამდე, რომ იგი მიუღებელი გახდეს დასავლეთისთვის?**

— პრინციპში, უკვე მიუღებლებიც არიან, მაგრამ ეს არ გამჟღავდება და რატომ: **დასავლეთში, განსაკუთრებით — ამერიკაში, არ უყვართ იდეის მიმდევარი ადამიანები, როგორიც ზვიად გამსახურდია იყო; ფულსა და ძალაუფლებაზე დახარბებულებთან კი გაცილებით იოლად პოულობენ საერთო ენას. ეს გასაგებიც არის — ვისთვისაც მთავარია პირადი კეთილდღეობა, მისი მართვა გაცილებით იოლია. თუ გზიდან გადაუხვევს, ეტყვიან, მილიონებს დაემშვიდობეო და მორჩა, ყურით ჰყავთ დაჭერილი.** აი, ეს არის ის მთავარი ფაქტორი, რომლითაც ამათი კონტროლი ადვილია; და ეს ამათაც არ უქმნით დისკომფორტს იმიტომ, რომ არ აქვთ არანაირი მრწამსი, ფასეულობა, იდეოლოგია, მათ აქვთ მხოლოდ ერთი სიხარული, რომ ვიღაცას კაბინეტში შეასწრონ, გახდნენ მინისტრები, თავმჯდომარეები და ა.შ. ამის იქით არაფერი აინტერესებთ, არაფერს დაეძებენ.

**— კაბინეტში შესწრებას რაც შეეხება, ღარიბაშვილმა სამი მინისტრი ისე დანიშნა, რომ მთელი რიგი საკონსტიტუციო ნორმებისა დაარღვია, არ დაელოდა პარლამენტის მხრიდან ნდობის გამოცხადებას. რა აზრის ხართ ამ ყველაფერზე?**

— საქმე ის არის, რომ **კონსტიტუცია და კანონი დღეს ამ ქვეყანაში არავის აინტერესებს, არ აქვთ სახელმწიფოს მიმართ პატივისცემა, თორემ, რეალურად, მინისტრები აღარ არიან და მათ მოვალეობას მოადგილეები უნდა ასრულებდნენ. არც ღარიბაშვილს და არც არავის აქვს რომელიმე უწყების ხელმძღვანელის დანიშვნის უფლება, ვიდრე მას პარლამენტი ნდობას არ გამოუცხადებს;** სწორედ ამიტომ თითოეული კანდიდატი, მათ შორის, თვითონ ღარიბაშვილიც, უნდა წარდგეს პარლამენტის წინაშე და იყვნენ კიდეც ყველანი ქუთაისის გზაზე შემდგარი, მარგველაშვილს რომ არ მოებრუნებინა. ვფიქრობ, ეს ძალიან ბოროტი ხუმრობა იყო, თუმცა ამ გადაწყვეტილებაში არის რაღაც დასაფასებელიც... ვიღაცისთვის ეს შეიძლება, გამაღიზიანებელი ყოფილიყო, მაგრამ სახელმწიფო ხომ ვიღაცის ნება-სურვილები არაა, ქვეყანას, პირველ რიგში, უნდა მართავდეს კანონი და კონსტიტუცია და ამ ნორმებს პატივს უნდა სცემდეს ყველა.

**— დასასრულ, ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს ვიზიტზეც შეგეკითხებით. მარგველაშვილთან შეხვედრაზე მან თქვა ასეთი რამ: „არ არსებობს წინააღმდეგობები ბელარუს, ქართველ და რუს ხალხებს შორის. არსებობს მხოლოდ გაუგებრობები პოლიტიკურ დონეზე. ისინი დაიძლევა. უნდა მოხდეს პოზიციების დაახლოება, რომ ისევ ერთ დიდ ოჯახში ვიცხოვროთ, როგორც ეს ადრე იყო“. ამას „ნაცმოძრაობის“ მხრიდან დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა და ხელისუფლებას, ფაქტობრივად, თავის მართლების რეჟიმში მოუხდა ახსნა-განმარტებების კეთება. თქვენ როგორ აღიქვით ეს განცხადება და, საერთოდ, რა დატვირთვა ჰქონდა ლუკაშენკოს ვიზიტს?**

— ეს იყო უმნიშვნელოვანესი ვიზიტი, რომელიც უფრო ადრეც უნდა შემდგარიყო და სრულიად ნორმალურია ისიც, რომ ბატონ ლუკაშენკოს გარკვეული საშუამავლო მისია ჰქონდა დაკისრებული რუსეთ-საქართველოს შორის.

რაც შეეხება ისტერიკას, რომელიც მის განცხადებას მოჰყვა, ეს ახალი არ არის, ჩვენ ასეთი ისტერიკა გვესმოდა ცხრა წლის განმავლობაში და ამან სად მიგვიყვანა, ყველამ ვნახეთ. მთავარი აქ ახლა ის არის, რომ ხელისუფლებასაც არ გადაედოს ეს ისტერიკა და არ დაიწყოს საუბარი წინამორბედის რიტორიკით. არაფერი შესაცხადებელი შინაარსი დიდ ოჯახზე გაკეთებულ განცხადებაში არ დევს. ასე რომ, **დიდი ერთობის დრო უკვე მოსულია. ვფიქრობ, ეს სავსებით შესაძლებელია დასავლეთთან მეგობრული ურთიერთობის პარალელურად, ოღონდ, რა თქმა უნდა, იმ რიტორიკის გამორიცხვით, რომ რუსეთი დაუძინებელი მტერია და ამ ულმობელი, ბოროტი იმპერიისგან მხოლოდ ნატო თუ გვიხსნის.** ასეთი საუბრები ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს და უნდა შევიგნოთ, რომ ამგვარი მიდგომით ჩვენთვის სასიკეთო არაფერი მოხდება.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

## ჯორჯ ბუშის ბანერი დააზიანეს

**თბილისში ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის (უმცროსი) ბანერი უცნობმა პირებმა დააზიანეს. აეროპორტისკენ მიმავალ გზაზე, ჯორჯ ბუშის ქუჩაზე, განთავსებულ ბანერზე პრეზიდენტის სახე და ინგლისურენოვანი წარწერა შავი საღებავით იყო შეღებილი. დაზიანებული ბანერი ჩამოხსნეს.**

როგორც თბილისის მერიის წარმომადგენელმა განაცხადა, უახლოეს დღეებში იმავე ადგილას ახალი ბანერი განთავსდება. აშშ-ის 43-ე პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის ბანერი ისნის რაიონში, ბუშის სახელობის ქუჩის დასაწყისში იყო განთავსებული.



„ნატოს საწვრთნელი ცენტრი უკვე არის პროვოკაცია. ვფიქრობ, ლუკაშენკოს ჩამოსვლა სწორედ საწვრთნელი ცენტრების განთავსებას უკავშირდებოდა. საქართველო ომის საფრთხის წინაშე ყოველთვის დგას და იდგება იქამდე, ვიდრე ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება არ მიხვდება, რომ რუსეთს უნდა დაელაპარაკოს, ვიდრე არ მიხვდება, რომ რუსეთის დანგრევა ჩვენ ხელს არ გვაძლევს, და პირველი ვიქნებით, ვინც ნანგრევებში მოყვება."



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვასილ ჭიჭინაძე: დღეს საქართველო ამერიკის ყველაზე უუფლებო, უუნარო შტატია!

**პრემიერმა ღარიბაშვილმა 2 მაისს, არასამუშაო დღის ბოლოს, თავისი გადაწყვეტილებით ხალხი გააოცა — თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე წარადგინა რესპუბლიკელი თინა ხიდაშელი, რომელმაც თავის დროზე განაცხადა: „ვიცი, რა მსურს, რადგან აფხაზეთი ჩემი პრობლემა არ არის. "**

**მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არც პრეზიდენტს გამოუთქვამს მოსაზრება და არც პარლამენტს მოუწონებია ღარიბაშვილის გადაწყვეტილება, თავდაცვის მინისტრობის კანდიდატი უკვე განკარგულებებს იძლევა.**

**ხელისუფლებაში ბევრი საკვანძო თანამდებობა უკვე რესპუბლიკელების ხელშია, რაც ნამდვილად აშფოთებს ქართველ საზოგადოებას. სოციალურ ქსელში წერენ — არ დავუშვათ ხიდაშელის გამინისტრება, ქუჩაში გამოვიდეთო, მაგრამ, როგორც წესი, ხალხს არავინ უსმენს.**



პოლიტოლოგებისთვის რესპუბლიკელების დაწინაურება გასაკვირი არ ყოფილა. 2013 წელს, მას შემდეგ, რაც ყოფილმა პრემიერმა თანამდებობა დატოვა, ცნობილმა პოლიტოლოგმა **ალექსანდრე ჭაჭიამ** განაცხადა:

**„ივანიშვილი, როგორც ჩანს, ტოვებს თავის პოსტს. ეს სხვადასხვანაირად შეიძლება შეფასდეს, მათ შორის, ძალიან ნეგატიურადაც, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მან უდიდესი ეროვნული საქმე გააკეთა — ხელისუფლებას მოაშორა და მარგინალად აქცია სამარცხვინო „ნაციონალური მოძრაობა". ივანიშვილის გარდა, ამ საქმეში ამერიკელები მხარს არავის დაუჭერდნენ. პარალელურად მან, რა თქმა უნდა, შეასრულა ამერიკელების დავალება — ითამაშა ლოკომოტივის როლი და ხელისუფლებაში მოიყვანა ის პოლიტიკური ჯგუფები, რომელთაც ხელისუფლებაში დამოუკიდებლად მოსვლის არანაირი შანსი არ ჰქონდათ".**

**ნიშნავს თუ არა ხელისუფლებაში რესპუბლიკელების პოზიციების კიდევ უფრო გაძლიერება „ნაციონალების" დაბრუნებას? — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე დიპლომატ ვასილ ჭიჭინაძეს ვესაუბრეთ.**

**— ბატონო ვასილ, თუ ელოდით ასეთ სამთავრობო ცვლილებებს?**

— ხიდაშელის გამინისტრებას — არა, მაგრამ რესპუბლიკელებზე ფსონის დადებას ნამდვილად ველოდი. „ნაციონალების" „გათეთრება" „გაპატიოსნება" ძნელი საქმეა, ირაკლი ალასანიას სერიოზული პრობლემები გაუჩნდა ხელისუფლებასთან, ამიტომ საქართველოში ამერიკელების ერთადერთ დასაყრდენ ძალად რესპუბლიკელები დარჩნენ.

**არავის სჯერა და არც არავინ აღარ „ჭამს" იმას, რომ ამერიკის ელჩი ბიძინა ივანიშვილთან ყავის დასალევად მივიდა, თანაც— საღამოს საათებში...**

ამერიკელები საქართველოში ჩადებულ მილიარდობით დოლარს ასე ადვილად არ დათმობენ, ქარს არ გაატანენ, ამიტომ გამუდმებული ზემოქმედება ხდება ხელისუფლებაზე და ივანიშვილსაც სხვა გზა არ ჰქონდა. **სხვაგან გაქცევის უფლებას ამერიკა საქართველოს არასოდეს მისცემს, ერთადერთი გზა, რომელიც მათ დარჩათ საქართველოს შესანარჩუნებლად, რესპუბლიკელების ხელისუფლებაში მოყვანაა. საღამოს პრემიერმინისტრი აცხადებს, ორი მინისტრია შესაცვლელიო და მეორე დილით სიზმარი ხომ არ ნახა, მესამე მინისტრად თინა ხიდაშელის კანდიდატურა რომ დაასახელა? ღარიბაშვილს დავალება მისცეს და მანაც შეასრულა.**

**— ბატონო ვასილ, 2012 წლის ოქტომბერში, ივანიშვილი ხელისუფლების სათავეში რომ მოვიდა, მაშინ თუ იფიქრებდით ქვეყანაში ასეთი ვითარების დადგომას?**

— ხელისუფლებაში ივანიშვილის მოსვლით ძირეული ცვლილებები რომ არ მოხდებოდა, ვიცოდი, მაგრამ ასეთ ვითარებას არ ველოდი; ვერც რესპუბლიკელების აღზევებას ვიფიქრებდი და ვერც იმას, რომ მინისტრების დამტკიცებას არც პრეზიდენტის ხელმოწერა დასჭირდებოდა და არც პარლამენტის თანხმობა. თუ საჭირო არაფერია, მაშინ რატომ ვინახავთ ან პრეზიდენტის აპარატს, ან ამდენ პარლამენტარს?!

**ორწელიწად-ნახევრის თავზე აღარაფერი მიკვირს. ახალმა ხელისუფლებამ ვერ გამოიჩინა ფხა და შესაძლებელია, ნებაც არ ჰქონდათ, რაიმე შეეცვალათ. დღეს საქართველო ამერიკის ყველაზე უუფლებო, უუნარო შტატია. გადაწყვეტილების მიღების უფლება არ გვაქვს, ამერიკელების ნებართვის გარეშე ნაბიჯის გადადგმა არ შეგვიძლია...** თინა ხიდაშელი კი გვარწმუნებს, ამერიკა დემოკრატიული ქვეყანაა და ისე არ ხდება, როგორც გგონიათ, რომ ჩვენს საქმეებში ერევაო, მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ ზუსტად ასე ხდება: ამერიკა იქ, სადაც საჭიროა, ისე მოქმედებს, როგორც სურს. მიუხედავად იმისა, რომ გაერო არ ეთანხმებოდა, იუგოსლავიაში ამერიკამ საშინელება ჩაიდინა...

**პროცესების დაჩქარება ალექსანდრე ლუკაშენკოს ჩამოსვლამ გამოიწვია. ყველამ ვიცით, რომ ბელარუსის პრეზიდენტი სასეირნოდ არ ჩამოსულა და მართლა ბრესტსა და ბათუმს შორის ხელშეკრულების გაფორმებაზე არ ოცნებობდა... ლუკაშენკო გავაცილეთ და უცბად, რამდენიმე მინისტრმა ერთდროულად გადაწყვიტა თანამდებობის დატოვება, რასაც თინა ხიდაშელის გამინისტრება მოჰყვა. ამერიკამ ჩვენზე კარგად იცის, რა უნდოდა ბელარუსს... სხვა ლოგიკა არ არსებობს, ასეთი დამთხვევები არ ხდება.**

**— თქვით, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ ფხა ვერ გამოიჩინა და სახელმწიფოს ინტერესების გატარება ვერ შეძლო. არადა, ქართველმა ხალხმა ივანიშვილს მხარი იმიტომ დაუჭირა, რომ მილიარდერი ლიდერი ამერიკელთა ფულს არ დახარბდებოდა, თითს ვერავინ დაუქნევდა და ქვეყნისთვის სასიკეთო ნაბიჯების გადადგმას შეძლებდა. რატომ ვერ გამოიჩინა პრინციპულობა ივანიშვილმა?**

**— ივანიშვილი ამერიკის ფულს არ დახარბდა, მაგრამ რაც აქვს, იმას უფრთხილდება. ამერიკელებმა რომ მოინდომონ, ბიძინას ერთ საათში „ბომჟად" აქცევენ.**

**— „ნაციონალები" ამბობენ, რომ ივანიშვილს ფული რუსეთში აქვს...**

— არა, რა რუსეთში, იქ რაც ჰქონდა, ყველაფერი გაყიდა. **ივანიშვილს ძირითადი ფული საზღვარგარეთ აქვს, საქართველოში ნამდვილად არ ინახავს, რუსეთში რომ ჰქონდეს შენახული, მაინც უცხოელების კონტროლქვეშ იქნებოდა, რადგან თუ ევრო აქვს, ევროპელები „გააბომჟებენ", თუ დოლარი — ამერიკელები.**

ივანიშვილის ლაპარაკს თუ უსმენთ, მიხვდებით, რომ არაადეკვატურია მიმდინარე პროცესების მიმართ. ამბობს, არაფერი ხდება და სიტუაციას ვიღაც ხელოვნურად ძაბავსო. გვესაუბრება ფსიქოლოგიაზე, ფროიდსა და კანტზე... შესაძლოა, ეს ყველაფერი მართლაც წაკითხული აქვს, მაგრამ ასოების ცოდნა ხომ არ არის მთავარი?! რასაც კითხულობ, უნდა გაიგო კიდეც. თუ ივანიშვილმა ფსიქოლოგია კარგად იცის, ისიც უნდა იცოდეს, ადამიანს რომ შეურაცხყოფს, ამით მის ნდობასა და პატივისცემას კარგავს. ბოდიში რომ მოეხადა, ქართველი აპატიებდა, მაგრამ **ბიძინა ხალხს ეუბნება, კარგად ცხოვრობთ, მაგრამ ისეთი იდიოტები ხართ, ვერ გრძნობთო. ეს ყველაფერი ხომ იმას ნიშნავს, რომ ბიძინა ვიღაცის ან რაღაცის ზეგავლენის ქვეშ არის...**

**— რას ნიშნავს თინა ხიდაშელის თავდაცვის მინისტრად დანიშვნა, რას უნდა ველოდოთ?**

— თინა ხიდაშელი ქალია და მასზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ მისგან რას ელოდებით, რა უნდა ქნას? **რასაც ზემოდან ბატონები უკარნახებენ, ისე მოიქცევა. თინა ამერიკელების მითითებებს დაელოდება და კარგი შემსრულებელიც იქნება. თუ სხვა მინისტრი რაღაც ფორმით პროცესების გაჭიანურებას შეეცდებოდა, ხიდაშელი ამას უსწრაფესად და ენერგიულად გააკეთებს.**

ძალიან მალე ამერიკაში არჩევნები უნდა ჩატარდეს, სავარაუდოდ, იქ რესპუბლიკელები გაიმარჯვებენ, ჰოდა, გზაც მოასუფთავეს — საქართველოშიც ხელისუფლებაში რესპუბლიკელები მოვლენ.

**— სოციალურ ქსელში ბევრი წერს, რომ ხიდაშელის თავდაცვის მინისტრობამ, შესაძლოა, კვლავ ომში ჩაგვაბას და პროვოკაციის მსხვერპლნი გავხდეთ, როგორც 2008 წელს...**

— მეტი რა პროვოკაცია გინდათ? **ნატოს საწვრთნელი ცენტრი უკვე პროვოკაციაა. ვფიქრობ, ლუკაშენკოს ჩამოსვლა სწორედ საწვრთნელი ცენტრების განთავსებას უკავშირდებოდა. საქართველო ომის საფრთხის წინაშე ყოველთვის დგას და იდგება იქამდე, ვიდრე ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება არ მიხვდება, რომ რუსეთს უნდა დაელაპარაკოს, ვიდრე არ მიხვდება, რომ რუსეთის დანგრევა ჩვენ ხელს არ გვაძლევს, და პირველი ვიქნებით, ვინც ნანგრევებში მოყვება.**

ქართველი მეფეები გადაცმულები გადიოდნენ ხალხში და სიმართლის მოსმენას ცდილობდნენ. **ვურჩევ ბიძინას, გავიდეს ხალხში და გაიგოს ყველაფერი თავისი ყურით, საკუთარი თვალით ნახოს, რა დღეშია მოსახლეობა. ჟურნალისტებს ეჩხუბება, ოპოზიციის არ ჯერა, ექსპერტებს კომპეტენციას უწუნებს, მაშინ თვითონ შეიტყოს სიმართლე.**

**— ბატონო ვასილ, ამერიკა კი ცდილობს, რესპუბლიკელები ხელისუფლებაში მოიყვანოს, მაგრამ ხალხი ხმას მისცემს? ხომ არ მოხდება ისე, ოღონდ რესპუბლიკელები არ მოვიდნენ ხელისუფლებაშიო და ისევ „ნაციონალებს" დაუჭირონ მხარი ან სულაც, მოსალოდნელი ხომ არ არის რესპუბლიკელებისა და „ნაციონალების" გაერთიანება?**

— რესპუბლიკელები მართლა არ უყვარს ხალხს და არც არასოდეს მიუციათ ხმა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ მათი ლიდერები ძალიან ჭკვიანები არიან. ნაბიჯ-ნაბიჯ მოვიდნენ ხელისუფლებაში. **რესპუბლიკელების ლიდერებს ჰყოფნით ჭკუა, რომ არჩევნებში მარტო არ მიიღონ მონაწილეობა. ხომ ხედავთ, სულ იმეორებენ — თუ კოალიცია დაიშლება, ბოლო ვიქნებით, ვინც „ოცნებას" დატოვებსო.** დღეს რაც ხდება, მათ აძლევთ ხელს. შეეცდებიან, არჩევნებში ასპარეზზე გამოიყვანონ უცნობი, არაოდიოზური ფიგურები, მათ შორის, „ნაციონალებიც" და ასე შეძლონ ხელისუფლების სათავეში მოსვლა.

თუ ქვეყანაში ვითარება არ შეიცვალა და ვიღაცის დიდი ფული არ დაუპირისპირდა ივანიშვილის ფულს, მაშინ პროცესები სწორედ ისე წავა, როგორც ახლა ვთქვით.

**გვინდა თუ არა, „ნაციონალების" რაღაც ნაწილს მოაბრუნებენ. ამერიკელებს „დემოკრატიის შუქურის ჩაქრობა" ხელს არ აძლევთ. ნელ-ნელა ჯერ „ნაციონალები" მობრუნდებიან და მერე მიშაც ჩამოვა.**

ესაუბრა **ეკა ნასყიდაშვილი**

> «არავის სჯერა და არც არავინ აღარ «ჭამს» იმას, რომ ამერიკის ელჩი ბიძინა ივანიშვილთან ყავის დასალევად მივიდა, თანაც — საღამოს... ერთადერთი გზა, რომელიც ამერიკას დარჩა საქართველოს შესანარჩუნებლად, რესპუბლიკელების ხელისუფლებაში მოყვანაა»

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



რესპუბლიკური" პარლამენტის კვალდაკვალ გამოკვეთილად „რესპუბლიკური" მთავრობა მივიღეთ! ეს კი ის ძალაა, რომლის ერთ-ერთ (სქესს კიდევ ერთხელ შევეშვათ) ლიდერს სრულიად უტიფრად შეუძლია, განაცხადოს სრულიად უტიფარი ტყუილი: „ნაციონალურ მოძრაობასთან" კოჰაბიტაცია ქართველმა ხალხმა დაგვავალა"... მანამდე მას შეუძლია, ასევე, თქვას: „მე აფხაზეთს საქართველოს ნაწილად არ განვიხილავ". ახლა კი მას შეუძლია თქვას: „ჩემთვის ეს სფერო სრულიადაც არ არის უცხო და მე მას შესანიშნავად გავართმევ თავს".

# თქვენ გე-ნაც-ვალეთ, ბიჭებო!

## ანუ როგორ გა-ცოცხ–ლდნენ ნაცები

**დღევანდელი დილა (4 მაისი, 2015 წელი) ასეთი ინფორმაციით დაიწყო ჩემი „ფეისბუქის" ე.წ. სიახლეების ზოლზე: „ნაციონალური მოძრაობა" რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას მოითხოვს!" — რომელიღაც სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული ამ ინფორმაციის ქვეშ დადებულ ფოტოზე კახეთის გზატკეცილზე „ნაცების" ოფისის წინ გამოჯგიმულან რჩეულ-რჩეული „ნაცმანიაკები" და მათი 9-წლიანი მანიაკობის მხარდამჭერ-„გამპრავებლები"...**



არა, არ გეჩვენებათ, მართლაც ისეთ სტილში ვყვები ახლა ამას, ახალგაღვიძებული ადამიანი სიზმარს რომ მოგიყვება... თუმცა რა გასაკვირია?! აკი, ყველაზე, ყველაზე, ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც კი ვერავინ წარმოიდგენდა, 2012 წლის ოქტომბრის საერთო სახალხო ტრიუმფიდან 3 წელიწადში ვინ-ვინ და, ისევ „ნაციონალური მოძრაობა" რომ მოითხოვდა რას-რას და, არც მეტი, არც ნაკლები, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს!

**სამწუხარო რეალობის წინაშე ვდგავართ — მანიაკთა გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" დღევანდელ საქართველოში ერთადერთი პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელმაც ზუსტად იცის, რა უნდა, რატომ უნდა და როდის უნდა.**

სხვა პოლიტიკური პარტია-გაერთიანებები ან ბევრფულიანი, მაგრამ გაურკვეველი, ურთერთგამომრიცხავი იდეოლოგიის მქონე, უფორმო, უშინაარსო და უწესრიგო კონგლომერატია, ანდა — არასერიოზული ჯგუფები, რომლებიც მოქმედებენ სრულიად გაუმართლებელი ფორმულით: „დაფინანსება არ გვაქვს, მაგრამ ხელისუფლებაში გვინდა.

იმ ლეგენდარული „9 წლის", მანამდელი 3 წლისა და შემდგომი 3 წლის გამოცდილებები ნათლად მიგვითითებს, რომ „ენმ"-მ ყოველთვის ზუსტად იცოდა, რა სურდა და, თუკი ზოგჯერ მათი გარკვეული მოთხოვნები საზოგადოების დიდ ნაწილს „სიგიჟედ" ეჩვენებოდა და ბევრი ირონიულადაც ილიმებოდა, — „რა უაზრო მოთხოვნები აქვს ამ ხალხსო", — უკვე მოგვიანებით მიმხვდარან, რატომ ითხოვდა ეს პოლიტიკური ძალა კონკრეტულად იმ ეტაპზე კონკრეტულად იმას, რასაც ითხოვდა.

**გავიხსენოთ, თუნდაც 2003 წელს მიხეილ სააკაშვილის მიერ გრიბოედოვის სახელობის თეატრთან შეკრებილი 150-მდე ადამიანი, რომლებიც ჩატარებული არჩევნების (რომლის შედეგადაც საქართველო 5 პარტიას ილებდა პარლამენტში, ხოლო მმართველ ძალას უმრავლესობა ერთმეოდა) ბათლად ცნობას და ხელახალ არჩევნებს ითხოვდნენ...**

იმხანად ბევრმა, უბრალოდ, „არასერიოზული" უწოდა ამ ყველაფერს და არაერთი „პოლიტოლოგ-ექსპერტი" ირონიული ღიმილით აცხადებდა: სააკაშვილის რეალური რეიტინგი 12-14 პროცენტია და, ეგ კაცი ხელახალ არჩევნებს რომ ითხოვს, ჭკუაზე ხომ არ შერყეულა, მიღებულ 20-25 პროცენტსაც ველარ ეღირსება მერეო.

პროცესები როგორ განვითარდა და ვინ რა პროცენტი მიიღო, ყველამ კარგად ვნახეთ!

**ეს მაგალითი მხოლოდ იმიტომ გავიხსენე, რომ ის, როგორც „ნაცების" დღევანდელი მოთხოვნა, კონკრეტულად არჩევნებს შეეხება. თორემ ისე, არაერთი მსგავსი მაგალითის გახსენებაც შეიძლებოდა, როდესაც „ნაცების" „არასერიოზული" მოთხოვნები სრულიად სერიოზულ პოლიტიკურ პროცესად შემოტრიალებულა.**

არა, სულაც არ ვაპირებ ვამტკიცო, რომ ერთი ჩვეულებრივი ავანტიურისტ-უწიგნური მიხეილ სააკაშვილი შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსია, ან ვინმეზე მეტად გათვითცნობიერებული რამეში.

და **საქმეც სწორედ ის არის, რომ „ერთი ცანცარა ტიპის არასერიოზული გამოხდომები" სინამდვილეში ზუსტ და დროულ პოლიტიკურ ნაბიჯებად გადაიქცევა ხოლმე. დიდი და განსაკუთრებული გონება არ უნდა სჭირდებოდეს იმის მიხვედრას, რომ ამ „ცანცარა" ტიპს, ასეთ ერთი შეხედვით „ცანცაროზებს" კონკრეტული „უხილავი" ძალა აკეთებინებს და იგივე ძალა განაპირობებს იმას, რომ ეს „ცანცაროზები" მიზანში გარტყმულ პოლიტიკურ ნაბიჯებად იქცეს ნებისმიერ ფასად!**

ჭკუათმყოფელი ადამიანები იმაშიც დამეთანხმებიან, რომ ეს „უხილავი ძალა" სულაც არ არის „ზებუნებრივი" და უცხოპლანეტური. პირიქით — თუ ყველაფერს ზუსტად გავაანალიზებთ და ანალოგიებსაც მოვიშველიებთ, ამ „უხილავი ძალის" კონკრეტულ ადგილსამყოფელსა და კონკრეტულ სახელ-გვარებსაც იოლად დავასახელებთ.

**მინისტრების ცვლილებები — აი, სწორედ ის, ერთი შეხედვით, „ჩვეულებრივი დემოკრატიული პროცესი", რომლის გახშირება უპირობოდ უძღვის ხოლმე წინ ხსენებული „ცანცარული" მოთხოვნების კასკადს. აუცილებლად უნდა ვთქვათ: აქ მნიშვნელობა სულაც არ აქვს „წასულებს", მთავარი აქ „მოსულებია"...**

მოდით, ნუ მივაქცევთ ყურადღებას სქესს, გარეგნობას, სხვა მორალურ-ზნეობრივ დახასიათებებს (რომელთა შესახებაც უჩემოდაც დაწერს ბევრი სხვა) და პირდაპირ ვთქვათ — **„რესპუბლიკური" პარლამენტის კვალდაკვალ გამოკვეთილად „რესპუბლიკური" მთავრობა მივიღეთ!**

**ეს კი ის ძალაა, რომლის ერთ-ერთ (სქესს კიდევ ერთხელ შევეშვათ) ლიდერს სრულიად უტიფრად შეუძლია, განაცხადოს სრულიად უტიფარი ტყუილი: „ნაციონალურ მოძრაობასთან" კოჰაბიტაცია ქართველმა ხალხმა დაგვავალა"...**

**მანამდე მას შეუძლია, ასევე, თქვას: „მე აფხაზეთს საქართველოს ნაწილად არ განვიხილავ".**

**ახლა კი მას შეუძლია თქვას: „ჩემთვის ეს სფერო სრულიადაც არ არის უცხო და მე მას შესანიშნავად გავართმევ თავს".**

და არც არავინ არაფერს იტყოდა, „ეს სფერო" გრანტების ათვისება, ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მოქმედება ან თუნდაც, ჯანდაბას და, რაიმე ისეთი სფერო რომ ყოფილიყო, რომელიც მხოლოდ თეორიულ-იურიდიულ ცოდნას მოითხოვს.

მაგრამ, აი, **რატომ და რანაირად არ არის თავდაცვის, ჯარის, ომის სფერო თინა ხიდაშელისთვის (სქესი კიდევ ერთხელ იქით იყოს) უცხო და რა გამოცდილება აქვს მას ამ მიმართულებით, ეს მართლაც ამოუცნობი და ამოუხსნელი იქნებოდა, რომ არ ვიცოდეთ რა ტიპის და რა დონის უტიფარ ადამიანებთან გვაქვს საქმე.**

კი მაგრამ, **რა კავშირშია „ნაციონალების" მიერ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნა ხიდაშელ-ადეულაშვილის გამინისტრებასთან?** — ასეთ კითხვას, ალბათ, ყველაზე გაუთვითცნობიერებელი ადამიანი თუ დასვამს.

კავშირი ძალიან თვალსაჩინოა ჩემთვის და, ალბათ, არაერთი იმ ადამიანისთვის, რომლიც 2003 წელს „ვარდების" მოახლოებას სწორედ მსგავსი პროცესების კვალდაკვალ ხედავდა. იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც მაშინ ირონიული ღიმილით უპასუხებდნენ მავანი ხელისუფალნი — „კაი, კაცო, რა გაპანიკებთ, მაგ ცანცარა მიშას პრეზიდენტად ვინ მოიყვანს?!".

აი, ასეთმა არასერიოზულმა მიდგომებმა, „არხეინიზმმა" დაღუპა ქვეყანა მაშინ და საგანგაშო ახლაც სწორედ ეგ არის, რომ „არხეინიზმის" დონე არანაკლებ ნიშნულს აღწევს „ოცნების" ხელმძღვანელებშიც.

**ბოლო სამი წლის განმავლობაში არაერთი „ნიშნისმოგებითი" გამოთქმა, პუბლიკაცია, თვალსაზრისი ვნახე მათი მისამართით, ვინც ჩემსავით, სხვადასხვა კონრეტული პროცესების დროს შეშფოთებას გამოთქვამდა „ნაციონალების" ხელისუფლებაში შესაძლო დაბრუნების გამო.**

„აგე, თქვე მშიშრებო და პანიკის მთესველებო! ხომ ჩაიარა ამა და ამ კონკრეტულმა ამბავმა ისე, რომ „ნაცები" ვერსადაც ვერ მობრუნდნენ!" — მოზეიმე ტონით აცხადებენ ხოლმე მოქმედი ხელისუფლების მხარდამჭერნი თუ მთავრობის თანამდებობის პირები...

საქმე ის არის, რომ ეს მიდგომაც ძალიან ნაცნობია! აკი, **2003 წლამდეც, მთელი 3 წელიწადი მწიფდებოდა ის, რაც შემდეგ ქვეყანას თავს დაატყდა „ლეგენდარული 9 წლის" სახით და რომლის შესახებაც სრული 3 წლის განმავლობაში არაერთი ჟურნალისტი, მართლა კარგი ექსპერტი თუ ჩვეულებრივი მოქალაქე აფრთხილებდა „უდარდელ" ხელისუფალთ.**

მაშინაც სწორედ ასე ხდებოდა გარკვეული ცალკეული პროცესები, რომლებიც შემდეგ „ნაციონალთა კრახად" ფასდებოდა და „პანიკიორებს" სწორედ ასეთი ირონიული ფრაზებით ამუნათებდნენ. სინამდვილეში კი, ეს ცალკეული პროცესები იყო არა „ნაციონალთა" დამარცხებები ან მათი კრახი, არამედ სწორედაც მეთოდური, თანმიმდევრული მზადება და სიტუაციის საბოლოო მომწიფება იმისთვის, რომ ისინი ხელისუფლებაში მოსულიყვნენ.

პუბლიკაციის თითქმის ბოლოშიც გავედით და უკვე დროა, გახსნილადაც ვთქვათ: **ის, ვინც „ცანცარათა" „არასერიოზულ" მოთხოვნებს რეალურ, დროულ და სწორ პოლიტიკურ ჩარჩოს აძლევს, რაღა თქმა უნდა, „დიღმის ბაზა", ანუ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოა საქართველოში!**

**დღეს უკვე საიდუმლო აღარ არის, რომ „ვარდებამდე" დაახლოებით 1 წლით ადრე „პრორუსებად" მონათლული ძალოვანი მინისტრების გაშვება სწორედ მაშინდელი „ნორლანდის" (არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმ დროს კონკრეტულად რა გვარი იყო ის, ვინც ახლა ნორლანდია, თორემ არც მაგის გახსენება გამიჭირდებოდა) პირდაპირი ჩარევისა და დაჟინებული მოთხოვნის შედეგი იყო. ერთი ეგაა, იმჟამინდელი ხელისუფლება მთლად ასე, 100 პროცენტით არ იყო „ჩამოკიდებული" ამერიკის „დიღმის ბაზაზე" და მათ დასაშოშმინებლად გაშვებული „პრორუსი" მინისტრების „არც ისე ამერიკელებით" ჩანაცვლება მოხერხდა...**

თუმცა საბოლოოდ ვერც ამან უშველა სიტუაციას და მოხდა ის, რაც ლოგიკურად მოსალოდნელი იყო!

ამჯერად კი, როგორც ჩანს, მაშინდელი გამოცდილების გამო, **ნორლანდ-ბატონის მკაცრი და უშუალო კონტროლის ქვეშ ჩაიბარა თავდაცვა ამას წინათ გაშვებული პირწავარდნილი პროამერიკელის ნაცვლად (ჯანელიძეს არ ვგულისხმობ, რა თქმა უნდა), ისევ და ისევ არა მხოლოდ „პრო", არამედ თხემით ტერფამდე ამერიკელმა ხიდაშელმა, რომელსაც, ალბათ, მხოლოდ გვარი და მოქალაქეობაღა თუ აქვს შერჩენილი ქართული. სხვა მხრივ, იგი ამერიკის სახელმწიფო ინტერესების განუხრელი გამტარებელია და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აფხაზეთის შესახებ ამერიკელებისთვის მისაღები პოზიციის „მოსინჯვაზეც" არის წამსვლელი და იმაზეც, რომ ამერიკელთაგან თავსმოხვეული კოაბიტაცია ქართველ ხალხს „ნახალკად" შეტენოს.**

საბოლოოდ, ფაქტია, რომ მივიღეთ ამას წინათ გა-ცოცხილთა გა-ცოცხ-ლება! უფრო ზუსტად, მათი გა-ცოცხ-ლების სამწლიანი პერიოდი უკვე ახალი ტიპის გამო-ცოცხ-ლების ეტაპად გადაიქცა და ამასწინანდელი მოკრძალებული „კოჰაბიტაცია" უკვე „ნაცთა" ხამამაღალმა, გაბედულმა განცხადებებმა ჩაანაცვლა!

საპასუხოდ კი „ოცნების" ხელისუფლება, კონკრეტული ქმედებების ნაცვლად, მხოლოდ და მხოლოდ ეკა ბესელიასებრთა ირონიულ-არხეინული განცხადებებით შემოიფარგლება: **„საინტერესოა, მართლა რომ დავაკმაყოფილოთ ეს მოთხოვნა და დაინიშნოს რიგგარეშე არჩევნები, სად ხედავენ საკუთარ თავს ნაციონალები"?**

მოკლედ ვიტყვი: ამ კითხვას ისინი პასუხს მხოლოდ მაშინ გასცემენ, როდესაც უკვე თქვენც საკუთარი თვალით დაინახავთ, თურმე სად, რას და როგორ ხედავდნენ „ნაციონალები"...

წინასწარ ხედვის უნარი, როგორც ჩანს, "ოცნებებშია" ჩაძირული!

ამაოდ ელის ვინმე, რომ მე ახლა რაიმე კონკრეტულ პროგნოზს ვიტყვი — რა მოხდება, როგორ მოხდება და როდის მოხდება. არა, უკვე საკმაოდ ვისწავლე ჭკუა. სულაც არ ვაპირებ პანიკიორის, შეგზავნილის, ინტრიგნის ეპითეტები ვისმინო ჩემი მისამართით, იმ დრომდე, ვიდრე იგივენი მოგვიანებით არ მოვლენ და „ვახ, საიდან იცოდი, კაცო, რომ ასე მოხდებოდა"-ს თანხლებით ბოდიშს არ მომიხდიან.

მე, უბრალოდ, შეგახსენეთ ის, რაც იყო...

სხვა მხრივ კი, რადგან სიმართლის თქმას მშიშრობად და პანიკიორობად მიიჩნევთ, არც მე გამიჭირდება ერთი გამამხნეველი შეძახილი შეგაწიოთ:

**აბა, თქვენ იცით! არაფრის შეგეშინდეთ! იყავით არხეინად, თქვენ გე-„ნაც"-ვალეთ, ბიჭებო!**

**„ამერიკა მხოლოდ საქართველოს საქმეებში კი არ ერევა უხეშად, ეს ქვეყანა მოწადინებულია მსოფლიოზე იბატონოს. მე მათ საქართველოს ამაოხრებელ ურდოებს ვადარებ. დღეს, XXI საუკუნეში, ამერიკა არის ნომერი პირველი დამპყრობელი, რომელიც მოწადინებულია, მსოფლიოზე იბატონოს და ამას არც მალავს. თუ სადმე რამე ცუდი ხდება, ყველგან ამერიკის ხელი ურევია და ისეთი ბინძური ხერხებით აკეთებს ამას, გული მერევა. მაგალითად, რუსეთს უკრაინისა და საქართველოს ხელით უპირისპირდება“.**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თამაზ ელიზბარაშვილი: აქამდე უკრაინელებს პატივს ვცემდი, მაგრამ ყოფილან «ჩმორები»

**ნებისმიერი ქვეყნის ადგილი მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე, პირველ რიგში, ფასდება მისი ეკონომიკით, ხოლო ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა ბიზნესია. მაგრამ რა როლს თამაშობს ქართული ბიზნესი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, ჩვენთვის კი არა, ექსპერტებისთვისაც გაუგებარია. რატომ კვდება ქართული ბიზნესი, რატომ არ უნდა ველოდოთ პროგრესს, რატომ გადაწყვიტა პოლიტიკური პარტიის შექმნა და ვისთვის არის გამზადებული ცოცხები — ამ და სხვა საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ბიზნესმენი თამაზ ელიზბარაშვილი ექსკლუზიურად ესაუბრა:**



— ქართული ბიზნესი კვდება, დიახ, კვდება! — აი, ზუსტად ასე დაწერეთ. წარმოიდგინეთ ასეთი ვითარება: კარგი მენეჯერი ზის და გეგმავს ყველაფერს, დაგეგმვა კი ხდება ელემენტარული ფორმულით, რომელშიც უნდა ჩასვას ეს ავადსახსენებელი ლარის კურსი. და, თუ ვერ ჩასვა (არ იცის, რა კურსი უნდა ჩაწეროს), როგორ უნდა აკეთოს ბიზნესი, თანაც — ქვეყანაში, სადაც პროდუქციის 80% იმპორტირებულია?! თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დღეს ბიზნესი თავისუფალია. გათავისუფლდა იმ შავი ჭირისგან და წნეხისგან, რომელიც იყო სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში, როდესაც შემოვიდოდნენ და პირდაპირ გეტყოდნენ, — აი, ამდენი და ამდენი თანხა გაქვს გადასახდელი ნახევარ საათში, თუ გადაიხდი, ხომ კარგი, თუ არა, წახვალ გლდანშიო. ვინც გააპროტესტებდა, გლდანის ციხეში ამოყოფდა თავს, მეც ამიტომ მოვხვდი გლდანის საპყრობილეში. **მე არ ვეკუთვნი იმ ბიზნესმენების კატეგორიას, რომლებიც თავის დროზე სააკაშვილის ოყნები იყვნენ, ამიტომაც გამიშვეს პირდაპირ გლდანში.** ამ ყველაფერმა გამოიწვია ის, რომ 2012 წელს აქტიურად ჩავერთე ოპოზიციურ მოძრაობაში, ვაფინანსებდი კიდეც რამდენიმე ოპოზიციურ ფრთას.

**— რომელ ოპოზიციურ ძალას?**

— ვერ დაგისახელებთ. მხოლოდ გეტყვით, რომ ამ პარტიებიდან ერთ-ერთი ხელისუფლების სათავეშია. რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენას, ჩემს მეგობართან ერთად ციხეშივე გადავწყვიტე, შემექმნა იურიდიული კომპანია „სამართლის სახლი“. შევქმენი კიდეც და დავიწყეთ ბრძოლა ქვეყანაში სამართლიანობის აღსადგენად. იმ ადამიანებს, რომლებსაც სააკაშვილის რეჟიმმა ყველაფერი წაართვა, უფასოდ ვემსახურებით. ჩვენთან ბევრი მოდის და ყველას ვეუბნები: თუ ამ ბრძოლაში ბოლომდე გამომყვებით და უკან არ დაიხევთ, მაშინ გადაგიხდით ბაჟის ფულს და ვიწყებთ ბრძოლას-მეთქი. რა ხდება, იცით? მეორე მხარე, რომელსაც აქვს ამ ადამიანისთვის წართმეული ქონება, კერძო პირია ეს თუ სახელმწიფო, კერძოდ, ეკონომიკის სამინისტრო, როცა უკვე ყველა ბერკეტი გვიჭირავს ხელში იმისა, რომ საქმეს მოვიგებთ, დაზარალებულთან მიდის და იწყება მოლაპარაკება-გარიგება. შემდეგ ეს დაზარალებული გვეუბნება, აღარ მინდა დახმარება, დიდი მადლობაო და მიდის. ჰოდა, **ახლა ვეუბნები ყველას: არა, ჩემო კარგებო, გინდათ ბრძოლა? — ვიბრძოლოთ, სხვანაირად არ გამოვა! აგერ, ცოცხალი მაგალითი ვარ, ვიბრძოლე და, რაც წაართვა სააკაშვილმა, ყველაფერი დავიბრუნე, მხოლოდ ერთი მანქანაღა დამრჩა დასაბრუნებელი, რომელიც დღეს ეკონომიკის სამინისტროს აქვს მისაკუთრებული.** სიმბოლურად ერთ ლარს ვითხოვ. პირველი ინსტანციის სასამართლო მოვუგე ეკონომიკის სამინისტროს და გაასაჩივრა. ეკონომიკის სამინისტრო აცხადებს, ელიზბარაშვილმა ეს მანქანა თავისი სურვილით აჩუქა სააკაშვილს, 6 მილიონი ჰქონდა გირაოზე დადებული და გადაწყვიტა, მანქანაც ეჩუქებინაო. **ხვდებით, რისი დემონსტრირება მოახდინა ეკონომიკის სამინისტრომ, ამ მართლა დებილმა კვირიკაშვილმა?!** დიახ, დებილია და რატომ, იცით? იმიტომ, რომ მე არ ვარ დებილი. მან დებილი მიწოდა კულტურული ფორმით, მაგრამ მე პირდაპირ ვეუბნები უზრდელურად: **დებილი ხარ შენ, კვირიკაშვილო, ამას მე რომ მაკადრებ, იმიტომ!** ხომ ხვდებით, ამას რატომ აკეთებს? არ აინტერესებს სამართლიანობის აღდგენა და იმიტომ! ჩემსავით უამრავ ადამიანს წაართვეს მანქანა და არ სურთ, დაუშვან პრეცედენტი, რომ ეკონომიკის სამინისტრომ თუნდაც ერთი ლარი დამიბრუნოს. ანუ, როცა მე ალვიდგენ სამართლიანობას, მერე სხვებიც მიადგებიან, — აგერ, ელიზბარაშვილს რომ დაუბრუნეთ წართმეული მანქანა, მეც წამართვეს და დამიბრუნეთო. ამათ უნდოდათ, მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს დაებრუნებინა 80 მილიონი და დაიბრუნა კიდეც პირველივე დღეს. **თუ ივანიშვილს წაართვეს ქონება, არ შეიძლებოდა, რომ სხვებისთვისაც წაერთმიათ? — თურმე მხოლოდ ბიძინა ივანიშვილი დაუჩაგრავთ.** ვიმეორებ: „ქართული ოცნების“ აქტიური მხარდამჭერი ვიყავი, არც ახლა მაქვს მათზე გული აყრილი, ძალიან ბევრთან ვმეგობრობ, მაგრამ კვირიკაშვილისნაირი ერთი-ორი ნაძირალა და სულელი დამღუპველია „ოცნებისთვის“. თქვე კაი დედმამიშვილებო, რომ მოხვედით აქ დიდი ლოზუნგებითა და დაპირებებით, რატომ არ ასრულებთ?! ბიძინა ივანიშვილი ჩვენ გარეშე რეჟიმის გადაგდებას ვერ შეძლებდა, ჩვენ კი ამას ლიდერის გარეშე ვერ შევძლებდით, ამისთვის **დიდი მადლობა ივანიშვილს, მაგრამ დაპირებები რატომ არ შეასრულეთ, რატომ?**

**— ამბობენ, სწორედ ივანიშვილი ცდილობს სააკაშვილის გაცოცხლებასო ...**

— არ მინდა, ვიფიქრო, რომ ივანიშვილი ვერ ხვდება: „არ გათეთრდების ყორანი!“ თუ სააკაშვილი დაბრუნდა ხელისუფლების სათავეში და ბატონი ბიძინა იმედოვნებს, რომ მიშა გათეთრდა და მასთან კოაბიტაციას დაიწყებს, ძალიან შემცდარა. **სააკაშვილი რომ დაბრუნდეს, პირველი, რასაც მიადგება, იქნება შუშის სასახლე და ნაწილ-ნაწილ დააშლევინებს ივანიშვილს საკუთარი ხელით.** ბატონო ბიძინა, ხომ გვპირდებოდით, დამნაშავეები დაისჯებიან და სამართლიანობა აღდგებაო, რატომ არ შეასრულეთ სიტყვა? და რა მივიღეთ? — ამერიკელებისგან თავს მოხვეული კოაბიტაცია.

**— ამერიკა უხეშად ხომ არ ერევა დამოუკიდებელი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში?**

— **ამერიკა მხოლოდ საქართველოს საქმეებში კი არ ერევა უხეშად, ეს ქვეყანა მოწადინებულია, მსოფლიოზე იბატონოს. მე მას საქართველოს ამაოხრებელ ურდოებს ვადარებ. დღეს, XXI საუკუნეში, ამერიკა არის ნომერი პირველი დამპყრობელი, რომელიც მოწადინებულია, მსოფლიოზე იბატონოს და ამას არც მალავს. თუ სადმე რამე ცუდი ხდება, ყველგან ამერიკის ხელი ურევია და ისეთი ბინძური ხერხებით აკეთებს ამას, გული მერევა. მაგალითად, რუსეთს უკრაინისა და საქართველოს ხელით უპირისპირდება. ბრმა უნდა იყო და სულელი, ეს რომ ვერ დაინახო, ვერ გაიგო, რა უნდა დღეს ამერიკას საქართველოსგან. მხოლოდ ის, რომ გამოგვიყენოს რუსეთის წინააღმდეგ. ჩემი რჩევაა, გაანებეთ თავი ამ ამერიკას, გინდაც — რუსეთს.** თუ არსებობს პრორუსული და პროამერიკული პარტიები, ხომ შეიძლება ერთი პარტია მაინც იყოს პროქართული, რომელიც მხოლოდ საქართველოზე იზრუნებს. ვიყოთ ნეიტრალური სახელმწიფო, მაგრამ კეთილმეზობლური ურთიერთობა გვქონდეს ყველასთან.

არ მინდა ეს ნატო, თუ ის რუსეთს დაემუქრება და ამით საფრთხეს საქართველოს შეუქმნის. საგარეო პოლიტიკური კურსი აუცილებლად გადასახედია. რესპუბლიკელები აცხადებენ, ამერიკა ჩვენი მეგობარიაო, მაგრამ არის კი ჩვენი მეგობარი?! მან ჩვენი დამაქცევარი კაცი შეიფარა, წაიყვანა და საწყალ უკრაინელებს თავზე დაასვა. **აქამდე უკრაინელებს პატივს ვცემდი, მაგრამ ყოფილან „ჩმორები“**, დიახ, „ჩმორები“! გამოვიდნენ და დაარქვან ყველაფერს თავისი სახელი მათაც და ჩვენმა ხელისუფლებამაც. **ჩემს მეგობრებს „ოცნებიდან“ ვეუბნები: თუ კაცები ხართ და გინდათ, ქართველი ხალხის წინაშე იყოთ მართალი, გამოდით და თქვით, იმიტომ ვერ აღვადგინეთ სამართლიანობა, რომ ამერიკამ გვაიძულა და ვერ ვეწინააღმდეგებითო.**

ვინაიდან დღეს საქართველოში პროქართული პარტია არ არის, მალე ახალი პარტიის შექმნას დავაანონსებთ, მე ჩავუდგები სათავეში ამ პარტიას, შევკრებ დიდ არმიას ჩემი მეგობრებისაგან და აუცილებლად ვიტყვი სათქმელს. ძალიან მომწონს ინაშვილის „პატრიოტთა ალიანსი“ და არ არის გამორიცხული, მასთან ვითანამშრომლო. შემოდგომაზე დავიწყებ პარტიის რეგისტრაციას და არჩევნებისთვის მოვემზადები. იმასაც გეტყვით, რა დაემართა ლარს: **ეკონომიკური გუნდი ამბობს, ლარი გარე ფაქტორების გამო გაუფასურდაო. გარე ფაქტორი კი არის ის, რომ მეზობელ ქვეყნებში არის სავალუტო კრიზისი და მაგალითად რუსეთი მოჰყავთ, — კარგა ხანია, არ შემოდის ფულადი გზავნილებიო. მართალია, მაგრამ რამ გამოიწვია ეს, ვისი ხელი ურევია? ისევ და ისევ ჩვენი მეგობრის — ამერიკის, ანუ ეს გამოიწვია პოლიტიკური-ეკონომიკურმა სანქციებმა, რომლებიც ევროპამ და ამერიკამ დაუწესეს რუსეთს. ეგონათ, რუსეთი დაიქცეოდა, მაგრამ ფეხები ვერ მოჭამეს და ვერც მოჭამენ.** და რატომ, იცით? ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მხოლოდ მართლმადიდებლობა დაიცავს ამ ქვეყანას!

**რატომ არ უწევს წინააღმდეგობას „ოცნება“ ამერიკას, ვერ გამიგია. როდემდე შეიძლება, თავი დაუხარო ამ ქვეყანას? პირში ვეუბნები ჩემს მეგობარ რესპუბლიკელებს, გამოდით და უთხარით ხალხს სიმართლე, უთხარით, რა უბედურება არის ეს ამერიკა-მეთქი.**

**— და რა არის მათი პასუხი?**

— ნაწილი მეუბნება, აუცილებელი იყო კოაბიტაცია, რადგან არ გვინდა, ამერიკას ვაწყენინოთო. სწორედ ამიტომ გამოვდივარ პოლიტიკურ ასპარეზზე და ყველაფერს თავის სახელს დავარქმევ.

**როგორ გგონიათ, ამერიკელები სულელები არიან და იმიტომ წაიყვანეს სააკაშვილი უკრაინაში, რომ იქ აპირებენ მის დატოვებას? უკრაინაში სააკაშვილს საქართველოში დასაბრუნებლად ამზადებენ. მისი თანაგუნდელები კი ახალ ცოცხებს აგროვებენ და, ხელისუფლებაში რომ დაბრუნდებიან, ამ ცოცხებით პირველს ვისაც დაერევიან, ხომ ადვილი გამოსაცნობია?!**

ჩემთვისაც გამზადებულია ცოცხი უკრაინაში, მაგრამ ამას ვერ მოესწრებიან და რატომ, იცით? — ცეცხლითა და მახვილით დავხვდები სააკაშვილს. მე ამას შევეწირები, ხოლო ის, ვინც წაიკუზება (და წამკუზველი ბევრია „ოცნებაში“), ცოცხს დაიმსახურებს... სააკაშვილის ხროვა ფიქრობს, შემოდგომამდე ისე აირ-დაირევა ყველაფერი საქართველოში, ისე გაგიჟდება და გალატაკდება ხალხი, რომ იქნება საფუძველი კიდევ ერთი „ფერადი რევოლუციის“ მოწყობის.

**— რაშიც „ნაცებს“ ხელს რესპუბლიკელებიც შეუწყობენო...**

— ეს თუ ასეა, მაშინ მე ვიქნები პირველი მტერი რესპუბლიკელების! სააკაშვილის რეჟიმის დაბრუნება იმას ნიშნავს, რომ, 9 კი არა, 90 წელს გაგრძელდება ხალხის გაუპატიურება საქართველოში და ყველა ქართველი იქნება წაკუზულ და მონურ მდგომარეობაში.

**«ამერიკა მხოლოდ საქართველოს საქმეებში კი არ ერევა უხეშად, ეს ქვეყანა მოწადინებულია, მსოფლიოზე იბატონოს. მე მას საქართველოს ამაოხრებელ ურდოებს ვადარებ»**

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„9 აპრილს გვიანობამდე ვიყავით უზენაეს საბჭოში, მერე ზვიადი შინ წავიდა, ეს დოკუმენტიც თან წაუღია და იქ დიდი ჩხუბი და დავიდარაბა ატეხილა. იქ მოუწერია მანანა გამსახურდიასაც ამ აქტზე ხელი... მეორე დილით მისი ხელმოწერა რომ ვნახეთ, ყველამ გავაპროტესტეთ... დამოუკიდებლობის გამოცხადებას მერაბ კოსტავას დედა ოლღა დემურიაც ესწრებოდა და, ბუნებრივია, აქტზე მანაც მოაწერა ხელი. ეს რომ უნახავს მანანას, გაგიჟებულა, — რას ჰქვია, ეს თუ აწერს ხელს, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ცოლი ვარ, მე რატომ არ უნდა მოვაწეროო?!“

# სად ინახება საქართველოს 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტი?



**ბერდია გუგავა:**

## უწმინდესმა თავზე დამადო ხელი და მკითხა, დოკუმენტზე ჩემი ხელმოწერა არისო? — არა-მეთქი. მანანა არჩვაძე-გამსახურდიასი თუაო? — კი-მეთქი...

**1991 წლის 9 აპრილს საქართველოს პირველი პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას მიერ უზენაეს საბჭოში გამოცხადებული დამოუკიდებლობის აქტის დედანი დღემდე ყველას დაკარგული ჰგონია. თითქმის 25 წელია, ამ საკითხის გარშემო მითქმა-მოთქმა არ წყდება. ზოგი ფიქრობს, რომ აქტი თავის დროზე საბჭოთა უშიშროების კომიტეტმა წაიღო და დღეს ის, შესაძლოა, მოსკოვში ინახებოდეს. ზოგი დოკუმენტის კვალს ჩეჩნეთში, კერძოდ, გროზნოში ხედავს, ხოლო ზოგი მის პოვნას შეუძლებლად მიიჩნევს. მოკლედ, ეს ის ვერსიებია, რომლებიც დღემდე არსებობდა და რომელთა კვალდაკვალ დისკუსია არ წყდება...**

**„საქართველო და მსოფლიოს“ ყოფილი უზენაესი საბჭოს წევრი, ლენტეხის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი 1990-1991 წლებში, ბერდია გუგავა, შეხვდა და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ექსკლუზიური ინფორმაცია მიაწოდა:**

— 1990 წელს, მას შემდეგ, რაც უზენაესი საბჭოს დეპუტატი დილარ ხაბულიანი მინისტრი გახდა, ჩატარდა ხელახალი არჩევნები და გავხდი მაჟორიტარი დეპუტატი ლენტეხიდან. შესაბამისად, 1991 წლის 9 აპრილს მეც ვესწრებოდი დამოუკიდებლობის გამოცხადებას და იმ დოკუმენტზე ხელი მოვაწერე.

იმხანად ქირით ვცხოვრობდით და მრავალი ბინა გამოვიცვალეთ, მერე, მუხიანში რომ გადავედით, მეუღლემ სპეციალური ჩარჩო გააკეთებინა და შიგ ჩასვა ეს აქტი. **ვიცოდით, რომ ეს იყო დამოუკიდებლობის აქტი, მაგრამ ასლი გვეგონა...** მერე შემთხვევით რაღაც კლიპს იღებდნენ ჩვენთან და ერთ-ერთმა პროდიუსერმა შეამჩნია ეს ჩარჩო. დაათვალიერა და ჩემი მეუღლისთვის უკითხავს (მე არ ვიყავი შინ), — ეს ორიგინალი საიდან გაქვთო? კიდევ ვიმეორებ, ჩვენ არ ვიცოდით, რომ დოკუმენტი ორიგინალი იყო და თავდაპირველად ვერც დავიჯერეთ. შემდეგ გავხსენით ჩარჩო, ამოვიღეთ და აღმოჩნდა, რომ მართლა ორიგინალია.

**— როდის და როგორ აღმოჩნდა ეს დოკუმენტი თქვენს ხელში?**

— ალბათ, 1991 წელს, იმიტომ, რომ 92-ში უკვე აღარ ვიყავით პარლამენტში. რაც შეეხება იმას, თუ როგორ აღმოჩნდა აქტი ჩემს ხელში, ნამდვილად არ მახსოვს.

იმ დღეს, **9 აპრილს, გვიანობამდე ვიყავით უზენაეს საბჭოში, მერე ზვიადი შინ წავიდა, ეს დოკუმენტიც თან წაუღია და იქ დიდი ჩხუბი და დავიდარაბა ატეხილა. იქ მოუწერია მანანა გამსახურდიასაც ამ აქტზე ხელი... მეორე დილით მისი ხელმოწერა რომ ვნახეთ, ყველამ გავაპროტესტეთ. ეს იყო ჩვენთვის მიუღებელი, რადგან ამით ხდებოდა ზვიადის დისკრედიტება...**

**— დავიდარაბა რატომ ჰქონია ზვიადს ოჯახში?**

**— დამოუკიდებლობის გამოცხადებას მერაბ კოსტავას დედა ოლღა დემურიაც ესწრებოდა და, ბუნებრივია, აქტზე მანაც მოაწერა ხელი. ეს რომ უნახავს მანანას, გაგიჟებულა, — რას ჰქვია, ეს თუ აწერს ხელს, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ცოლი ვარ, მე რატომ არ უნდა მოვაწეროო?!** ამაზე მე და კიდევ ერთი საგარეჯოელი დეპუტატი საპროტესტო წერილს ვამზადებდით, მაგრამ შეგვაჩერეს. მერე დაიწყო არეულობა და ამისთვის უკვე არავის ეცალა.

**— საბოლოოდ როდის დარწმუნდით, რომ დამოუკიდებლობის აქტი, რომელსაც შინ ინახავდით, ასლი კი არა, დედანი იყო?**

— პირველად მაშინ დავეჭვდით, როცა კლიპის გადასაღებად მოსულმა პროდიუსერმა გვითხრა, დედანიაო, მერე სხვებმაც ნახეს და იგივე თქვეს. შემდეგ, 2001-2002 წლებში, ამ საკითხმა წამოიწია, მიდიოდა დისკუსიები და ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას — კა-გე-ბემ წაიღო, ამან წაიღო, იმან წაიღოო. მოკლედ, ეს დოკუმენტი დაკარგულად ითვლებოდა და ითვლება დღესაც... ამის შემდეგ მეც სერიოზულად დავინტერესდი, მართლა იყო თუ არა ის დედანი...

**— როცა დარწმუნდით, რომ დედანი იყო, რა გადაწყვეტილება მიიღეთ — ისევ თქვენთან დატოვეთ თუ სადმე გადაიტანეთ, უფრო დაცულ ადგილას?**

— როცა დავრწმუნდი, რომ ეს იყო არა ასლი, არამედ დედანი, მოსვენება დავკარგე, არ ვიცოდი, რა მექნა. ვერც შევარდნაძის ხელისუფლებას გადავცემდი მას და ვერც — სააკაშვილის. მერე აჟიოტაჟი ატყდა, ვიწრო წრეში ინფორმაციამ გაჟონა და ვიღაცამ ისიც შემომთავაზა, გავყიდოთ და დიდძალ ფულს ვიშოვითო — ექვსნიშნა ციფრზე იყო საუბარი. მოკლედ, შემაშინა ამ ყველაფერმა და დავიწყე გამოსავლის ძებნა. ბოლოს მივედი ჩემს მოძღვართან, მამა კონსტანტინესთან (გიორგაძე) და რჩევა ვკითხე. მითხრა, საპატრიარქოს, უშუალოდ პატრიარქს გადავცეთო. მეც დავთანხმდი. ეს იყო 2006 წელს. ჩავჯექით მე და ჩემი მეგობარი მანქანაში, გავუარეთ მოძღვარს და მივედით საპატრიარქოში. მოვიდა პატრიარქი და მეუბნება, აბა, მომიყევი, შვილო, რა ხდებაო. ყველაფერი მოვუყევი. მერე **უწმინდესმა თავზე დამადო ხელი და მკითხა, დოკუმენტზე ჩემი ხელმოწერა არისო? — არა-მეთქი. მანანა არჩვაძე-გამსახურდიასი თუაო? — კი-მეთქი. აბა, დედანი ჩაუბარებია, შვილო, ღმერთს შენთვისო,** და დაახლოებით ხუთი წუთი თავზე ჰქონდა ხელი დადებული. ამის შემდეგ **დედანი პატრიარქს გადავეცი. რომ გაშალა და დახედა, გაეღიმა. მერე დაგრაგნა ისევ ეს ფურცელი, გააღო სეიფი და შეინახა, — მოვა დრო და მე ამას გამოვაცხადებო.** არ ვიცი, ეს დრო მოვიდა თუ არა (სხვათა შორის, ვიდრე ინტერვიუს მიცემას გადავწყვეტდი, მოძღვარსაც ვკითხე, უნდა მესაუბრა თუ არა ამ თემაზე), მაგრამ **ახლა ამ ყველაფერს პირველად ვამბობ თქვენს გაზეთთან...**

**— მას შემდეგ ცხრა წელი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში საპატრიარქოსთან არ გქონიათ კონტაქტი? არ გიკითხავთ, რატომ არ კეთდება ამ დოკუმენტის არსებობაზე განცხადება?**

— არანაირი კონტაქტი მე მათთან არ მქონია ან რა უფლება მაქვს, რამე მოვიკითხო, აქტი შეინახა მისმა უწმინდესობამ, მასზე უფრო სანდოს ვის გადავცემდი?!

**აბა, დედანი ჩაუბარებია, შვილო, ღმერთს შენთვისო, და დაახლოებით ხუთი წუთი თავზე ჰქონდა ხელი დადებული. ამის შემდეგ დედანი პატრიარქს გადავეცი. რომ გაშალა და დახედა, გაეღიმა. მერე დაგრაგნა ისევ ეს ფურცელი, გააღო სეიფი და შეინახა, — მოვა დრო და მე ამას გამოვაცხადებო“**


საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

**— თვითონ აქტი რა მდგომარეობაშია, რამე დაზიანება ხომ არ ჰქონდა?**

— ვიდრე ჩემს ხელში იყო, ვუფრთხილდებოდი, რომ იტყვიან, თვალის ჩინივით, და პატრიარქის ხელში კიდევ უფრო რომ გაუფრთხილდებიან, ეჭვი არ მეპარება. ეს არის ძალიან მაღალი ხარისხის, სქელი ცარცის ფურცელი (ასეთს მაღაზიაში ვერ იყიდი), ხელმოწერები გაკეთებულია სხვადასხვა ფერის მელნით და დასმული აქვს ლურჯი ფერის ბეჭედი. სხვათა შორის, ეს აქტი ვიდეოფირზეც მაქვს გადაღებული და, თუ დაგჭირდებათ, ნებისმიერ დროს გაჩვენებთ. ფირი კარგი ხარისხის არ არის, მაგრამ დოკუმენტი ნათლად და გარკვევით ჩანს.

**— ამდენ ხანს საიდუმლოდ ინახავდით ამ ამბავს, დღეს რატომ ჩათვალეთ აუცილებლად, რომ საზოგადოებამ უნდა იცოდეს სიმართლე?**

— სიმართლე ყველამ უნდა იცოდეს, ეს მხოლოდ ჩემი საკუთრება არ არის, ყველასია. მანამდეც მინდოდა ამ ამბის გასაჯაროება, მაგრამ ასეთი აჟიოტაჟი რომ ატყდა და, მით უმეტეს, ვიღაცებმა ფულიც რომ შემომთავაზეს, გადავწყვიტე, ჩუმად, უხმაუროდ მისი უწმინდესობისთვის ჩამებარებინა ეს დოკუმენტი. უფრო სწორ გადაწყვეტილებას, ალბათ, ვერც მივიღებდი. დანარჩენი, უფალმა განსაჯოს, მე, პირველ რიგში, საკუთარ თავთან და სინდისთან უნდა ვყოფილიყავი მართალი...

**— დასაწყისში თქვით, რომ არ გახსოვთ, როგორ აღმოჩნდა ეს დოკუმენტი თქვენს ხელში, მაგრამ, თეორიულად მაინც, როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო?**

— ძალიან ბევრი მიფიქრია ამაზე, სულ ვცდილობ, მეხსიერებაში აღვიდგინო, მაგრამ ვერაფრით ვიხსენებ... მე, როგორც დეპუტატმა, ხელი მოვაწერე და მორჩა. ასე ქნეს სხვებმაც, დანარჩენი, ღმერთის წინაშე დავიფიცებ, წარმოდგენაც არ მაქვს, როდის და როგორ მოხვდა ეს ფურცელი ჩემს ხელში.

**— იმჟამინდელი ხელისუფლება, გამსახურდიას ხელისუფლებას ვგულისხმობ, არ ეძებდა ამ დოკუმენტს?**

— ხელმოწერის შემდეგ მალე არეულობა დაიწყო და დოკუმენტი ვის ახსოვდა, ისეთი ამბავი ატყდა, დედა შვილს არ აიყვანდა. ყოველ შემთხვევაში, მე არ გამიგია, რომ ეს დოკუმენტი ვინმეს მოეკითხოს. ამაზე მოგვიანებით დაიწყეს საუბარი, შევარდნაძის ხელისუფლება რომ მოვიდა. ასეა თუ ისე, მთავარია, აქტი დაკარგული არ არის. მით უფრო სასიხარულოა და მამშვიდებს ის, რომ იგი ძალიან სანდო ხელშია. რაც შეეხება, რატომ არ საუბრობს პატრიარქი ამაზე, ეტყობა, მიაჩნია, რომ ჯერ ამისი დრო არ დამდგარა. როგორც ჩანს, **ჯერ არ მოსულა სათავეში ხელისუფლება, რომელიც ამ დოკუმენტის გადაცემის ღირსი იქნება.**

ესაუბრა **ჯაბა ქვანია**

**P.S. იმედია, ამ ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ შესაბამისი პირებისგან კონკრეტული განცხადებები გაკეთდება და ამომწურავი პასუხი გაეცემა ყველა შეკითხვას, რომელიც წლების განმავლობაში დაგროვდა ქართველებისთვის სანუკვარ დოკუმენტზე...**

**„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამამ თავისი დრო უკვე მოჭამა — ვისი იძულებაც ევროპელებმა შეძლეს, უკვე ყველამ მოაწერა ხელი ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე. ახლა დახურონ ეს პროგრამა? ბიუროკრატიული მანქანის ლოგიკისთვის ეს შეუძლებელია, იმიტომ, რომ ეს ნიშნავს ბიუჯეტის, სამუშაო ადგილების შემცირებას და ა.შ. ამიტომაც ამა წლის მაისში რიგაში „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ მორიგი სამიტი გაიმართება, თუმცა არავითარი პრინციპული გადაწყვეტილებების მიღება იქ არ იგეგმება. ამას გარდა, „ძველი“ ევროპის განვითარებული ქვეყნებისთვის ევროინტეგრაცია — ეს არის ქვეყნების ეკონომიკური დამორჩილების, შეიძლება ითქვას, ეკონომიკური კოლონიზაციის სახეობა“.**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სერგეი რეკედა: ევროინტეგრაცია — ეს არის ქვეყნების ეკონომიკური დამორჩილების, შეიძლება ითქვას, ეკონომიკური კოლონიზაციის სახეობა

**საქართველო-რუსეთის ურთიერთობებსა და პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებულ ვითარებაზე „საქართველო და მსოფლიოს“ მიხეილ ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული პოსტსაბჭოთა სივრცის შემსწავლელი საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის დირექტორი სერგეი რეკედა ესაუბრა.**



**— ცოტა ხნის წინათ თბილისში გაიმართა პრეზენტაცია ალექსანდრე ნოსოვიჩის წიგნისა „ევროპის უკანა ეზო. რატომ კვდება ბალტიისპირეთი“. ღონისძიების ორგანიზატორი იყო მიხეილ ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული პოსტსაბჭოთა სივრცის შემსწავლელი საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრი, რომლის დირექტორიც თქვენ ბრძანდებით. რატომ დაგაინტერესათ ნოსოვიჩის წიგნმა, რა არის მასში საინტერესო და სასარგებლო მკითხველისთვის?**

— საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 25 წლის განმავლობაში, პოსტსაბჭოთა რესპუბლიკები მოდერნიზაციის გზებს ეძებდნენ — ზოგი შედარებით წარმატებულად, ზოგი კი უფრო ნაკლებად. თუმცა ბალტიისპირეთის პოლიტიკური და საექსპერტო საზოგადოება ევროინტეგრაციული გამოცდილების პოზიცირებას ახდენს, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნების მოდერნიზაციული ამოცანების გადაწყვეტის უნივერსალურ საშუალებას.

აღნიშნული იდეა ახლა განსაკუთრებით აქტიურად ვითარდება უკრაინაში, მოლდოვასა და საქართველოში. ბელარუსში, სომხეთსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში ევროინტეგრაციას არცთუ იშვიათად აღიქვამენ, როგორც ყველა პრობლემის მომენტალურ პანაცეას. **მცდარია თუ არა ასეთი მოსაზრება, ამის დემონსტრირებას ახდენს თანამედროვე ბალტიისპირეთი, რომელმაც საბჭოთა კავშირიდან გამოსვლისთანავე ყველა შესაძლო ევროატლანტიკურ სტრუქტურაში შესვლის ფორსირებული გზა აირჩია**. ამიტომაც მოგვეჩვენა, რომ ნოსოვიჩის წიგნის გაცნობა არამხოლოდ რუსეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში იქნებოდა საინტერესო და მნიშვნელოვანი. სასურველია თუ ეს წიგნი გამოიწვევს დისკუსიას, სურვილს, ევროინტეგრაციის პრობლემას მისი ნაკლებად ცნობილი კუთხიდან შეხედონ.

ბალტიის ქვეყნები ახლა ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრები არიან, ახლახან სამივე ქვეყანა ევროზე გადავიდა, თავიანთ ქვეყნებში ატარებენ საერთოევროპულ ფორუმებს, ამასთანავე, არიან ნატოს წევრები და ა.შ. ეს ყველაფერი ლამაზად და რესპექტაბელურად ისმის, მაგრამ რა იმალება ამ ლამაზი ევროპული ფასადის მიღმა? ბევრმა არ იცის, რომ **მიუხედავად დემოკრატიასა და სიტყვის თავისუფლებაზე ნათქვამი ხმამაღალი სიტყვებისა, ოპოზიციურად განწყობილი მედიასაშუალებების რაოდენობა ბალტიისპირეთის ქვეყნებში კატასტროფულად მცირდება, ხოლო ოპოზიციონერ საზოგადო მოღვაწეებსა და უფლებადამცველებზე ზემოქმედებენ (მაგალითად, მათ ბიზნესზე ზეგავლენის მეშვეობით), მიმდინარეობს ტოტალური მოსმენები, უსმენენ მმართველ პოლიტიკოსებსაც კი და ეს ყველაფერი ხდება ისეთ ცნობილ სხვა მოვლენებთან ერთად, როგორიცაა, მაგალითად, ესტონეთსა და ლატვიაში ე.წ. არამოქალაქეების ინსტიტუტის (ИНСТИТУТ НЕГРАЖДАН) არსებობა,** რომელიც ამ ქვეყნების მცხოვრებთა 10%-ს პოლიტიკურ უფლებებს ართმევს. ამას გარდა, მიმდინარეობს ჰეროიზაცია კოლაბორაციონისტებისა, რომლებიც დიდი სამამულო ომის დროს მესამე რაიხის მხარეს იბრძოდნენ.

ამ ყველაფერს ემატება ეკონომიკური პრობლემებიც: მასობრივი ემიგრაცია; სახელმწიფო ვალის ზრდა და, მიუხედავად იმისა, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნები, უკვე 10 წელიწადია, ევროკავშირის წევრები არიან, მათი ცხოვრების დონე საშუალოსაც ვერ უახლოვდება.

ეს ყველაფერი დაწვრილებით არის აღწერილი წიგნში, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ.

**— საქართველოშიც, უკვე დაახლოებით ოც წელიწადზე მეტია, ადგილობრივი პოლიტიკოსები და მათი ინსტრუქტორები მეგობარი ქვეყნებიდან გვარწმუნებენ, რომ ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაცია კეთილდღეობას მოგვიტანს. ნოსოვიჩის წიგნის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბალტიიპირეთის ქვეყნებში, რომლებიც, უკვე ათი წელიწადია, ევროკავშირის და ნატოს წევრები არიან, მაინც სავალალო მდგომარეობაა. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ ვინ და რატომ „კვებავს“ პოსტსაბჭოთა სივრცეს, მათ შორის — საქართველოს, ამ ფუჭი დაპირებებით?**

— ასეთი მითების გავრცელება ბევრისთვის მომგებიანია. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ეს მითები ძალაუფლებისთვის ბრძოლის საკმაოდ ეფექტიანი ინსტრუმენტია. ევროპელი მაღალჩინოსნებისთვის მნიშვნელოვანია ამ იდეის განვითარება — ერთი მხრივ, ევროპული პროექტის წარმატებულობის დემონსტრირებისთვის; მეორე მხრივ კი, ეს კეთდება ბიუროკრატიული მოსაზრებების გამო. მარტივ მაგალითს მოვიყვან: **„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამამ თავისი დრო უკვე მოჭამა — ვისი იძულებაც ევროპელებმა შეძლეს, უკვე ყველამ მოაწერა ხელი ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე. ახლა დახურონ ეს პროგრამა? ბიუროკრატიული მანქანის ლოგიკისთვის ეს შეუძლებელია, იმიტომ, რომ ეს ნიშნავს ბიუჯეტის, სამუშაო ადგილების შემცირებას და ა.შ. ამიტომაც ამა წლის მაისში რიგაში „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ მორიგი სამიტი გაიმართება, თუმცა არავითარი პრინციპული გადაწყვეტილებების მიღება იქ არ იგეგმება.**

**ამას გარდა, „ძველი“ ევროპის განვითარებული ქვეყნებისთვის ევროინტეგრაცია — ეს არის ქვეყნების ეკონომიკური დამორჩილების, შეიძლება ითქვას, ეკონომიკური კოლონიზაციის სახეობა.**

ევროინტეგრაცია, არა პოსტსაბჭოთა ქვეყნების, არამედ უპირატესად ევროპის ინტერესების შესაბამისად ხორციელდება. თვითონ განსაჯეთ, **მაიდანზე გამოსული ევროასოცირების მხარდამჭერი უკრაინელი „პატრიოტების“ მთავარი სურვილი ევროკავშირთან უვიზო რეჟიმი იყო. ასოცირების შეთანხმება უკვე ხელმოწერილია, მაგრამ უვიზო რეჟიმი უკრაინელებისთვის ევროკავშირს ჯერაც არ მიუცია. რატომ? იმიტომ, რომ უკრაინიდან წასული „გასტარბაიტერები“, რომლებმაც ჰუმანიტარული და ეკონომოკური კატასტროფა გადაიტანეს, გადაავსებენ ემიგრანტებით ისედაც გავსებულ ევროპის ქვეყნებს.**

ევროინტეგრაციაზე მითების გავრცელებაში ამერიკის შეერთებულ შტატებსაც თავისი ინტერესი აქვს. ეს, უპირველეს ყოვლისა, გეოპოლიტიკური ინტერესია. მიაქციეთ ყურადღება, **როდესაც პოსტსაბჭოთა ქვეყნების ხელისუფლებაში მოდიან „ევროინტეგრატორები“, ამ ქვეყნების რიტორიკა მკვეთრად ანტირუსულია; მაგალითად, იუშჩენკო, სააკაშვილი, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების პოლიტიკოსები და ა.შ.** სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს პოლიტიკური ელიტა, ევროინტეგრატორები, თავიანთ სახელმწიფოებს ბუფერულ ქვეყნებად გადააქცევენ ხოლმე.

**— ევროპა, რომელიც, როგორც წესი, მგრძნობიარეა ფაშიზმის ნებისმიერი გამოვლინების მიმართ, ადამიანის უფლებების დარღვევისადმი, როგორ ფიქრობთ, რატომ არ აქცევს ყურადღებას ფაშიზმის ლამის ოფიციალურ გამოვლინებას ბალტიისპირეთის ზოგიერთ ქვეყანაში, როდესაც ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლები მის მომხრეებს გაუთანაბრეს?**

— ამ შემთხვევაში ყველაფერი ძალიან მარტივია: ევროპისთვის არ არის მომგებიანი, ყურადღება მიაქციოს ამ პრობლემებს და „ევროპული დემოკრატიული საზოგადოების“ ლამაზი სურათი ჩამოგლიჯოს. სინამდვილეში, **დასავლეთ ევროპაში საკმაოდ ბევრ ადამიანს, მათ შორის, პოლიტიკოსებს, მეცნიერებს, საზოგადო მოღვაწეებს, აშფოთებთ ბალტიისპირეთში ეს-ესის ლეგიონერების აღლუმები და შეკრებები, მაგრამ ბალტიისპირეთის ქვეყნებში ამ ვითარებაზე ზეგავლენის მოხდენის იურიდიული ინსტრუმენტები, მაგალითად, ევროკომისიას ან გერმანიას არ აქვთ, ამიტომ გაცილებით ადვილია, ამ უბადრუკ მოვლენებს, უბრალოდ, უცქირონ.**

ამას გარდა, იმავე ბალტიისპირეთში, კოლაბორაციონისტებს ფორმალურად თუ არაფორმალურად მთავრობაში შემავალი პარტიებიც მხარს უჭერენ. მაგალითად, ლატვიის ხელისუფლება შედის ე.წ. ნაციონალურ გაერთიანებაში, რომლის წევრებიც (მინისტრების ჩათვლით) ყოველწლიურად, 16 მარტს, ეს-ეს-ის ლეგიონერების მარშში მონაწილეობენ. ასეთი დიდი მხარდაჭერა კი ბალტიისპირული ნაციზმის ჰეროიზაციას ევროპის თვალში თავისთავად ლეგალიზებულად აქცევს.

**—კიევში ვითარება ყოველდღიურად რთულდება. რუსი ექსპერტები სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის, აშშ-ის ინტერესებზეც საუბრობენ. როგორ შეაფასებთ უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს?**

— უკრაინაში მოხდა ის, რაც პოსტსაბჭოთა სივრცეში ბოლო 30 წლის განმავლობაში არაერთხელ მომხდარა. ქვეყნის განვითარებით გამოწვეული საზოგადოებრივი უკმაყოფილება მიმართულ იქნა თვითონ ქვეყნის ინტერესებისა და საზოგადოების წინააღმდეგ, მაგრამ გარე მოთამაშეების ინტერესების სასარგებლოდ, ანუ აქ არ ჩნდება კითხვები, რატომ გავიდა ხალხი მაიდანზე. **უკრაინის ეკონომიკური სიტუაცია, მისი ბუნებრივი და ადამიანური რესურსების ჩათვლით, შესაძლებლობები, ერთდროულად განევითარებინა ურთიერთობა რუსეთთანაც და ევროპასთანაც და ა.შ., იყო კატასტროფული, მაგრამ ეს სახალხო მრისხანება, ეს ენერგია მიმართეს მხოლოდ ერთი მიზნისკენ — ჩამოეშორებინათ უკრაინა რუსეთისგან.**

უფრო მეტიც, დღემდე აცხადებენ, რომ სწორედ ესაა უკრაინის „ხსნა“. ამ ყველაფერს დრამატიზმს მატებს ის ფაქტიც, რომ სწორედ ამ იდეის გამო ათასობით ადამიანი კვდება, საზოგადოება კი ეგზალტირებულია. გამოდის, რომ კრიზისი, რომელსაც დასაწყისში მხოლოდ შინაგანი ბუნება ჰქონდა, საერთო ევროპულ პრობლემად იქცა, რომელსაც არაევროპელი მოთამაშეებიც აქტიურად იყენებენ თავიანთი ინტერესებისთვის — ეს, უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებულ შტატებს ეხება.

ამის მიუხედავად, **უკრაინის კრიზისი არა მხოლოდ უკრაინელებისთვის, არამედ რუსეთის, საქართველოს, ბელარუსისა და სხვა ქვეყნების მოქალაქეებისთვისაც მწარე გაკვეთილად უნდა იქცეს.**

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

მოკლედ



## დამწვარი მანქანები და ჩამსხვრეული ვიტრინები — არეულობა მილანში

**მილანში „ექსპო-2015“-ის გახნის ცერემონია არეულობით დასრულდა.** საგამოფენო ცენტრთან შეკრებილი ანტიგლობალისტები ღონისძიების ჩატარებას აპროტესტებდნენ. მოგვიანებით მშვიდობიანი აქცია არეულობაში გადაიზარდა. მომიტინგეებმა მანქანები დაწვეს და შენობების ვიტრინები ჩაამსხვრიეს. მილანის პოლიციამ აქტივისტები ცრემლმდენი გაზით დაშალა. დაკავებულია ათობით ადამიანი.



საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როდესაც ომის ისტორიებს უსმენ, ხვდები, რომ თითოეული დაღუპული ჯარისკაცის მიღმა უამრავი ადამიანისა თუ ოჯახის ტრაგედია იმალება. ამიტომ სამარცხვინოა, როდესაც დიდ სამამულო ომში მონაწილე ადამიანების გმირობისა და ფაშიზმზე გამარჯვების დაკნინებასა და გაუფასურებას ცდილობენ, გამარჯვებისა, რომელიც უამრავი ადამიანის მამაცობასა და დამსხვრეულ ოცნებებს აერთიანებს. ამ ოთხი დაღუპული ჯარისკაციდან მხოლოდ ერთს ჰყავდა მეუღლე — ვლადიმერ სუჯაშვილს. მას ცოლი სიცოცხლის ბოლომდე ელოდებოდა და ისე გარდაიცვალა, ქმრის შესახებ არაფერი შეუტყვია.**

# ტარლოვკაში უგზო-უკვლოდ დაკარგული ქართველი ჯარისკაცების საფლავები იპოვეს

**9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავი აღინიშნება. როგორც ცნობილია, დიდ სამამულო ომში საქართველოდან 700 ათასამდე კაცი მონაწილეობდა — ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის პროცენტულად ყველაზე მეტი; მათგან 300 ათასი შინ ველარ დაბრუნდა — ან დაიღუპა, ან დღემდე უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. ჩვენი წერილის გმირებიც, დიდი სამამულო ომის მონაწილე ქართველი ჯარისკაცები, 70 წლის განმავლობაში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სიაში ირიცხებოდნენ. მხოლოდ ახლახან, გულისხმიერი ადამიანების წყალობით, ოჯახის წევრებმა მათი ტრაგიკული ბედის შესახებ შეიტყვეს. ესენი არიან: 1923 წელს დაბადებული რიგითი გიორგი ტაბიძე ხონის რაიონიდან, 1923 წელს დაბადებული რიგითი გიორგი ტაბატაძე სურამიდან, 1922 წელს დაბადებული უფროსი ლეიტენანტი ნოე გოქაძე ცაგერის რაიონიდან და 1922 წელს დაბადებული ვლადიმერ სუჯაშვილი ყაზბეგის რაიონის სოფელ არშადან. ისინი რუსეთის ფედერაციის თათრეთის რესპუბლიკის სოფელ ტარლოვკის (ქალაქ ნაბერეჟნიე ჩელნისთან ახლოს) ძმათა სასაფლაოზე განისვენებენ. სრულიად ახალგაზრდა, მომავლის იმედითა და გეგმებით აღსავსე ქართველმა ჯარისკაცებმა სიცოცხლე სამშობლოს შესწირეს.**

ქართველი ჯარისკაცების საფლავების ადგილმდებარეობის შესახებ ადგილობრივმა მცხოვრებმა **მინგალი გაინუტდინოვმა** ქართველ მეგობრებს — **გენადი ბითაძესა** და **დავით გაბათაშვილს** აცნობა, რომლებმაც გულთან მიიტანეს უცნობი ჯარისკაცების ტრაგიკული ბედი და მათი ოჯახების მოძებნა გადაწყვიტეს. ერთად ჩამოვიდნენ საქართველოში და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ოთხივე ჯარისკაცის ოჯახები მოინახულეს. მინგალ გაინუტდინოვი ხელცარიელი არ ჩამოსულა, მან დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებს საფლავებიდან წამოღებული მიწა ჩამოუტანა, აქედან კი ქართველი ჯარისკაცების საფლავებზე მოსაბნევად წაიღო ქართული მიწა.

ბატონი მინგალი გვიყვება, რომ, მათი ადათ-წესების მიხედვით, როდესაც საფლავიდან მიწას იღებ, მიწას აწუხებ, ამიტომ აუცილებლად ლოცვა უნდა წაიკითხო. „სანამ ქართველი ჯარისკაცების საფლავიდან მიწას ავიღებდით, მოლა მოვიყვანეთ და ლოცვები წაიკითხა“, — ამბობს ბატონი მინგალი და მსგავსი ისტორიების მოსმენით კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ სიკეთეს რელიგიური და ეროვნული საზღვრები არ აქვს.

**მინგალი გაინუტდინოვი:**

— სოფელ ტარლოვკის ძმათა სასაფლაოზე ქართველ ჯარისკაცებთან ერთად 187 კაცია დაკრძალული. ისინი პოსტსაბჭოთა სივრცის სხვადასხვა ქვეყნიდან წავიდნენ დიდ სამამულო ომში და ბრძოლაში დაჭრილები ტარლოვკაში, №4098 სამხედრო ჰოსპიტალში გარდაიცვალნენ. ომამდე იქ ტუბერკულოზის საწინააღმდეგო სანატორიუმი ყოფილა, რომელიც ომის დროს საევაკუაციო ჰოსპიტლად გადაუკეთებიათ, დღეს კი სახელმწიფო იცავს, როგორც ადგილობრივი მნიშვნელობის ისტორიულ ძეგლს. თავის მხრივ, მოსახლეობაც უვლის და პატივს სცემს მემორიალს.

საარქივო მასალებიდან საინტერესო ისტორია შევიტყვე. რადგან ფრონტზე ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადება ტუბერკულოზი იყო, ჰოსპიტლის დირექტორს არალეგალურად 12 თხა ჰყოლია, რომელთა რძით დაჭრილ ჯარისკაცებს გამოჯანმრთელებაში ხელს უწყობდა. ეს ამბავი მაინც გამჟღავნებულა და, როდესაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს გაუგია, კინაღამ დაუჭერიათ, მაგრამ, რადგან საპატიო მიზეზი ჰქონდა, უპატიებიათ. ომის პერიოდში ამ ჰოსპიტალში 9 981 ადამიანმა იმკურნალა.

ახლახან ძმათა სასაფლაო ცნობილმა მომღერალმა **იოსებ კობზონმა** მოინახულა და ობელისკი ყვავილებით შეამკო. უამრავი ხალხი შეგროვდა. კობზონს ვთხოვე ვიზების საკითხის მოგვარება, დიდი სურვილი მაქვს, დაღუპული ჯარისკაცების საფლავები მათი ოჯახების წევრებმა მოინახულონ.

**— როგორი დამოკიდებულება აქვს ადგილობრივ მოსახლეობას ამ სასაფლაოებისა და მემორიალისადმი?**

— ჩვენთან სამამულო ომის ყველა მონაწილეს დიდ პატივს სცემენ. საფლავებს, მემორიალს, ადგილობრივი მოსახლეობა და ნაბერეჟნიე ჩელნის საზოგადოებრივი ორგანიზაცია დიდ ყურადღებას აქცევენ.


იოსებ კობზონი მემორიალთან

**აღსანიშნავია, რომ მინგალი გაინუტდინოვს ლარსის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე საქართველოს მხრიდან უსიამოვნო ფაქტი შეემთხვა. მას ე.წ. გეორგიევკის ბაფთები ჩამოართვეს და საჩუქრის ყუთის წართმევაც დაუპირეს, ვინაიდან მასზე, რუსულ წარწერებთან ერთად, იგივე ბაფთა იყო მიხატული. საჩუქრები მინგალი გაინუტდინოვს ომში დაღუპული ქართველი ჯარისკაცების ოჯახებისთვის მოჰქონდა. იმედი გვაქვს, მომავალში მსგავს შემთხვევებს ხელისუფლება ყურადღებას მიაქცევს და საქართველოში კეთილშობილური მიზნით მომავალ ტურისტებს ჩვენს სტუმართმოყვარე ქვეყანაზე წარმოდგენას არ გაუფუჭებს.**

**ზოია ტაბიძე, ომში დაკარგული გიორგი ტაბიძის ძმის ცოლი:**

— ეს ამბავი ისეთი მოულოდნელი, სასიხარულო და შემაძრწუნებელი იყო, რომ გაოგნებული ვარ. ჩემი მაზლი, გიორგი ტაბიძე, 1941 წელს 18 წლისა წავიდა ომში და, როგორც ახლა შევიტყვეთ, ნაბერეჟნიე ჩელნიში, ჰოსპიტალში გარდაცვლილა. ჩემს უფროს ვაჟს, ბიძის პატივსაცემად, მისი სახელი დავარქვით. ოჯახში არავინ არაფერი იცოდა, მხოლოდ ჩემს მამამთილს სცოდნია სიმართლე, მაგრამ შვილის დაღუპვის შესახებ არც მეუღლისთვის და არც ოჯახის წევრებისთვის არ გაუმხელია, თურმე დარდს გულში იკლავდა. ჩემი დედამთილი ისე გარდაიცვალა, შვილის სიკვდილზე არაფერი იცოდა. ამ წლების განმავლობაში ყველა სხვადასხვა ვერსიას ყვებოდა, თუ სად შეიძლებოდა, ყოფილიყო დასაფლავებული, იმასაც ამბობდნენ, ცოცხალიაო. ის დღე, როდესაც ბატონო მინგალი ჩამობრძანდა და სიმართლე შეგვატყობინა, ჩვენთვის მეორედ დაბადებს ნიშნავდა.


შეხვედრა ტაბიძის ოჯახის წევრებთან

**გიორგი (გივი) ტაბიძე, უცნობი ბიძის სეხნია:**

— სასიამოვნოდ შოკირებულები ვართ. მთელი ცხოვრება ბატონი მინგალის მადლობელი ვიქნები.

**— ჯარისკაცის გადმოსვენების სურვილი თუ გაქვთ ოჯახს?**

— შესაძლოა, ამის უფლება არ მოგვცენ, თუმცა, რა თქმა უნდა, ოჯახს ამის სურვილი გვაქვს. თანაც ეს ყველაფერი დიდ თანხებს უკავშირდება. მალე ტარლოვკაში გამგზავრებას ვაპირებთ და ყველაფერს ადგილზე გავარკვევთ.

**გენადი ბითაძე:**

— მე, დავით გაბათაშვილი და მინგალი გაინუტდინოვი, დიდი ხანია, ვმეგობრობთ, ამიტომ, როდესაც ქართველი ჯარისკაცების საფლავები იპოვა, პირველ რიგში, ჩვენ გვაცნობა. ამის შემდეგ გადავწყვიტეთ, თითოეული ჯარისკაცის ოჯახი ერთად მოგვენახულებინა.

მე იქ ვცხოვრობ, ჩემი კაფე მაქვს და გადავწყვიტე, ყოველი წლის 9 მაისს ტარლოვკაში მცხოვრები ქართველები შევიკრიბოთ და ოთხივე დაღუპული ქართველი ჯარისკაცის პანაშვიდი გადავიხადოთ.


მინგალი საჩუქარს აძლევს ოჯახს

**გიორგი გაბათაშვილი:**

— ქართველი ჯარისკაცების საფლავების პოვნის შემდეგ მათი ოჯახების მოძებნა გადავწყვიტეთ, რაც თავდაპირველად თითქოს დაუჯერებელი ჩანდა. ვშიშობდით, ვერ გვეპოვა ისინი, მაგრამ მოგეხსენებათ, საქართველოში ყველა ერთმანეთს იცნობს და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების თანამშრომლების დახმარებით ეს მოვახერხეთ.

მაშინ, როცა ჩვენთან სამამულო ომის მემორიალს აფეთქებენ, დაუჯერებლად მიგვაჩნდა, რომ სადღაც ვიღაცები ქართველების საფლავებს უვლიან.

* * *

როდესაც ომის ისტორიებს უსმენ, ხვდები, რომ თითოეული დაღუპული ჯარისკაცის მიღმა უამრავი ადამიანისა თუ ოჯახის ტრაგედია იმალება. ამიტომ სამარცხვინოა, როდესაც დღეს ზოგიერთები დიდ სამამულო ომში მონაწილე ადამიანების გმირობისა და ფაშიზმზე გამარჯვების დაკნინებასა და გაუფასურებას ცდილობენ, გამარჯვებისა, რომელიც უამრავი ადამიანის მამაცობასა და დამსხვრეულ ოცნებებს აერთიანებს. ამ ოთხი დაღუპული ჯარისკაციდან მხოლოდ ერთს ჰყავდა მეუღლე — ვლადიმერ სუჯაშვილს. მას ცოლი სიცოცხლის ბოლომდე ელოდებოდა და ისე გარდაიცვალა, ქმრის შესახებ არაფერი შეუტყვია.

ასევე ცნობილია, რომ გიორგი ტაბატაძე ჭრილობისგან არ დაღუპულა; გამოჯანმრთელებული ჰოსპიტალიდან უნდა გამოეწერათ, სწორედ იმ დროს მეგობრის დაღუპვის ამბავი შეუტყვია, და 22 წლის ახალგაზრდა ჰოსპიტალში გულის შეტევით გარდაიცვალა.

მოამზადა **შორენა ციცქარაშვილმა**

„საშუალება მქონდა, დიმიტრი მედვედევს დაველაპარაკებოდი, სულ რამდენიმე სიტყვა ვუთხარით ერთმანეთს. ვკითხე, ჩვენი, ორი ქვეყნის ურთიერთობა როდის გამოსწორდება-მეთქი. მედვედევმა მოკლედ მიპასუხა, — მალეო."

ვიზიტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება»

**28 აპრილს მოსკოვში გაიმართა გამარჯვებულთა საერთაშორისო ფორუმი — „ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება". ფორუმში მონაწილეობდა 500-მდე დელეგატი 16 ქვეყნიდან, მათ შორის, დიდი სამამულო ომის 50-ზე მეტი ვეტერანი.**







ღონისძიებაში მონაწილებდა საქართველოს დელეგაციაც, სამამულო ომის ვეტერანების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისა და ჟურნალსტების შემადგენლობით. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ ფორუმთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის მარტში თბილისში გაიმართა დიდ სამამულო ომში გამარჯვების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართველი და რუსი მეცნიერები, ახალგაზრდული და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, დიდი სამამულო ომის ვეტერანები.

მოსკომის საერთაშორისო ფორუმის მონაწილეებმა გვირგვინით შეამკეს მარადიული ცეცხლი დიდი სამამულო ომის მუზეუმში — პოკლონნაია გორაზე. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა პლენარული სხდომა, აგრეთვე, ოთხი თემატური სექცია და საერთაშორისო გამოფენა — „ნაციზმს ვებრძოდით ერთად". საგულისხმოა, რომ **ამ გამოფენაზე ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკას ჰქონდა თავისი პავილიონი, რომელშიც გამოფენილი იყო ხალხთა გმირული ბრძოლის ამსახველი ექსპონატები. მხოლოდ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების, მოლდოვის და საქართველოს ექსპონატები (მასპინძლების მიერ მოპოვებული) იყო თავმოყრილი ერთ პავილიონში, რადგან ეს ქვეყნები არ დაინტერესდნენ გამოფენაში მონაწილეობით, შესაბამისად, არც ექსპონატები წარმოადგინეს. უნდა ითქვას, რომ ამ მკრეხელური გადაწყვეტილების შედეგად საქართველო, რომელმაც დიდ სამამულო ომში 700-ათასამდე მებრძოლი გაგზავნა და უდიდესი მსხვერპლიც გაიღო, ულმილამოდ გამოიყურებოდა, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ ამ დიადი გამარჯვების მთავრი შემოქმედი გენერალსიმუსი იოსებ ჯუღაშვილი, მარშალი ლავრენტი ბერია და რაიხატაგის თავზე გამარჯვების დროშის აღმმართავი მელიტონ ქანთარია ქართველები იყვნენ.**

პლენარულ სხდომაზე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უცხოეთთან რეგიონთაშორისი და კულტურული კავშირების სამმართველოს უფროსმა **ვლადიმერ ჩერნოვმა** წაიკითხა პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინის** მისალმება ფორუმის მონაწილეებისადმი. მისალმებაში ხაზგასმული იყო სამაგალითო სიმამაცე და უპრეცედენტო გამძლეობა ადამიანებისა, რომლებმაც ნაციზმის შემოტევას გაუძლეს და დიადი გამარჯვება მოიჭედეს. "კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც განაპირობა გამარჯვება, იყო საბჭოთა კავშირში მცხოვრები ხალხების ძმური ერთობა და ჩვენ ვამაყობთ იმ თაობათა გმირობით, რომლებმაც მშვიდობა შეგვინარჩუნა!" — ნათქვამი იყო მისალმებაში.

ფორუმის პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ — საბჭოთა კავშირის ფლოტის ადმირალი, ვეტერანთა ორგანიზაციების საერთაშორისო კავშირის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე **ალექსეი სოროკინი**, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობის საკითხებში **მიხეილ შვიდკოი**, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **გრიგორი კარასინი**, „ევრაზიული კვლევების ინსტიტუტის" პრეზიდენტი **ვალერი ტურსუნოვი**, უკრაინის ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი **პეტრე ტოლოჩკო**, ყაზახი საზოგადო მოღვაწე, პოეტი და მწერალი **ოლჟას სულეიმენოვი**, გლობალიზაციის პრობლემათა ცენტრის ხელმძღვანელი, აკადემიკოსი **ალექსანდრე ჭაჭია** (საქართველო) და სხვები.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახელით გამოსული ალექსანდრე ჭაჭიას სიტყვას დარბაზი განსაკუთრებულად შეხვდა. ორატორს სიტყვა მრავალჯერ შეაწყვეტინეს აპლოდისმენტებით, ხოლო მისი გამოსვლის ვიდეოვერსია "იუთუბის" ნამდვილ ჰიტად იქცა.

პლენარული სხდომის მსვლელობისას **ხაზი გაესვა იმას, რომ დაუშვებელია დიდი სამამულო ომის გაკვეთილების დავიწყება, ნაციზმის იდეოლოგიის აღზევება, ისტორიის ფალსიფიკაცია და მისით მანიპულირება იდეოლოგიური თუ პოლიტიკური მიზნებისთვის, მოძმე ერების ერთმანეთისგან გასათიშად.**

ფორუმის მსვლელობისას პოკლონნაია გორაზე მდებარე დიდი სამამულო ომის მუზეუმში „გამარჯვების ჯარისკაცის" მონუმენტი ყვავილებით შეამკო რუსეთის ფედერაციის პრემიერმინისტრმა **დიმიტრი მედვედევმა.** იგი, აგრეთვე, შეხვდა ფორუმის მონაწილე დიდი სამამულო ომის ვეტერანებს და მათთან ერთად დაესწრო გამოფენის — „ნაციზმს ვებრძოლოთ ერთად" — გახსნას.

რუსეთის პრემიერი გაესაუბრა რამდენიმე ომის ვეტერანს, მათ შორის, საქართველოს დელეგაციის წევრ **სერგო მირზოიანს.**

ფორუმმა მოამზადა შემაჯამებელი რეზოლუცია, რომელშიც გამოთქმულია შეშფოთება ზოგიერთი ძალის მიერ დიდი სამამულო ომის გაკვეთილების დავიწყების, აგრეთვე, დიადი გამარჯვების ზნეობრივი, სამართლებრივი შეფასებების რევიზიის მცდელობის გამო, რომლის მკრეხელური მიზანია მსხვერპლთა და ჯალათთა გათანაბრება, ნაცისტი დამნაშავეების რეაბილიტაცია და გმირულად დაღუპულ განმათავისუფლებელთა ხსოვნის შეურაცხყოფა. ფორუმის მონაწილეებმა ასევე ხაზი გაუსვეს, რომ დაუშვებელია ისტორიის ფალსიფიკაცია და რომ მთელი ძალისხმევა უნდა მიიმართოს ჰუმანიტარულ სფეროში მრავალმხრივი ურთიერთთანადგომისკენ, ისტორიული მეხსიერებისა და ერთიანი კულტურული სივრცის შენარჩუნებისკენ.

ღონისძიების ბოლოს გაიმართა ფორუმის მონაწილეთა იფიციალური მიღება და საზეიმო ბანკეტი, რომელზეც იგრძნობოდა თბილი დამოკიდებულება ქართული დელეგაციის მიმართ, ხოლო **სუხიშვილის** სასწავლო უნივერსიტეტთან არსებული ანსამბლ „გორულას" წევრების — გირშელ ბუცხრიკიძისა და ბექა თევზაძის მიერ შესრულებულმა სიმღერამ — „გაფრინდი შავო მერცხალო" — ნამდვილი ფურორი მოახდინა.

**სერგო მირზოიანი, სამამულო ომის ვეტერანი:**

— არაჩვეულებრივი მიღება მოგვიწყეს რუსეთის დედაქალაქში. ჩვენ, ომის ვეტერანები, სამნი ვიყავით საქართველოდან, ძალიან, ძალიან კმაყოფილები ვართ ღონისძიებით. ქართველების მიმართ გასაკუთრებული ყურადღება იგრძნობოდა. ყველაფერი უმაღლეს დონეზე იყო, მეტი რომ არ შეიძლება, ისეთი დახვედრა მოგვიწყეს.

**საშუალება მქონდა, დიმიტრი მედვედევს დაველაპარაკებოდი, სულ რამდენიმე სიტყვა ვუთხარით ერთმანეთს. ვკითხე, ჩვენი, ორი ქვეყნის ურთიერთობა როდის გამოსწორდება-მეთქი. მედვედევმა მოკლედ მიპასუხა, — მალეო. მე ამ პასუხისთვის ვეტერანების სახელით მადლობა გადავუხადე.**

ხშირად მიწევს მოსკოვში მსგავს ღონისძიებებზე ჩასვლა, სამამულო ომის დამთავრების 65-ე წლისთავზეც ვიყავი, 9 მაისსაც მივდივარ, იქ ვერ იგრძნობთ, რომ ქართველებსა და რუსებს ცუდი ურთიერთობა აქვთ, პირიქით, ფორუმზე რომ შევედით, ხმამაღლა დაიძახეს, — ქართველთა დელეგაციას გზა მიეცითო.

პოლიტიკაში არ ვერევი, მაგრამ ვფიქრობ, რომ რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობა უნდა მოგვარდეს.

**გირშელ ბუცხრიკიძე, ანსამბლ „გორულას" წევრი:**

— როდესაც მოსკოვში, ფორუმზე მიმიწვიეს, ცოტა გამიკვირდა, მერე ვიფიქრე, დღეს, როდესაც ასეთი დაძაბული ვითარებაა საქართველოსა და რუსეთს შორის, როგორ უნდა წავიდე-მეთქი. **სიმართლე გითხრათ, მოსკოვში ჩასვლაც კი პრობლემა მეგონა, მაგრამ იქ ისე თბილად დაგვხვდნენ, რომ გაოცებული დავრჩი. იქ მყოფი ადამიანები სულ იმაზე საუბრობდნენ, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები უნდა დათბეს, რომ არ შეიძლება რუსი და ქართველი ხალხის დაშორება.**

ჩვენი ანსამბლი „გორულა" ვალერიან სუხიშვილის სახელობის უნივერსიტეტში დაარსდა. მოსკოვში ანსამბლიდან მხოლოდ ორნი ვიყავით, შევასრულეთ „გაფრინდი შავო მერცხალო". სიმღერა რომ დავასრულეთ, საოცრება მოხდა: ყველა ცრემლიანი თვალებით გვიყურებდა, უფრო ზუსტად, ტიროდა. ასეთი რეაქცია მხოლოდ ჩვენს ნამღერს მოჰყვა.

თავშიც გითხარით, მოსკოვში რომ მიმიწვიეს, შეშინებულიც ვიყავი და გაოცებულიც, მაგრამ ახლა, კიდევ ერთხელ თუ გაჩნდება შანსი, რომ რუსეთის დედაქალაქს ვესტუმრო, დიდი სიამოვნებით მივიღებ მიწვევას.

**ირაკლი უბილავა, პოლიტოლოგი:**

— საოცარი სანახაობა იყო დახვედრა, რომელიც ქართველებს მოგვიწყვეს. როგორც კი შევედით, მივხვდით, რომ ყველაზე საპატიო სტუმრები ვიყავით. პოსტსაბჭოთა სივრცის ყველა ქვეყნის დელეგაცია იყო ფორუმზე, თითოეული მათგანისგან განსაკუთრებულ სითბოს ვგრძნობდით.

ვფიქრობ, ეს დიდ სამამულო ომში სტალინის დამსახურებას უნდა მივაწეროთ. რუსი ხალხისთვის სამამულო ომში გამარჯვების დღე უდიდესი დღესასწაულია და რუსეთის ხელისუფლება შესაბამის პატივსაც მიაგებს.

ჩვენ გვახლდნენ ახალგაზრდა შემსრულებლები, რომლებმაც „გაფრინდი შავო მერცხალო" იმღერეს. **სტალინის საყვარელი სიმღერის გაჟღერებამ ყველა აატირა. ერთი ადამიანიც კი არ დარჩა ისეთი, რომელსაც ჩვენს მომღერლებთან სურათი არ გადაუღია. ეს იყო ბრწყინვალე სანახაობა. ამის გადმოცემა სიტყვებით არ შეიძლება, ეს უნდა გენახათ.**

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტელეკამერების წინ მსხდომი თვითკმაყოფილი სახით მომზირალი „ბრმა წინამძღოლები“, ყველაფრის ექსპერტები, ბრძნული იერით მსჯელობენ დემოკრატიულ ფასეულობებზე, თავისუფლებაზე, პოლიტიკურ და სხვა ორიენტაციებზე, ეროვნულ ინტერესებსა და გეოპოლიტიკურ წინააღმდეგობებზე; ვერ ხედავენ, რომ ყველა ეს წინააღმდეგობა (საერთაშორისო, ეროვნული, იდეოლოგიური და ოჯახურიც კი) დასაბამს იღებს წინააღმდეგობიდან ღმერთსა და სატანას შორის. არ იციან, რომ თავისუფლების და, შესაბამისად, დემოკრატიის ერთ-ერთი წყარო არს უფალი — მზე სიმართლისა.**

# თხუნელები

**„მე ვარ ნათელი სულისა; რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდეს ბნელსა“**
*(იოანე. 8, 12)*

**„დღენი წელიწადთა ჩვენთანი სამეოცდაათ წელ...“ (ფს. 89.10) თუ ჩვენ ამ წლებს, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებელს, დღეებში გადავიყვანთ, მივიღებთ დაახლოებით 25 000 დღეს.**
**ეს არის 25 000 შესაძლებლობა ადამიანის ჩამოყალიბებისა ღმრთის მსგავს პიროვნებად. ამ დღეთა სიმრავლეში, რომელთაგან ყოველი მათგანი ძვირფასია, არის გამორჩეული დღეები, რომელთაც ქართველმა კაცმა დღესასწაულები უწოდა. ისინი, ვითარცა გზის მაჩვენებლები, ისე დგანან კაცობრიობის, ერის ისტორიის უმნიშვნელოვანეს მონაკვეთებზე. ასეთ დღეებს მიეკუთვნება 25 დეკემბერი — შობა უფლისა, პასექი — ეგვიპტის მონობიდან ებრაელი ერის გამოსვლის დღე, 12 აგვისტო — ძლევაი საკვირველის დღე... ამ დღეთა შორის საპატიო ადგილს იკავებს 9 მაისი, რომელიც არის არა მხოლოდ ერთი ქვეყნის მეორეზე გამარჯვების დღე, არამედ ქრისტეს მიერ ძლევის დღე ანტიქრისტეზე, სიცოცხლისა — სიკვდილზე.**



70-ე წელია, რაც მსოფლიოს თავისუფალი ნებისა და აზროვნების ადამიანები ამ დღეს დიდი მადლიერებით აღნიშნავენ მის შემოქმედთა, ჩვენი მამებისა და პაპების მიმართ; განსაკუთრებით კი — იმ ქვეყნებში, რომლებმაც დიდი მსხვერპლი გაიღეს გამარჯვებისათვის, ამ დღისათვის. ჩვენდა სასიქადულოდ, საქართველო, ჩვენი სამშობლო, მათ რიგშია. **საქართველომ დაახლოებით 300 000 შვილის სიცოცხლე გაიღო, უფრო მეტი, ვიდრე მსოფლიოს ზესახელმწიფომ აშშ-მა. ამ ბრძოლის პირველი მთავარსარდალიც ქართველი იყო და აპოკალიფსური მხეცის ბუნაგზე გამარჯვების დროშის აღმმართველიც — ქართველი. მით უმეტეს, დამაფიქრებელი და გულსატკენია, რომ ბოლო ორ ათწლეულია, საქართველოში გამოჩნდნენ ძალები, რომლებიც ცდილობენ, დააკნინონ, გააფერმკრთალონ 9 მაისის შემოქმედი გმირებისა და მათი მთავარსარდლის — სტალინის ღვაწლი დღევანდელი თაობისა და კაცობრიობის წინაშე.**

ვინ არიან ეს ადამიანები? რა ამოძრავებთ მათ საკუთარი ისტორიის, საკუთარი ფესვების წინააღმდეგ? რასთან გვაქვს საქმე — უვიცობასთან და დამახინჯებულ წარმოდგენასთან ისტორიაზე, რომელიც ადვილად შეიძლება განიკურნოს, თუ უფრო მძიმე შემთხვევასთან, იმ კამპანიის ნაწილთან, რომელსაც მსოფლიოში გააქტიურებული სატანური ძალები ეწევიან?

ამ კითხვებზე სწორი პასუხების გაცემა უაღრესად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ისტორიული ჭეშმარიტების დასადგენად, არამედ ქვეყნის სამომავლო, ოპტიმალური გზის ასარჩევადაც, რადგანაც **დღეს ქვეყნის სათავეში ის ძალები დგანან, რომელთაც არ ესმით 9 მაისის მნიშვნელობა.**

**ეს ადამიანები თხუნელებს ჰგვანან!**

თხუნელები იკვებებიან მზის ენერგიით აღმოცენებული მცენარეების ფესვებით, მაგრამ მზის დანახვაც არ უნდათ. ათეისტების მემკვიდრე ლიბერალ-დემოკრატები მშვენივრად გრძნობენ თავს მათი არსებობისათვის ყველაფრით უზრუნველყოფილ, საოცარი ჰარმონიითა და წესრიგით შექმნილ სამყაროში და მათაც არ სურთ დანახვა მისი, ვინც არის დასაბამი ამ სამყაროში, შემოქმედი ამ წესრიგისა — იესოს!

თხუნელასთვის გაუგებარია, რატომ ინგრევა ხანდახან მისი სორო.

ვერც ამათ გაუგიათ ფაშიზმის წარმოშობისა და მილიონობით ადამიანის ცხოვრების დამანგრეველი ომის ჭეშმარიტი მიზეზები და მიზნები.

**ტელეკამერების წინ მსხდომი თვითკმაყოფილი სახით მომზირალი „ბრმა წინამძღოლები“, ყველაფრის ექსპერტები, ბრძნული იერით მსჯელობენ დემოკრატიულ ფასეულობებზე, თავისუფლებაზე, პოლიტიკურ და სხვა ორიენტაციებზე, ეროვნულ ინტერესებსა და გეოპოლიტიკურ წინააღმდეგობებზე; ვერ ხედავენ, რომ ყველა ეს წინააღმდეგობა (საერთაშორისო, ეროვნული, იდეოლოგიური და ოჯახურიც კი) დასაბამს იღებს წინააღმდეგობიდან ღმერთსა და სატანას შორის. არ იციან, რომ თავისუფლების და, შესაბამისად, დემოკრატიის ერთ-ერთი წყარო არს უფალი — მზე სიმართლისა.**

და როგორ გახსნის კვანძს თხუნელა, რომელიც თოკის მხოლოდ ერთ წვერს ხედავს სოროში?! ან წყალს საიდან მოიტანს, თუ წყაროსთვის ვერ მიუგნია?! მით უმეტეს, **მიუწვდომელი იქნება მათი გონების თვალისათვის იმ ნაგვის წარმომავლობა, რომელსაც 9 მაისის გმირებსა და სტალინს ესვრიან, და შეუმჩნეველი ის კავშირები, რომელიც ამ ბინძურ საქმიანობასა და რუსეთში 1917 წლიდან განვითარებულ მოვლენებს შორის არსებობს.** მათი კარგად მესმის, რადგან ოთხმოციან წლებში მეც ვიყავი თხუნელა — ანტისტალინელი და ბოროტების იმპერიასთან მებრძოლი დემოკრატიული დასავლეთის ფანი.

ნათელმა სიმართლის მზისა და შეხვედრებმა თანამედროვეობის ერთ-ერთ დიდ სულიერ მოღვაწესთან — **მამა გიორგისთან (ბასილაძე)** გამომიყვანა სოროდან და დამანახვა მოვლენათა რეალური სახე:

1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია, რომელმაც დიდი გავლენა იქონია ჩვენს ერზე, ჩვენს სახელმწიფოზე, არ ყოფილა არც სოციალური, არც სოციალისტური. არც რუსული. იგი, როგორც **დოსტოევსკი** წინასწარმეტყველებდა, იყო რელიგიური. რევოლუციის შედეგად ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს რუსეთიდან წლების წინათ გაძევებულმა, ევროპაში გამოკვებილმა და გაწვრთნილმა **როტშილდების** ოჯახის მიერ უხვად დაფინანსებულმა „რევოლუციონერებმა“: სატანური ძალების — საერთაშორისო სიონიზმისა და მასონური ლოჟების აგენტებმა. **ამ უღმერთო, უსამშობლო, უეროვნებო, ერთიანი მსოფლიო სახელმწიფოს იდეით შეპყრობილ ადამიანებს მხოლოდ ნგრევა, მოსპობა, განადგურება სურდათ და შეეძლოთ.** ასეთ ადამიანებს პიროვნებას ვერ ვუწოდებთ. მათ არ აქვთ სახე. მათი დანახვა მხოლოდ მათი საქმეებით შეიძლება. თავისუფლების, თანასწორობის, სამართლიანობის, მშვიდობის, კეთილდღეობის ლოზუნგებით მოსულებმა, ქვეყანაში ძმათა მკვლელი სამოქალაქო ომი გააჩაღეს, რომელსაც ცივილიზებული ევროპის ინტერვენცია მოჰყვა და, როცა ქვეყანა ინგრეოდა, იშლებოდა, მათმა ბელადმა ქვეყნის გადასარჩენად ბრძანება გამოსცა:

**„ბრძანება №13666/2 1.05. 1919 წელი**

**სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს ამხ. ფ. ძერჟინსკის!**

**სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილებების შესაბამისად, აუცილებელია, რაც შეიძლება სწრაფად დამთავრდეს მღვდლებისა და რელიგიის საქმე. მღვდლები დაპატიმრებულნი უნდა იყვნენ, როგორც კონტრრევოლუციონერები და მესაბოტაჟეები. ისინი ყველგან უმოწყალოდ უნდა იყვნენ დახვრეტილნი და რაც შეიძლება მეტი ეკლესია უნდა დაექვემდებაროს დახურვას. ტაძრები დალუქული და საწყობებად გამოყენებული უნდა იქნეს.**

**სრულიად რუსეთის ც.ა.კ-ის თავმჯდომარე: კალინინი**
**სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: ულიანოვი (ლენინი)“**

მეორე ბელადი — სამხედრო საქმეთა კომისარიატის ხელმძღვანელი **ლევ ტროცკი** ასე აკვალიანებდა თანამებრძოლებს: „რით შეიძლება ჩვენი გამოუცდელობის (სახელმწიფოს მართვაში — ავტ.) კომპენსირება? დაიმახსოვრეთ, ამხანაგებო, მხოლოდ ტერორით. **დადგა დრო, შევქმნათ ორგანიზაცია, აპარატი, რომელიც, თუ საჭირო გახდა, მოსპობს ათეულ ათასებს. ჩვენ დრო არ გვაქვს და არც საშუალება, ვეძებოთ ჩვენი ნამდვილი და აქტიური მტრები. ჩვენ იძულებულნი ვართ, დავადგეთ მოსპობის გზას მოსახლეობის ყველა ჯგუფის, საიდანაც შეიძლება გამოვიდნენ ჩვენი ძალაუფლების მტრები“.**

აპარატი შეიქმნა, სამაგიეროდ სახელმწიფო დაინგრა და ომების, შიმშილობის, ეპიდემიებისა და რეპრესიების შედეგად 10 მლნ ადამიანი განადგურდა. მართლმადიდებელი ეკლესიის განადგურებისა და მართლმადიდებელი ერების გენოციდის გეგმა წარმატებით ხორციელდებოდა.

## სად იყო ამ დროს ყველა უბედურებაში ეჭვმიტანილი სტალინი?

მაშინ, როცა „რევოლუციონერთა“ კოჰორტა კვალიფიკაციას იმაღლებდა ევროპის კომფორტაბელურ სასტუმროებში, სტალინი ციმბირის „კურორტებზე“ ჰყავდა გაგზავნილი მეფის ოხრანკას.

მაშინ, როცა „რევოლუციონერები სპეცრეისით ჩამოვიდნენ პეტერბურგში, სტალინი იქ იდგა, ვაგზალზე, უსმენდა ლენინს, სჯეროდა მისი და მზად იყო, სიცოცხლე გაეწირა ხალხის უკეთესი მომავლისთვის.

სამოქალაქო ომის წლებში მას როგორც ზღაპარში დედინაცვალი საძულველ გერს, ისე გზავნიდნენ ფრონტის ყველაზე მძიმე უბნებზე და იქ მდგომარეობა უმალ იცვლებოდა. **დენიკინი** ამბობდა: „სადაც სტალინია, იქ წითლების გამარჯვებაა“.

მაგრამ 20-იანი წლების შუა ხანში ბრძოლების ველიდან დაბრუნებული სტალინი შეაძრწუნა საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ მებრძოლი ხელისუფლების სისასტიკემ. **1924-26 წლებში მან სამჯერ მიმართა პარტიის უმაღლეს ორგანოს პოლიტბიუროდან გათავისუფლების თხოვნით. აი, ერთი მათგანი: „ლენინის სიკვდილის შემდეგ პოლიტბიუროში ამხ. ზინოვიევსა და კამენევთან ერთად მუშაობამ ჩემთვის სრულიად ნათელი გახადა, რომ შეუძლებელია ამ ამხანაგებთან ერთად პატიოსანი, გულახდილი მოღვაწეობა. ამიტომ გთხოვთ, ჩამთვალოთ პოლიტბიუროს შემადგენლობიდან გასულად“.**

არ ჩათვალეს! სტალინი კარგი ჯარისკაცი იყო და სჭირდებოდათ.

აი აქ, შეიძლება ითქვას, დამთავრდა ოქტომბრის რევოლუციის სატანური ყველაზე წარმატებული სატანური წლები და დაიწყო სატანისთვის კატასტროფული ათწლეული.

სტალინმა დაიწყო პარტიის საშუალო და ქვედა რგოლებში რევოლუციის ერთგული, პატრიოტი ადამია- ▶

**სსრკ ომიდან უფრო ძლიერი გავიდა, ვიდრე მანამდე იყო. ქვეყანა აკავებდა სატანის ამბიციებს მსოფლიოს ბატონობაზე და, რაც მთავარია, ჩვენი მამა-პაპები, რომლებიც უღმერთო 20-იან წლებში ანგრევდნენ ტაძრებს, გმობდნენ უფალს, შეურაცხყოფდნენ ღმრთისმსახურებსა და გამზადებული იყვნენ საჯოჯოხეთოდ, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში განცდილი საშინელი ტანჯვის, გაღებული სისხლისა და სიცოცხლის ფასად გადარჩნენ(!). მილიონობით ადამიანმა ჯოჯოხეთის მაგივრად სასუფევლის კარი შეაღო!**

**გამარჯვების დროშად 150-ე დივიზიის მებრძოლთა მიერ აღმართული დროშა დაასახელეს ორი მიზეზის გამო: პირველი — ის იყო დანომრილი, ანუ ოფიციალურად გაცემული აღსამართავად და მეორე — ის არ იყო ჩამოგდებული ფაშისტების მიერ. ასე რომ, გამარჯვების დროშა რუსმა და ქართველმა აღმართეს.**

ჩევლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ნების მოძებნა და დარწმუნება. მათზე დაყრდნობით და მათი დახმარებით შეძლო ტროცკის მხილება და გაძევება ქვეყნიდან. სტალინმა მტკიცედ ჩასჭიდა ხელი მართვის სადავეებს, დაიწყო პირველი ხუთწლედი და დადგა დრო მშენებლობისა. 1928 წელს დაიწყო სტალინის მიერ დამტკიცებული ხუთწლიანი გეგმის განხორციელება, შექმნილი რეპრესიული აპარატის დაშლა.

**ამონაწერი პოლიტბიუროს სხდომის ოქმიდან. 12.03.33 წ.**

„20-30-იან წლებში მოსკოვსა და მიმდებარე ტერიტორიებზე სრულიად განადგურდა 10 ეკლესია, 300 დარჩენილი კი გადაკეთდა ქარხნის საამქროებად, კლუბებად, საერთო საცხოვრებლად, ციხეებად, არასრულწლოვანი მაწანწალებისთვის განკუთვნილ იზოლატორებად და კოლონებად.

არქიტექტორული განაშენიანების გეგმები ითვალისწინებს 500-ზე მეტი ტაძრისა და ეკლესიის აღებას.

ყოველივე ამაზე დაყრდნობით **ცკ შეუძლებლად მიიჩნევს მშენებლობის პროექტირებას იმ ტაძრებისა და ეკლესიების ხარჯზე, რომლებიც ძველი რუსული ხუროთმოძღვრების არქიტექტურულ ძეგლებად უნდა ჩაითვალოს.**

**საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები და მუშურ-გლეხური მილიცია მოვალენი არიან, ყველა ზომა მიიღონ ამ ძეგლების დასაცავად და ამ საქმეში დისციპლინური და პარტიული პასუხისმგებლობაც გამოიყენონ.“**

სატანურ ძალებს აცოფებს ქვეყნის აღმშენებლობა, ეკლესიების დაცვა და ისინი ტერორს იწყებენ სტალინის მომხრეების მიმართ. 1935 წელს მოკლეს სტალინის უახლოესი თანამბრძოლი, ჭეშმარიტი რევოლუციონერი, ხალხის საყვარელი პიროვნება **სერგეი კიროვი.** სტალინმა ძალიან განიცადა ეს, მაგრამ წონასწორობა არ დაუკარგავს და სცადა, ახალი კონსტიტუციის ჩარჩოებში, არჩევნებით ჩამოეშორებინა ხელისუფლებისგან სატანური აგენტურა. მათ იგრძნეს საფრთხე და გამოითხოვეს სტალინისგან უფლება, კონტრევოლუციასთან ბრძოლის საბაბით მოესპოთ ადგილებზე თავიანთი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები. ძალთა იმ თანაფარდობაში სტალინი იძულებული შეიქნა, დაეთმო. ასე დაიწყო ავადსახსენებელი 37-ის რეპრესიები, რომელმაც საბოლოოდ, მრავალ უდანაშაულო ადამიანთან ერთად, მათი წამომწყებნიც შეიწირა.

1937 წლის ბოლოს არჩევნები ისე ჩატარდა, როგორც ქვეყანას სურდა, და სტალინმა საბოლოოდ განიმტკიცა ძალაუფლება.

**ამონაწერი ცკ-ის პოლიტბიუროს სხდომის ოქმიდან 11.11.39 წ.**

„რელიგიის, რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მსახურთა და მართლმადიდებელი მორწმუნეების მიმართ ცკ ადგენს:

**1.** ამიერიდან მიზანშეუწონლად ჩაითვალოს სსრკ-ს შსსკ-ს ორგანოების პრაქტიკა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მსახურთა და მართლმადიდებელ მორწმუნეთა დაპატიმრებისა.

**2.** ამხ. ულიანოვის 1919 წ. 1 მაისის ბრძანებულება №13666/2 „მღვდლებთან და რელიგიასთან ბრძოლის შესახებ“, რომლის შესრულება დავალებული ჰქონდა ამხ. ძერჟინსკის და შესაბამის ორგანოებს, გაუქმდეს.

**3.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა ჩაატაროს იმ დაპატიმრებულთა საქმეების რევიზია, რომლებიც უკავშირდებოდა ღმრთისმსახურებს. გათავისუფლდნენ ის პატიმრები, რომლებიც ამ მოტივაციით იყვნენ დაპატიმრებულნი, თუკი მათ მოქმედებას ზიანი არ მოუტანია საბჭოთა ხელისუფლებისთვის.

**4.** გადაწყვეტილებას იმ მორწმუნეთა საკითხის შესახებ, რომლებიც ციხეებში იმყოფებიან და სხვა კონფესიებს განეკუთვნებიან, ცკ დამატებით გამოიტანს.

**ცკ-ის მდივანი
ი. სტალინი“**

საბჭოთა ქვეყნის შიგნით კატასტროფული მარცხის შემდეგ სატანის მსახურებმა სცადეს გარეშე ძალების გამოყენებით ქვეყნის განადგურება. სტალინის მიმართ სიძულვილი ისეთი ძლიერი იყო, რომ, მიუხედავად იმ დიდი საფრთხისა, რომელიც მათ შეიძლებოდა დამუქრებოდათ სატანის ცოფიანი ძაღლის — ფაშიზმის მხრიდან, მაინც მის აღზევებასა და გაძლიერებას შეუწყვეს ხელი.

**1941 წლის 22 ივნისს მათი ოცნება ასრულდა — სატანის ცოფიანი ძაღლი თავს დაესხა ქვეყანას, რომლის ნაწილიც ჩვენ ვიყავით. სატანა ზეიმობდა, მაგრამ ჩვენი მამების, პაპების წარმოუდგენელი თავდადებით, სტალინის გენიალური მთავარსარდლობითა და, რა თქმა უნდა, ღმრთისმშობლის შეწევნით 1945 წელს 9 მაისს გამანადგურებელი მარცხი იწვნია.**

სსრკ ომიდან უფრო ძლიერი გავიდა, ვიდრე მანამდე იყო. ქვეყანა აკავებდა სატანის ამბიციებს მსოფლიოს ბატონობაზე და, რაც მთავარია, ჩვენი მამა-პაპები, რომლებიც ულმერთო 20-იანი წლებში ანგრევდნენ ტაძრებს, გმობდნენ უფალს, შეურაცხყოფდნენ ღმრთისმსახურებსა და გამზადებული იყვნენ საჯოჯოხეთოდ, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში განცდილი საშინელი ტანჯვის, გაღებული სისხლისა და სიცოცხლის ფასად გადარჩნენ (!). მილიონობით ადამიანმა ჯოჯოხეთის მაგივრად სასუფევლის კარი შეაღო!

ამის შემდეგ **განა საკითხავია, ვის და რატომ შეიძლება სძულდეს სტალინი და უპატივცემულოდ ეპყრობოდეს დიდი სამამულო ომის გმირებს, მათთვის და ყველა თვალხილული ადამიანისთვის ძვირფას დღეს — 9 მაისს?!**

**გილოცავთ, გმირებო, 9 მაისს აქაც და იქაც!**

**შენდობას ვითხოვ ჯუღაშვილის სულისგან, რაც უსამართლოდ მითქვამს მის მიმართ!**

**მამა გრიგოლი (მეზვრიშვილი),**
**მოხისის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვარი**
**5 მაისი, 2015 წ.**

# ვინ აღმართა რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა, ანუ «გენერალისიმუსი» თინა

**დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების ერთ-ერთი სიმბოლო გამარჯვების დროშაა და, როგორც ეკადრება, საერთოდ, სიმბოლოებს, დროშის ისტორიაც გაეხვია ლეგენდებისა და მითების ქსელში, რამაც საბაბი მისცა ზოგიერთ ისტორიკოსს, ასევე, არაისტორიკოსსაც, ეჭვი შეეტანათ ოფიციალურ ვერსიაში. ოფიციალური ვერსიით კი, დროშა აღმართეს რუსმა მიხეილ ეგოროვმა და ქართველმა მელიტონ ქანთარიამ. შეესაბამება თუ არა ეს სინამდვილეს?**



1945 წლის 9 აპრილს ბელორუსიის პირველ ფრონტში შემავალი ყველა არმიის პოლიტიკური განყოფილების უფროსების თათბირზე გაიცა განკარგულება, რომ ბერლინზე მოიერიშე თითოეულ არმიაში დამზადებულიყო სპეციალური დროშები, რომლებიც უნდა აღემართათ გერმანიის დედაქალაქის თავზე. მთავარი დარტყმის მიმართულებაზე მყოფ მესამე არმიაში დაამზადეს (მასში შემავალი დივიზიების რაოდენობის მიხედვით) ცხრა დროშა. ეს დროშები 22 აპრილს გადასცეს მსროლელთა დივიზიების წარმომადგენლებს. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მიმართეს სტალინს: რომელ შენობაზე უნდა აღიმართოს გამარჯვების დროშა? ბელადმა რაიხსტაგზე მიანიშნა.

საბჭოთა ჯარის ნაწილები იმპერიის კანცელარიის მისადგომებს მიადგნენ 29 აპრილს. მას ფანატიკურად იცავდნენ ეს-ეს-ის ნაწილები. ეს-ეს-ელთა გვერდით არანაკლებ თავგანწირვით იბრძოდნენ კოლაბორაციონისტი ლატვიელები, ფრანგები, ნორვეგიელები, შვედები, დანიელები, ჰოლანდიელები და სხვები.

რაიხსტაგის შტურმი 30 აპრილს დაიწყეს პოლკოვნიკ **ალექსეი ნეგოდას** 171-ე მსროლელთა დივიზიამ და გენერალ-მაიორ **ვასილ შატილოვის** 150-ე დივიზიამ. დილის იერიში წარუმატებლად დასრულდა, ხოლო დღისით საბჭოთა ჯარისკაცების ცალკეულმა ჯგუფებმა მიაღწიეს რაიხსტაგის ფასადს და მასზე რამდენიმე წითელი დროშა აღმართეს. 150-ე დივიზიის საბრძოლო ჟურნალის მიხედვით, „1945 წლის 30 აპრილს, 14 საათსა და 25 წუთზე, ლეიტენანტმა **რახიმჟან კოშკარბაევმა** და რიგითმა **გრიგორი ბულატოვმა** ხოხვით მიაღწიეს შენობის ცენტრალურ ნაწილამდე და მთავარი შესასვლელის კიბეს მიამაგრეს წითელი დროშა“.

მაგრამ დროშა შენობის ფასადზე, რომელსაც ჯერ კიდევ აკონტროლებს მოწინააღმდეგე, გამარჯვების დროშად ვერ ჩაითვლება, მით უმეტეს, ფაშისტებმა ის ჩამოაგდეს.

წარმატებით დასრულდა მხოლოდ რაიხსტაგის საღამოს შტურმი, როდესაც საბჭოთა ჯარისკაცებმა შეაღწიეს კანცელარიაში და ფიცხელი ბრძოლა უკვე შენობაში გამართეს. ჯარისკაცთა რამდენიმე ჯგუფმა მიიღო დავალება — მიეღწიათ რაიხსტაგის სახურავამდე და იქ აღემართად დროშა. **150-ე მსროლელთა დივიზიის საიერიშო დროშა გადასცეს ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ლეიტენანტი ალექსეი ბერესტი, სერჟანტი მიხეილ ეგოროვი და უმცროსი სერჟანტი მელიტონ ქანთარია.** ეს დროშა თავდაპირველად აღმართეს რაიხსტაგის მთავარი შესასვლელის ფრონტონზე — შენობის აღმოსავლეთ ნაწილზე — მიამაგრეს ცხენზე ამხედრებული ვილჰელმ II ქანდაკებას. 2 მაისს კი, დღის მეორე ნახევარში, გამარჯვების დროშა გადაიტანეს რაიხსტაგის გუმბათზე. ეს ამოცანა სამეულისთვის ძალზე სახიფათო აღმოჩნდა, რადგან მინის გუმბათი დანგრეული იყო.

ალექსეი ბერესტის ჯგუფის მიერ რაიხსტაგზე აღმართული დროშა არ იყო პირველი და ეს არ არის საიდუმლო. ამაზე დაიწერა 1979 წელს გამოცემულ „მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში“. მისი მიხედვით, ეგოროვისა და ქანთარიას დროშა იყო რიგით მეოთხე, პირველი სამი ფაშისტების ცეცხლმა „იმსხვერპლა“.

**გამარჯვების დროშად 150-ე დივიზიის მებრძოლთა მიერ აღმართული დროშა დაასახელეს ორი მიზეზის გამო: პირველი — ის იყო დანომრილი, ანუ ოფიციალურად გაცემული აღსამართავად და მეორე — ის არ იყო ჩამოგდებული ფაშისტების მიერ. ასე რომ, გამარჯვების დროშა რუსმა და ქართველმა აღმართეს.** სხვათა შორის, ეს ფაქტი ისტორიულ სამართლიანობას გამოხატავს, რადგან ყველაზე დიდი ტვირთი ამ ომში დააწვა რუს ხალხს და ყველაზე დიდი მსხვერპლი მან გაიღო, ხოლო მელიტონ ქანთარიას თანამემამულე იოსებ სტალინი კაცობრიობის ამ ყველაზე მასშტაბური ომის გამარჯვებული არმიის უმაღლესი მთავარსარდალი გახლდათ.

რამდენიმე დღის წინათ ერთ-ერთ ფორუმზე მომიწია დავა ერთ ყაზახთან, რომელიც წერდა, დროშა ლეიტენანტმა რახიმჟან კოშკარბაევმა აღმართაო. ვერავითარი არგუმენტით ვერ დავარწმუნე ეს კაცი, რომ ცდებოდა. ბოლოს შევეკითხე: შვილები გყავს? — მიპასუხა, მყავს ოთხი ბიჭიო. — ჰოდა, გულწრფელად მითხარი, როგორი რძალი გინდა, შემოგივიდეს ოჯახში — ქალწული თუ ქალწულობადაკარგული-მეთქი? — რა თქმა უნდა, ქალწულიო.

შე დალოცვილო, რძალი ქალწული გინდა, ხოლო გამარჯვეის დროშა ფაშისტების მიერ „ნახმარი“-მეთქი?!

ერთ კვირაზე მეტია, ველოდები ყაზახი მეგობრის პასუხს.

ამა წლის 9 მაისს მოსკოვში ჩატარდება გრანდიოზული სამხედრო აღლუმი, რომელიც მიეძღვნება გამარჯვების 70 წლისთავს. მასში მიიღებენ მონაწილეობას აზერბაიჯანის, ყაზახეთის, უზბეკეთის, თურქმენეთის, სომხეთის, ბელარუსის საჯარისო დანაყოფები, აგრეთვე, სერბეთისა და, წარმოიდგინეთ, ინდოეთისაც კი; არ იქნებიან უმაღლესი მთავარსარდლის — იოსებ სტალინის, მისი „მარჯვენა ხელის“ — ლავრენტი ბერიას და გამარჯვების დროშის აღმმართველის — მელიტონ ქანთარიას თანამემამულეები — ქართველები...

რა დაგვრჩენია? იქნებ, წინადადებით მივმართოთ ხელისუფლებისთვის, ჩაატაროს სანუგეშო აღლუმი ამა წლის 26 მაისს და 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ყველა ომში დამარცხებული ქართული ჯარის ნაწილები ყოჩაღი ნაბიჯით ჩაივლიან რუსთაველის გამზირზე და მიესალმებიან „სამხედრო საქმის დიდოსტატს“, „გენერალისიმუს“, სერიოზულად კი, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მოახლეს, საგარეჯოს რაიონისთვის არაფრის გამკეთებელ, აწ უკვე ყოფილ მაჟორიტარს — თინა ხიდაშელს...

**გიორგი კორძაძე**

**იქნებ, წინადადებით მივმართოთ ხელისუფლებისთვის, ჩაატაროს სანუგეშო აღლუმი ამა წლის 26 მაისს და 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ყველა ომში დამარცხებული ქართული ჯარის ნაწილები ყოჩაღი ნაბიჯით ჩაივლიან რუსთაველის გამზირზე და მიესალმებიან «სამხედრო საქმის დიდოსტატს», «გენერალისიმუს», სერიოზულდა კი, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მოახლეს, საგარეჯოს რაიონისთვის არაფრის გამკეთებელ, აწ უკვე ყოფილ მაჟორიტარს — თინა ხიდაშელს...**

ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროპის გასათავისუფლებლად დაახლოებით 7 მლნ საბჭოთა ჯარისკაცი და ოფიცერი იბრძოდა. მილიონზე მეტმა საბჭოთა მეომარმა სიცოცხლე გაწირა: პოლონეთის გასათავისუფლებლად — 600 ათასზე მეტმა; ჩეხოსლოვაკიის — 140 ათასმა; უნგრეთის — 140 ათასზე მეტმა; რუმინეთის — 69 ათასმა; გერმანიის — 102 ათასმა; ავსტრიის — 26 ათასმა... ამ ციფრებში გათვალისწინებული არ არიან დაჭრილები და დასახიჩრებულები, რომლებიც, სულ ცოტა, სამჯერ მეტი იყო, ბევრი მათგანი კი ჭრილობებისგან მალე გარდაიცვალა. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის მებრძოლთა დიდი რაოდენობა ინვალიდი დარჩა.**

# წითელი არმიის მიერ ევროპის გათავისუფლება 1944-1945 წლებში და თანამედროვე ისტორიული მეხსიერება





**გთავაზობთ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის რუსეთის ისტორიის ინსტიტუტის ცენტრის — „რუსეთი, სსრკ XX საუკუნის ისტორიაში“ — უფროსი მეცნიერი თანამშრომლის, ხელმძღვანელის, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის — ალექსანდრე სენიავსკის მოხსენებას, რომელიც მან წაიკითხა მოსკოვში ახლახან გამართულ გამარჯვებულთა საერთაშორისო ფორუმზე „ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება“. ალექსანდრე სენიევსკი ლაპარაკობს იმ მიზეზებზე, რომელთა გამოც დასავლეთის ქვეყნები ცდილობენ, დიდ სამამულო ომში საბჭოთა არმიის როლის დაკნინებას, ისტორიული მეხსიერების ტრანსფორმირებას და ისტორიის ფალსიფიცირებას.**

ევროპაში საბჭოთა არმიის განმათავისუფლებელი მისია 1944-1945 წლებში დიდი სამამულო ომის აპოგეაა. მას ღრმა ჰუმანიტარული აზრი აქვს, რადგან საბჭოთა ჯარისკაცმა თავისი ქვეყნის დაცვითა და გათავისუფლებით სხვა ხალხებსაც მოუტანა თავისუფლება გერმანული ოკუპაციისგან, ნაცისტური მონობისგან, პროფაშისტური დიქტატორული რეჟიმებისგან. ამასთანავე, მან მოიპოვა გამარჯვება და მშვიდობა, უზრუნველყო მილიონობით ადამიანის უფლება სიცოცხლეზე — მთავარი უფლება, რომლის გარეშეც ადამიანის დანარჩენ უფლებებს აზრი ეკარგება. ამისათვის საბჭოთა ტერიტორიის გარეთ სსრკ-მა უდიდესი მსხვერპლი გაიღო.

**ევროპის გასათავისუფლებლად დაახლოებით 7 მლნ საბჭოთა ჯარისკაცი და ოფიცერი იბრძოდა. მილიონზე მეტმა საბჭოთა მეომარმა სიცოცხლე გაწირა: პოლონეთის გასათავისუფლებლად — 600 ათასზე მეტმა; ჩეხოსლოვაკიის — 140 ათასმა; უნგრეთის — 140 ათასზე მეტმა; რუმინეთის — 69 ათასმა; გერმანიის — 102 ათასმა; ავსტრიის — 26 ათასმა... ამ ციფრებში გათვალისწინებული არ არიან დაჭრილები და დასახიჩრებულები, რომლებიც, სულ ცოტა, სამჯერ მეტი იყო, მევრი მათგანი კი ჭრილობებისგან მალე გარდაიცვალა. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის მებრძოლთა უმეტესობა ინვალიდი დარჩა.**

საბჭოთა ადამიანის ცნობიერებაში საბჭოთა არმიის განმათავისუფლებელი მისია, ბუნებრივია, განსაკუთრებით პოზიტიურ ხასიათს ატარებდა. ის აცნობიერებდა მეომარი-განმათავისუფლებლის გმირობას, ჩადენილს სხვა ხალხებისთვის, მათ შორის, მათთვის, ვინც ომში აგრესორთა შორის იყო.

**საბჭოთა ხალხების მიერ თავისი თავისუფლებისა და სხვა ქვეყნების გათავისუფლებისთვის ბრძოლაში გამოჩენილი ვაჟკაცობა, ქედუხრელობა, მასობრივი ჰეროიზმი საბჭოთა ადამიანების რამდენიმე თაობის ისტორიულ მეხსიერებაში აღიბეჭდა, როგორც უდიდესი ფასეულობა, როგორც უნარი, სძლიოს მძლავრ და დაუნდობელ მტერს, მიუხედავად სასფასურისა, რომლის გადახდაც მოუწევდა არა მხოლოდ თავისი, არამედ სხვისი თავისუფლებისთვის.**

განმათავისუფლებელი მისიის ჰუმანიტარულ მხარეზე არანაკლებ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სამხედრო მხარეც: წითელმა არმიამ უზრუნველყო გათავისუფლებულ ქვეყნებში სიცოცხლე და ცხოვრება, ომისგან დანგრეულ ტერიტორიებზე ქმნიდა მოსახლეობის გადარჩენის პირობებს, ეხმარებოდა ინფრასრუქტურის ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტების აღდგენაში და ა.შ. ომის შემდეგ მოგვარდა გათავისუფლებული ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობა სსრკ-თან და ჩვენი ქვეყანა, თვითონაც ნანგრევებად ქცეული, მათ უზარმაზარ ეკონომიკურ დახმარებას უწევდა.

**თვით დამარცხებული ქვეყნებისა და ხალხების მიმართაც კი სსრკ იჩენდა ისტორიაში არნახულ ჰუმანიზმსა და დიდსულოვნებას, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, როგორი ბარბაროსული დანაშაულებიც ჩაიდინეს აგრესორებმა და ოკუპანტებმა საბჭოეთის ტერიტორიაზე. გერმანელი ხალხი არათუ გადარჩა, არამედ სახელმწიფოებრიობაც შეინარჩუნა. წითელი არმია კი არ იმონებდა, არამედ ათავისუფლებდა აგრესორ ქვეყნებს დიქტატორული პრონაცისტური რეჟიმებისგან.** თითქმის ყველა მტრული ქვეყნისთვის, გერმანიის გარდა, რეპარაციები სიმბოლური უფრო იყო — განუზომლად შეუსაბამო ჩვენი ქვეყნისთვის მიყენებული ზარალისა. ამასთანავე, საბჭოეთი ყოფილ მოწინააღმდეგე ქვეყნებსაც კი არ ეუბნებოდა უარს მნიშვნელოვან ეკონომიკურ დახმარებაზე.

**ფალსიფიკაცია მეორე მსოფლიო ომის ისტორიისა, რომელიც სსრკ-ის ხალხებისთვის დიდი სამამულო ომი იყო, დღეს პოსტსაბჭოთა ხალხების გათიშვის, მათ შორის შუღლის ჩამოგდების ინსტრუმენტად გამოიყენება. ამის წაქეზებასა და პროვოცირებას დღეს მიზანმიმართულად ეწევა ამერიკის შეერთებული შტატები, რომელსაც სურს, სამუდამოდ დაამკვიდროს ერთპოლუსიანი მსოფლიო, რომელშიც ამერიკელები მუდმივად იქნებიან ჰეგემონები და დიქტატორები**

დღეს **„დაცემულთა მიმართ გულმოწყალება“, დამარცხებული მტრის მიმართ დიდსულოვნება დავიწყებას მიეცა. ხშირად ივიწყებენ იმ უზარმაზარ მსხვერპლსაც, რომელიც საბჭოთა ხალხმა გაიღო ნაცისტური გერმანიის მიერ დამონებული ქვეყნების გასათავისუფლებლად და მათი ხალხების განადგურებისგან გადასარჩენად** (პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი და სხვ.). საერთო თანამედროვე ტენდენციად იქცა დიდი სამამულო ომის შესახებ მეხსიერების გამოყენება რუსოფობიის გასაღვივებლად, ამ ომში სსრკ-სა და წითელი არმიის ნეგატიური სახით წარმოჩენა, და ამის საფუძველზე — ნეგატიური დამოკიდებულება თანამედროვე რუსეთისადმი და მის მიმართ სხვადასხვა პრეტენზიის წამოყენება. ამისათვის გამოყენებულია ინსტრუმენტების ფართო სპექტრი — კოლაბორაციონისტებისა და სამხედრო დამნაშავეთა რეაბილიტაცია, მემარჯვენე რადიკალიზმის რეანიმაცია, კოლაბორანტების გმირების რანგში აყვანაც კი.

**დღეს, დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან 70 წლის შემდეგ, როდესაც იმქვეყნად მიდიან უკანასკნელი ვეტერანები, მონაწილეები და თვითმხილველები, ომის შესახებ მეხსიერებას აყალიბებს სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტი (განათლების სისტემა, მასმედია, მხატვრული ფილმები, ლიტერატურა).**

დიდი სამამულო ომის შესახებ ისტორიული მეხსიერების მდგომარეობა პოსტსაბჭოთა რუსეთში, ისტორიული პოლიტიკის (თუმცა არასაკმარისად თანმიმდევრული და სისტემური) გააქტიურების წყალობით, დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს: ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას, სხვადასხვა სოციალურ და სქესობრივ-ასაკობრივ კატეგორიებს, ძირითადად, ადეკვატური წარმოდგენა აქვთ ამ ომზე; და ეს — 1980-1990-იან წლებში ნეგატიური პროპაგანდის, მასმედიაში, პუბლიცისტიკაში, კინოხელოვნებისა და ა.შ. შენახული ფალსიფიცირებული გამოსვლების შემდეგ. თუმცა ისტორიის ცოდნის დონე, ამ საგნის სწავლების ხარისხის დაქვეითების გამო, სასურველია, უკეთესი იყოს...

ხარისხობრივად სხვაგვარი სიტუაცია ომისადმი მეხსიერების მიმართ პოსტსოციალისტურ და რიგ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, განსაკუთრებით — პროდასავლური (და კანონზომიერად — ანტირუსული) კურსით, სადაც დიდ სამამულო ომზე წარმოდგენები იქმნება ნაციონალისტური, როგორც წესი, რუსოფობი ელიტის მიერ.

**მსოფლიოს ხალხების მეხსიერების რადიკალური გადასხვაფერება დიდ სამამულო ომში სსრკ-ის როლის შესახებ, შეფასებების შეცვლა პოზიტიურიდან ნეგატიურზე, შემთხვევითი ტენდენცია კი არა, ერთ-ერთი საკვანძო მიმართულებაა მიზანმიმართული მუშაობისა მასების ცნობიერების „გადასაფორმატებლად“, რუსეთისადმი და ჩვენი, საერთო საბჭოთა ისტორიისადმი დამოკიდებულების შესაცვლელად.**

ომის შესახებ მეხსიერება ომის შემდგომ პერიოდში იდეოლოგიური დაპირისპირებებისა და შეჯახებების სფეროდ იქცა. დასავლეთი თავიდანვე ცდილობდა, საკუთარი თავისთვის მიეწერა გამარჯვებაში ძირითადი როლის შესრულება, გადაეწერა ისტორია თავისი შეხედულებისამებრ „რეალური პოლიტიკის“ მიზნით.

ამ ომის გარშემო იდეური შეჯახებების მიზეზი რამდენიმეა. მისი შედეგები საფუძვლად დაედო იალტა-პოტსდამის სისტემის საერთაშორისო ურთიერთობებს. „ცივმა ომმა“ სტარტი მისცა ორპოლუსიანი სისტემის ჩამოყალიბებას ამერიკული და საბჭოთა ძალების გარშემო შესაბამისი იდეოლოგიური გაფორმებით, მაგრამ დასავლეთში ომის ისტორიის ინტერპრეტაცია, მიუხედავად იმისა, რომ მას ანტისაბჭოთა მიმართულება ჰქონდა, „საზღვრებში“ რჩებოდა. ომის შესახებ საერთო პოზიტიური მეხ-

▶

# მსოფლიოს ხალხების მეხსიერების რადიკალური გადასხვაფერება დიდ სამამულო ომში სსრკ-ის როლის შესახებ, შეფასებების შეცვლა პოზიტიურიდან ნეგატიურზე, შემთხვევითი ტენდენცია კი არა, ერთ-ერთი საკვანძო მიმართულებაა მიზანმიმართული მუშაობისა მასების ცნობიერების „გადასაფორმატებლად“, რუსეთისადმი და ჩვენი, საერთო საბჭოთა ისტორიისადმი დამოკიდებულების შესაცვლელად.

ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**საბჭოთა ხალხების მიერ თავისი თავისუფლებისა და სხვა ქვეყნების გათავისუფლებისთვის ბრძოლაში გამოჩენილი ვაჟკაცობა, ქედუხრელობა, მასობრივი ჰეროიზმი საბჭოთა ადამიანების რამდენიმე თაობის ისტორიულ მეხსიერებაში აღიბეჭდა როგორც უდიდესი ფასეულობა, როგორც უნარი, სძლიოს მძლავრ და დაუნდობელ მტერს, მიუხედავად საფასურისა, რომლის გადახდაც მოუწევდა არა მხოლოდ თავისი, არამედ სხვისი თავისუფლებისთვისაც**



◀სიერება ურთიერთობებში მიმდინარე პრობლემების მოსაგვარებლად პოლიტიკური კლიმატის „დასათბობ“ ინსტრუმენტად გამოიყენებოდა.

ომის შესახებ მეხსიერების გარშემო იდეური შეჯახებების მეორე მიზეზი არის მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა ომისა და ომის შემგომი თაობებისთვის.

**1985 წელს ამერიკელთა 30 პროცენტმა XX საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებში პირველ ადგილას მეორე მსოფლიო ომი დაასახელა და ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას მსოფლიოსთვის და სამართლიანობას ამ ომში აშშ-ის მონაწილეობით. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა და უკავია ამ ომს რუსების ისტორიულ ცნობიერებაში. მისთვის შემთხვევით არ უწოდებიათ დიდი და სამამულო, რაც ხაზს უსვამდა არა მხოლოდ ომის მასშტაბს, არამედ მნიშვნელობას ქვეყნის, ხალხის, თვით რუსული ცივილიზაციის გაარჩენისთვის. მისი აღქმა, როგორც საბედისწერო ომისა, გამყარებული იყო კოლოსალური მსხვერპლით, რომელიც გაღებული იქნა ოთხწლიანი დაპირისპირებისას მესამე რაიხის მიერ ფეხქვეშ გათელილ ევროპაში.**

ომი ტრაგედიად იქცა ყველა საბჭოთა ხალხის ოჯახების უმავლესობისთვის.

**სამამულო ცნობიერებაში დიადი გამარჯვების ფასს ამაღლებს რამდენიმე გარემოება: ომის თავდაცვითი ხასიათი; ფრონტზე მებრძოლი თაობის უნარი, წინააღმდეგობა გაეწია ნაცისტური იდეოლოგიით გონებადაბინდული ძლიერი და დაუნდობელი ძალისთვის; და მზადყოფნა ხალხისა, რომელმაც შეძლო მობილიზება თავისი ნებისყოფისა და ქვეყნის რესურსებისა, შეძლო, გადაელახა დროებითი წარუმატებლობები ფრონტზე, გაეთავისუფლებინა არა მხოლოდ თავისი ოკუპირებული მიწები, არამედ მოეწყო განმათავისუფლებელი ლაშქრობა აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, უდიდესი მსხვერპლის ფასად ეჩუქებინა ხალხებისთვის სიცოცხლე და გაეთავისუფლებინა ფაშისტური რეჟიმის ოკუპაციისა და ტირანიისგან. ამიტომ ეს პრინციპული „ბრძოლა გონებისათვის“ უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობს დიდ პოლიტიკაში.**

მეორე მსოფლიო ომის ისტორიის ფალსიფიკაცია მიზნად ისახავდა არა მხოლოდ საბჭოთა საზოგადოების ფასეულობებისთვის ძირის გამოთხრას მისი საბოლოო დაშლის მიზნით, გარდამტეხი იყო 1980-1990-იანი წლები. გადაფასდა ასწლეულში მომხდარი ყველა საომარი მოვლენა, განსაკუთრებით — დიდი სამამულო ომი, მათ შორის, წითელი არმიის განმათავისუფლებელი მისიაც. მიზეზი ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში კაპიტალიზმის რესტავრაციაა მისივე ინვერსიული შეფასებებით, აგრეთვე, — მსოფლიოს რუკაზე გეოპოლიტიკური ცვლილებები. შედეგად რუსეთი დასავლეთის ქვეყნების მხრიდან მძლავრი ზემოქმედების ობიექტად იქცა — დასავლეთი რუსეთს თავს ახვევდა „ცივ ომში“ დამარცხებული ქვეყნის როლს.

ზოგიერთმა ქვეყანამ, მაგალითად, ბალტიისპირეთში, თავისი სახელმწიფოებრიობის განმტკიცება რუსეთთან დაპირისპირების ხარჯზე დაიწყო.

სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდეგ საბჭოთა კავშირიც გაქრა „ცივი ომის“ ერთ-ერთი პოლუსიდან. და, საერთოდ, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა: „ცივ ომში“ „გამარჯვებულებმა“ დაიწყეს თანამედროვე ცხოვრების შესახებ თავიათი ნების ჩამოყალიბება და სრულიად მსოფლიოსთვის ისტორიის თავიანთი ვერსიის თავსმოხვევა.

ომის ისტორიის გაყალბება მაშინაც კი გრძელდებოდა, როდესაც „ცივ ომში“ „გამარჯვებულებმა“ გაცხარებით დაიწყეს საბჭოთა მემკვიდრეობის ათვისება.

ამ რთულ ვითარებაში ხდებოდა ტრანსფორმაცია ისტორიული მეხსიერებისა, მათ შორის, დიდ სამამულო ომზეც — სხვადასხვა კატეგორიის ქვეყანაში, სხვადასხვა „ისტორიული ინტერესებით“. ეს პროცესი შეეხო ყველა ქვეყანას: დასავლეთის წამყვან სახელმწიფოებსაც, აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკის ყოფილ ქვეყნებსაც და ახალ სახელმწიფოებსაც, რომლებიც უწინ სსრკ-ის შემადგენლობაში შედიოდნენ, მათ შორის, პოსტსაბჭოთა რუსეთსაც.

**დიდ სამამულო ომზე ისტორიული მეხსიერების ტრანსფორმაცია მიზანმიმართული ისტორიული პოლიტიკაა „ცივი ომის“ პერიოდიდან დღემდე. ის იყო უმთავრესი საშუალება საბჭოთა კავშირისთვის ნეგატიური სახის შექმნის საქმეში, ნგრევის ინსტრუმენტი ჯერ სოციალისტური სისტემისა ევროპაში, შემდეგ — სსრკ-ის დაშლისა მოსახლეობის დემორალიზაციის მეთოდით.**

თუმცა ეს პოლიტიკა არ შეწყვეტილა საბჭოთა სისტემის განადგურების შემდეგაც, არამედ გარდაიქმნა რუსეთზე ფსიქოლოგიური შეტევის საშუალებად, პოსტსაბჭოთა სივრცეზე მტრობის, რუსოფობიისა და რუსეთისადმი სიძულვილის გასაღვივებელ ინსტრუმეტად.

ამასთანავე, ინტენსიურობამ შეტევებისა ისტორიულ მეხსიერებაში მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის როლზე და თავდასხმების ცინიკურობის ხარისხმა მრავალჯერ მოიმატა.

**ფალსიფიკაცია მეორე მსოფლიო ომის ისტორიისა, რომელიც სსრკ-ის ხალხებისთვის დიდი სამამულო ომი იყო, დღეს პოსტსაბჭოთა ხალხების გათიშვის, მათ შორის შუღლის ჩამოგდების ინსტრუმენტად გამოიყენება. ამის წაქეზებასა და პროვოცირებას დღეს მიზანმიმართულად ეწევა ამერიკის შეერთებული შტატები, რომელსაც სურს, სამუდამოდ დაამკვიდროს ერთპოლუსიანი მსოფლიო, რომელშიც ამერიკელები მუდმივად იქნებიან ჰეგემონები და დიქტატორები.**

ცნობიერებაში ისტორიული, რეგიონული და რელიგიური საფუძვლების ასეთი ტრანსფორმაცია აუცილებლად იწვევს სისხლისმღვრელ ომებს, როგორიც იყო იუგოსლავიის დაშლის შემდეგ ერაყში, ლიბიაში, დღეს — სირიასა და უკრაინაში.

ამ ქვეყნებში ანტიკომუნიზმი, ანტისოვეტიზმი და რუსოფობია შემადგენელი ნაწილია პოლიტიკური სტრატეგიისა, რომელიც აგებულია „ნაციონალურ იდენტობაზე“ (როგორც უკრაინაში, სადაც დღეს ლენინისა და კუტუზოვის ძეგლებს ერთნაირი გულმოდგინებით ანგრევენ და მათ ადგილას ბანდერას ძეგლებს დგამენ, სასკოლო სახელმძღვანელოებს ხელახლა წერენ, პოლიტიკოსები კი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში „გერმანიასა და უკაინაში საბჭოთა ჯარების შეჭრაზე“ ლაპარაკობენ).

ანალოგიურია ისტორიული პოლიტიკა ბალტიისპირეთის ახალ სახელმწიფოებში, სადაც მოხდა ეს-ეს-ის რაზმებში მებრძოლი ნაციონალისტური ფორმირებებისა და ჯალათების რეაბილიტაცია, რომლებიც დიდი სამამულო ომის ვეტერანებს დევნიან.

ამ ქვეყნებში ელიტა და ხელისუფლება დაკავებულია ისტორიის გაყალბებით, პოლიტიკური მიზნებისთვის თანმიმდევრულად ცდილობენ მოსახლეობის ეროვნული ცნობიერების ტრანსფორმირებას. ისინი წითელი არმიის განმათავისუფლებელ მისიას, ელემენტარული ლოგიკის საწინააღმდეგოდ, წარმოადგენენ, როგორც ახალ ოკუპაციად, და ივიწყებენ, რომ ეს ახალი ქვეყნები ოდესღაც რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო; შემდეგ კი, 1917 წლის რევოლუციის წყალობითა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით, ეს ქვეყნები საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდნენ, თავიანთი სახელმწიფოებრიობა გაიფორმეს. ასობით ათასმა მებრძოლმა — ამ ხალხების წარმომადგენლებმა — სიცოცხლე გაწირეს საერთო სამშობლოსთვის, საერთო თავისუფლებისთვის, ნაცისტური მონობისგან თავის დახსნისა და ამ ხალხების გენოციდისგან გადარჩენისთვის.



დიდ სამამულო ომში სსრკ-ის როლის პოზიტიური სახით შენარჩუნება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ რუსეთისთვის; არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ამ ომზე ადეკვატური მეხსიერება შენარჩუნდეს მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, უწინარესად, ომში მონაწილეების, როგორც ყოფილი მოკავშირეების, ისე მოწინააღმდეგეთა რიგებში.

**მნიშვნელოვანია, რომ მათ არ დაივიწყონ:**

**ომის სამართლიანი, თავდაცვითი და განმათავისუფლებელი ხასიათი სსრკ-ის მხრიდან; არც სსრკ-ის გადამწყვეტი როლი გამარჯვებაში, არც ჩვენი ხალხის, სახელმწიფოსა და არმიის მიერ გამოვლენილი უნარი უდიდესი მობილიზაციისა და ჰეროიზმისა თავისუფლებისთვის ბრძოლაში; მზადყოფნისა, გადაელახა არნახული სირთულეები და შეემუსრა მტრის მრავალრიცხოვანი ძალები, რომელთა წინაშეც ქედს იდრეკდა ნახევარი მსოფლიო.**

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთო მეხსიერების შენარჩუნება პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების ხალხებთან ერთად. ომის შესახებ მეხსიერება უმნიშვნელოვანესია საერთო (და გამაერთიანებელი) პოზიტიური ფასეულობების შესანარჩუნებლად პოსტსაბჭოთა სივრცის ხალხებისთვის, რომლებმაც ბოლო 25 წლის განმავლობაში ბევრი დრამატული მოვლენა გადაიტანეს.

ეს არის მეხსიერება იმის შესახებ, **რომ ჩვენს მამებსა და ბაბუებს აღმოაჩნდათ უნარი, ერთობლივი ძალით გაენადგურებინათ მანამდე დაუმარცხებელი მტერი — ნაცისტური გერმანია, რომელმაც მის მიერ დაპყრობილი ევროპის ძალები აღმოსავლეთისკენ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გადაისროლა, და ამ მეხსიერებას დღესაც შეუძლია ხალხების მობილიზება ახალი გამოწვევების გადასალახავად. ეს მეხსიერება გვეუბნება, რომ ჩვენ, ყველამ, ერთად გავიმარჯვეთ, რომ ერთად ყოფნისას წარმოვადგენდით ძალას, რომელსაც შესწევდა უნარი, წინააღმდეგობა გაეწია ნებისმიერი ძალისთვის და დაემარცხებინა ნებისმიერი მტერი, დაეძლია ნებისმიერი სირთულე და გამოწვევა.**

**ალექსანდრე სენიავსკი**

გრიგოლ ონიანის
საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ჩვენი ქვეყანა გმირების სამშობლო გახდა. საქართველოს 164 შვილს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. მათგან ზოგი ბრძოლის ველზე დარჩა, ზოგს სიკვდილის შემდეგ მიენიჭა გმირის ოქროს ვარსკვლავი, რომელიც მის ოჯახს გადაეცა; უმეტესობამ კი — სიკვდილამდე ატარა.



# საბჭოთა კავშირის გმირები საქართველოდან დიდ სამამულო ომში

**საბჭოთა კავშირის გმირებზე, ამ ლეგენდადქცეულ ადამიანებზე, რომლებმაც კაცობრიობა იხსნეს კაციჭამია ჰიტლერელებისაგან, უამრავი ლექსი, ნოველა თუ რომანი დაიწერა; შეიქმნა მხატვრული თუ დოკუმენტური ფილმები, მხატვრული ტილოები; მოქანდაკეები ძერწავდნენ და აქანდაკებდნენ ბრძოლებში დაცემულ თუ გვერდით მდგარ ოქროს ვარსკვლავებით მკერდამშვენებულ რაინდებს. ბავშვები სკოლის მერხებიდან ვემზადებოდით გმირობისათვის, სამშობლოსათვის თავის გასაწირად. ხშირად ომის გმირები საკოლმეურნეო მინდვრებზე შრომის გმირებიც ხდებოდნენ. ჩვენი ქვეყანა გმირების სამშობლო გახდა. საქართველოს 164 შვილს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. მათგან ზოგი ბრძოლის ველზე დარჩა, ზოგს სიკვდილის შემდეგ მიენიჭა გმირის ოქროს ვარსკვლავი, რომელიც მის ოჯახს გადაეცა; უმეტესობამ კი — სიკვდილამდე ატარა. სამარადისო დიდება გმირებს!**

დასასრული. დასაწყისი იხ. №15 (297)

**ლიტვინჩუკი ბორის მიხეილის ძე** (1917-1998) — თბილისი. 1944 წლის 16 მაისს მიენიჭა გმირის წოდება ყირიმის გათავისუფლებისთვის ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**ლოკტიონოვი პანტელეიმონ ბორისის ძე** (1919-1944) — თბილისი. 1945 წლის 24 მარტს მიენიჭა გმირის წოდება მდინარე ბუგის მარცხენა ნაპირზე გამართულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**ლურსმანაშვილი ვლადიმერ სამსონის ძე** (1909-1987) —ხარაგაულის რაიონის სოფელი ჩხერი. 1942 წლის 13 დეკემბერს მიენიჭა გმირის წოდება ნალჩიკში ბრძოლის დროს გამოჩენილი მამაცობისათვის;

**მაისურაძე გიორგი ვასილის ძე** (1908-1966) — ონის რაიონის სოფელი ქედი. 1944 წლის 15 იანვარს მიენიჭა გმირობა გომელის მისადგომებთან თავგანწირული ბრძოლისათვის;

**მებაღიშვილი კარლო ალექსანდრეს ძე** (1920-1949) — თბილისი. 1945 წლის 29 ივნისს მიენიჭა გმირის წოდება აღმოსავლეთ პრუსიაში საჰაერო ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**მელითიანი არუთინ რუბენის ძე** (1925-უცნ.) — გაგრა. 1945 წლის 27 ივნისს მიენიჭა გმირის წოდება მდინარე ოდერზე გამართულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**მერკვილაძე გარი ალექსანდრეს ძე** (1923-1971) — ბათუმი. 1945 წლის 27 იანვარს მიენიჭა გმირის წოდება საჰაერო ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**მერკვილაძე დავით სერგოს ძე** (1919-1967) — ზესტაფონის რაიონის სოფელი ქვემო საქარა. 1945 წლის 28 აპრილს მიენიჭა გმირის წოდება უნგრეთში მიმდინარე ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**მურადოვი ბედირ ბეიმონდის ძე** (1909-1944) — ადიგენის რაიონის სოფელი ზედვანი. 1945 წლის 20 აპრილს (სიკვდილის შემდეგ) მიენიჭა გმირის წოდება დუნაის მარჯვენა ნაპირზე ბრძოლებში მამაცობის გამოჩენისათვის;

**მუსტაფაევი ბექირ დურსუნ ოღლი** (1895-1978) — ახალციხის რაიონი. 1944 წლის 10 მაისს მიენიჭა გმირის წოდება ქერჩის ნახევარკუნძულის გათავისუფლებისათვის ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**ნანეიშვილი ვლადიმერ ვარდენის ძე** (1903-1978) — ქუთაისი. 1940 წლის 21 მარტს მიენიჭა გმირის წოდება მამაცობისა და თავდადებისათვის;

**ოგანოვი სერგო მამბრეს ძე** (1921-1941) — თბილისი. 1943 წლის 27 თებერვალს მიენიჭა გმირის წოდება როსტოვის ოლქის სოფელ ბოლშოი სალისთვის წარმოებულ ომში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**ოსტაევი ალექსი იაგორის ძე** (1905-1942) — ჯავის რაიონის სოფელი სოხთა. 1940 წლის 21 მარტს მიენიჭა გმირის წოდება ფინელებთან წარმოებულ ომში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**ოჩელენკო ვლადიმერ ნიკოლოზის ძე** (1922-1944) — სოხუმი. 1945 წლის 15 აპრილს მიენიჭა გმირის წოდება (სიკვდილის შემდეგ) ნიკოლაევისათვის წარმოებულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**პაპიძე ვლადიმერ ივანეს ძე** (1900-1975) — ჭიათურის რაიონის სოფელი უსახელო. 1945 წლის 24 მარტს მიენიჭა გმირის წოდება ქერჩთან გამართულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**პაპუაშვილი გიორგი იოსების ძე** (1913-1944) — ხაშურის რაიონის სოფელი დუმაცხო. 1945 წლის 24 მარტს (სიკვდილის შემდეგ) მიენიჭა გმირის წოდება მდინარე დუნაის გადალახვისათვის ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**პილიპენკო ვლადიმერ სტეფანეს ძე** (1918-2005) — თბილისი. 1944 წლის 16 მაისს მიენიჭა გმირის წოდება ქალაქ ანაპისათვის გამართულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;



**პირმისაშვილი ალექსი ზაქარიას ძე** (1913-1986) — დუშეთის რაიონის სოფელი პირმისაანთკარი. 1942 წლის 13 დეკემბერს მიენიჭა გმირის წოდება კავკასიისათვის ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**პოპკოვი ვიტალი ივანეს ძე** (1922-2010) — სოხუმი. ორჯერ — 1943 წლის 8 სექტემბერს და 1945 წლის 27 ივნისს — მიენიჭა გმირის წოდება საჰაერო ბრძოლებში უმაგალითო მამაცობისათვის;

**რაზმაძე გალაქტიონ სამსონის ძე** (1913-1988) — ონის რაიონის სოფელი წმინდაურა. 1944 წლის 23 ივლისს მიენიჭა გმირის წოდება სოფელ კალინინოს მახლობლად წარმოებულ ომში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**რედკინი ნიკოლოზ ეფიმეს ძე** (1907-2000) — სოხუმი. 1945 წლის 24 მარტს მიენიჭა გმირის წოდება მდინარე ნემანის გადალახვისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**რიკაჩევი იური ბორისის ძე** (1910-უცნ.) — თბილისი. 1942 წლის 10 თებერვალს მიენიჭა გმირის წოდება საჰაერო ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის;

**როსტიაშვილი შოთა პეტრეს ძე** (1924-1945) — მცხეთის რაიონის სოფელი ძეგვი. 1945 წლის 24 მარტს მიენიჭა გმირის წოდება მდინარე სინიაიას გადალახვისას წარმოებულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**როსტომიანი აპავენ ვასილის ძე** (1905-1945) — ბოლნისის რაიონი სოფელი ხაჩინი. 1945 წლის 10 აპრილს მიენიჭა (სიკვდილის შემდეგ) გმირის წოდება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში მიმდინარე ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**საბანოვი გრიგოლ გერასიმეს ძე** (1910-1968) ლენინგორის (ახალგორის) რაიონის სოფელი ქედიგორა. 1943 წლის 1 ნოემბერს მიენიჭა გმირის წოდება მდინარე დნეპრის გადალახვისათვის ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**სამხარაძე გრიგოლ სევასტის ძე** (1917-1965) — ხაშურის რაიონის სოფელი წაღვლი. 1945 წლის 24 მარტს მიენიჭა გმირის წოდება სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ომში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**სიმონიანი კარაპეტ სიმონის ძე** (1918-1983) — თბილისი. 1940 წლის 15 იანვარს მიენიჭა გმირის წოდება ფინეთთან წარმოებულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**სირტლანოვა მაგუბა ჰუსეინის ასული** (1912-1971) — თბილისი. 1946 წლის 15 მაისს მიენიჭა გმირის წოდება პოლონეთსა და აღმოსავლეთ პრუსიაში, აგრეთვე, ბერლინისათვის საჰაერო ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**სიხნო პეტრე მიხეილის ძე** (1920-1945) — გარდაბანი. 1945 წლის 24 მარტს მიენიჭა გმირის წოდება ქალაქ ტორნოსათვის გამართულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**სლიუსარევი სიდორ ვასილის ძე** (1906-1981) — თბილისი. **პირველი გმირი საქართველოდან.** 1939 წლის 22 თებერვალს მიენიჭა გმირის წოდება მთავრობის დავალებათა ბრწყინვალე შესრულებისათვის;

**სორდია ბონძინ ავქსენტის ძე** (1911-1944) — ზუგდიდის რაიონის სოფელი ცაიში. 1943 წლის 13 ნოემბერს მიენიჭა გმირის წოდება მდინარე დნეპრის გადალახვისათვის ბრძოლებში ასეულის უნარიანი ხელმძღვანელობისათვის;

**სოტნიკოვი ალექსანდრე ტიმოთეს ძე** (1900-1974) — თბილისი. 1946 წლის 15 მაისს მიენიჭა გმირის წოდება ბერლინის მიმართულებით წარმოებულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**სულაბერიძე ალექსანდრე სერგოს ძე** (1916-1958) — ლანჩხუთის რაიონის სოფელი ლესა-ჭინათი. 1940 წლის 21 მარტს მიენიჭა გმირის წოდება ფინელებთან ბრძოლაში გამოჩენილი გულადობისა და ვაჟკაცობისათვის;

**სურამელაშვილი გრიგოლ თევდორეს ძე** (1915- ) მცხეთის რაიონის სოფელი ძეგვი. 1944 წლის 29 სექტემბერს მიენიჭა გმირის წოდება პადევის რაიონში მიმდინარე ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**სხულუხია გრიგოლ პეტრეს ძე** (1909-1942) — ზუგდიდის რაიონის სოფელი რუხი. 1945 წლის 29 ივნისის ბრძანებულებით მიენიჭა გმირის წოდება ყირიმისათვის ერთ-ერთ სისხლიმღვრელ ბრძოლაში გამოჩენილი უმაგალითო გმირობისათვის (გერმანელებმა ცოცხლად დაწვეს კოცონზე);

**ტარაკანოვი ნიკოლოზ სერგოს ძე** (1918—1993) — თბილისი. 1945 წლის 29 ივნისს მიენიჭა გმირის წოდება გაიდუასათვის ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**ტარანოვსკი ვასილ იაკობის ძე** (1907-უცნ.) თბილისი. 1945 წლის 24 მარტს მიენიჭა გმირის წოდება ქალაქ პლოცკისთვის გამართულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**ტერელაძე აკაკი ლუკას ძე** (1919-1943) წულუკიძის (ხონის) რაიონის სოფელი გვაზაური. 1944 წლის 10 იანვარს მიენიჭა გმირის წოდება მდინარე დნეპრის გადალახვისას წარმოებულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**ტიაშენკო გაბრიელ ელიზბარის ძე** (1912-1944) — თბილისი. 1945 წლის 19 აპრილს მიენიჭა გმირის წოდება ქალაქ ნიკოლაევში გამართულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**ტიბუა შოთა პლატონის ძე** (1918-1945) — ზუგდიდის რაიონის სოფელი ჭაქვინჯი. 1945 წლის 24 მარტს მდინარე ვისლის გადალახვის ბრძოლებში მოპოვებული მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება;

**ტურკული ვლადისლავ ალექსანდრეს ძე** (1923-2002) — თბილისი. 1945 წლის 18 აგვისტოს მიე- ▶

მთავარი



## ანგელა მერკელი: მოსკოვში გამგზავრება მნიშვნელოვანია

**მიუხედავად რუსეთთან არსებული უთანხმოებისა, 10 მაისს მოსკოვში გამგზავრება ძალიან მნიშვნელოვანია, — განაცხადა გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა.** „ჩვენსა და რუსეთს შორის ახლა აზრთა ძალიან დიდი სხვაობაა, განსაკუთრებით უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ 10 მაისს წავიდე მოსკოვში და რუსეთის პრეზიდენტთან ერთად პატივი მივაგო უცნობი ჯარისკაცის საფლავს, პატივი მივაგო მეორე მსოფლიო ომის დროს დაღუპულ მილიონობით ადამიანს, რაც გერმანიის სინდისზეა“, — განაცხადა კანცლერმა. 9 მაისს მოსკოვში გამგზავრებაზე ანგელა მერკელმაც თქვა უარი ისევე, როგორც სხვა რამდენიმე დასავლელმა ლიდერმა. მაგრამ მერკელი რუსეთში 10 მაისს მაინც ჩავა და უცნობი ჯარისკაცის მემორიალს გვირგვინით შეამკობს.





## საბჭოთა კავშირის გმირებზე, ამ ლეგენდადქცეულ ადამიანებზე, რომლებმაც კაცობრიობა იხსნეს კაციჭამია ჰიტლერელებისაგან, უამრავი ლექსი, ნოველა თუ რომანი დაიწერა; შეიქმნა მხატვრული თუ დოკუმენტური ფილმები, მხატვრული ტილოები; მოქანდაკეები ძერწავდნენ და აქანდაკებდნენ ბრძოლებში დაცემულ თუ გვერდით მდგარ ოქროს ვარსკვლავებით მკერდამშვენებულ რაინდებს.

გრიგოლ ოնიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ნიჭა გმირის წოდება პოლონეთის განთავისუფლებისა და აღმოსავლეთ პრუსიის ასაღებად გამართულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**ტუღუში ელისე სიმონის ძე** (1913-1982) — ლანჩხუთის რაიონის სოფელი ახალსოფელი. 1945 წლის 31 მაისს მიენიჭა გმირის წოდება მდინარე ოდერის დასავლეთ ნაპირზე გამართულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**ტყაბლაძე კონსტანტინე ესტატეს ძე** (1910-1980) — წყალტუბოს რაიონის სოფელი ყუმისთავი. 1943 წლის 21 ოქტომბერს მიენიჭა გმირის წოდება მდინარე დნეპრის გადალახვისას გამოჩენილი მამაცობისათვის;

**უდალცოვი ეფიმ გრიგოლის ძე** (1922-1973) — თბილისი. 1945 წლის 16 ივნისს მიენიჭა გმირის წოდება საჰაერო ბრძოლებში მოპოვებული წარმატებებისათვის;

**უკლება კირილე ნიკიფორეს ძე** (1913-1997) — ტყიბულის რაიონის სოფელი კურსები. 1945 წლის 27 თებერვალს მიენიჭა გმირის წოდება ოდერისათვის ბრძოლებში გამოჩენილი უმაგალითო გმირობისათვის;

**ურუშაძე ნოე ალექსანდრეს ძე** (1920-1943) — ლანჩხუთი. 1944 3 ივნისს მიენიჭა გმირის წოდება მდინარე დნეპრის გადალახვისათვის;

**ქანთარია მელიტონ ვარლამის ძე** (1920-1993) — წალენჯიხის რაიონის სოფელი ჯვარი. 1946 წლის 8 მაისს მიენიჭა გმირის წოდება ბერლინის ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**ქირია შალვა ნესტორის ძე** (1910-1988) — ზუგდიდის რაიონი სოფელი ცაიში. 1944 წლის 26 ოქტომბერს მიენიჭა გმირის წოდება საჰაერო ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**ყაზარიანი აშოტ ვაღარშაკის ძე** (1919-1995) — წალკის რაიონის სოფელი ჩივთქილისა. 1945 წლის 24 მარტს მიენიჭა გმირის წოდება აღმოსავლეთ პრუსიისათვის ბრძოლებში გამოჩენილი ვაჟკაცობისათვის;

**ყოჩიევი კონსტანტინე გიორგის ძე** (1913-1946) — ჯავის რაიონის სოფელი ტონტობეთი. 1944 წლის 16 მაისს მიენიჭა გმირის წოდება „მცირე მიწის" განთავისუფლებისათვის ბრძოლაში;

**შაპირო ვალენტინე ეფიმეს ძე** (1922-1996) — ბათუმი. 1946 წლის 15 მაისს მიენიჭა გმირის წოდება საჰაერო ბრძოლებში თავგანწირული მოქმედებებისთვის;

**შენგელია გიორგი დავითის ძე** (1908-1981) — სამტრედიის რაიონი, სოფელი კულაში. 1944 წლის 2 იანვარს მიენიჭა გმირის წოდება, ქალაქ ხერსონისათვის მიმდინარე ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**შიშინაშვილი აბიბო ერასტის ძე** (1919-1945) — ამბროლაურის რაიონის სოფელი ტოლაში. 1945 წლის 24 მარტს (სიკვდილის შემდეგ) მიენიჭა გმირის წოდება ბაუსკასთან (ბალტიისპირეთი) ბრძოლებისას გამოჩენილი მამაცობისათვის;



ბერლინი. მემორიალი დაღუპული საბჭოთა მეომრების პატივსაცემად

**შმაროზოვი გრიგოლ სტეფანეს ძე** (1912- უცნ.) — გორის რაიონი. 1944 წლის 10 იანვარს მიენიჭა გმირის წოდება დნეპრის დასავლეთ ნაპირზე ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**შორნიკოვი ალექსანდრე სერგოს ძე** (1912-1983) — თბილისი. 1944 წლის 20 ივნისს მიენიჭა გმირის წოდება საჰაერო ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**შურღაია შოთა იოსების ძე** (1920-2005) — ფოთი. 1946 წლის 15 მაისს მიენიჭა გმირის წოდება საჰაერო ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**ჩაკრიანი არუთინ ხაჩიკის ძე** (1918-1944) — სოხუმი. 1945 წლის 24 მარტს მიენიჭა გმირის წოდება საპუნგორაზე გამართულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის.

**ჩანჩიბაძე პორფილე გიორგის ძე** (1901-1950) — ოზურგეთი. მხედართმთავარი, გენერალ-ლეიტენანტი. 1945 წლის 19 აპრილს მიენიჭა გმირის წოდება მხედრული მამაცობისათვის;

**ჩეჩელაშვილი ოთარ გრიგოლის ძე** (1923-1959) — თბილისი. 1945 წლის 27 ივნისს ბერლინის შტურმზე გამოჩენილი მამაცობისათვის;

**ჩილაჩავა შალვა ილიას ძე** (1911-უცნ.) — ზუგდიდი. 1944 წლის 23 აგვისტოს მიენიჭა გმირის წოდება ოზარიჩევსკის მახლობლად მიმდინარე ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**ჩიქოვანი ვახტანგ ვლადიმერის ძე** (1919-1944) — სამტრედია. 1944 წლის 13 სექტემბერს მიენიჭა გმირის წოდება კორსუნ-შენჩევკოვოს რაიონში მიმდინარე ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**ჩოჩიევი ვასილ სიმონის ძე** (1917-1947) — ცხინვალის რაიონის სოფელი ბაბინეთი. 1943 წლის 1 ნოემბერს მიენიჭა გმირის წოდება საჰაერო ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**ჩუბინიძე ლევან ვარლამის-ძე** (1916-1943) ზესტაფონის რაიონი სოფელი როდინოული. 1943 წლის 17 ოქტონმერს მიენიჭა გმირის წოდება მდინარე დნეპრის გადალახვისათვის წარმოებულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**ჩხაიძე ვლადიმერ მიხეილის ძე** (1922-1943) — მოსკოვი. 1943 წლის 20 დეკემბერს მიენიჭა გმირის წოდება, სოლოშინოს რაიონში წარმოებულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**ჩხაიძე სერგო ალისტრახოს ძე** (1919-1971) — ლანჩხუთის რაიონის სოფელი აკეთი. 1945 წლის 24 მარტს მიენიჭა გმირის წოდება სევასტოპოლისათვის გამართულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**ციციშვილი ირაკლი ნიკოლოზის ძე** (1918-2001) — თბილისი. 1943 წლის 29 ოქტომბერს მიენიჭა გმირის წოდება საომარი მოქმედებების დროს სამშენებლო საქმიანობის უმაგალითო წარმოებისათვის;

**ცუცქირიძე კონსტანტინე ზაქარიას ძე** (1912-1945) — ჭიათურის რაიონი სოფელი სვერი. 1946 წლის 15 მაისს მიენიჭა გმირის წოდება ბერლინისათვის ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**ცხოვრებოვი ივანე დავითის ძე** (1919-1943) — ზნაურის რაიონის სოფელი ალიბარი. 1944 წლის 22 თებერვალს მიენიჭა გმირის წოდება მდინარე დნეპრის გადალახვისთვის წარმოებულ ბრძოლებში;

**წიქორიძე პლატონ ლუკას ძე** (1918-1994) — ჩოხატაურის რაიონის სოფელი ინტაბუეთი. 1943 წლის 17 ნოემბერს მიენიჭა გმირის წოდება ყირიმის ნახევარკუნძულზე წარმოებულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**წულუკიძე ბორის აბესალომის ძე** (1917-1981) — ამბროლაურის რაიონი, სოფელი კაჩაეთი. 1946 წლის 9 მაისს მიენიჭა გმირის წოდება პოლონეთის მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის;



**წურწუმია ალექსანდრე პეხუს ძე** (1910-1941) — ცხაკაიას (სენაკი) რაიონის სოფელი გოდასყური. მიენიჭა გმირის წოდება საჰაერო ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**ჭილლაძე სერგო გედევანის ძე** (1920-1944) — ჭიათურის რაიონი, სოფელი ზოდი. 1944 წლის 23 ივნისს მიენიჭა გმირის წოდება სოფელ დუბროვოსათვის სისხლისმღვრელ შეტაკებაში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**ხაპროვი ივანე ვასილის ძე** (1918-1939) — თბილისი. 1940 წლის 21 მარტს მიენიჭა გმირის წოდება ფინეთ-საბჭოთა კავშირის ომში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**ხარაზია ვლადიმერ კამსაგის ძე** (1916-1942) — გუდაუთის რაიონის სოფელი ჯირხვა. 1942 წლის 2 ივნისს მიენიჭა გმირის წოდება კავკასიონზე წარმოებულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**ხაჯიევი კონსტანტინე ილიის ძე** (1911-1977) — წყალტუბო. 1945 წლის 24 მარტს მიენიჭა გმირის წოდება სევასტოპოლის გათავისუფლებისათვის ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**ხიტალიშვილი ზაქარია სოლომონის ძე** (1923-1986 ) — დუშეთის რაიონის სოფელი არანისი. 1944 წლის 13 აპრილს მიენიჭა გმირის წოდება საჰაერო ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**ხმალაძე ილია გიორგის ძე** (1916-1941) — ახალციხე. 1940 წლის 21 მარტს მიენიჭა გმირის წოდება ფინელებთან ბრძოლის დროს გამოჩენილი მამაცობისათვის;

**ხოდოსოვი ნიკოლოზ იაკობის ძე** (1913-1984) — სოხუმი. 1945 წლის 24 მარტს მიენიჭა გმირის წოდება დნეპრის მარჯვენა ნაპირზე წარმოებულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის.

**ჯაბიძე დავით ვასილის ძე** (1917-1982) — თერჯოლის რაიონის სოფელი ჩხარი. 1946 წლის 15 მაისს მიენიჭა გმირის წოდება საჰაერო ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**ჯანჯღავა ვლადიმერ ნიკოლოზის ძე** (1907-1982) — წულუკიძის (ხონი) რაიონის სოფელი გუბი. 1945 წლის 29 მაისს გენერალ მაიორი დაჯილდოვდა გმირის წოდებით მხედრული მამაცობისათვის;

**ჯაფარიძე თენგიზ ივანეს ძე** (1925-1944) — თბილისი. 1944 წლის 23 სექტემბერს მიენიჭა გმირის წოდება მდინარე ვისლის ნაპირზე გამართულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის;

**ჯინჭარაძე ისრაფილ ქემალის ძე** (1916-1943) — სოფელი მახინჯაური. 1944 წლის 4 თებერვალს მიენიჭა გმირის წოდება საჰაერო ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის.



## აშშ სახელმწიფო დეპარტამენტში გეირწმუნებული დანიშნეს

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში ახალი თანამდებობა შემოიღეს — გეირწმუნებული. ამიერიდან გეების, ლესბოსელების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერების უფლებებს ოფიციალურად დაიცავს ვინმე რენდი ბერი — 50 წლის მამათმავალი, შეთავსებით დიპლომატი.**

**რენდი „გათხოვილია", „ქმარი" — პრავეშ სინგხი სამხრეთ აფრიკაში გაიცნო და მისგან ქალ-ვაჟი „შეეძინა".**

ბერიმ უკვე განაცხადა, რომ წლის ბოლოს ეწვევა აფრიკას, აზიას, ახლო აღმოსავლეთსა და ევროპას, სადაც გამართავს შეხვედრებს სახელმწიფო მოხელეებთან, ადგილობრივ აქტივისტებთან, აგრეთვე, მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა ფორუმში.

უწინ ასეთი თანამდებობა სახელმწიფო დეპარტამენტში არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ დრო შეიცვალა, მოვიდა ობამა და პედერასტ-ლესბოსელებისთვის აყვავების ხანა დადგა. აღსანიშნავია, რომ **აშშ-ის პრეზიდენტის პოსტის ერთ-ერთი მაძიებელი ჰილარი კლინტონი „იმუქრება", რომ მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში ჰომოსექსუალებს „სამოთხის ერა" დაუდგებათ, თუმცა ეს მომავალში.** დღეს კი, ობამას მმართველობის პერიოდში, სხვადასხვა ქვეყანაში აშშ-ს წარმოადგენენ რეკორდული რაოდენობის ელჩი-პედერასტები. **უცნობია, როგორი სექსუალური ორიენტაციისაა საქართველოში აშშ-ის ელჩი, ბატონი ნორლანდი, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რენდი ბერის ხელშეწყობით, საქართველოში ამერიკა ჰომოსექსუალმა წარმოადგინოს.** და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **დავით უსუფაშვილი** და მისი მეუღლე, აწ უკვე თავდაცვის მინისტრი **თინა ხიდაშელი** სახელდებოდნენ ელ-გე-ბე-ტეს 2013 წლის არშემდგარი აღლუმის ფარულ ორგანიზატორებად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლების სახით, რენდი ბერი ბევრ მეგობარს და თანამოაზრეს შეიძენს, ანუ საქართველოში პედერასტებს „მწვანე" აენთებათ.

**გიორგი კორძაძე**

მოკლედ



## საქართველოში ამერიკული სამხედრო ტექნიკა შემოიტანეს

**თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ქართულ-ამერიკული ერთობლივი სწავლებისთვის განკუთვნილი ამერიკული სამხედრო ტექნიკა ბათუმის პორტში გემით შემოვიდა.** 14 ერთეული ქვეითთა საბრძოლო მანქანა „ბრედლის", ლოჯისტიკური უზრუნველყოფის მანქანებსა და სწავლებისთვის განკუთვნილ აღჭურვილობას 6 მაისს ვაზიანში ეშელონებით ჩაიტანენ. სწავლებისთვის საჭირო სამხედრო ტექნიკა ბულგარეთის ქალაქ ვარნადან 2 მაისს გამოიგზავნა. ქართულ-ამერიკული ერთობლივი სწავლება „მაღალი დონის პარტნიორობა" (Noble Partner) ვაზიანში 11 მაისს გაიხსნება და 25 მაისს დასრულდება.

ახალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ესტონეთის რესპუბლიკისთვის ემიგრაცია არ არის ისეთივე მწვავე თემა, როგორც ლიტვისა და ლატვიისთვის, მაგრამ 130 ათასი ადამიანის დაკარგვა 1,3-მილიონიანი ქვეყნისთვის ცოტა არ არის, რადგან დასახელებული რაოდენობა მოსახლეობის 10 პროცენტია.**

**ამ წიგნის ანოტაციაში წერია, რომ რეგიონი, რომელიც საბჭოთა კავშირში ყველაზე უფრო წარმატებულად იყო მიჩნეული, ევროკავშირში გაერთიანების შემდეგ ორმაგ პერიფერიად იქცა, მივარდნილ გარეუბნად ევროპისა. ახლა ეს ქვეყნები, რომელთაც უნდა შეესრულებინათ გეოპოლიტიკური ბუფერის როლი ვლადივოსტოკსა და ლისაბონს შორის, ერთგვარ ხიდად გადებულიყო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, აღარავის აინტერესებს.**
**ინტერესის დაკარგვას კი შედეგად მოჰყვა ადგილობრივი ეკონომიკის დეგრადაცია და სოციალური დონის მკვეთრი დაქვეითება. მიგრაციის ტალღა ისე გაძლიერდა, რომ ბალტიისპირეთი დღეს სწრაფად ცარიელდება.**
**აღნიშნული წიგნის გადმოქართულებული ვარიანტი არამც და არამც არ არის (მიახლოებითაც კი) ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის საშინაო საქმეებში რაიმე ფორმით ჩარევის მცდელობა. მკითხველებს ამ ნაშრომს ვთავაზობთ ერთადერთი მიზნით — გასაანალიზებლად და გასათვალისწინებლად იმ პერსპექტივისა, რომელიც შეიძლება დადგეს ჩვენი ქვეყნის წინაშე, თუ ბალტიის სახელმწიფოების გზას ავირჩევთ. შეცდომები ისედაც საკმარისად დავუშვით...**

ალექსანდრე ნოსოვიჩი:

# ევროპის მივარდნილი გარეუბანი




## რატომ კვდება ბალტიისპირეთი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №15 (297)

### ლატვია

ლატვიიდან ემიგრაციის რეალური მასშტაბი მრავალჯერ აღემატება აქაური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებს. მაგალითად, 7 ლატვიელიდან, რომლებმაც დაარეგისტრირეს ჩასვლა ირლანდიის საემიგრაციო სამსახურში, ლატვიის საემიგრაციო სამსახურში ქვეყნიდან გასულად მხოლოდ ერთია რეგისტრირებული.

**ეკონომიკისა და მართვის ფაკულტეტის პროფესორ მიხეილ ხაზანის გამოთვლით, 2000-დან 2011 წლამდე ლატვიიდან წავიდა 140 ათასი ადამიანი, მათ ჩაუთვლელად, ვინც ევროკავშირის ქვეყნებში ნახევრად ლეგალურ მდგომარეობაში იმყოფება, ანუ არ არის რეგისტრირებული.** ლატვიის უნივერსიტეტის მეორე პროფესორი, **ანდრის დენინში**, რომელიც აუდიტორულ ფირმა **BDO Jnvest Riga**-ს ხელმძღვანელობდა, 2012 წელს ამტკიცებდა, რომ **დამოუკიდებლობის წლებში ლატვია დატოვა, სულ ცოტა, 450-მა ათასმა მცხოვრებმა. მოსახლეობის 2011 წლის აღწერამ გვაჩვენა, რომ საზღვარგარეთ დამკვიდრებულია ლატვიის 326 ათასი მოქალაქე. „რიცხვების ეს ბრძოლა“ მიმდინარეობს იმ ქვეყნის რეალიების ფონზე, რომლის მოსახლეობა უკვე 2 მილიონზე ნაკლებია.**

ემიგრაციის პირველი პიკი 1990-იანი წლების დასაწყისზე მოდის, როცა ქვეყნიდან მოქალაქეობაჩამორთმეული რუსი ეროვნების ადამიანები გაიქცნენ, და რომლებიც „ოკუპანტებად“ შერაცხეს. ემიგრაციის რეკორდი, რომელიც დღემდე უცვლელია 1999 წელს დამყარდა: ერთი წლის თავზე, მას შემდეგ, რაც საზოგადოებრიობა მოქალაქეებად და „არამოქალაქეებად“ გაიყო, ლატვიიდან სამუდამოდ გადასახლდა 36 ათასი ადამიანი.

**სრულიად განსხვავებული ისტორია დაიწყო ლატვიის ევროკავშირში გაერთიანების შემდეგ: 10 წლის განმავლობაში ეს ქვეყანა მოსახლეობის 13 პროცენტმა დატოვა. მიგრაციის პიკი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პერიოდს დაემთხვა, რომელმაც სხვა ქვეყნებზე გაცილებით მკვეთრად ლატვიაზე იმოქმედა და იგი გაკოტრებულ ქვეყნად აქცია. ცენტრალური სტატსამმართველოს მონაცემებით, 2010 წელს რესპუბლიკა 11-მა ათასმა დამიანმა დატოვა, 2011 წელს — 30-მა ათასმა, 2012 წელს — 25-მა ათასმა, 2013 წელს — 23-მა ათასმა.**

**თუ მოსახლეობის გადინება ასეთივე ტემპებით გაგრძელდება, 2030 წლისთვის შრომისუნარიანი მოსახლეობა ლატვიიდან სრულად გადასახლდება.**

2012 წლის ონლაინგამოკითხვის მიხედვით, რომელიც ლატვიური სოციალური ქსელის **dzaugiem.Lv**-ის მომხმარებელთა შორის ჩატარდა, ქვეყნიდან გასული ადამიანების უმრავლესობამ ემიგრაციის მიზეზად დაასახელა ფინანსური პრობლემები, რომლებიც იპოთეკური კრედიტების დაფარვასთან იყო დაკავშირებული. ასეთი შედეგები მოჰყვა ლატვიაში „კრედიტის ბუშტების“ ეკონომიკის ჩამოყალიბებას, რომლებიც „გასკდა“ 2008 წლის ეკონომიკური კრიზისის დროს: **მიგრანტების უმრავლესობა, რომელიც რიგის აგლომერაციიდან იყო გამოსული, წელში გატყდა.** ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში, როცა პროცენტული განაკვეთები დაბალი იყო, ხელფასები კი მაღალი, დედაქალაქის რეგიონის მცხოვრებთა უმრავლესობამ იპოთეკური და სამომხმარებლო სესხები აიღო. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ „კრიზისული“ მიგრანტები წარმოდგენილი არიან რიგის აგლომერაციის ყოფილი მოქალაქეებით. ამას ადასტურებენ ლატვიის უნივერსიტეტის, ტარტუს უნივერსიტეტისა და ბამბერგში ოტო ფრიდრიხის უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომლები **დ. გელერი, ზ. კრიშნე** და **მ. ბერზინში.**

ლატვიიდან მხოლოდ ქალაქის მცხოვრებნი არ გარბიან. ემიგრანტთა შორის არიან სოფლების წარმომადგენლებიც.

პრობლემა მწვავეა, მაგრამ ლატვიის ხელისუფალნი მას საკმარის ყურადღებას არ აქცევენ. მოსახლეობის საზღვარს მიღმა გადინება მათთვის თავისებურ პანაცეად იქცა ეკონომიკური პრობლემების მოგვარების „საშუალებად“.

ოფიციალური მონაცემებით, **ემიგრანტთა 60 პროცენტი 35 წლამდე ახალგაზრდობაა.** არაოფიციალური მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 75-80 პროცენტს შეადგენს. საზღვარგარეთ გასულია ლატვიის ახალგაზრდობის, სულ ცოტა, 17 პროცენტი. ასეა, თუ ვენდობით მთავრობის მონაცემებს. უფრო მეტიც: **ემიგრანტების დაახლოებით მეოთხედს 15-დან 24-წლამდე ახალგაზრდები შეადგენენ.** ისევე, როგორც ლიტვაში აქაც შეიმჩნევა ოჯახებით გადასახლების ტენდენცია.

**დროებით საშოვარზე წასვლას ამას ვერ დავარქმევთ, ადამიანებს თავიანთ ქვეყანაში ცხოვრება არ სურთ. ძნელია ამის გამო მათი დადანაშაულება: „ჯინის კოეფიციენტის“ მიხედვით ლატვიას ევროპაში უკავია პირველი ადგილი უთანაბრო ქონებრივი განაწილების თვალსაზრისით, ხოლო EUZOSTAT-ის მიხედვით, იგი ევროკავშირის ანტილიდერია იმ მოსახლეობის რაოდენობით, რომელიც სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. გაეროს ადამიანური განვითარების ინდექსის მიხედვით, ლატვიას ევროკავშირში ბოლო ადგილი უკავია ბულგარეთთან და რუმინეთთან ერთად.** დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპაში ადამიანების გადინება ლატვიის რესპუბლიკას უახლოესი ათწლეულების პერსპექტივაში არავითარ შანსს არ უტოვებს.

### ესტონეთი

**ესტონეთის რესპუბლიკისთვის ემიგრაცია არ არის ისეთივე მწვავე თემა, როგორც ლიტვისა და ლატვიისთვის, მაგრამ 130 ათასი ადამიანის დაკარგვა 1,3 მილიონიანი ქვეყნისთვის ცოტა არ არის, რადგან დასახელებული რაოდენობა მოსახლეობის 10 პროცენტია.**

ესტონელებს მასობრივი მიგრაციის ერთგვარად განსხვავებული გეოგრაფია აქვთ: ემიგრანტების ნახევარზე მეტი მიემგზავრება მეზობელ ფინეთში. ფინელები და ესტონელები ფინურ-უგრორული ჯგუფის მონათესავე ხალხები არიან: მათი ენები ერთმანეთთან ისეთივე კავშირშია, როგორც რუსული და უკრაინული, ხოლო ერთმანეთთან ურთიერთობის განვითარება ორივე ქვეყნისთვის პრიორიტეტულია. ამიტომაა, რომ ახალ ადგილზე შრომითი მოწყობის საკითხი გადასახლებული ესტონელებისთვის არასოდეს ქცეულა პრობლემად. ამასთანავე, ხელფასები ფინეთში, ესტონეთთან შედარებით, 5-6-ჯერ მაღალია, ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ს დონის მიხედვით სუომის მსოფლიოში მე-18 ადგილი უკავია, **ესტონეთში კი სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის 17,5 პროცენტი ცხოვრობს; სოციალურ სფეროზე გაწეული დანახარჯებით ეს ქვეყანა ევროკავშირის სახელმწიფოთა შორის ბოლო ადგილზეა — მხოლოდ 12 პროცენტი, ევროკავშირში საშუალოდ 27 პროცენტია.**

ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ესტონეთიდან ფინეთისკენ ისწრაფიან, ასევე — ბალტიისპირეთისთვის ტრადიციული დიდი ბრიტანეთისა და ნორვეგიისკენ. ემიგრაციის პირველი პიკი (რუსი ეროვნების მოქალაქეებისა და საბჭოთა ჯარის გასვლა რესპუბლიკიდან) 1992 წელს აღინიშნა.

სრულიად განსხვავებული სიტუაცია წარმოიქმნა, როცა გაიხსნა საზღვარი დასავლეთისკენ. **მას შემდეგ, რაც ესტონეთი ევროკავშირში მიიღეს, განსაკუთრებით კი 2008 წლის კრიზისის პირობებში, ემიგრაციის მატება ადგილობრივი შრომისუნარიანი მოსახლეობის ხარჯზე მიმდინარეობს. თუ 2009 წელს ქვეყნიდან გავიდა 4,6 ათასი ადამიანი, 2011 წელს — 6,2 ათასი იყო, 2012 წელს თითქმის 11 ათასი.**

„მანამდე, სანამ გამოქვეყნდება ოფიციალური რიცხვები, **შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში ესტონეთის ადამიანური დანაკარგები უთანაბრდება მეორე მსოფლიო ომის დროს ჩვენს დანაკარგებს**, განაცხადა 2011 წელს ესტონეთის დამოუკიდებლობის იუბილის აღნიშვნის კვირაძალს ტალინის მერმა **ედგარ სავისაარმა**, — მოსახლეობის რაოდენობა უძლიერესი ინდიკატორია, რომელიც გვიჩვენებს რეგიონის სიცოცხლისუნარიანობას. ესტონეთისთვის ასეთი მაჩვენებელი ყველა შემთხვევაში ნეგატიურია“.

ასეთი მაჩვენებელი ნეგატიურია არა მხოლოდ ესტონეთისთვის, არამედ ბალტიისპირეთის სხვა ქვეყნებისთვისაც ლატვიისა და ლიტვისთვის. მათთვის, ეგებ, ესტონეთზე უფრო მეტადაც.

ბალტიის ქვეყნებიდან ემიგრაცია მარტო „თეთრი საყელოებით“ არ იფარგლება. მიემგზავრებიან დახურული ქარხნების მუშები, აგრარიკოსები, ჰუმანიტარები, დიპლომირებული იურისტები, რომლებიც გლაზგოსა და დუბლინში ლუდის დამტარებლების ადგილებით კმაყოფილდებიან. ბალტიისპირეთის ემიგრაცია მრავალსახიერია: ქვეყნიდან გადიან ქალებიც და კაცებიც, ქალაქელებიც და სოფლელებიც, გონებრივი შრომის მუშაკებიც და ფიზიკური შრომის მუშებიც, სატიტულო ერების წარმომადგენლებიც და რუსულენოვანი უმცირესობაც, დაოჯახებულებიც და მარტოხელებიც, საშუალო ასაკის ადამიანებიც და ახალგაზრდობაც.

**ემიგრაცია ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის საზოგადოებრიობის სოციალური ნორმა გახდა, იგი განსაზღვრავს ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ცხოვრების რიტმს, ჩამოყალიბდა, როგორც ადგილობრივი ცხოვრების წესის განმსაზღვრელი ფაქტორი.**

უსაფუძვლოა ბალტიისპირელი პოლიტიკოსების მცდელობა, წარმოგვიდგინონ ემიგრაცია, როგორც დროებითი მოვლენა.

ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ახალგაზრდების ცხოვრებისეულ სტრატეგიად სამშობლოდან ემიგრაცია იქცა.

**3. ემიგრაცია ბალტიისპირელი ახალგაზრდობის ცხოვრების მიზანია**

რაც უფრო ახალგაზრდულია ბალტიის რესპუბლიკების გამოკითხული მოქალაქეების ჯგუფები, მით მაღალია მათში ემიგრანტული განწყობილების პროცენტული მაჩვენებელი.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **დამოუკიდებელ ცხოვრებაში შესასვლელად გამზადებული ახალგაზრდობის უმრავლესობა საკუთარ მომავალს საკუთარ სამშობლოს არ უკავშირებს.**

**ესტონეთის კულტურის სამინისტროს მიერ 2012 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, ესტონეთში მცხოვრები ყოველი მეორე ადამიანი მზად არის ქვეყნიდან წასასვლელად, ყოველ მეოთხეს კი უკვე გადადგმული აქვს პრაქტიკული ნაბიჯები ამ მიმართულებით.**

**„რუსკი რეპორტიორის“** მიერ გამოქვეყნებული **ოლგა ანდრეევას** სკანდალურად ცნობილ სტატიაში „ესტონური ავადმყოფობა“ ეს რეალობა შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

„ტალინის ორ საუკეთესო გიმნაზიაში — რუსულსა და ესტონურში — ბავშვებს ერთსა და იგივე შეკითხვებს ვუსვამდი. პასუხები განსხვავებული იყო და მხოლოდ ერთ შემთხვევაში იდენტური.

— ესტონეთს, როგორც სამშობლოს, ისე უყურებთ?

— საერთოდ, კი, — ისმის რუსი მოსწავლეების გაუბედავი პასუხები.

— დიახ, — დარწმუნებით მიპასუხებენ ესტონური სკოლის ბავშვები.

— დაფიქრებულხართ იმაზე, რომ ამ ქვეყნის მომავალი ხართ თქვენ?

— არა, — დარწმუნებით მიპასუხებენ რუსი ბავშვები.

— დიახ, — მტკიცედ ამბობენ ესტონელები.

— ვინ აპირებს სკოლის დამთავრების შემ- ▶

უახლესი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროკავშირში გაერთიანების შემდეგ ბალტიისპირელთა ემიგრაციის მთავარი მიმართულება გახდა დიდი ბრიტანეთი, ირლანდია და სკანდინავია. ევროპის საემიგრაციო ქსელის მონაცემებით, 2010 წელს, რომელიც ემიგრაციის პიკად არის წარმოდგენილი, ლიტველი ემიგრანტების 50 პროცენტი საშოვარზე დიდ ბრიტანეთში გაემგზავრა, 15 პროცენტი ირლანდიაში, 5,8 პროცენტი ნორვეგიაში, 4,6 პროცენტი გერმანიაში, 4,3 პროცენტი ესპანეთში.**

დეგ ესტონეთიდან გამგზავრებას?

რუსულ სკოლაში ყველა სწევს ხელს. ესტონურ სკოლაში მძიმე სიჩუმე ჩამოვარდება. ირკვევა, რომ ყველა აპირებს გამგზავრებას.

— დაბრუნდებით?

— არა, მტკიცედ მიპასუხებენ რუსულ სკოლაში.

— ყველა შემთხვევაში, კავშირს არ გავწყვეტთ, ჩვენ აქ გვყავს მშობლები, მეგობრები. დავეხმარებით, დავურეკავთ, წერილს მივწერთ, — გაუბედავად ამბობს ესტონური სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლე გოგონა".

„რატომ სურთ სამშობლოდან წასვლა? იმიტომ, რომ ლატვიაში ვერ ხედავენ სათავისო რაიმე პერსპექტივას. სამწუხაროდ, — ლაპარაკობს ლატვიელი სოციოლოგი **ირინა ჟემჩუგოვა**, — არავითარი პერსპექტივა. ახალგაზრდები ერთსა და იმავეს მეუბნებოდნენ: ვისწავლით, დავამთავრებთ სკოლას, ინსტიტუტს, კოლეჯს, მნიშვნელობა არ აქვს, შემდეგ რა? რა გველოდება შრომის ბაზარზე? და თვითონვე მიპასუხებდნენ: კარგი არაფერი!"

ლატვიაში ახალგაზრდების ასეთი „საჩემოდნო განწყობილება" არანაკლებ დრამატულია, ვიდრე ლიტვაში. სააგენტო **Latvijas zeitingi**-ს სოციოლოგიური გამოკითხვის მიხედვით, რომელიც უფროსი კლასების მოსწავლეთა შორის ჩატარდა, ყოველმა მეორე მოსწავლემ (ეროვნების მიუხედავად) განაცხადა, რომ მომავალში განზრახული აქვს გამგზავრება ლატვიიდან. **Providus**-ის ცენტრის ანალოგიური გამოკვლევით, რომელიც 2010 წელს ჩატარდა, ემიგრირება განზრახული ჰქონდა რუსული სკოლების მერვეკლასელთა 63 პროცენტს და ლატვიური სკოლების მათი თანატოლების 39 პროცენტს.

**ამ რეზონანსული გამოკვლევებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, 2014 წელს, ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ გამოაქვეყნა ოფიციალური მონაცემები: ლატვიელი ახალგაზრდების 17-მა პროცენტმა დატოვა ქვეყანა, ანუ ლატვიაში ცხოვრებაზე უარი თქვა ყოველმა მეექვსე ახალგაზრდამ.**

სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ ამ ქვეყნის ახალგაზრდა თაობის მნიშვნელოვანი ნაწილი უარს ამბობს ლატვიაში დარჩენაზე.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ძნელი არ უნდა იყოს იმის გასიგრძეგანება, რა დონეზეა ამ ქვეყანაში დეპრესია და სოციალური პესიმიზმი. „ჩემოდნებზე ჯდომის" მასობრივი განწყობილება სისტემური პრობლემებითაა გამოწვეული და არა დროებითი, გარდამავალი ხასიათის სიძნელეებით. **მასობრივად გადასახლების სურვილი, რომელიც ბალტიისპირელ ახალგაზრდობაში დომინირებს, სახელმწიფო მასშტაბის ტრაგედია.** უფრო მეტიც, პროცესი (ქვეყნიდან გასვლის), რომელიც დამოუკიდებლობის წლებში ხან უფრო ინტენსიური ხდება, ხან იკლებს, მაგრამ არ ქრება, აშკარა მაჩვენებელია იმისა, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნებს სახელმწიფოებრიობის მშენებლობის დაუძლევლობის პრობლემა რეალურად უდგათ.

### 4. ბალტიისპიროსტანი: სად და რად მუშაობენ ევროპაში გასტერბაიტერები ლიტვიდან, ლატვიიდან და ესტონეთიდან

თანამედროვე ბალტიისპირული ემიგრაცია მნიშვნელოვნად განსხვავდება ემიგრაციის წინა ტალღებისგან. გასული საუკუნის წინა ნახევარში ბალტიისპირეთიდან ემიგრირებული იყვნენ „აღმოსავლელი გერმანელები", რომლებიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ამ მიწებზე დომინირებულ სოციალურ ჯგუფად იყვნენ წარმოდგენილი. ისინი, რა თქმა უნდა, გერმანიაში გადასახლდნენ. ძირძველ ხალხთა წარმომადგენლები იმავე პერიოდში შეერთებულ შტატებს ირჩევდნენ, სადაც თანდათან ჩამოყალიბდა ლიტველთა, ლატვიელთა და ესტონელთა დიასპორები, რომელთაც შემდგომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს სახელმწიფოებრიობის აღდგენაში. 70-იან-80-იან წლებში ბალტიისპირეთიდან ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდა ადგილობრივი ებრაელობა.

**ევროკავშირში გაერთიანების შემდეგ ბალტიისპირელთა ემიგრაციის მთავარი მიმართულება გახდა დიდი ბრიტანეთი, ირლანდია და სკანდინავია. ევროპის საემიგრაციო ქსელის მონაცემებით, 2010 წელს, რომელიც ემიგრაციის პიკად არის წარმოდგენილი, ლიტველი ემიგრანტების 50 პროცენტი საშოვარზე დიდ ბრიტანეთში გაემგზავრა, 15 პროცენტი — ირლანდიაში, 5,8 პროცენტი ნორვეგიაში, 4,6 პროცენტი — გერმანიაში, 4,3 პროცენტი — ესპანეთში.**

**ამავე პერიოდში ლატვიელი ემიგრანტების ნაკადი შემდეგნაირად განაწილდა: დიდი ბრიტანეთი — 35 პროცენტი, ნორვეგია — 18 პროცენტი, ფინეთში — 15 პროცენტი, გერმანია — 11 პროცენტი, შვედეთი — 10 პროცენტი, ნიდერლანდების სამეფო — 9 პროცენტი, დანია — 9 პროცენტი.**

**ესტონელეთა 50 პროცენტი, როგორც ვთქვით, ფინეთში გადავიდა, დანარჩენი ემიგრანტები განაწილდნენ იმავე ქვეყნებში, რომლებშიც მათი ლიტველი და ლატვიელი „კოლეგები".**

ბრიტანულმა **Daily Mail**-მა აღმოსავლეთ ევროპული ემიგრაციის სტატისტიკა გამოაქვეყნა, რომლის მიხედვით მიგრანტების საერთო რაოდენობის 1,3 პროცენტი დიდ ბრიტანეთშია თავმოყრილი. მათ შორის ბალტიისპირელთა მდგომარეობა გამორჩეულია: **ყოველი ოცდამეათე ლიტველი, ყოველი ოცდამეათე ლატვიელი და ყოველი მესამოცე პოლონელი დიდ ბრიტანეთში ცხოვრობს.**

ეს მონაცემები აღებულია მოსახლეობის 2011 წლის აღწერიდან. მას შემდეგ აღმოსავლეთ ევროპიდან იმიგრანტების ნაკადი არ შემცირებულა და ბოლო აღწერის მიხედვით, დიდ ბრიტანეთში აღრიცხულია 108 ათასი ლიტველი, რაც ლიტვის მთელი მოსახლეობის 3,4 პროცენტია. ლატვიელთა რაოდენობა 1600-ს აღემატება, რაც 1,9 მილიონიანი მოსახლეობის 1,9 პროცენტია.


ტალინი

**მას შემდეგ, რაც ესტონეთი ევროკავშირში მიიღეს, განსაკუთრებით კი 2008 წლის კრიზისის პირობებში, ემიგრაცის მატება ადგილობრივი შრომისუნარიანი მოსახლეობის ხარჯზე მიმდინარეობს. თუ 2009 წელს ქვეყნიდან გავიდა 4,6 ათასი ადამიანი, 2011 წელს მათი რაოდენობა 6,2 ათასი იყო, 2012 წელს თითქმის 11 ათასი**

დასავლელ და ჩრდილოელ ევროპელთა გაგებით, ლიტვა, ლატვია და ესტონეთი — გასტერბაიტერების ტიპური ქვეყნებია ევროკავშირისთვის. ბალტიისპირელთა სამუშაო ძალას უმეტესწილად არაკვალიფიციურ და დაბალკვალიფიციურ ფიზიკურ სამუშაოებზე იყენებენ.

შესაბამისი კვლევითი სამსახურების მონაცემებით, ლატვიელთა უმეტესობას აინტერესებს სოფლის, სამშენებლო სფეროებში, სასტუმრო, რესტორნების, სატრანსპორტო ბიზნესში, ასევე, სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმება. პრაქტიკულადაც ამ დარგებში საქმიანობენ დამხმარე მუშებად, სეზონურ სამუშაოებზე, დამკომპლექტებლებად, მტვირთავებად, დამლაგებლებად, მეკუჭნავეებად, ჭურჭლის მრეცხავებად, სანიტრებად, მიმტანებად და ა.შ.

ბალტიისპირელების გარკვეული ნაწილი უფრო პრესტიჟულ სამუშაო ადგილებზეც ახერხებს მოწყობას მენეჯერებად, ვიწრო პროფილის სპეციალისტებად, მაღალკვალიფიციურ მუშებად. მაგრამ ასეთი კვალიფიციური სამუშაო უფრო გამონაკლისია, ვიდრე ნორმა.

ევროპელი დამსაქმებლები აფასებენ და სიამოვნებით იღებენ სამუშაოდ ბალტიისპირელ გასტერარბაიტერებს, რადგან ევროკავშირის შრომით ბაზარზე ისინი ითვლებიან იაფ შრომით ძალად, ამასთან, გამორჩეულები არიან შრომითი ეთიკით, პატიოსნებით, აკურატულობით, დისციპლინით, მონდომებით, შრომისუნარიანობით, ყოფითი კულტურით. ეს თვისებები დამახასიათებელია ბალტიისპირელებისთვის და ჩამოყალიბებულია მათი კულტურებით. თუნდაც მხოლოდ ამიტომ **ბალტიის ქვეყნები ევროკავშირის ლიდერებად უნდა იყვნენ წარმოდგენილი. ხდება კი პირიქით. მათი ეკონომიკები პერიფერიულია, ჩამორჩენილია და თუ არსებობენ ასე თუ ისე, უცხოური სესხებისა და ევროკავშირის სტრუქტურული ფონდების წყალობით.**

რატომ ხდება ასე?

ბალტიისპირეთში არსებული ვითარების ასახსნელად გამოდგება „მსოფლიო-სისტემის" თეორია, რომლის ავტორია გამოჩენილი ამერიკელი ეკონომისტი და სოციოლოგი **იმანუილ ვალერსტაინი.** ამ თეორიით, ბალტიის ქვეყნები ევროკავშირის პერიფერიაა, რომელიც სისტემის სახითაა წარმოდგენილი. ამ სისტემის ბირთვია „ძველი ევროპის" ქვეყნები, რომლებმაც თავის დროზე შექმნეს ევროკავშირი. ამ ბირთვის წარმატებული განვითარებისთვის აუცილებელია დეპრესიული და დეგრადირებული პერიფერიის არსებობა, რომლის ფუნქციაც დაეკისრა ე.წ. ახალ ევროპას — ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოცბანაკის ქვეყნებს, რომლებიც 2004 წელს გაერთიანდნენ ევროკავშირში და ევროპული საქონლის გამსაღებელ და ნედლეულის მიმწოდებელ ბაზრად იქცნენ. ნედლეული ამ შემთხვევაში ადამიანის შრომის სახით არის წარმოდგენილი.

**ამ მიზეზის გამო მთელი აღმოსავლეთევროპული იმიგრაცია (ბულგარული, რუმინული, პოლონური, ბალტიისპირული) შრომითი ხასიათის მქონეა.**

სამხრეთული ემიგრაცია (თურქები, არაბები, აფრიკელები) ახალ სამშობლოდ ირჩევს ევროპას, რათა იქ უშრომ-უზრუნველად იცხოვრონ უმუშევართა დახმარებებისა და სხვა სოციალური შეწევნების მეშვეობით. ამასთანავე, მათ კულტურას ცოტა რამ თუ აქვს საერთო ბალტიისპირელთა შრომით ეთიკასთან.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკას სჭირდება აღმოსავლეთევროპელი გასტერარბაიტერების სამუშაო ძალა, ევროპელი პოლიტიკოსები დროდადრო წამოაყენებენ საკითხს ევროკავშირის ფარგლებში შიგა მიგრაციის შეზღუდვის შესახებ. მოუწოდებენ ხელისუფალთ სტიმული მისცენ თავიანთ მოქალაქეებს, რომლებიც უმუშევართა სოციალური დახმარებით პარაზიტობენ, ჩაებან შრომით საქმიანობაში, ნაცვლად იმისა, რომ დასაქმების ადგილებით უზრუნველყონ პოლონელები და ლიტველები. „ეწვიეთ ჩვენს ფაბრიკებს, რომლებშიც მუშების ნახევარზე მეტი არიან იმიგრანტები პოლონეთიდან, ლიტვიდან და ლატვიიდან. თქვენ მათ ვერაფერში დაადანაშაულებთ. მათ სურთ, იშრომონ. ისინი ხედავენ, რომ არის სამუშაო, ჩამოდიან და იკავებენ ამ სამუშაო ადგილებს", განაცხადა 2013 წელს დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა **დევიდ კემერონმა** და მოუწოდა კანონმდებლებს გაამკაცრონ შრომითი კანონმდებლობა, რათა შემცირდეს აღმოსავლეთ ევროპიდან იმიგრანტების რაოდენობა.

**2014 წელს კემერონმა და ბრიტანელმა კონსერვატორებმა განაცხადეს ევროკავშირიდან გაერთიანებული სამეფოს გამოსვლის თაობაზე რეფერენდუმის მოწყობის აუცილებლობის შესახებ, საორიენტაციოდ 2017-2018 წლებში.** ამ განზრახვის განხორციელების შემთხვევაში უეჭველად გამკაცრდება კონტინენტური ევროპის ნისლიან ალბიონში ემიგრირების წესები, რაც, უპირველეს ყოვლისა, ნეგატიურად იმოქმედებს ლიტვასა და ლატვიაზე, რომელთა მთავრობები მიეჩვივნენ თავიანთი ქვეყნების მოსახლეობის ემიგრაციის პანაცეად გამოყენებას ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოგვარების საქმეში. ეს კი სავსებით საკმარისი იქნება ბალტიის ქვეყნებში ეკონომიკური პოლიტიკის კრიზისის გამოსაწვევად.

მანამდე კი, **2011 წლის აღწერის თანახმად, დიდ ბრიტანეთში ცხოვრობს 100 ათასამდე ლიტველი (რაოდენობით, პოლონელთა შემდეგ, ბრიტანეთში ჩასახლებული მეორე თემი), 32 ათასი ლატვიელი და 3,4 ესტონელი (მათი ნახევარი ლონდონში ცხოვრობს). აღწერის მიხედვით, დიდ ბრიტანეთში ცხოვრობს 67 ათასი რუსი (ანუ ისინი, ვინც მშობლიურ ენად რუსული დაასახელა). ამასთანავე, მათი გარკვეული რაოდენობა ნისლიან ალბიონში ჩავიდა ლიტვიდან, ლატვიიდან და ესტონეთიდან.**

აღწერით ასეა, რეალური ოდენობა კი გაცილებით მეტია.

ირლანდიაში მოსახლეობის აღწერის მაჩვენებლით, იმავე წელს ამ ქვეყანაში ცხოვრობდა 44 ათასი ლიტველი და 20 ათასი ლატვიელი. 2011 წლის შემდეგ ბალტიისპირელი ემიგრანტების რაოდენობა, თავისთავად იგულისხმება, რომ გაიზარდა.

**2013 წლის მონაცემებით, ფინეთში ცხოვრობდა 40 ათასი ესტონელი.**

ბრიტანეთსა და ირლანდიაში უკვე ჩამოყალიბდა ბალტიისპირელთა ახლი დიასპორები. იგივე პროცესი მიმდინარეობს ნორვეგიასა და გერმანიაში. ლტოლვილები კომპაქტურად არიან ჩასახლებული ლონდონის აღმოსავლეთ რაიონებში და ინგლისის დედაქალაქის მახლობულ აღმოსავლეთ ინგლისის საგრაფოებში.

ამ რაიონებში უკვე გაიხსნა ლიტვური საქონლის მაღაზიები, ინგლისური პაბები კი გადაკეთდა ლიტვურ ლუდხანებად, სადაც ლიტვური და ლატვიური მუსიკითართობენ მომხმარებლებს. დიდი ბრიტანეთის ლიტვური საზოგადოებრიობის ცენტრად კი ჩამოყალიბდა სიდნეი რასელის დასვენების ცენტრი ქალაქ დეგენჰემში. დიდ ბრიტანეთში უკვე ჩამოყალიბდა ლიტვის საკალათბურთო ლიგა — ახალ სამშობლოში ლიტველ თანამემამულეთა შეკავშირების ერთ-ერთი საშუალება.

**ფრიად საინტერესოა, რომ ბალტიისპირული დიასპორების ურთიერთობის ენა რუსულია.** ლიტველები, ლატვიელები და რუსულენოვანი ემიგრანტები ახალ სამშობლოში ერთმანეთს ყოველმხრივ ეხმარებიან და ურთიერთობაში სოლიდარობით გამოირჩევიან, რაც ასე აკლიათ ბალტიისპირეთში. საქმეში ჩახედული ადამიანების აზრით, ასეთი თანაცხოვრება შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში არ არიან მმართველი პოლიტიკოსები, ნაციონალისტები, რომლებსაც სამშობლოდან გამოექცნენ ეს კეთილი ადამიანები.

**და მაინც მთავარი საყრდენი მათთვის ინგლისური ენაა.**

მიგრანტები ცდილობენ, თავიანთი შვილების მშობლიურ ენად აქციონ იმ ქვეყნის სახელმწიფო ენა, რომელშიც ცხოვრობენ.

ასე იკარგება ახალი თაობის ეროვნული იდენტურობა.

**(გაგრძელება იქნება)**

რუბრიკას უძღვება
**არმაზ სანებლიძე**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2001-ᲓᲐᲜ 2013 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲔᲗᲘᲝᲞᲘᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝᲓ 7%-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘᲗ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲔᲗᲘᲝᲞᲘᲐ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲐᲤᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲛᲞᲘ ᲣᲢᲝᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ „ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲐᲖᲘᲣᲠᲘ ᲕᲔᲤᲮᲕᲔᲑᲘᲡ“ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲛᲞᲡ, ᲗᲐᲜᲐᲪ ᲛᲐᲜ ᲐᲛᲐᲡ ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲬᲧᲐᲚᲑᲐᲓᲝᲕᲐᲜᲘ ᲑᲣᲛᲘᲡ ᲐᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲗᲝᲛᲝᲛᲞᲝᲕᲔᲑᲚᲣᲠᲘ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ.**

# ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲰᲔᲒᲔᲛᲝᲜᲘ

**1991 წელს, როდესაც ცივი ომი დასასრულს უახლოვდებოდა, ერთადერთი აფრიკული ქვეყანა, რომელიც არასდროს ყოფილა ევროპელი იმპერიალისტების კოლონია, იქცა იმ დიადი ეთიოპიის ფერმკრთალ აჩრდილად, რომელსაც მისი მონარქების მრავალი თაობა აშენებდა. სამოქალაქო ომის ორმა ათწლეულმა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ეკონომიკა მიწასთან იყო გასწორებული, მოსალოდნელი იყო მორიგი კატასტროფული შიმშილობა. მსოფლიოში ეთიოპია მხოლოდ მოშიმშილე ადამიანების ბრბოებთან ასოცირდებოდა. ქვეყნის შიდა და საერთაშორისო მდგომარეობა ისეთი იყო, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა მისი გადარჩენაც კი.**

ნაციონალურად განწყობილი ისტორიკოსები ეთიოპიური სახელმწიფოს წარმავლობის ფესვებს ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულში ეძებენ. ეთიოპიის ისტორია, რომლის ერთ-ერთ ფუძემდებლურ მითად მეფე სოლომონის ამბავი რჩება, მჭიდროდაა დაკავშირებული აბრამისეული რელიგიების ისტორიასთან. ეთიოპიის ტერიტორიაზე ებრაელების ცხოვრებას უკავშირებენ ტაძრის ჩამონგრევამდე პერიოდს, ეთიოპიელ მართლმადიდებლებს სჯერათ, რომ აქსუმში ინახება აღთქმის კიდობანი, ხოლო პირველი ჰიჯრა (მუსლიმანების გადასახლება მექადან რელიგიური დევნის გამო) სწორედ ეთიოპიაში მოხდა.

მისტიკური მემკვიდრეობა და სამხედრო ძლევამოსილება საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა ძალაუფლების საფუძველს ეთიოპიის მმართველებისთვის, რომლებიც თავიანთ ერთ დროს მრავალფეროვან ქვეყანას მართავდნენ მკაცრი შიდა ასიმილაციისა და საგარეო ექსპანსიის პოლიტიკით.

მაგრამ ეს სიმტკიცეები შეირყა, როდესაც ამბოხებული ჯარისკაცები 1991 წლის მაისში პროვინციიდან ადის აბებაში შევიდნენ და ადრე საბჭოთა კავშირის მხარდაჭერით მოსარგებლე დიქტატორი მენგისტუ ჰაილე მარიამი ჩამოაგდეს.

მემარცხენე განმათავისუფლებელმა მოძრაობამ პირობა დადო, რომ დაწერდა კონსტიტუციას, რომელიც თვითგანსაზღვრების უფლებას მისცემდა ეთიოპიის 90-ზე მეტ სხვადასხვა ხალხს და შესაძლებელს გახდიდა პოლიტიკურ-ეკონომიკური უთანასწორობის დაძლევას, მაგრამ სკეპტიკოსებს ეეჭვებოდათ, რომ აფრიკის რქის ყოფილი უძლიერესი სახელმწიფო გარდასახვას მოახერხებდა.

როდესაც 1993 წელს ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინცია ერითრეამ დამოუკიდებლობას მისცა ხმა და მიიღო კიდეც, ამან არა მხოლოდ ჩამოაჭრა ეთიოპიას ზღვაზე გასასვლელი, არამედ გააჩინა სეპარატიზმის აბობოქრების საფრთხეც.

საუკუნის მეოთხედი გავიდა და ადის აბებაში განწყობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. **2001-დან 2013 წლამდე პერიოდში ეთიოპიის ეკონომიკა ყოველწლიურად საშუალოდ 7%-ზე მეტით იზრდებოდა. ეთიოპია აღმოჩნდა ერთადერთი აფრიკული ქვეყანა, რომლის განვითარების ტემპი უტოლდებოდა „აღმოსავლეთაზიური ვეფხვების“ განვითარების ტემპს, თანაც მან ამას ნახშირწყალბადოვანი ბუმის ან დიდი სამთომომპოვებლური სექტორის გარეშე მიაღწია.**

ეკონომიკური სასწაული ქვეყანას დაეხმარა სიღატაკესთან გამკლავებაში, მილიონობით ადამიანი გამოვიდა სიღატაკის, უქონლობისა და ავადმყოფობის ჩაკეტილი წრიდან. მოსახლეობა, რომელიც 1980-იან წლებში დაახლოებით 40 მილიონს შეადგენდა, ლამის 100 მილიონამდე გაიზარდა. ეთიოპიამ შეძლო, 2015 წლისათვის ბავშვების სიკვდილიანობა შეემცირებინა ათასწლეულის განვითარების მიზნების დონემდე და, დიდი ალბათობით, იმავე შედეგებს მიაღწევს შიდსისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლაშიც.

ქვეყანა წარმატებით ებრძვის ასევე შემოსავლების არამდგრადობას და გაუნათლებლობას. რამდენიმე წლის განმავლობაში ეთიოპიური მარცვლეული კულტურების რეკორდული მოსავლების წყალობით მილიონობით გლეხი, სავარაუდოდ, თავს დააღწევს „წარმადობის ხაფანგს“, რომელიც ისტორიულად იყო სიღატაკის მიზეზი.

ეკონომიკურმა აღმასვლამ მმართველ „ეთიოპიის ხალხთა რევოლუციურ-დემოკრატიულ ფრონტს“ საშუალება მისცა, განეხორციელებინა თავისი ამბიციური პროექტები სახელმწიფოებრივი მშენებლობის დარგში. ეს პროექტები მკვეთრად განსხვავდება ვაშინგტონური კონსენსუსისგან მისი არჩევითი დემოკრატიისა და ეკონომიკური ლიბერალიზმისგან. **ეთიოპია არის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი იმისა, რასაც ხშირად „არალიბერალურ აფრიკულ სახელმწიფოებრიობას“ უწოდებენ ხოლმე. „ეთიოპიის ხალხთა რევოლუციურ-დემოკრატიულმა ფრონტმა“ ორი ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე ომის შემდეგ შეძლო მტკიცე პოლიტიკური წესრიგის დამყარება, შიგა და საგარეო საფრთხეებისგან თავის დაცვა.** ის ქმნის ქმედუნარიან სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს და ამყარებს კონტროლს პოლიტეკონომიკურ სფეროზე. ეკონომიკის სამართავი სიმაღლეები დაკავებულია იმ სახელმწიფო საწარმოების ან საქმიანი ელიტების მიერ, რომლებიც მჭიდრო კავშირში არიან „ეთიოპიის ხალხთა რევოლუციურ-დემოკრატიულ ფრონტთან“. უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებზე „ეთიოპიის ხალხთა რევოლუციურ-დემოკრატიულმა ფრონტმა“ და მისმა მოკავშირეებმა 547 ადგილიდან 545 დაიკავეს. ეს პარტია მკაფიოდ იცავს სახელმწიფოებრივ პოზიციებს, ფლობს შედარებით ვიწრო სოციალურ ბაზას, სამაგიეროდ მშვენივრადაა ორგანიზებული, რომელიც ათწეულობით შეიარაღებული ბრძოლისა და ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგია. ამ უკანასკნელთან „ეთიოპიის ხალხთა რევოლუციურ-დემოკრატიულ ფრონტს“ მტკიცე კავშირი აქვს და მისგან იღებდა კონსულტაციებს, როდესაც 2005-დან 2010-წლამდე საკუთარ რიგებში ხუთი მილიონი ახალი წევრის მიზიდვას ცდილობდა. აფრიკის არც ერთ ქვეყანაში „ჩინური მოდელის“ თაობაზე ისე დამაჯერებლად არ საუბრობენ, როგორც ეთიოპიაში.

განიმტკიცა რა ძალაუფლება საკუთარ ქვეყანაში, ეთიოპიის ხელისუფლება გასულ ათწლედს დაუბრუნდა, პერიოდს, როდესაც ქვეყნის პრემიერმინისტრი მელეს ზანაუი იყო (1991-2012) და როდესაც ქვეყანას რეგიონული ამბიციები აწუხებდა. ამ ამბიციების საკვანძო ელემენტი იყო იმ დიადი ეთიოპიის იდეა, რომელიც ბოლოს და ბოლოს შეასრულებდა თავის ისტორიულ დანიშნულებას — განთავისუფლდებოდა სიღატაკის მარწუხებისგან და მთელ აფრიკას გაუძღვებოდა წინ.

განსვენებული პრემიერის თვალსაზრისით, საგარეო პოლიტიკა მუდამ ურღვევ კავშირში იყო საშინაო პოლიტიკასთან. ერთი მხრივ, მელესს ესმოდა, რომ ალიანსების შექმნითა და ეთიოპიის საერთაშორისო რეპუტაციის გაუმჯობესებით იგი ქვეყნის ეკონომიკას და „ეთიოპიის ხალხთა რევოლუციურ-დემოკრატიულ ფრონტის“ რეჟიმს ამყარებდა. მეორე მხრივ კი, მას სწამდა, რომ შიგა პრობლემებთან გამკლავების შემთხვევაში ეთიოპია შეძლებდა, აფრიკისთვის ჩამოეშორებინა „უიმედო კონტინენტის“ დამღა.

ამის გამო პრემიერმინისტრი ცდილობდა, კარგი ურთიერთობა დაემყარებინა სხვადასხვაგვარ პარტნიორებთან; ამასთანავე, მას მიაჩნდა, რომ არ შეიძლება, მოკავშირეების რომელიმე ჯგუფზე ძალიან დიდი იმედის დამყარება, რათა არ გახდე მთლიანად მასზე დამოკიდებული. შედეგად მელესს საუკეთესო მეგობრობა ჩამოუყალიბდა ტონი ბლერთან, ბილ კლინტონთან, ბილ გეიტსთან და ჟოზეფ სტიგლიცთან. იგი სტუმრობდა ხოლმე სამხრეთ კორეასაც, რათა შეესწავლა სამხრეთკორეული ეკონომიკური სასწაული და დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების ეკონომიკას ხუ ძინტაოსთანაც განიხილავდა.

ერთსა და იმავე დროს იგი სიამოვნებით გამოდიოდა განვითარებადი მსოფლიოს სახელით და წარმოადგენდა აფრიკას დიდი ოცეულის სამიტებზე, გლობალური დათბობის პრობლემებისადმი მიძღვნილ სამიტებზე, განიკითხავდა გლობალური ეკონომიკური პოლიტიკის უსამართლობას და თავისი კონტინენტის მარგინალიზაციას.

მელესის პერიოდში ადის-აბება, მიუხედავად „ეთიოპიის ხალხთა რევოლუციურ-დემოკრატიულ ფრონტსა“ და ჩინეთის კომუნისტურ პარტიას შორის კავშირისა, ვაშინგტონისთვის ასრულებდა ადგილობრივი „შერიფის თანაშემწის“ როლსაც ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალურ ომში. ეთიოპიელი დიპლომატები, გენერლები და მზვერავები აქამდეც რჩებიან აშშ-ის საკვანძო მოკავშირეებად აფრიკის ტერიტორიაზე, წითელ ზღვასა და ადენის ყურეში.

ახლა, როდესაც ამერიკაში ბევრი ეჭვის თვალით უყურებს ძველ მოკავშირეებს ეგვიპტეში, კენიასა და საუდის არაბეთში, ეთიოპიელი მეგობრების საიმედოობა და ეფექტიანობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება.

მელესი, მისი მემკვიდრე ჰაილე მარიამ დესალენი და პარტიის გავლენიანი პოლიტბიურო დიად ეთიოპიას ხედავს, როგორც კეთილისმყოფელ რეგიონულ ჰეგემონს, რომელიც ხელმძღვანელობს პრინციპით: რაც კარგია ეთიოპიისთვის, კარგია მთელი აფრიკის რქისთვის.

**ადის აბება ზრდის თავის გავლენას რეგიონულ ორგანიზაციებზე დაყრდნობით.**

რეგიონული უსაფრთხოების სფეროში ეთიოპია ცდილობს, აღკვეთოს კონფრონტაციები (მან გაეროს ეგიდით ათასობით მშვიდობისმყოფელი განალაგა სუდანსა და სამხრეთ სუდანს შორის სასაზღვრო რაიონში), შეაჩეროს კონფლიქტები (ის შუამავლის როლში გამოდის სამხრეთ სუდანში სამოქალაქო ომის შეწყვეტის მოლაპარაკებებში) და ეწინააღმდეგება ტერორიზმს (მუდმივად ახორციელებს სამხედრო ოპერაციებს სომალის დაჯგუფება „აშ-შაბაბის“ წინააღმდეგ). ▶



ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲐᲑᲓᲔᲚ ᲤᲐᲗᲐᲰ ᲐᲡ-ᲡᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲔᲗᲘᲝᲞᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲰᲐᲘᲚᲔᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲓᲔᲡᲐᲚᲔᲜᲘ. ᲐᲓᲘᲡ ᲐᲑᲔᲑᲐ. 2015 ᲬᲚᲘᲡ 23 ᲛᲐᲠᲢᲘ

**ᲔᲗᲘᲝᲞᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ «ᲐᲠᲐᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲐᲤᲠᲘᲙᲣᲚ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲐᲡ» ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲔᲜ ᲮᲝᲚᲛᲔ. «ᲔᲗᲘᲝᲞᲘᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲛᲐ ᲤᲠᲝᲜᲢᲛᲐ» ᲝᲠᲘ ᲐᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲨᲔᲫᲚᲝ ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲐ, ᲨᲘᲒᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ**

მოკლედ



## ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲛ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘ ᲐᲦᲙᲕᲔᲗᲐ

**გავრცელებული ცნობით, დაკავებულია დაქორწინებული წყვილი, ისინი ფრანკფურტთან ახლოს აიყვანეს.** მათ საცხოვრებელ სახლში პოლიციამ ასაფეთქებელი მოწყობილობები, ცეცხლსასროლი იარაღი, ასევე ხელსაწყოები, რომლებიც ბომბის გააქტიურებისთვის არის საჭირო, და სხვა შეიარაღება აღმოაჩინა. ეჭვმიტანილებს პოლიცია რამდენიმე კვირის განმავლობაში აკვირდებოდა, მას შემდეგ, რაც ცოლ-ქმარმა უჩვეულოდ დიდი რაოდენობის ქიმიური ნივთიერება შეიძინა. წყვილმა თანხის გადარიცხვის დროს სხვა სახელები მიუთითა. გამომძიებლების ცნობით, დაკავებული მამაკაცი „ალ ქაიდას“ ქსელთან არის დაკავშირებული.



**ნაცვლად იმისა, რომ რეალურად შეაჩერონ ბირთვული საფრთხე, კლინტონი და ობამა დგამენ კაბუკის პიესას „ჩვენი დროის მსოფლიო“, რათა ამომრჩევლები დაარწმუნონ, ვითომდა რაიმეს აკეთებენ. მათთვის პირადი უფრო მნიშვნელოვნად იქცა, ვიდრე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების შეჩერების ამოცანები.**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ეთიოპიის გრძელვადიანი სტრატეგია ეფუძნება რეგიონულ ინტეგრაციას ენერგეტიკული და საწყლოსნო ინფრასტრუქტურის ირგვლივ. ძირითადი იდეა ისაა, რომ რეგიონი მიებას ეთიოპიას იმ ათასობით მეგავატი ელექტროობის ექსპორტირებით, რომელსაც ცისფერი ნილისა და ეთიოპიის მდინარეების ჰიდრო-ელექტრო სადგურები გამოიმუშავებენ.

ეს ფინანსურად მომგებიანი იქნებოდა როგორც ეთიოპიისთვის, ასევე მისი მეზობლებისთვისაც, რომელთაც ენერგია ესაჭიროებათ, თუმცა ეს შეცვლიდა რეგიონულ ბალანსსაც ადის აბებას სასარგებლოდ და დაასუსტებდა ნაიორბის, ხარტუმსა და ქაიროს.

„ეთიოპიური აღორძინების დიადი კაშხლის“ მშენებლობა არის ერთი დიდი პროექტით ნილის აუზში მთელი განლაგების შეცვლის გულახდილი მცდელობა. საუბარია აფრიკის უდიდეს ინფრასტრუქტურულ პროექტზე. „ეთიოპიური აღორძინების დიადი კაშხლის“ რეზერვუარის ერთმა მოცულობამ უნდა შეცვალოს ჰიდროპოლიტიკური სტატუს-კვო, რომელიც ათწლეულების მანძილზე უზრუნველყოფდა ეგვიპტეს რეგიონულ პოლიტიკაში არაპროპორციული გავლენით.

რეგიონული ინტეგრაციის თაობაზე „ეთიოპიის ხალხთა რევოლუციურ-დემოკრატიული ფრონტის“ წარმოდგენლები გულისხმობს ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებას, ოღონდ უპირატესად ეთიოპიურ პირობებზე. შედარებითი უპირატესობა, რომლითაც ეთიოპიას ჰიდრო-ელექტრო სადგურები უზრუნველყოფს, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე აბსოლუტური უპირატესობა, რომლისკენაც მიისწრაფვის ადის აბება „ურთიერთ სარგებელზე“ საუბრისას.

მაგალითისთვის ავიღოთ გახმაურებული „ნილოსის შეთანხმება“, რომელსაც 2015 წლის მარტში ხელი მოაწერეს ეგვიპტემ, ეთიოპიამ და სუდანმა. მის შემადგენლობაში შემავალი „დეკლარაცია პრინციპების შესახებ“ მოიცავს



საწყლოსნო დავების დარეგულირების მექანიზმის ჩანასახს და აღიარებს, რომ ნილოსის ზედა ნაწილში განთავსებული ქვეყნები, ისეთები, როგორიც ეთიოპიაა, უფლებამოსილნი არიან, ელექტრო ენერგიის წარმოებას პრიორიტეტად მიიჩნევდნენ.

ამრიგად, ქაიროში მმართველი გენერალი აბდელ ფათახ ას-სისი, ფაქტობრივად, აღიარებს, რომ ეთიოპია, და არა ეგვიპტე, ახლა ნილოსზე ყველაზე გავლენიან ქვეყნად იქცა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეთიოპიის იდეა ნელ-ნელა ხორციელდება. აფრიკული ქვეყნებიც და არაბულებიც აცნობიერებენ, რომ ახლა ადის აბებასთან ურთიერთობების აწყობა სჯობს, ვიდრე დროის გაჭიანურება და ბოლოს იძულების წესით თანამშრომლობა კიდევ უფრო გაძლიერებულ ეთიოპიასთან.

მსოფლიო ბანკის ეკონომისტებს, ელჩებსა და არაკომერციული ორგანიზაციების თანამშრომლებს აშფოთებთ ეთიოპიის სოციალური სისტემის არასაკმარისი სტაბილურობა, ამოუძირკვავი სიღატაკე სოფლებში და მილიონობით ეთიოპიელის უკმაყოფილება სამოქალაქო თავისუფლებების უკმარისობის გამო.

საგარეო პოლიტიკაშიც არ არის ყველაფერი კარგად: **ეთიოპია აკავებს კონფლიქტებს სამხრეთ სუდანსა და სომალიში, მაგრამ ვერ ახერხებს კონფლიქტების გადაჭრას, რადგან რეგიონში ისტორიულადაა ფესვგადგმული ადის აბებას მიმართ უკმაყოფილება და ეს ხელს უშლის მას ნეიტრალური შუამავლის როლის შესრულებაში.** უფრო მეტიც, ეთიოპიაში ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელობა თითქოს ჩაიციკლა იმაზე, რომ ერითრეასთან შეინარჩუნონ ურთიერთობის მოდელი „არც ომი, არც მშვიდობა“. ამასთან, ეთიოპიელ ქორებს არ შეუძლიათ რაიმე უფრო მეტის შემოთავაზება, ვიდრე ამ ქვეყნის მუდმივი შეკავებაა.

ეთიოპიის ეკონომიკას ერეთრეის პორტები სჭირდება, მაგრამ ადის აბებას არ აქვს არც საიმედო გეგმა მეზობელი სახელმწიფოს კოლაფსის შემთხვევისათვის, რაც დევნილთა უდიდეს ნაკადებს განაპირობებს, არც ამ ქვეყანაში რეფორმების ხელის შეწყობისათვის.

ეთიოპიამ დიდი გზა გაიარა საუკუნის მეოთხედის წინ გადატანილი შავი დღეების შემდეგ. ის უდავოდ აღორძინების გზაზეა როგორც საშინაო საქმეებში, ისე საერთაშორისო არენაზეც. მის ხალხს არასდროს ჰქონია უფრო მეტი საფუძველი ოპტიმიზმისა და მომავლისადმი რწმენისთვის. ეთიოპიის გეგმები, რომელთა თანახმადაც ნილოსის აუზის რესურსები აღარ უნდა იყოს კონკურენციისა და დაუნდობელი ომების საბაბი და უნდა იქცეს სიღარიბესთან, უმუშევრობასთან და კლიმატის ცვლილებებთან ერთობლივი ბრძოლის საფუძვლად, მსოფლიო მხარდაჭერას იმსახურებს. ამასთან, ეთიოპიის ხელმძღვანელობას ესმის, რომ მისთვის უკიდურესად რთული იქნება, დაარწმუნოს მეზობლები საკუთარი განზრახვების სიწმინდეში და რომ ამის სწრაფად გაკეთება ვერ მოხერხდება.

რეგიონში, სადაც ურთიერთდამოკიდებულება ისტორიულად პოლიტიკურ პრობლემად ითვლება და არა ეკონომიკურ შესაძლებლობად, ეთიოპიური სტრატეგია ბუნებრივად აწყდება ნეგატიურ რეაქციებს. იმაზე, შეძლებს თუ ვერა ქვეყანა ამ საკითხში წარმატების მიღწევას, დამოკიდებულია როგორც მისი სხვა მიღწევების სიმტკიცე, ისე აფრიკული რქის მომავალი.

**Foreign Affairs**






# ამერიკას ბირთვული ღალატი ელის?

**ბირთვულ ღალატში ახალი არაფერია. ეს მოხდა 1940-იან წლებში, როდესაც ამერიკის კომუნისტური პარტიის წევრებმა მანჰეტენის პროექტის საიდუმლოებები ჩუმად გადასცეს სტალინურ საბჭოთა კავშირს, რომელმაც მას საშუალება მისცა, 1949 წელს — ხიროსიმასა და ნაგასაკის ტრაგედიებიდან სულ რაღაც ოთხ წელიწადში აეფეთქებინა თავისი პირველი ბომბი. ღალატი კიდევ განმეორდა, როდესაც პაკისტანელმა ბირთვულმა ფიზიკოსმა ა. კ. ხანმა, რომელიც ჰოლანდიურ ბირთვულ საწარმოში მუშაობდა, ბომბის საიდუმლოებები პაკისტანს გაუზიარა. ამბობენ, რომ ახლა პაკისტანური ბირთვული არსენალი ჯიჰადისტების თავდასხმისგან არ არის დაცული.**

ჰარი ტრუმენის პერიოდიდან მოყოლებული ამერიკის პრეზიდენტების უმეტესობა უდიდეს ძალისხმევას ხარჯავდნენ, რომ როგორმე შეეჩერებინათ ბირთვული იარაღის გავრცელება. 1963 წლის კარიბის კრიზისი, რომელიც ბირთვულ ეპოქაში ყველაზე სახიფათო მომენტად იქცა, გამოწვეულ იქნა რუსეთის მცდელობით, განეთავსებინა კუბაში ბირთვული რაკეტები. რამდენიმე დღის წინათ ობამამ კარიბის კრიზისზე განაცხადა: „არ ვარ დაინტერესებული იმ ბრძოლების წარმოებით, რომლებიც ჯერ კიდევ ჩემს დაბადებამდე დაიწყო... ცივი ომი, დიდი ხანია, დასრულდა“.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ისტორია მისი დაბადებით იწყება. ისტორია ახსოვს ყველას, გარდა თავისუფალი მსოფლიოს ლიდერისა.

დასკვნა: ბილ კლინტონმა კაპიტულაცია გამოაცხადა ჩრდილოკორეული ბირთვული იარაღის წინაშე, ბარაკ ობამამ კი — ირანულის წინაშე. ეს მომაკვდინებელი ფაქტებია, რომლებიც მკაცრ განკითხვას იმსახურებენ. თუ ამ საბრძოლო მასალებიდან თუნდაც ერთი აფეთქდება მრისხანების შემოტევის გამო, ადვილი წარმოსადგენია, რას უამბობენ ამ ფაქტის შესახებ ისტორიკოსები აღშფოთებულ მსოფლიოს.

**ნაცვლად იმისა, რომ რეალურად შეაჩერონ ბირთვული საფრთხე, კლინტონი და ობამა დგამენ კაბუკის პიესას „ჩვენი დროის მსოფლიო“, რათა ამომრჩევლები დაარწმუნონ, ვითომდა რაიმეს აკეთებენ. მათთვის პირადი უფრო მნიშვნელოვნად იქცა, ვიდრე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების შეჩერების ამოცანები.**

ისტორიკოსმა ვიქტორ დევის ჰენსონმა რამდენიმე დღის წინათ გამოთქვა ვარაუდი, რომ ობამას წამოდგენები მსოფლიოზე ძალიან ჰგავს რაღაც საყმაწვილო რომანტიულ ფანტაზიებს.

„პრეზიდენტს აქვს ყმაწვილკაცური, რომანტიული შეხედულება გულახდილ რევოლუციურ საზოგადოებაზე და ანტიდასავლურ სირცხვილზე, ასევე აქვს საკუთარი შესაძლებლობების ილუზორული რწმენა, რომ მოელაპარაკება მათ და თავის მხარეს გადაიბირებს“.

ეს რბილადაა ნათქვამი. პროფესორ ჰენსონს უნდა ახსოვდეს, რომ ევროპული რომანტიზმის ორი მთავარი ინიციატორი ჟან-ჟაკ რუსო და რიხარდ ვაგნერი იყვნენ. შეურაცხადი ლიდერები მსოფლიოსთვის იშვიათობას სულაც არ წარმოადგენს, მაგრამ დავუბრუნდეთ კითხვას, დგას თუ არა ამერიკა ბირთვული ღალატის წინაშე.

**ამგვარ ღალატში ახალი არაფერია, ხიროსიმასა და ნაგასაკის ტრაგედიების შემდეგ ეს ორჯერ მოხდა, შესაძლოა, მეტჯერაც. ადამიანები, რომლებმაც სტალინს გადასცეს მანჰეტენის პროექტის საიდუმლოებები, რომანტიკოსები იყვნენ და სჯეროდათ, რომ კეთილ საქმეს აკეთებდნენ.**

ახლა ამერიკის პრეზიდენტი ძალზე უპასუხისმგებლოდ ეკიდება საკუთარ მოვალეობას, დაიცვას მსოფლიო წარმოუდგენელი საფრთხისგან. რაკი კარიბის კრიზისი 1963 წელს მოხდა, მისთვის ეს ძველი ისტორიაა. ობამას უსასრულოდ სჯერა თავისი შინაგანი ხმის, სჯერა უფრო მეტად, ვიდრე მაღალი რანგის სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელებისა.

როდესაც ობამა რაიმეს გადაწყვეტს, მის თვალსაზრისს ველარაფერი შეცვლის.

უდავოა, რომ მილიონობით ლიბერალი ობამას ძალზე რომანტიკულ ადამიანად მიიჩნევს, დარჩენი კი ფიქრობს, არის თუ არა ის არაადეკვატური.

**American Thinker**

მოკლედ



# წელს ჩრდილოეთ კორეაში 15 მაღალჩინოსანი სიკვდილით დასაჯეს

**ჩრდილოეთ კორეის ლიდერის გადაწყვეტილებით, ბოლო ოთხი თვის განმავლობაში 15 მაღალჩინოსანი სიკვდილით დასაჯეს.** გავრცელებული ცნობით, მაღალჩინოსნებს მთავრობის საწინააღმდეგო ქმედებების განხორციელება ედებოდათ ბრალად. მათ შორის იყო მეტყევეობის მინისტრიც, რომელსაც სახელმწიფო პოლიტიკის გაკრიტიკება ედებოდა ბრალად. ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა კიმ ჩენ ინმა 2013 წელს სიკვდილით დასაჯა თავისი ბიძაც, რომელიც ქვეყნის ხელისუფლებაში მეორე პირი იყო. მას კორუფციაში და ეკონომიკური ვითარების გაუარესებაში დასდეს ბრალი.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რატომ განაპირობებს პირადი თავისუფლებების გაფართოება დემოგრაფიულ კატასტროფებს? იმიტომ, რომ კულტურა, რომელიც ადამიანების კოლექტიურ ცხოვრებას ოჯახის ირგვლივ არ აყალიბებს, ქმნის ისეთ პოლიტიკასა და ისეთ სტრუქტურებს, რომლებიც ოჯახის საზიანოდ ინდივიდს აყენებს პრივილეგირებულ მდგომარეობაში.**

# არავითარი ბავშვები, ჩვენ ხომ ევროპელები ვართ

**ევროპის ქვეყნები, უკვე დიდი ხანია, აქტიურად არიან დაკავებულნი სექსუალური განათლებით, მაგრამ ამჯერად მათი მიზანი არ არის ორსულობის თავიდან აცილება, პირიქით — შობადობის გაზრდაზე ფიქრობენ. დანია, ისევე, როგორც მთელი რიგი სხვა ევროპული ქვეყნებისა, სულ უფრო მეტად წუხს ქვეყანაში დაბალი შობადობის გამო. ეს შეშფოთება კიდევ უფრო მწვავდება ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ახალგაზრდობის უმუშევრობის მაღალი დონის გამო, რადგან ამ პირობებში ადამიანებ ნაკლებად ფიქრობენ, გახდნენ მშობლები.**



იტალიის ჯანდაცვის მინისტრმა თებერვალში იტალიას „მომაკვდავი ქვეყანა“ უწოდა. გერმანია სულ უფრო მეტ ფულს ხარჯავს საოჯახო სუბსიდიებზე, მაგრამ შედეგი ჯერაც არ ჩანს. საბერძნეთში გამეფებულმა დეპრესიამ კიდევ უფრო შეამცირა ქვეყანაში შობადობის მაჩვენებლები. დანიაში კი 1970-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული შობადობა ე. წ. თაობათა ჩანაცვლების კოეფიციენტზე ნაკლებია. ეს კოეფიციენტი ერთ ქალზე ორ ბავშვზე ოდნავ მეტს გულისხმობს. ამის გამო ქვეყანაში მოსახლეობის კლება შეინიშნება.

„მრავალი წლის განმავლობაში უსაფრთხო სექსზე და ორსულობის თავიდან აცილებაზე ვსაუბრობდით, — ამბობს არასამთავრობო ორგანიზაცია Sex and Society-ს ნაციონალური დირექტორი მარიანა ლომჰოლტი, — უცებ კი დავფიქრდით: იქნებ ღირს, დავიწყოთ იმაზე ლაპარაკი, თუ როგორ უნდა დაორსულდე?“

**დემოგრაფიული ცვლილებები ევროპაზე უფრო მეტად აისახება, ვიდრე რომელიმე სხვა მსხვილ რეგიონზე, გარდა იაპონიისა.**

როდესაც საჭირო ხდება ადამიანთა დარწმუნება, რომ აუცილებელია მეტი ბავშვის გაჩენა, ეს პრობლემის სიღრმეზე მიანიშნებს.

„ჩვენ ძალზე ახლოს ვართ განუახლებლობის ზღურბლთან, როდესაც ახალშობილები სრულად ვეღარ ჩაანაცვლებენ გარდაცვლილებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მომაკვდავი ქვეყანა ვართ, — განაცხადა იტალიის ჯანდაცვის მინისტრმა ბეატრიჩე ლორენციმ. — ამგვარ სიტუაციას კოლოსალური შედეგები მოჰყვება ყველა სექტორისათვის: ეკონომიკის, საზოგადოების, ჯანდაცვის, პენსიებისა და სხვათათვის“.

**„ჩვენ უნდა გამოვიღვიძოთ, უნდა შევიცვალოთ კულტურული ჩვევები, რათა უახლოეს წლებში შევძლოთ ტენდენციის შეცვლა“**, — დასძინა მან.

**მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები ითვლიან მოსახლეობის დაბერების შედეგად მიყენებულ ზარალს, რომელსაც მოსდევს საპენსიო ანაზღაურების მატება და ჯანდაცვის ხარჯები.** ხოლო იტალია, რომელიც ექვსი წლის მანძილზე მესამედ აღმოჩნდა რეცესიის მდგომარეობაში, განსაკუთრებით სუსტია.

ეს ყველაფერი ევროპისთვის ახალი არ არის. აი, ამონარიდი რამდენიმე წლის წინანდელი სტატიიდან:

„ცივილიზაცია დამოკიდებულია ტრადიციული ოჯახის სიჯანსაღეზე. ეს განწყობა ანბანურ ჭეშმარიტებად იქცა სოციალ-კონსერვატორებისთვის, რომლებსაც, როგორც წესი, არ შეუძლიათ ახსნან, კონკრეტულად რა იგულისხმება ამაში.

**განსვენებულმა სოციოლოგმა ჰარვარდიდან — კარლ ციმერმანმა იცოდა, რომ ეს სწორედ ასეა, ოღონდ მან ისიც იცოდა, თუ რატომაა ასე. 1947 წელს მან დაწერა დიდი წიგნი, რომელშიც ცდილობდა, აეხსნა, თუ რატომ განიცდის დასავლეთის ახლანდელი ცივილიზაცია ოჯახის ისეთსავე კრიზისს, როგორმაც თავის დროზე ძველი საბერძნეთისა და რომის დაცემა განაპირობა.** მისი კლასიკური შრომა Family and Civilization (ოჯახი და ცივილიზაცია) ახლახან გამოიცა შემცირებული სახით და ის სავსეა წინასწარმეტყველებებით, რომლებიც იმსახურებს ფართო საზოგადოების ყურადღებას.

ციმერმანი წერს, რომ ყველა ცივილიზაციაში არსებობს ოჯახის სამი სახეობა. ეს სახეობებია „ნდობის“ კლანურ-თემური ოჯახები, რომლებიც ჭარბობენ აგრარულ საზოგადოებებში. საშუალო ტიპის „საშინაო“ ოჯახი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ოჯახი, როგორც მთავარი რგოლი ძლიერი და ფართო ნათესაური კავშირებით (ძირითადად დამახასიათებელია განვითარებადი ცივილიზაციებისთვის) და მესამე ტიპის „დაჩეხილი“ ოჯახები, რომელთათვისაც ნიშანდობლივია სუსტი კავშირები ძირითადი ოჯახის შიგნით და რომელთაც ძირითადად განვითარებულ, წამყვან ცივილიზაციებში ვხვდებით.

**მომავალი არის მათი, ვინც შვილებს აჩენს, ანუ ადამიანების, რომელთაც თავში ცხოვრების არსის, ქორწინების, ბავშვების გაჩენის შესახებ სულ სხვაგვარი იდეები უტრიალებთ, ვიდრე თანამედროვე მსოფლიოში მცხოვრებ ადამიანთა უმეტესობას**

როდესაც მეხუთე საუკუნეში რომის იმპერია დაემხო, სუსტი და დაჩეხილი რომაული ოჯახები ჩაანაცვლა ბარბაროსების თემების მტკიცე ოჯახებმა.

სამღვდელოება მიიჩნევდა, რომ სოციალური სტრუქტურა, რომელმაც გაანადგურა ერთმანეთთან განუწყვეტლივ მეომარი კლანები და ინდივიდუმს მეტი თავისუფლება მისცა, უფრო შესაფერისია საზოგადოების სტაბილურობისათვის. ამის გამო ის საუკუნეების მანძილზე აყალიბებდა ევროპულ ოჯახს, რომელსაც ოჯახური კერის ჩვეულებას უნერგავდა.

**შობადობის წამახალისებელი მსოფლმხედველობა, რომელსაც იცავდა სამღვდელოება, ამყარებდა რელიგიასა და რწმენას, ოჯახურ ერთგულებასა და შვილების გაჩენის შესაძლებლობას.** X საუკუნიდან ევროპაში ჭარბობდა „საშინაო“ ოჯახი, თანაც ეს მისი უდიდესი კულტურული აღორძინების პერიოდში ხდებოდა, მაგრამ შემდგომ კულტურა ტრადიციებიდან ინდივიდუალიზმისკენ გადაიხარა. ამრიგად, XVIII საუკუნიდან „ატომისტური“ ოჯახი დასავლეთში კულტურულ ნორმად იქცა.

მაგრამ პრობლემაც ესაა. საზოგადოება, რომელსაც მართავს დაჩეხილი ოჯახის მოდელი და სუსტდება მისი წევრების შემზღუდავი ვალდებულებები, აღარ ბადებს თვითგადარჩენისათვის საკმარისი რაოდენობის ბავშვებს. ამგვარი საზოგადოების წევრების ყურადღება ფოკუსირდება დღევანდელ სიამოვნებებზე და დროთა განმავლობაში ამგვარი საზოგადოება წყვეტს არსებობას ადამიანების უკმარისობის გამო, რაც ადასტურებს იმას, რომ მას არ გააჩნია სიცოცხლის ნება.

ასე იყო ძველ საბერძნეთში, ასე იყო ძველ რომში და ასე ხდება თანამედროვე დასავლეთშიც. სოციოლოგიური პარალელები გასაოცარია.

**რატომ განაპირობებს პირადი თავისუფლებების გაფართოება დემოგრაფიულ კატასტროფებს?** იმიტომ, რომ **კულტურა, რომელიც ადამიანების კოლექტიურ ცხოვრებას ოჯახის ირგვლივ არ აყალიბებს, ქმნის ისეთ პოლიტიკასა და ისეთ სტრუქტურებს, რომლებიც ოჯახის საზიანოდ ინდივიდს აყენებს პრივილეგირებულ მდგომარეობაში.**

მომავალ წლებში სახელმწიფო გამოიყენებს ეკონომიკურ სტიმულებს ან დრაკონულ ზომებს, რათა როგორმე გაზარდოს შობადობა. დემოგრაფიულ უფსკრულში გადაჩეხილი ევროპა უკვე ქმნის ეკონომიკურ სტიმულებს შობადობის ასამაღლებლად, მაგრამ ამ ზომებს განსაკუთრებული წარმატება არ მოაქვს, მატერიალური წახალისება ძალიან სუსტი დამხმარეა.

რატომ? **ციმერმანი თავად არ იყო რელიგიური ადამიანი, მაგრამ აღიარებდა, რომ მთავარი პრობლემა რწმენის დაკარგვაა. რელიგიები, რომლებშიც ძლიერი დასკვნები არსებობს შობადობის სასარგებლოდ, დროთა განმავლობაში კვდება;. მაგრამ კვდება ის კულტურებიც, რომლებსაც არ აქვთ შობადობის ხელშემწყობი მძლავრი რელიგია.**

პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი და კონსერვატიზმის იდეოლოგიის მამა მერკი ერთსქესიანი ქორწინებების წინააღმდეგ ამბობდა:

ქორწინების შესახებ ჩვენი წარმოდგენების რადიკალური ტრანსფორმაცია დასავლეთში დაიწყო, სულ მცირე, ასი წლის წინათ და ამას უამრავი მიზეზი ჰქონდა. გეების აქტიურობა მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზია და უფრო გვიანდელ დამატებას წარმოადგენს. **ტრადიციული ოჯახის გახლეჩილობა და დასუსტება კაპიტალიზმის იდეოლოგიისა და დინამიკური კულტურის, ასევე, ინდივიდუალიზმის პირობებში გრძელდება, რაც სერიოზულ შედეგებამდე მიდის.** როგორც სოციოლოგებმა განსაზღვრეს, განქორწინებები და არასრული ოჯახები, რომლებიც 1960-იანი და 1970-იანი წლების სექსუალური რევოლუციის შემდეგ გაჩნდა, ბავშვებისთვის ნამდვილ კატასტროფად იქცა. ბევრი ჩვენგანი აცნობიერებს, რომ, მიუხედავად ქორწინების ინსტიტუტში გაჩენილი ნეგატიური ცვლილებებისა, მან სუსტად, მაგრამ მაინც შეინარჩუნა თავისი პირველყოფილი დანიშნულება: გააჩინოს ბავშვები და შექმნას მათი ზრდისა და განვითარებისთვის საკეთილდღეო გარემო. როდესაც ჩვენ ვუყურებთ ქორწინებას არა როგორც ჩვენივე ფორმირების ინსტიტუტს, არამედ რაღაცას, რაც შეგვიძლია, შევქმნათ და დავანგრიოთ საკუთარი შეხედულებისამებრ; როდესაც ჩვენთვის ქორწინება ხდება მხოლოდ ორი ადამიანის ერთმანეთისადმი სიყვარულის გამოხატულება, ამგვარი კავშირების განმამტკიცებელი ვალდებულებები ძალზე სუსტდება. **ერთსქესიანი ქორწინებების აღიარება ნიშნავს ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას ძველ თვალსაზრისთან და ამის გამოსწორება უკვე შეუძლებელი იქნება.**

**მომავალი არის მათი, ვინც შვილებს აჩენს, ანუ ადამიანების, რომელთაც თავში ცხოვრების არსის, ქორწინების, ბავშვების გაჩენის შესახებ სულ სხვაგვარი იდეები უტრიალებთ, ვიდრე თანამედროვე მსოფლიოში მცხოვრებ ადამიანთა უმეტესობას.**

ასეა თუ ისე, თავის წიგნში ციმერმანი საუბრობს იმაზე, რომ ისტორიის განმავლობაში ვერც ერთმა სახელმწიფომ ვერ შეძლო, საკანონმდებლო ცვლილებებით აემაღლებინა შობადობა. როდესაც ადამიანები აღარ თვლიან საჭიროდ ბავშვების გაჩენას და ოჯახის შექმნას, ეს ქვემოთ მიმავალი გზაა.

The American Conservative

მოკლედ



## ნატო სწრაფი რეაგირების ძალებს აორმაგებს

**ნატოს გენერალური მდივნის — იენს სტოლტენბერგის განცხადებით, ალიანსი „ნატოს რეაგირების ძალებს“ 13 ათასი ჯარისკაციდან 30 ათასამდე ზრდის.** ეს განცხადება სტოლტენბერგმა პორტუგალიის საგარეო საქმეთა მინისტრ რუი მაშეტესთან შეხვედრაზე გააკეთა. ინფორმაცია შეხვედრის თაობაზე ნაhტოს ოფიციალურ საიტზეა განთავსებული. ალიანსის გენერალურმა მდივანმა პორტუგალიელ კოლეგას ასევე შეახსენა, რომ ევროპაში დამატებით იქმნება 5-ათასიანი სწრაფი რეაგირების დაჯგუფება „მოწინავე ძალები“. „ნატოს სწრაფი რეაგირების ძალები“ მაღალტექნოლოგიური და მრავალეროვანი ჯარია, რომელიც სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო და სპეციალური დანიშნულების შენაერთებისაგან შედგება.



იმისათვის, რომ GOOGLE-ის ძალაუფლების მსხვერპლი არ აღმოჩნდე, საკმარისია, შეწყვიტო მისი სერვისებით სარგებლობა... არსებობს სხვა საძიებო სისტემები, რომლებიც არ უთვალთვალებენ მომხმარებლებს. მაგალითად, ფრანგული QWANT-ი, რომელიც საქმეში GOOGLE-ს არ ჩამოუვარდება და უფრო მოხერხებული ინტერფეისიც კი აქვს. სამწუხაროდ, ადამიანებს ინერტულობა ახასიათებთ, ჩვევებმა კი უკვე ღრმად გაიდგა ჩვენში ფესვები.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# Google-ს წარმოუდგენელი ძალაუფლება თითოეულ ჩვენგანზე

**Google-მა ჩვენ შესახებ თითქმის ყველაფერი იცის: რას ვკითხულობთ, სად ვმუშაობთ, ვისთან ვმეგობრობთ, სად ვიმყოფებით მოცემულ მომენტში... ცოტა ხანში კი მას კიდევ უფრო მეტი ეცოდინება: რა მდგომარეობაშია ჩვენი ჯანმრთელობა და ფინანსები... სინამდვილეში მის ხელთაა უფრო დიდი ძალაუფლება, ვიდრე ყველასათვის კარგად ნაცნობ „უფროს ძმას“ აქვს.**



Google ჩვენი ჩარევის გარეშე აგროვებს უამრავ მონაცემს თითოეულ ჩვენგანზე. ამას უამრავი ფაქტი ადასტურებს. მაგალითად, როდესაც ინტერნეტში შედიხართ ახალი ამბების გასაცნობად, Google უმალ გადაგამისამართებთ თქვენი ქვეყნისადმი მიძღვნილ გვერდზე. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ სად იმყოფებით მოცემულ მომენტში, ანუ თქვენს ადგილმდებარეობას მუდმივად უთვალთვალებენ. გარდა ამისა, თუ მზისგან დამცავი სათვალის ძებნას დაიწყებთ Google-ის მეშვეობით, მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში ყველგან გადააწყდებით ამგვარი სათვალეების რეკლამებს.

ჩვენს მოთხოვნებს მოსდევს ავტომატური შევსება იმაზე დამოკიდებულებით, რასაც უკვე ვეძებდით წარსულში. ჩვენი ყოველი ნაბიჯი იწერება.

ამ შემთხვევაში რისკები თვალნათელია. ყველა შეგროვებული მონაცემი იყიდება საწარმოებზე, რომლებიც ინფორმაციას საკუთარი საქონლისა და მომსახურების ეფექტური გაყიდვებისათვის იყენებენ. თუმცა, ეს ყველაფერი კომერციით რომ შემოიფარგლებოდეს, არასასიამოვნო მომენტი იქნებოდა, მაგრამ სერიოზული შედეგებით მაინც არ დაგვემუქრებოდა. მაგრამ ყველა ჩვენგანისთვის მშვენივრადაა ცნობილი, რომ სახელმწიფო და, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ის მთავრობა ამით არ კმაყოფილდება: ისინი Google-სგან მოითხოვენ ინფორმაციის მიწოდებას ვითომდა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. ადვილი მისახვედრია, რომ ეს ყველაფერი პირადი თავისუფლების შელახვამდე მიდის.

**იმისათვის, რომ Google-ის ძალაუფლების მსხვერპლი არ აღმოჩნდე, საკმარისია, შეწყვიტო მისი სერვისებით სარგებლობა... არსებობს სხვა საძიებო სისტემები, რომლებიც არ უთვალთვალებენ მომხმარებლებს. მაგალითად, ფრანგული Qwant-ი, რომელიც საქმეში Google-ს არ ჩამოუვარდება და უფრო მოხერხებული ინტერფეისიც კი აქვს. სამწუხაროდ, ადამიანებს ინერტულობა ახასიათებთ, ჩვევებმა კი უკვე ღრმად გაიდგა ჩვენში ფესვები.**

Google-ს პირდაპირი წვდომა აქვს მსოფლიოს მასშტაბით. თავისი საბაზო ფუნქციის, ანუ ინფორმაციის ძიების წყალობით, Google-მა მოახერხა, ხელში ჩაეგდო პირადი მონაცემების უდიდესი მასა. საძიებო სისტემა შუამავლად იქცა გამყიდველსა და მყიდველს შორის. მას მხოლოდ გადახდის საშუალებები აკლდა და, სხვათა შორის, ეს უკვე გადაწყვეტილი საკითხია. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ამ საწარმოებმა ყველაზე უკეთ იციან მომხმარებელთა გემოვნება, ფინანსური შესაძლებლობები და დანაზოგების რაოდენობა. ჩვენ საბაზრო ეკონომიკის ჩანაცვლების ეპოქაში შევდივართ.

Google-ს სურს, არა მხოლოდ აკონტროლოს ჯანდაცვა, არამედ აჩვენოს, რომ ხელს უწყობს მედიცინის განვითარებას მონაცემთა შეგროვებითა და ანალიზით. მაგალითად, საძიებო მოთხოვნების მიხედვით, მას შეუძლია, განსაზღვროს ინფექციის გაჩენის კერა და ეპიდემიის დაწყება. იგივე შეიძლება ითქვას გენომის ანალიზსა და ამა თუ იმ დაავადებისადმი წინასწარი განწყობის გენეტიკურ ფაქტორებზე, მაგრამ Google არც ამაზე ჩერდება და ფულს აბანდებს კომპანიაში, რომელიც ეძებს უჯრედების დაბერების თავიდან ასაცილებელ და ამით სიკვდილის დასამარცხებელ წამალს.

არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების სექტორმა, შესაძლოა, საკუთარ თავზე აიღოს მთელი რიგი დარგების ხელმძღვანელობა, დარგებისა, რომლებიც მუდამ სახელმწიფოს საკუთრება იყო: ჯანდაცვა, განათლება და ეკონომიკა. ეს არის სახელმწიფოების განადგურების პოლიტიკური პროექტის ნაწილი.

ძნელი სათქმელია, აქვს თუ არა რაიმე საზღვრები Google-ის ამბიციებს, რომელიც უკვდავებას გვპირდება.

## Google წააგავს უზარმაზარ ობობას, რომელიც თავის ქსელს ქსოვს. ის ერთი მეორის მიყოლებით ყიდულობს კომპანიებს, რომლებიც შეიძლება წინ აღუდგნენ მის მსოფლიო მბრძანებლობას. ეს ხდება მშვიდობიანად, კარგი ფულის სანაცვლოდ, მაგრამ პროცესი უწყვეტად მიმდინარეობს

მთელ რიგ ტექნოლოგიურ დარგებში Google-ის მასშტაბურ გეგმებზე უამრავი მინიშნება მეტყველებს. რომც არ განვიხილოთ მონაცემთა უდიდესი მასივების დამუშავება, კომპანია დაკავებულია მძღოლის გარეშე მავალი ავტომანქანის შექმნით. Google შეისყიდის საწარმოებს, რომლებიც დაკავებულნი არიან რუკებისა და მარშრუტების შედგენით. ხელოვნური ინტელექტი, რობოტოტექნიკა, კრაუდსორსინგი... — Google ინვესტიციებს არ იშურებს ტექნოლოგიების ამ თანამედროვე დარგებისთვის.

**Google წააგავს უზარმაზარ ობობას, რომელიც თავის ქსელს ქსოვს. ის ერთი მეორის მიყოლებით ყიდულობს კომპანიებს, რომლებიც შეიძლება წინ აღუდგნენ მის მსოფლიო მბრძანებლობას. ეს ხდება მშვიდობიანად, კარგი ფულის სანაცვლოდ, მაგრამ პროცესი უწყვეტად მიმდინარეობს.**

მოცემული პროცესი დიდწილად დაკავშირებულია სახელმწიფოს პოლიტიკურ ნებაზე. ჩინეთი და რუსეთი ეწინააღმდეგებიან მას, მაგრამ აშშ პირიქით — სარგებლობს ამით საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად, უფრო სუსტი ქვეყნები მხოლოდ ემორჩილებიან მას. ამასთან, ეს ეხება როგორც სუსტი სტრუქტურების მქონე ღატაკ სახელმწიფოებს, რომლებიც ამ ყველაფერში საკუთარ პრობლემებთან გამკლავების საშუალებას ხედავენ, ისევე უძლურ სახელმწიფოებს, მაგალითად, ევროპის ქვეყნებს მათ ამჟამინდელ მდგომარეობაში.

**მასმედია Google-ზე გარკვეულწილად დამოკიდებულია: Google Earth, Google News, Google Scholar. ყოველივე ეს მათ ინფორმაციასთან წვდომისათვის ესაჭიროებათ.**

Google News-ი მსოფლიოში პრესის უმსხვილეს აგრეგატად იქცა. ის აყალიბებს ინფორმაციის კატეგორიებსა და იერარქიებს. Google წყვეტს, თუ რომელი მათგანი იმსახურებს მეტ ყურადღებას; რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი მილიონობით ადამიანისათვის და რა უნდა დაიმარხოს მილიონობით სხვა სიახლის ქვეშ.

პარანოია საჭირო არ არის, Google-ის ხელმძღვანელები ბოროტმოქმედები არ არიან და მხოლოდ მსოფლიოზე ძალაუფლების მოპოვებას არ ოცნებობენ. მაგრამ კომპანიას მაინც აქვს სურვილი, გავლენა მოახდინოს მოვლენათა განვითარებაზე. ამას ადასტურებს საექსპერტო ჯგუფ Google Ideas ფორმირება, ჯგუფისა, რომელიც მიზანმიმართულად იბრძვის ექსტრემიზმის, ისლამიზმისა და ობსკურანტიზმის წინააღმდეგ.

Google-ს შეუძლია, პირდაპირი გავლენა მოახდინოს ჩვენს ტვინზე. ის გვაყალიბებს, როგორც მომხმარებლებს, მაგრამ გვაშტერებს კიდეც?

ძნელი სათქმელია, მაგრამ უდავოა, რომ მუშაობის, აზროვნებისა და მახსოვრობის ჩვეულებები ნამდვილად შეგვეცვალა. ახლა ტვინის სხვა ოლქები გამოიყენება.

Google არ არის დაკავებული პროპაგანდით, ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით, მაგრამ მას შეუძლია, საერთო მასაში გამოარჩიოს ერთი აზრი და ჩაახშოს დანარჩენები.

**სინამდვილეში Google არ ცდილობს, თავს მოგვახვიოს რაიმე მსჯელობა ან აზრი, მაგრამ ცვლის ცოდნისა და მსჯელობის ჩვენთვის დამახასიათებელ ჩვევებს;** მათი შეცვლით კი გვცვლის ჩვენც. ეს გაუცნობიერებელი, მაგრამ სავსებით რეალური ძალაუფლებაა, თანაც ის „უფროს ძმაზე“ ბევრად მრავალმხრივი და რთულია...

**Atlantico**



## 99 წლის დევიდ როკფელერს გული მეექვსედ გადაუნერგეს

**ამერიკელ მილიარდერ დევიდ როკფელერს, რომელსაც ივნისში 100 წელი უსრულდება, გული მეექვსედ გადაუნერგეს.** პირველად მილიარდერმა გული 61 წლის ასაკში, ავტოავარიის შემდეგ გადაინერგა. ამჯერად გულის გადანერგვის ოპერაცია კერძო ქირურგებმა ჩაატარეს. ოპერაცია 6 საათი გრძელდებოდა, მეორე დღეს როკფელერმა პრესკონფერენცია ჩაატარა. მილიარდერმა ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ გეგმავს, იცოცხლოს 200 წლამდე, ხოლო დღეგრძელობის საიდუმლოდ სიცოცხლისადმი სიყვარული მიაჩნია.



## ესტონეთის პრეზიდენტი განქორწინდა

**ესტონეთის პრეზიდენტი ტომას ჰენდრიკ ილვესი და მისი მეუღლე ეველინ ილვესი 30 აპრილს ოფიციალურად განქორწინდნენ.** პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, 1 მაისიდან ეველინ ილვესი ველარ ისარგებლებს პრეზიდენტის მეუღლისთვის მინიჭებული შეღავათებით. ისინი ერთობლივად გააგრძელებენ შვილის — კადრი კეიუს აღზრდას. პრეზიდენტის მეუღლე ეველინ ილვისი შარშან პაპარაცებმა ტალინის ერთ-ერთ ბარში ახალგაზრდა მამაკაცთან ერთად ფოტოზე აღბეჭდეს.

კადრი



## ჩვილმა ნანგრევებში 22 საათი გაატარა

**ფოტო, რომელზეც თვეების ბავშვი ნანგრევებიდან ამოჰყავთ, ნეპალის მიწისძვრის ერთგვარ სახედ იქცა.** 25 აპრილს მომხდარი კატასტროფის შედეგად 6000-ზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა, ორჯერ მეტი კი — დაშავდა. გადარჩენილი ბავშვის სახელი სონიტ აუალია, ის მხოლოდ ოთხი თვისაა. კატმანდუში ბავშვის სახლი 8-ბალიანი მიწისძვრის შედეგად დაინგრა, ბიჭუნა კი ნანგრევებში მოყვა. მამამ სამხედროებს შვილის ძებნაში დახმარება სთხოვა, ისინი დღხანს ეძებდნენ ბავშვს, როცა პივნის იმედი დაკარგეს და წასვლა დააპირეს, მოულოდნელად მამას შვილის ტირილის ხმა შემოესმა. ჯარისკაცებმა სონიტი ნანგრევებიდან ამოიყვანეს, სადაც მან 22 საათი გაატარა. საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ გაირკვა, რომ მას არანაირი დაზიანება არ მიუღია.



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ ამჯერადაც წარმოადგინა მდიდარ ლიტერატურულ და ინფორმაციულ მასალაზე დაფუძნებული ღრმა ანალიზი, რომელშიც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა დასავლეთის ქვეყნების აპოლოგეტების მცდელობა, დააკნინონ საბჭოთა კავშირის როლი მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებაში, და მცდელობა, შეთხზან მითი დასავლეთის გადამწყვეტ როლზე ფაშისტური გერმანიის დამარცხებაში.**

# კიდევ ერთი დაუვიწყარი დღე მოსკოვში

**2015 წლის 28 აპრილს რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში ჩატარდა დიდ სამამულო ომში გამარჯვების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი გამარჯვებულთა საერთაშორისო ფორუმი დევიზით — „ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება“, რომელშიც მონაწილეობდა ყოფილი საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების ომის ვეტერანები და ცნობილი პიროვნებები. ფორუმი ჩატარდა პოკლონნაია გორაზე 1941-1945 წ.წ. დიდი სამამულო ომის მუზეუმში. საქართველოს დელეგაციის მიწვევა-გამგზავრების ორგანიზატორი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობა“ (ხელმძღვანელი ტარიელ გაგნიძე). დელეგაციაში იყო 11 კაცი — საზოგადოების წარმომადგენლები და დიდი სამამულო ომის ვეტერანები.**




ფორუმი დაიწყო პლენარული სხდომით, რომელზეც გამოტანილი იქნა 10 მოხსენება. სხდომაზე მოხსენებით წარდგა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე **ალექსანდრე ჭაჭია** (არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ მისი სიტყვა საუკეთესო იყო — 15-წუთიანი გამოსვლა ექვსჯერ გააწყვეტინეს ტაშით). სხვა მოხსენებები მოსმენილი იქნა სექციურ სხდომებზე. მათ შორის, **ირაკლი უბილავას** მოხსენება თემაზე: „საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი ისტორიული მეხსიერების შენარჩუნებაში“. სულ ფორუმზე გამოტანილი იყო 50 მოხსენება, რომლებიც ასახავდა მოცემული რეგიონების წვლილს დიდი სამამულო ომის გამარჯვებით დაგვირგვინებაში.

ყველა მოხსენება საინტერესო იყო, მაგრამ, როგორც ყოველთვის, **ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ ამჯერადაც წარმოადგინა მდიდარ ლიტერატურულ და ინფორმაციულ მასალაზე დაფუძნებული ღრმა ანალიზი, რომელშიც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა დასავლეთის ქვეყნების აპოლოგეტების მცდელობა, დააკნინონ საბჭოთა კავშირის როლი მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებაში, და მცდელობა, შეთხზან მითი დასავლეთის გადამწყვეტ როლზე ფაშისტური გერმანიის დამარცხებაში.**

დასანანია, რომ ისეთ გონიერ, მაღალი ინტელექტის ადამიანს, როგორიც ბატონი ალექსანდრე ჭაჭიაა, დღეს საქართველოში ფუნქცია არ აქვს, არადა, როგორ გვჭირდება ასეთი ადამიანები.

აქვე შეუძლებელია, არ აღვნიშნოთ ერთი მეტად უცნაური და მავნე ტენდენცია ისტორიული მოვლენის, ისტორიული სინამდვილის მიჩუმათებისა.

ყველა ომს ჰყავს მთავარსარდალი — სად გაგონილა ომი მთავარსარდლის გარეშე?!

ვინ ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირს ომის დროს და ვინ იყო მთავარსარდალი, რომელმაც განაპირობა ეს დიადი გამარჯვება? ყველასთვის ცნობილია, რომ მსოფლიოში ეს პიროვნება იყო დიდი სტალინი.

**ყველაზე ამაზრზენი და დიდი უსინდისობა არის ის, რომ სტალინის ფენომენი ყველაზე უფრო მის სამშობლოშია მიჩუმათებული და, თუ ოფიციალურ დონეზე ვინმე მაინც ახსენებს, — მხოლოდ უარყოფითად.**

**პატივცემულო მთავრობავ, ახლანდელოც და ყოფილოც, და სტალინზე აუგის მთქმელებო, რა აქვს სტალინს თქვენი საძაგებელი? ის ხომ არა, რომ მისი გენიის წყალობით (და ცოტაც ჩვენი, იმ საშინელი ომის გადამხდელი ვეტერანების დაღვრილი სისხლის), დედამიწაზე თავისუფლად დადიხართ, და მთავრობაში იყავით და ხართ წამოსკუპებული? სტალინი რომ არა, გერმანელის ჩექმის წმენდაც სანატრელი გაგიხდებოდათ, თუ, საერთოდ, მოევლინებოდით ამ ქვეყანას.**

თქვენს საფიცარ დასავლეთს მაინც შეხედეთ – ნაპოლეონი შეიძლება კარგი მხედართმთავარი იყო, მაგრამ აგრესორი გახლდათ, მთელი ევროპა გადათელა და უამრავი სისხლი დაღვარა, მაგრამ საფრანგეთში მასზე ცუდს ვერავის დააცდენინებთ. გერმანიაში ფაშისტების საფლავებსაც უვლიან, მხოლოდ ფაშისტური სიმბოლიკა მოაშორეს. სტალინს პატივს სცემდა, მის გენიას ყველა მისი თანამედროვე მსოფლიო ლიდერი აღიარებდა, მათ შორის, დაუძინებელი მტრებიც; თქვენ კი რა ასეთი უვიცობა-უმადურობის სენი შეგეყარათ?!

ისევ ჩვენს ფორუმს დავუბრუნდეთ. პლენარული სხდომის შემდეგ ომის ვეტერანები მიგვიწვიეს მდინარე მოსკოვზე გასასეირნებლად. მსგავსი რამ, ალბათ, ბევრ ჩვენგანს არ უნახავს. გემზე ვისადილეთ, სადილი იყო დიდებული, მრავალფეროვანი კერძებით, ხილის წვენებით. ეს გასეირნება იყო ექსკურსიაც. ვისხედით და ვუსმენდით გიდს, რომელიც გვაცნობდა მდინარის გასწვრივ მდებარე ისტორიულ ღირსშესანიშნაობებს. ეს იყო ეგზოტიკური გასეირნება, რომელიც გაგრძელდა 4 საათს. გამოვემშვიდობეთ გემის თანამშრომლებს და წამოვედით სასტუმროში, სადაც 19 საათზე მიწვეული ვიყავით რესტორანში საზეიმო ბანკეტზე, სადაც შესრულდა სხვადასხვა ხალხთა სიმღერები, მათ შორის, ქართული „გაფრინდი შავო მერცხალო“, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. სუფრა იყო მეტად მდიდარი, მრავალფეროვანი კერძებით, ნაირგვარი სასმელითა და წვენებით.

ომის ვეტერანებმა ახალგაზრდები დავლოცეთ და ვუთხარით, რომ ჩვენი მოვალეობა სამშობლოს წინაშე მის დაცვასა და შრომაში დიდებულად მოვიხადეთ და ახლა ესტაფეტას მათ გადავცემთ.

ასე დასრულდა რუსეთის დედაქალაქში ჩვენი ერთი დღე, რომელიც გადატვირთული კი იყო, მაგრამ დაღლა არ გვიგრძნია.

დასასრულ, დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსკოვის ფორუმზე ჩვენი, ომის ვეტერანების, დასწრება იყო მეტად სასარგებლო და სასიამოვნო. გაგვაოცეს მასპინძლებმა, იყვნენ მეტად თბილი და ყურადღებიანი. მოგვათავსეს ხუთვარსკვლავიან სასტუმროში. ყველანაირად ცდილობდნენ, ესიამოვნებინათ ჩვენთვის, ყოველ ჯერზე ხაზს უსვამდნენ ჩვენდამი პატივისცემას. წამოსვლისას აეროპორტში, სამთავრობო სტუმრების ოთახში დაგვასვენეს თვითმფრინავის გადმოფრენამდე, ხოლო შემდეგ მანქანებით პირდაპირ მიგვიყვანეს და ჩაგვსვეს ლაინერში. იქ განცდილი ყველა პოზიტივის აღწერა შეუძლებელია საგაზეთო წერილში. როგორც ომის ვეტერანები, დავძენთ, რომ რუსეთში ომის ვეტერანებს დიდ პატივს სცემენ და უფრთხილდებიან.

ულრმესი მადლობა მოსკოველებს ასეთი კარგი მიღებისთვის და არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიულ მემკვიდრეობას“ ამ ღონისძიებაზე ჩვენი დასწრების ორგანიზებისთვის.

**დავით დემეტრაშვილი,**
**სერგო მირზოიანი,**
**შოთა ბუაძე,**
**დიდი სამამულო ომის ვეტერანები**
**თბილისი. 3 მაისი, 2015 წ.**



# დამოუკიდებელი სახელმწიფოების ვეტერანთა (პენსიონერთა) საზოგადოებრივი ორგანიზაციების საერთაშორისო კავშირი

## საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარეს, რ. დ. ნაცარიშვილს

**პატივცემულო რევაზ დავითის ძევ!**

საკოორდინაციო საბჭოსა და პირადად ჩემი სახელით გულითადად გილოცავთ თქვენ, რევაზ დავითის ძევ, საქართველოს ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ყველა ვეტერანს ფაშიზმზე დიადი გამარჯვების 70 წლისთავს, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხის ძალების გაუგონარი დაძაბვით. ამ გამარჯვების მისაღწევად მილიონობით ჩვენმა ბაბუამ, მამამ, დედამ, ძმამ და დამ, თანაპოლკელმა გასწირა სიცოცხლე.

სამარადისო ხსოვნა და დიდება მათ!

ჩვენი მტრები ყველანაირად ცდილობენ, გააშავონ, დააკნინონ მნიშვნელობა ჩვენი დიადი გამარჯვებისა, საბჭოთა ადამიანის გმირობისა, რომელმაც ევროპის ქვეყნები და სრულიად მსოფლიო ფაშისტური ჭირისგან იხსნა.

ვეტერანები სულის სიღრმემდე აღშფოთებული ვართ ასეთი დამოკიდებულებით დიადი იუბილესადმი.

ვეტერანთა საერთაშორისო კავშირი გისურვებთ ჯანმრთელობას, გაერთიანებას, ერთგულებას იმ ადამიანების ანდერძისადმი, რომლებმაც სიცოცხლე გაწირეს დიადი გამარჯვებისთვის.

**ღრმა პატივისცემით,**
საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელი
**ა. სოროკინი,**
**ფლოტის ადმირალი**

მსოფლიო



# საგანგებო მდგომარეობა აიოვას შტატში

**აიოვას შტატში ფრინველის გრიპის გავრცელების გამო საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. „როიტერის“ ცნობით, შტატის გუბერნატორმა პრევენციული ზომების მიღება მას შემდეგ გადაწყვიტა, როცა ფრინველთა რამდენიმე ფერმაში ვირუსი აღმოაჩინეს.**

აიოვა, რომელიც ამერიკის შტატებში კვერცხის წარმოებით პირველ ადგილზეა, მესამე შტატია, რომელშიც ფრინველის გრიპის გამო საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. ვირუსის გავრცელების თავიდან არიდების მიზნით გასულ თვეს კიდევ ორ შტატში — მინესოტასა და ვისკონსინში გამოაცადეს საგანგებო მდგომარეობა.



**ქართველი ხალხი, ვალმოხდილი ღვთისა და კაცობრიობის წინაშე, ზეიმით აღნიშნავს ადამიანთა ისტორიაში ყველაზე დიდ და სისხლისმღვრელ ომში ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების 70 წლისთავს. იგი ამაყობს ამ ზოგადსაკაცობრიო საქმეში შეტანილი თავისი წონადი წვლილით.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სტალინი — «ძლევაი საკვირველის» შემოქმედი

**კაცობრიობის ისტორია მეტწილად ომების ისტორიაა. ადამის მოდგმამ ძალიან ცოტა ხანს იცხოვრა უომრად, ომებმა მილიარდობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. შვეიცარიელი მკვლევარის — ჟაკ-ჟაკ ბაბელის გათვლებით, ბოლო 55 საუკუნის განმავლობაში ადამიანებმა ომის გარეშე მხოლოდ 292 წელი, ანუ 3 საუკუნეზე ნაკლები იცხოვრეს.**



**ბოროტებაზე სიკეთის ძლევის ამ ჭეშმარიტად ღვთიურ საქმეში თავისი მოსახლეობის რიცხოვნებასთან შეფარდებით განუზომლად დიდი იყო საქართველოს წვლილი. ქვეყანამ, რომელშიც 3,8 მილიონი კაცი ცხოვრობდა ომის ფრონტებზე გაგზავნა 700 ათასი მებრძოლი, მათ შორის — 23 ათასი ოფიცერი და 82 გენერალი. ქართველი იყო ამ ომში გადამწყვეტი ძალის — საბჭოთა არმიის უმაღლესი მთავარსარდალი, ომის ტრიუმფატორი გენერალისიმუსი იოსებ ჯუღაშვილი და გამარჯვებაში ჭეშმარიტად ლომის წილის შემტანი, საბჭოთა კავშირის მარშალი ლავრენტი ბერია**

ადამიანებს ახსოვთ უამრავი ხანმოკლე და ხანგრძლივი ომი. ყველაზე ხანმოკლედ ითვლება ინგლისსა და ზანზიბარს შორის 1896 წლის ომი, რომელშიც ბრიტანელებმა 38 წუთში მოიპოვეს გამარჯვება. ხანმოკლე ომების რეკორდს უახლოვდება საქართველოს უმაღლესი მთავარსარდლის — მიხეილ სააკაშვილის მიერ 2008 წლის 7 აგვისტოს ცხინვალში დაწყებული ომი, რომელიც დღე-ნახევარში კრახით დასრულდა.

ხანმოკლე იყო ისრაელ-ეგვიპტის 1967 წლის 6-დღიანი ომი, როცა ისრაელის არმიამ სრული გამარჯვება მოიპოვა. ყველაზე ხანგრძლივი კი იყო ჯვაროსნული ომები, რომელთა სამივე ეტაპი 195 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა.

კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური, ყველაზე სისხლისმღვრელი და დიდი ზიანის მომტანი იყო მეორე მსოფლიო ომი, რომელმაც მოიცვა ჩვენი პლანეტის მოსახლეობის 80 პროცენტი. საომარ მოქმედებაში ჩაბმული იყო 72 სახელმწიფო, ომის ხანძარი მძვინვარებდა 40 ქვეყანაში, სამხედრო ფარაჯა ჩაიცვა 110 მილიონმა ადამიანმა.

**ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო საბჭოეთის მოსახლეობამ. საბჭოთა კავშირმა ომში დაკარგა 27 მილიონამდე ადამიანი, რომელთა შორის 7 მილიონი სამხედრო მოსამსახურე და ჯარისკაცი იყო (18 მილიონამდე მშვიდობიანი მოსახლე გერმანელებმა ამოხოცეს მათ მიერ დაპყრობილ საბჭოთა ტერიტორიაზე). დიდი სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა არმიის რიგებში მობილიზებული იქნა 12 მილიონი ჯარისკაცი, 5597 გენერალი და ადმირალი, 12 მარშალი. ეს იყო ყველაზე მრავალრიცხოვანი არმია კაცობრიობის ისტორიაში.**

**ბოროტებაზე სიკეთის ძლევის ამ ჭეშმარიტად ღვთიურ საქმეში თავისი მოსახლეობის რიცხოვნებასთან შეფარდებით განუზომლად დიდი იყო საქართველოს წვლილი. ქვეყანამ, რომელშიც 3,8 მილიონი კაცი ცხოვრობდა ომის ფრონტებზე გაგზავნა 700ათასი მებრძოლი, მათ შორის — 23 ათასი ოფიცერი და 82 გენერალი; ქართველი იყო ამ ომში გადამწყვეტი ძალის — საბჭოთა არმიის უმაღლესი მთავარსარდალი, ომის ტრიუმფატორი გენერალისიმუსი იოსებ ჯუღაშვილი და გამარჯვებაში ჭეშმარიტად ლომის წილის შემტანი, საბჭოთა კავშირის მარშალი ლავრენტი ბერია.**

მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის როლსა და მნიშვნელობაზე ციფრები მეტყველებენ. საბჭოთა არმიამ გაანადგურა გერმანიისა და მისი მოკავშირეების 607 დივიზია, ხოლო მოკავშირეებმა გერმანიისა და მისი სატელიტების 176 დივიზია.

გრძნობდნენ რა ომის გარდაუვალობას **სტალინმა** და **ბერიამ** შექმნეს დაზვერვისა და კონტრდაზვერვის უნიკალური სამსახური. ჯერ კიდევ **1940 წელს და 1941 წლის დასაწყისში ლიკვიდირებული იქნა გერმანული დაზვერვის 66 რეზიდენტურა და 1600-ზე მეტი აგენტი,** რომლის შედეგად გერმანიის დაზვერვა საბჭოთა კავშირში, ფაქტობრივად, ლიკვიდირებული იქნა. ასევე წარმატებით მუშაობდნენ საბჭოთა უშიშროების სამსახურები საზღვარგარეთ, რომლებიც კრემლს რეგულარულად აწვდიდნენ ინფორმაციას არა მხოლოდ ამა თუ იმ ქვეყნის საომარი პოტენციალის შესახებ, არამედ უცხოეთის სახელმწიფოთა პოლიტიკური ლიდერებისა და ჩრდილში მყოფი ძალების საქმიანობაზეც. 1941 წლის 17 სექტემბერს მესამე რაიხის საიდუმლო თათბირზე ჰიტლერმა სინანულით თქვა: **„ჩვენ რუსეთის კარი ისე შევაღეთ, რომ არ ვიცოდით, რა იყო მის უკან!“**

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უფროსი, ცნობილი **ალენ დალესი** კი მიუთითებს: **„ინფორმაცია, რომელსაც ფლობს საბჭოთა უმაღლესი სარდლობა, დიდად განაპირობებს მათ წარმატებებს. საბჭოთა დაზვერვა წარმოადგენს ისეთ უწყებას, რომელზეც შეიძლება იოცნებოს ნებისმიერი ქვეყნის სპეციალურმა სამსახურმა“.**

პირადად სტალინსა და საბჭოთა უშიშროების სამსახურს უწყვეტ ნაკადად მიეწოდებოდა ინფორმაცია გერმანიასა და სხვა ქვეყნებში მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებზე, მტერს კი არ შეეძლო, მიეღო აუცილებელი ცნობები საბჭოთა მთავარსარდლობის არც ერთი გადაწყვეტილების თაობაზე. ასე იყო მოსკოვის, სტალინგრადის, კურსკისა და სხვა გადამწყვეტი ბრძოლების დროსაც, როდესაც მტერს არ ჰქონდა რეალური ინფორმაცია საბჭოთა ჯარების რაოდენობის, შეიარაღებისა თუ გადაადგილების შესახებ.

ერთ კონკრეტულ ადგილზე გამართულ ბრძოლებს შორის თავისი მასშტაბით სტალინგრადისთვის ბრძოლას ანალოგი არ მოეძებნება მსოფლიო ომების ისტორიაში. **სტალინგრადისთვის ბრძოლაში ორივე მხრიდან მონაწილეობდა 2 მილიონი ჯარისკაცი და ოფიცერი, 5 ათასი თვითმფრინავი, 6 ათასი ტანკი. დაიღუპა 3 მილიონამდე ადამიანი.**

როგორც ომის წინა წლებში, ასევე, ომის დროსაც, გაბრწყინდა სტალინის მხედართმთავრული და ორგანიზატორული ნიჭი. კაცობრიობისათვის ამ უმძიმესი განსაცდელის ჟამს მან შეძლო, მოკავშირედ გაეხადა თვით საბჭოთა კავშირის მტრები — აშშ და ინგლისი, აგრეთვე, ის ბიზნესმენებიც, რომლებიც თავის დროზე აფინანსებდნენ რაიხს და შეაქმნევინეს მძლავრი სამხედრო მანქანა. სიონისტთა ის ნაწილი, რომელიც 1941 წლამდე ჰიტლერის სამსახურში იდგა, ახლა უკვე საბჭოთა კავშირს ეხმარებოდა, როგორც ფინანსურად, ისე სამხედრო იარაღითა და სურსათ-სანოვაგით. მათივე უშუალო დახმარებით შეიქმნა საბჭოთა კავშირში ატომური იარაღის სამეცნიერო ცენტრები და საწარმოო ბაზები. ამ მიმართულებითაც განუზომლად დიდი იყო საბჭოთა უშიშროების სამსახურის როლი და მათი მაღალი პროფესიონალიზმი.

**ქართველებს განსაკუთრებით გვეამაყება, რომ კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდ ომში გამარჯვების სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი არის ქართველი იოსებ ჯუღაშვილი. კაცი, რომელიც იყო პირველი, ჭეშმარიტად სახალხო და სოციალური სამართლიანობის სახელმწიფოს შემოქმედი, რომლის დარი პატიოსანი და მშრომელი ადამიანი არასოდეს გაჩენილა; კაცი, რომელსაც თვითონ არც ერთი ომი არ დაუწყია, ნახევარი მსოფლიოს ხელისუფალი გახდა, ხოლო პლანეტის მეორე ნახევარს საკუთარ ნებას კარნახობდა და თავისი გავლენის ქვეშ აქცევდა.**

სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირმა ფაშიზმისგან იხსნა არა მხოლოდ საბჭოთა ხალხი, არამედ კაცობრიობა. ასიათასობით საბჭოთა მებრძოლის სიცოცხლე შეეწირა ევროპის ხალხთა გათავისუფლებას. პოლონეთის გათავისუფლებისთვის ბრძოლაში დაიღუპა 600 ათასი ადამანი, უნგრეთის — 140 ათასი, ჩეხოსლოვაკიის — 141 ათასი, რუმინეთის — 68 ათასი, იუგოსლავიის — 8 ათასი, ავსტრიის — 26 ათასი.

თავისი შინაარსით, მიზნებითა და ამოცანებით ომები ყოველთვის ერთნაირი არ ყოფილა. კაცობრიობას ახსოვს არაერთი დაპყრობითი, იმპერიული, სამამულო, სამართლიანი, უსამართლო, ეროვნულ-განმათავისუფლებელი, რევოლუციური, სამოქალაქო ომები. ძნელია ომის ცნების ერთმნიშვნელოვნად ახსნაც. საზოგადოდ, შეიძლება ითქვას, რომ ომი არის სახელმწიფოთა შორის დაპირისპირების, კლასების, იდეოლოგიური, ნაციონალური, რელიგიური, გეოპოლიტიკური წინააღმდეგობების, იმპერიული ზრახვების რეალიზაციის ძალით გადაწყვეტის პოლიტიკა.

ცალკეულ შემთხვევაში ომები ხელს უწყობდა საზოგადოებრივ პროგრესს, უახლოესი სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევებისა და ცივილიზაციათა სოციალიზაციას. ზოგი სპეციალისტის აზრით კი, ომები არის ადამიანთა რაოდენობის რეგულირებისა და კაცობრიობის ყველაზე დიდი მოსალოდნელი პრობლემის — დემოგრაფიული კატასტროფისგან თავის დაღწევის საშუალება.

არც სამყაროს ადამიანისეული აღქმა ყოფილა ყოველთვის ერთნაირი. ადამიანთა თვალში დედამიწა ესოდენ ახლო და ესოდენ პატარა არასოდეს ჩანდა, როგორც ეს დღესაა. ამასთანავე, საოცარია ადამიანთა დიდი ნაწილის ცნობიერების ესოდენ დაბნელება, რაშიც დიდია საინფორმაციო საშუალებების მიერ დეზინფორმაციის გავრცელების, მიმდინარე პროცესების გაუკუღმართებული წარმოჩენის, სახელმწიფოთა სათავეში „ფარული ხელის“ ლოცვა-კურთხევით მოსული მეფუკეების როლი, როცა ზესახელმწიფოთა ლიდერები თვალყურს ადევნებენ და ერთობიან თავიანთი მარიონეტების ბაქიაობითა და კინკლაობით, წაქეზებული ფინიების მათი პატრონებისთვის მიულებელი ქვეყნებისადმი ყეფითა და წკავ-წკავით.

**„დემოკრატიის“ ბაირახტარმა აშშ-მა შექმნა ისეთი „ახალი მსოფლიო წესრიგი“, რომ მტყუანსა და მართალს თვით „ზეციური აპოკალიფსის ინსპექტორიც“ კი ვერ არჩევს. რა გამართლება ან რა ახსნა მოეძებნება ქმედებებს, როდესაც ამერიკამ მსოფლიოზე ბატონობისთვის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 25-ზე მეტი სხვადასხვა მასშტაბის ომი გააჩაღა და 160-ზე მეტი სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო ამა თუ იმ ქვეყანაში.**

11 სექტემბრის ჯერაც დაუდგენელი ტერორისტული აქტის შემდეგ, 13 წლის განმავლობაში, მხოლოდ ერაყსა და ავღანეთში „მშვიდობის მტრედმა“ ამერიკამ ასიათასობით სამხედრო მოსამსახურე გაგზავნა, რომელთაც 5 ტრილიონი დოლარი დაახარჯა. ამას შედეგად, ასიათასობით მსხვერპლთან ერთად, უდიდესი კულტურულ-ისტორიული ზარალი მოჰყვა, დაიკარგა 3 ათასამდე უნიკალური ისტორიული ექსპონატი.

უზნეობამ დაისადგურა დედამიწაზე; ფასი დაკარგა ღირსებამ, პატიოსნებამ, სამართლიანობამ; წესად იქცა „შეურაცხყოფა ღირსეულისა უღირსისაგან“. საქმე იქამდე მიდის, რომ არად დაგიდევენ მეორე მსოფლიო ომში ბოროტების დამამარცხებელ ადამიანებს, თვით გამარჯვების ტრიუმფატორებსაც კი. ამ „ძლევაი საკვირველის“ შემოქმედ სტალინს, ფაშიზმისა და რასიზმის ბაირახტარის — ჰიტლერის დარადაც კი მოიხსენიებენ ანტიქრისტეს ემისრები.

აქ ეგების გახსენება კოსმა აიტოლისის სიტყვებისა: „დადგება ჟამი, როდესაც მტრები ყველაფერს წაგვართმევენ, თვით ნაცარსაც კი არ დატოვებენ კერაზე, მაგრამ არ დაკარგოთ რწმენა“.

ღრმად გვწამს, რომ სატანა და ანტიქრისტეც ვერაფერს დააკლებენ ბელადს, კაცს, რომელიც ყველა დედამ თავის შვილად აღიარა, შვილებმა — მამად.

ქართველი ხალხი, ვალმოხდილი ღვთისა და კაცობრიობის წინაშე, ზეიმით აღნიშნავს ადამიანთა ისტორიაში ყველაზე დიდ და სისხლისმღვრელ ომში ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების 70 წლისთავს. იგი ამაყობს ამ ზოგადსაკაცობრიო საქმეში შეტანილი თავისი წონადი წვლილით. არ აშინებს ისტორიის კატაკლიზმები, რამეთუ გათავისებული აქვს ბრძენი წინაპრის სიტყვები: „დიდსა, მაღალსამ ნათელსა მზესა, ზოგჯერ ღრუბელი შეუცვლის ფერსა“.

მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების ომის ვეტერანებს, რომლებიც იბრძოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ ხალხების გათავისუფლებისთვის ომში, კიდევ ერთხელ ვულოცავთ დიადი გამარჯვების 70 წლის იუბილეს!

**რევაზ ნაცარიშვილი,**
**საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობის თავმჯდომარე**

მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95







# ყაზახეთი — ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყანა ცენტრალურ აზიაში



ასტანა



პრეზიდენტის სასახლე

## გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

ყაზახეთი (ოფიც. რესპუბლიკა ყაზახეთი) აზიის სახელმწიფოა, რომელიც მდებარეობს კასპიის ზღვას, ქვედა ვოლგისპირეთს, ურალს, ციმბირს, ჩინეთსა და შუა აზიას შორის. ჩრდილოეთითა და დასავლეთით ესაზღვრება რუსეთს, აღმოსავლეთით — ჩინეთს, სამხრეთით — ყირგიზეთს, უზბეკეთსა და თურქმენეთს, აქვს სანაპირო ზოლი კასპიის ზღვასთან.

ყაზახეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი უდაბნოა (36%), სტეპებს 35% უკავია 35%, ტყეებს — 5,9%; სამხრეთიდან აღმოსავლეთამდე, ყირგიზეთსა და ჩინეთის საზღვრების გასწვრივ გადაჭიმულია ტიან-შანის მთათა სისტემის ჩრდილოეთი ქედი. ყაზახეთის უმაღლესი წერტილია **ხან-ტენგრის პიკი (6995მ)**, უდაბლესი **კარაგიეს ღრმული** (132 მ ზღვის დონის ქვევით) მანგიშლაყის ნახევარკუნძულზე.

ყაზახეთის ტერიტორიაზე მიედინება რამდენიმე მდინარე, რომელთა სიგრძეც 1000 კმ-ს აღემატება. მათ შორის: **ირტიში — 4,2 ათასი კმ; სირდარია — 2,2 ათასი კმ; ილი — 1,4 ათასი კმ.**

**უდიდესი ტბები: კასპიის ზღვა (უდიდესი ტბა მსოფლიოში), ბალხაში (მსოფლიოს უდიდეს ტბებს შორის მე-13), არალის ზღვა; ალაკოლი; ზაისანი; თენგირი; სელეტიტენიზი, სასიკოლი.**

**კლიმატი.** ყაზახეთის კლიმატი კონტინენტურია. ზაფხულობით ტემპერატურა პლუს 45 გრადუსს აღწევს, ზამთარში მინუს 45-ს.

**ფლორა.** ქვეყანაში ხარობს მცენარის 6 ათასზე მეტი სახეობა. გავრცელებულია საქსაული, ტიან-შანის ნაძვი, ციმბირის სოჭი და სხვ.

**ფაუნა.** ყაზახეთის ტერიტორიაზე ბინადრობს: საიგაკი; ზაზუნა; კურდღელი; ჯეირანი; ჯიქი; არტარი; მურა დათვი და სხვ.

ყაზახეთის **ტერიტორია 2,7 მლნ კმ-ს შეადგენს** (მე-9).

**მოსახლეობა.** ყაზახეთში, 2015 წლის 1 თებერვლის შეფასებით, **17,4 მლნ კაცი** ცხოვრობს (63-ე)**:** ყაზახები — 10,5 მლნ; რუსები — 3,7 მლნ; უზბეკები — 500 ათასი; უკრაინელები — 321 ათასი; უიღურები — 233 ათასი; თათრები — 204 ათასი; გერმანელები — 180 ათასი; მცირე რაოდენობით არიანი აზერბაიჯანელები, ქურთები, ტაჯიკები, კორეელები, ყირგიზები, ებრაელები და სხვ.

**დედაქალაქი: ასტანა (852 ათასი).**

**უდიდესი ქალაქები: ალმა-ატა (ალმატი) — 1,5 მლნ; შიმკენტი 854 ათასი; ყარაგანდა — 485 ათასი.**

ოფიციალური ენები: **ყაზახური** და **რუსული.**

დამოუკიდებლობის დღე: **1991 წლის 16 დეკემბერი.**

## მმართველობის ფორმა და რელიგია

ყაზახეთის რესპუბლიკა დაყოფილია 14 ოლქად, 86 ქალაქად (მათ შორის ორი რესპუბლიკური მნიშვნელობისაა ასტანა და ალმა-ატა), 168 რაიონად და 174 დასახლებულ პუნქტად. სახელმწიფოში პირველი პირია პრეზიდენტი. ამჟამად ყაზახეთის პრეზიდენტია **ნურსულთან ნაზარბაევი**; პრემიერმინისტრი **ქარიმ მასიმოვი.**

საკანონმდებლო ორგანო პარლამენტი შედგება ორი პალატისგან: სენატისა და (ზედა პალატა) და მეჯლისისგან.

**რელიგია.** ყაზახეთი მრავალკონფესიური ქვეყანაა. ყველაზე მეტად გავრცელებულია ისლამი და ქრისტიანობა (მართლმადიდებლობა).

მუსლიმანთა წილი შეადგენს 70%-ს (11,3 მლნ), ქრისტიანების - 26,3% (4,2 მლნ), ბუდისტების 0,01% (14,7 ათასი), იუდეველების — 0,03% (5,3 ათასი). სხვა რელიგიების — 0,02%. ათეისტების — 2,8% (451,5 ათასი).

## ეკონომიკა

ყაზახეთში განვითარებულია სამთომომპოვებელი მრეწველობა. აქტიურად მოიპოვებენ ქვანახშირს, ნავთობს, ბუნებრივ აირს, ურანს, რკინის მადანს, ტყვიას, თუთიას, ბოქსიტებსა და სხვა სასარგებლო წიაღისეულს. ამ ქვეყანაში თავიანთი საწარმოები აქვთ ისეთ გიგანტ კომპანიებს, როგორიცაა: „შევროლე“, „სამსუნგი“, „ელ ჯი“, „პანასონიკი“.კომპანია „მაიკროსოფტის“ რეგიონული შტაბბინა ალმა-ატასთან მდებარეობს.

განვითარებულია, აგრეთვე, სოფლის მეურნეობის დარგებიც. მოჰყავთ ხორბალი, მზესუმზირა, ბამბა, ბაღჩეული კულტურები. მისდევენ ცხვრის, აქლემისა და ცხენის მოშენებას.

ყაზახეთის **მთლიანი შიგა პროდუქტი 264,9 მლრდ დოლარს** შეადგენს (41-ე). ეს მაჩვენებელი **მოსახლეობის ერთ სულზე 13,2 ათასი დოლარია**.

**ვალუტა: ტენგე (185,5 ტენგე =1 დოლარს)**

**ინტერნეტდომენი: kz**

**სატელეფონო კოდი: +7**

**საათობრივი სარტყელი: UTC+5 და UTC+6**



ხოჯა ახმედ იასავის მავზოლეუმი



ნეკროპოლი ბეკეტ ატა



ბაბაჯი ხათუნის მავზოლეუმი

## კულტურა

ბოლო ხანს ყაზახეთში დაიწყეს ეროვნული ტრადიციების აღდგენა. სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს ეროვნული ტანსაცმელი, იურტები (მომთაბარეთა გადასატანი საცხოვრებელი), ტიუბეტეიკა. მუსიკალური ინსტრუმენტები: დომბრა და კობიზი.

ყაზახურ ლიტერატურას საფუძველი ჩაუყარა პოეტმა, ფილოსოფოსმა, კომპოზიტორმა და განმანათლებელმა **აბაი კუნანბაევმა** (1845-1904).

თანამედროვე ყაზახი მწერლებიდან აღსანიშნავია: **ზაირ ასიმი, რაველ აიტკალიევი, ადელია ამრაევა, იური სერებრინსკი** და სხვ.

ღირსშესანიშნაობები: ალმა-ატაში მართლმადიდებლური ტაძარი, ყაზახეთის მუზეუმი; სასპორტო კომპლექსი მედეუ; ქალაქ თურქესტანში ხოჯა ახმედ იასავის მავზოლეუმი; ქალაქ ტარაზში (საბჭოთა პერიოდში ქალაქი ჯამბული) ბაბაჯი ხათუნის მავზოლეუმი. ყარაგანდაში დიდი ბოტანიკური ბაღი.

მიწისქვეშა მეჩეთი ბეკეტ ატა მანგილშაყის ნახევარკუნძულზე.



## კუირდაკი ყაზახურად

**კუირდაკი ყაზახეთში ძალიან პოპულარული კერძია, რომელსაც ხორცისა (ცხვრის, საქონლის) და ბოსტნეულისგან ამზადებენ.**

**ინგრედიენტები:**

* ხორცი 800 გრ
* ხახვი — 3 თავი
* კარაქი ან ქონი — 150 გრ
* ბულიონი — 250 მლ
* ქინძი, ოხრახუში — 50-50 გრ
* არაჟანი — 100 გრ
* დარიჩინი — 1 ჩ/კ
* შავი პილპილი — 1 ჩ/კ
* ძმარი — 50 მლ
* მზესუმზ. ზეთი — 50 გრ
* დაფნის ფოთოლი — 3 ც.
* მარილი — 1 ს/კ

**გარნირისთვის:**

* კარტოფილი — 1,5 კგ
* მწვანე ბარდა — 150 გრ
* პომიდორი — 250 გრ
* სტაფილო — 250 გრ

**მომზადება:**

1. ხორცი დაჭერით 30-40-გრამიან ნაჭრებად და შეწვით კარაქში ხახვსა და პილპილთან ერთად. შემდეგ დაუმატეთ დაფნის ფოთოლი და მოშუშეთ დაბალ ცეცხლზე.

2. მოშუშვის დროს დაუმატეთ, ბულიონი, არაჟანი, დარიჩინი, მარილი და ძმარი.

3. კურდაკის გარნირისთვის, შეგიძლიათ, გამოიყენოთ მოხარშული ან შემწვარ ხორცთან ერთად ჩაშუშული კარტოფილი, მოხარშული სტაფილო, მწვანე ბარდა და პომიდორი.

4. სუფრაზე მიტანამდე კერძი წვრილად დაჭრილი მწვანილით მორთეთ.

## სამზარეულო

ყაზახეთის სამზარეულოს კერძები, ძირითადად, ხორცისა (ცხვრის, საქონლის, ცხენის) და ბაღჩეულისგან არის დამზადებული. ძირითად კერძებს მიეკუთვნება მოხარშული და შემწვარი პელმენები, აგრეთვე, მრავალნაირი მოხარშული ძეხვი კაზი. თევზის კერძებისგან კი პოპულარულია კოკტალი ტირიფის ტოტზე წამოგებული, ნაკვერჩხლებზე შემწვარი თევზი ბოსტნეულით.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

**გაბედული მოქმედებების პერიოდია. საზოგადოების ყურადღებას მიიქცევენ ადამიანები, რომლებიც ორიგინალური იდეებითა და საქციელით გამოირჩევიან. წარმატებას მიაღწევენ კუროს, ტყუპისა და თხის რქის ნიშნებით დაბადებულები.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**6 – 12 მაისი ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი 21 მარტი – 20 აპრილი

შეიძლება, დაგეუფლოთ დაუკმაყოფილებლობის განცდა, რადგან გაურკვეველი იქნება, რა გელით მომავალში და როგორ უნდა გააკეთოთ სწორი არჩევანი.

არ შეეცადოთ ყველა წინააღმდეგობის ერთდროულად გადალახვას, უმჯობესია, ტაქტიკა შეცვალოთ და ყველაფერი თანმიმდევრულად აკეთოთ, სწორედ ასე მიიღებთ სასურველ შედეგს.

სასიკეთო პერიოდია რომანტიკული ურთიერთობებისთვის. თქვენ მიმზიდველი ხართ და საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლის ყურადღებას მიიპყრობთ და, თუ მოისურვებთ, თქვენი ურთიერთობა გაღრმავდება.

ამ პერიოდში თქვენს ჯანმრთელობას არაფერი ემუქრება, თუმცა ყოველთვის გახსოვდეთ, რომ ავტომობილი ფრთხილად, ყურადღების მაქსიმალური კონცენტრაციით უნდა მართოთ.

**დადებითი დღე: 12 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 7 მაისი.**

## კურო 21 აპრილი – 21 მაისი

თუ ადმინისტრაციული და ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას შეეცდებით, სასურველ შედეგს მიიღებთ. სასიკეთო პერიოდია მოლაპარაკებების გასამართავად და დოკუმენტების გასაფორმებლად, თუმცა შესაძლოა, მატერიალურ-ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდეთ. ფინანსური სიძნელეები გაიძულებთ, ხარჯებს გადახედოთ და უფრო მომჭირნედ იცხოვროთ.

მეტი დრო გაატარეთ საყვარელ ადამიანთან, გაუზიარეთ მას თქვენი განცდები. სწორედ მასთან ურთიერთობით მიიღებთ პასუხს კითხვებზე, რომლებიც გაწუხებთ.

დაიცავით კვების რეჟიმი და ფიზიკურად მეტად დაიტვირთეთ!

**დადებითი დღე: 11 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 8 მაისი.**

## ტყუპი 22 მაისი–21 ივნისი

ტყუპისთვის ეს პერიოდი წარმატებული იქნება. განსაკუთრებით მათთვის, ვინც იაქტიურებს და შეუპოვრობას გამოიჩენს. კოლეგები და ხელმძღვანელობა დააფასებენ თქვენს შემოქმედებით მიდგომას დასახული ამოცანების გადაწყვეტის მიმართ და შესაძლოა, კარიერაში წინ წაიწიოთ, ეს თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზეც აისახება.

საყვარელ ადამიანთან, შესაძლოა, პრობლემები შეგექმნათ, მიზეზი კი იქნება თქვენ მიმართ წამოყენებული მოთხოვნები, რომელთა შესრულებასაც დროის უკმარისობის გამო ვერ ახერხებთ.

ამ პერიოდში თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი დაქვეითებულია, ამიტომ შეეცადეთ, მეტი დაისვენოთ და ვიტამინებით მდიდარი საკვები მიიღოთ.

**დადებითი დღე: 11 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 6 მაისი.**

## კირჩხიბი 22 ივნისი–22 ივლისი

ფინანსურ პრობლემას, რომელიც შეიძლება თავს დაგატყდეთ, ახლობლების დახმარებით მოაგვარებთ, მოგიწევთ ხარჯების შემცირება.

კოლექტივში, სადაც მუშაობთ, დიდი იქნება დაპირისპირების ალბათობა და, თუ დაიწყება ინტრიგების ხლართვა, თავი შორს დაიჭირეთ.

თქვენ ახლა ძალიან გჭირდებათ საყვარელი ადამიანის მზრუნველობა და თანადგომა, ამიტომ ეცადეთ, მასთან მეტი დრო გაატაროთ და ერთად დასახოთ პრობლემების მოგვარების გზები.

შესაძლოა, შეგექმნათ ენდოკრინული სისტემის პრობლემა ან თავი იჩინოს დაავადებამ, რომელიც დაკავშირებული იქნება ნივთიერებათა ცვლასთან.

**დადებითი დღე: 12 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 6 მაისი.**

## ლომი 23 ივლისი –22 აგვისტო

ყურადღება და გულისხმიერება გამოიჩინეთ თანამშრომლების მიმართ, რადგან მათთან ურთიერთობაში, შესაძლოა, შეგექმნათ პრობლემები, რომლებიც კონფლიქტში გადაიზრდება.

თავი აარიდეთ დიდ ფინანსურ ოპერაციებს და ნუ აიღებთ ვალს, რადგან მისი გასტუმრება ძალიან გაგიჭირდებათ.

შეყვარებული ლომები დილემის წინაშე აღმოჩნდებიან – განაგრძობენ თუ არა ურთიერთობას საყვარელ ადამიანთან, რომელთანაც ცოტა ხნის წინათ მგზნებარე რომანი ჰქონდათ. სწორ გადაწყვეტილებას გული გიკარნახებთ.

მოერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს, რადგან თქვენი ნერვული სისტემა ისედაც დაძაბულია. მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 12 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 10 მაისი.**

## ქალწული 23 აგვ. –23 სექტემბ.

თუ თავს არ დაანებებთ ადამიანების გაკრიტიკებას, ვერდიქტის გამოტანას ვინ არის მართალი და ვინ არა, კონფლიქტს თავიდან ვერ აიცილებთ. ეს პერიოდი პირად ურთიერთობაში წარმოქმნილი უთანხმოების მოსაგვარებლად საუკეთესო არ არის, რადგან ობიექტური დასკვნების გამოტანა გაგიჭირდებათ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, თუ დაპირებებს შეასრულებთ და ერთობლივად შეეცდებით საოჯახო პრობლემების მოგვარებას.

შესაძლოა, შეგექმნათ არტერიული წნევის პრობლემა, ამიტომ მიმართეთ ექიმს და ჩაიტარეთ გამოკვლევა მიზეზების დასადგენად.

**დადებითი დღე: 11 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 6 მაისი.**

## სასწორი 24 სექტ. – 23 ოქტ.

აქტიური მოქმედებების პერიოდია. გაბედულად დაიწყეთ ახალი იდეებისა და პროექტების განხორციელება. თუ უთანხმოება წარმოგექმნებათ კოლეგებთან, დიდად ნუ ინერვიულებთ, რადგან ხელმძღვანელობა მხარს თქვენ დაგიჭერთ.

მოგეცემათ შესაძლებლობა, მეტი დრო გაატაროთ საყვარელ ადამიანთან და ოჯახის წევრებთან. თუმცა გამორიცხული არ არის კონფლიქტი ნათესავებთან სადავო ქონებაზე.

ნერვული დაძაბულობის ფონზე, შეიძლება, თავი შეგახსენოთ კუჭ-ნაწლავის სისტემის ქრონიკულმა დაავადებამ, ამიტომ დაიცავით დიეტა.

**დადებითი დღე: 9 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 6 მაისი.**

## მორიელი 24 ოქტ. – 22 ნოემბ.

იმპულსურობა ცუდ სამსახურს გაგიწევთ და თქვენი საქციელი, შეიძლება, სანანებელი გაგიხდეთ. ამიტომ შეეცადეთ, თავაზიანობა და გულისხმიერება გამოიჩინოთ ყველას მიმართ — კოლეგებთან, ხელმძღვანელებთან თუ ოჯახის წევრებთან.

თქვენი ფინანსური მდგომარეობა სტაბილური იქნება და გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის თანხის გადადებასაც შეძლებთ.

მარტოხელა მორიელები შეიძლება საპირისპირო სქესის საინტერესო წარმომადგენელს შეხვდნენ და არ არის გამორიცხული, დაქორწინებაზეც იფიქრონ.

**დადებითი დღე: 9 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 6 მაისი.**

## მშვილდოსანი 23 ნოემ. – 21 დეკ.

კოლეგებთან თუ ოჯახის წევრებთან უთანხმოების მიუხედავად, დასახულ მიზნებს მაინც მიაღწევთ, თუმცა ამისთვის თქვენი პოზიციების მტკიცედ დაცვა და მუხლჩაუხრელი მუშაობა დაგჭირდებათ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში ინიციატივა გამოიჩინეთ და მოუწყვეთ მას პატარა დღესასწაული ერთად წადით სადმე დასასვენებლად ან აჩუქეთ რამე ნივთი.

თავი დაანებეთ ეჭვიანობას და მოერიდეთ სტრესულ სიტუაციებს. დაიცავით კვების რეჟიმი და მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 9 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 7 მაისი.**

## თხის რქა 22 დეკემ. – 20 იან.

დადებითი პერიოდია შემოქმედებით სფეროში მოღვაწე თხის რქებისთვის. ამიტომ თამამად შეუდექით დაგეგმილი პროექტების განხორციელებას, გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც დასახული მიზნებით მიღწევაში დაგეხმარებიან როგორც რჩევებით, ასევე ფინანსურადაც.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში გამოცდა გელით თუ გაჯიუტდებით და მხოლოდ თქვენი მოთხოვნების შესრულებას მოითხოვთ, კონფლიქტი და, შესაძლოა, ამ ურთიერთობის დასრულებაც კი, გარდაუვალი იქნება.

ამ პერიოდში მაღალია გულ-სისხლძარღვთა სისტემის ქრონიკული დაავადებების ალბათობა, ამიტომ კონსულტაცია გაიარეთ ექიმთან.

**დადებითი დღე: 10 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 6 მაისი.**

## მერწყული 21 იან. – 19 თებ.

მატერიალურ-ფინანhსურმა და საყოფაცხოვრებო პრობლემებმა, რომელთა მოგვარებასაც შეეცდებით, შეიძლება ქანცი გამოგაცალოთ, ამიტომ თქვენი განწყობა დადებითი არ იქნება, თუმცა ასეთი მდგომარეობა მხოლოდ 2-3 დღეს გასტანს.

მარტოხელა მერწყულებისთვის ეს პერიოდი საუკეთესოა რომანტიკული ურთიერთობების დასაწყებად. დაქორწინებული მერწყულები კი ნათესაური კავშირების გამყარებას უნდა შეეცადონ.

შეზღუდეთ ალკოჰოლური სასმელის მიღება და მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 9 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 7 მაისი.**

## თევზები 20 თებ. – 20 მარტი

გამოგიჩნდებათ ბევრი საქმე, რომლებიც დაუყოვნებლად უნდა მოაგვაროთ. თუმცა ახლა ენერგიის მოზღვავებას განიცდით და ყველა პრობლემას თავს შესანიშნავად გაართმევთ. მოსალოდნელია საქმიანი შეხვედრები, ახალი ადამიანების გაცნობა, რომლებიც ბიზნესის წარმართვაში დაგეხმარებიან.

მარტოხელა თევზების ცხოვრებაში, შეიძლება, დაბრუნდეს ადამიანი, რომელსაც დიდი ხანია, არ შეხვედრია და არ არის გამორიცხული, გრძნობამ ხელახლა იფეთქოს.

თუ ნივთიერებათა ცვლის პრობლემა გაქვთ, შეცვალეთ კვების რაციონი.

**დადებითი დღე: 9 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 6 მაისი.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იაპონიაში ნეფე-პატარძალი ცხრა ყლუპ საკეს (ბრინჯის არაყი) სვამს. პირველივე ყლუპის შემდეგ წყვილი ოფიციალურ ცოლ-ქმრად ცხადდება.**



# ზოგი რამ საქორწინო ტრადიციების შესახებ

**ქორწილი ყველასათვის განსაკუთრებული დღეა, მაგრამ ყველა ქვეყანა მისთვის დამახასიათებელი ტრადიციებით აღნიშნავს მას. ზოგიერთი ტრადიცია საკმაოდ უცნაურია, ზოგიც — მრავალფეროვანი და ჩვენთვის გაუგებარი რიტუალით დატვირთული.**



**იაპონიაში** ნეფე-პატარძალი ცხრა ყლუპ საკეს (ბრინჯის არაყი) სვამს. პირველივე ყლუპის შემდეგ წყვილი ოფიციალურ ცოლ-ქმრად ცხადდება.

**ჩინეთში** ქორწილამდე საპატარძლომ ყოველ დღე თითო საათი უნდა იტიროს. ათი დღის შემდეგ საპატარძლოს დედა და ბებია უერთდებიან. თვის ბოლოს კი ოჯახის ყველა ქალბატონი ტირის. ჩინური ტრადიციის მიხედვით, ქალბატონების ტირილი სხვადასხვა ხმაში სიხარულის მომტანია.

თუ ორივე მხარე თანახმაა, მომავალი წყვილი ჰოროსკოპს ადგენს, რათა დარწმუნდეს, რამდენად არიან ერთმანეთის შესაფერისი. მომავალ მეუღლეებს ქორწილამდე შეხვედრა არ შეუძლიათ, ქორწილზე კი წითელი ფერის ტანსაცმელში ეწყობიან, რადგან წითელი სიხარულისა და ბარაქის ფერია. სახლში მისვლისას წყვილი საკურთხევლის წინ მუხლს იყრის და ზეცის, მიწის და წინაპრებისგან კურთხევას ითხოვს. ამის შემდეგ ახალდაქორწინებულები ცალკე ოთახში მიყავთ.

უიღურების კულტურაში (ჩინური ეთნიკური უმცირესობა), სანამ იქორინებენ, ნეფე პატარძალს მშვილდისარს უმიზნებს და სამჯერ ესვრის ისარს. მიუხედავად იმისა, რომ ისარი წვეტიანი არაა, იგი მაინც მტკივნეულია. ამის შემდეგ საქმრო მიდის პატარძალთან, აგროვებს ისრებს და შუაზე ტეხს მათ. და, რაღა თქმა უნდა, ამგვარი ქმედებით მათ შორის სამარადისო სიყვარული ისადგურებს.

**შოტლანდიური** ტრადიციით, ნეფე პატარძალს ფიცის წარმოთქმის შემდეგ მხრებზე ჭრელ მანდილს ახვევს, რომელზეც მისი ოჯახური კლანის ყვავილებია ამოქარგული, და ვერცხლის სარჭით უმაგრებს.

როდესაც მშიერი ბრძანდებით, კვერცხები, ბოსტნეული, ფქვილეულობა, თევზეულობა და სხვა ამგვარი პროდუქტი ერთპიროვნულად ჭამასთან ასოცირდება, შოტლანდიელებისთვის კი ისინი ნამდვილ იარაღს და გასართობს წარმოადგენს. სწორედ ამგვარ რაღაც-რაღაცებს ესვრიან სკოტები პატარძალს და სიძეც ხშირად ხდება მათი სამიზნე.

**მუსლიმანურ** ქორწილში მამაკაცი აუცილებლად მუსლიმანი უნდა იყოს. ქორწინება ქალისა და მამაკაცის თანხმობით ხდება, ოღონდ ქალს მამა წარადგენს. ქორწილის დროს პატარძალზე მისი ორი ახალგათხოვილი ნათესავი ზრუნავს. საპატარძლოს წინასწარ ამზადებენ, სამკაულებით რთავენ, ზოგჯერ კი ხნით სხეულს უხატავენ. ეს ნახატები ერთგვარი ამულეტებია და წარმოადგენს ნაყოფიერების სიმბოლოს.

წვეულების დროს საპატარძლო ტანსაცმელს შვიდჯერ იცვლის. თითოეული ტანსაცმელი მდიდრული უნდა იყოს. წვეულების პირველ ნახევარში ქალები და მამაკაცები სხვადასხვა შენობაში არიან. მოგვიანებით სასიძო საპატარძლოს მოსაყვანად მიემართება, იმამი წყვილს მოწმეების თანდასწრებით აქორწინებს.

**აფრიკულ** ქვეყნებში საქორწინო ტრადიციები განსხვავდება რეგიონების მიხედვით და მეტად მრავალფეროვანია. წყვილს შორის პრობლემას მთელი ოჯახი აგვარებს. მეუღლეები უნდა დაემორჩილონ ოჯახის გადაწყვეტილებას. პირველ ეტაპზე ოჯახები მოილაპარაკებენ გამოსასყიდზე, თუმცა ის აუცილებელი არ არის.

საპატარძლოს ოჯახის გამოსასყიდს „ნსუა“ ეწოდება. ქორწინების მთავარი მიზანი შთამომავლობის გაჩენაა, ამიტომ უშვილო წყვილის ქორწინება შეიძლება გაუქმდეს.

ცერემონიის დღეს საპატარძლოს წარუდგენენ ოჯახსა და მეგობრებს. მას მამამთილისთვის ძღვენი მიაქვს, რომლითაც ახალი ოჯახისადმი თავის კუთვნილებას გამოხატავს.

აფრიკელები, ახალ სამყაროში მოხვედრის მიუხედავად, ყველანაირად ცდილობენ ნაციონალური საქორწინო რიტუალების შენარჩუნებას. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში მათ შეიტანეს ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ნეფე-პატარძალი ცერემონიის დროს ცოცხს უნდა გადაახტეს. მრავალი აფრიკული ტომისთვის ცოცხი ახალი ოჯახური კერის სიმბოლოა.

სამხრეთ აფრიკის მკვიდრ გკატლას ტომში არსებობს ტრადიცია, რომლის თანახმადაც ქორწილის მეორე დღეს პატარძალმა სხვა ოჯახების ქალებთან ერთად ეზო უნდა დაგავოს. ამით ის ადასტურებს მზადყოფნას, ვიდრე საკუთარი სახლი ექნება, სხვა დიასახლისებს დაეხმაროს საოჯახო საქმეებში.

აფრიკის ზოგიერთი ტომის ჩვეულების თანახმად, პირველ ღამეს ქმარმა ცოლს წინა ორი კბილი უნდა ჩაუმტვრიოს. ტომში ასეთი ანდაზაც კი აქვთ: „გათხოვილი, კბილებჩამტვრეული ქალი ამაყად იცინის; გასათხოვარი, კბილებიანი ქალი კი მორცხვად იღიმის“.

**ბახუტის** ტომის (ცენტრალური აფრიკა) ახალდაქორწინებულებმა პირველი კვირის განმავლობაში ყოველი დილა ერთმანეთის ცემით უნდა დაიწყონ. წყვილი საღამოს დასაძინებლად მშობლებთან მიდის, დილით ისევ სახლში ბრუნდება და ერთიმეორეს ურტყამს. კვირის ბოლოს წყვილი ხვდება, რომ ერთმანეთზე წყენა აღარ აქვს და მშვიდობიან ცხოვრებას იწყებს.

**კენიელმა** ახალგათხოვილმა ქალმა მთელი წლის განმავლობაში ხელები შავ-წითელი ორნამენტებით უნდა მოიხატოს — მთელი ტომის მამაკაცებმა უნდა იცოდნენ, რომ ქალი პატარძალია და პატივი უნდა სცენ. გარდა ამისა, არსებობს ტრადიცია, რომლის თანახმადაც, ქალის მძიმე ტვირთის გასაზიარებლად, ახალდაქორწინებულმა მამაკაცმა მთელი თვე ცოლის კაბაში უნდა გაატაროს.

კენიაში, მასაის ტომის ქორწილში პატარძალს მამა ლოცავს. ის შვილს გულმკერდსა და თავში აფურთხებს. ამ რიტუალის შემდეგ პატარძალი მეუღლესთან ერთად სოფელს უკან მოუხედავად ტოვებს. ტრადიციის მიხედვით, თუ პატარძალმა უკან მოიხედა, ის ქვად იქცევა.

ნაკლებად თუ მოუნდება ვინმეს **მასაი** საქმროს ადგილზე ყოფნა (რა თქმა უნდა, თვით მასაის გარდა). ამ ხალხში (კენია, ტანზანია) არსებობს ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ყმაწვილი ვალდებულია, თავის რჩეულს ფეხებთან დაუდოს ლომის ტყავი. საქმრომ ლომი თავად უნდა მოკლას ლახვრის ჩაცემით. ამ ტრადიციას თავისი ახსნა აქვს: პირველ ღამეს ახალგაზრდები ამ ტყავზე ატარებენ, რათა მათ მამაცი შვილები გაუჩნდეთ.

**ახალი გვინეის** პაპუასებში ყველაფერი მარტივადაა: საქმრომ საქორწინო საჩუქრის სახით საცოლეს 20 ნიჟარა, 20 სამოთხის ჩიტის ტყავი და 20 ღორი (ღორი პაპუასებში წმინდა ცხოველად ითვლება) უნდა მიართვას. განცვიფრებას იწვევს შემდეგი ტრადიცია: საქორწილო ლეჩაქად პატარძალი მისთვის ადრე მირთმეული ღორის გადაბრუნებულ კუჭს იყენებს.

**ნამიბიაში** ფატის მაგივრად პატარძალს ახურავენ სპეციალურ თავსაბურავს, რომელსაც ჰქვია „ეკორი“ და დამზადებულია ცხიმში, ფისსა და ხნაში ამოვლებული თხის კანისგან.

**კონგოში**, თუკი გსურთ, ვინმეს ქორწილი ჩაშალოთ, უბრალოდ, კომედიანტის დაქირავება მოგიწევთ. სანამ ეს კომედიანტი ხუმრობებს არ დაასრულებს, მთელი ცერემონიის განმავლობაში პატარძალსა და ნეფეს სიცილი აკრძალული აქვთ.



**სუდანში** სასიძომ საპატარძლოს ოჯახის ერთგვარი გამოსასყიდი უნდა გადაუხადოს, რადგან ქალიშვილის სახით ოჯახი მუშა ხელს კარგავს. შაფასური, შესაძლოა, იყოს ფული, ცხვარი ან ძროხა.

**ნიგერიაში** სასიძომ რჩეულთან მისვლამდე მისი ნათესავების ალყა უნდა გაარღვიოს. ნათესავები ჯოხებით არიან შეიარაღებულნი და სასიძოს ურტყამენ — ამით მის ამტანობასა და სირთულეებთან გამკლავების უნარს ამოწმებენ.

თუ კი პატარძალი ქორწილამდე (და ოჯახური ცხოვრების პირველ ხანებში) არ მოიმატებს წონაში და არ დაიყენებს მრგვალ ფორმებს, სიძეს მისი მშობლებთან მიბრუნების უფლება აქვს.

**სომალიში** მშობლები ბავშვებს ჩვილობაშივე ნიშნავენ. მამაკაცს შეუძლია, ოთხი ცოლი ჰყავდეს, თუ მათი შენახვა შეუძლია.

**ეთიოპიის** ტომ სურმაშიც განსაკუთრებულად ემზადებიან საქორწილო ცერემონიისთვის. ქორწილამდე რამდენიმე დღით ადრე საპატარძლოს ულებენ ქვედა რამდენიმე კბილს, უხვრეტენ ტუჩს და მასში უმაგრებენ თიხის დისკოს. დროდადრო ამ დისკოს ცვლიან უფრო დიდით. რაც უფრო დიდი დიამეტრისაა თიხის დისკო, მით უფრო ბევრია პატარძლის მზითვი, რადგან დისკო არის სიმბოლო პატარძლის ოჯახის სიმდიდრისა.

**მონღოლეთის** შუაგულში ცხოვრობენ დაურები. მათი ტრადიციის მიხედვით, იმისათვის, რომ ქორწინების დღე გადაარჩინონ, პატარძალს და სიძეს ახლდაბადებული წიწილის მოკვლა მოეთხოვებათ. დანა ორივეს ერთად უნდა ეჭიროს. ამის შემდეგ დაურები გამოშიგნავენ წიწილას და, თუ აღმოჩნდა, რომ მას ღვიძლი მთელი აქვს, ისინი წყვილს ქორწინების ნებას აძლევენ და, თუ ასე არ მოხდა, მათ მოუწევთ შემდეგი წიწილა გამოასალმონ სიცოცხლეს.

**ფიჯიზე**, როდესაც სასიძო ქალიშვილის ხელს სთხოვს სასიმამროს, მისგან ვეშაპის კბილის მირთმევასაც ელიან. გაურკვეველია, სად უნდა იყიდოს სასიმამრომ ვეშაპის კბილი ან როგორ უნდა მოიპოვოს ის პლანეტის ყველაზე დიდი ბინადრის პირიდან, მაგრამ, ვინაიდან ტრადიცია ცოცხლობს, ისინი ამას როგორღაც ახერხებენ.

**შვედეთში** ყოველთვის, როდესაც პატარძალი საქორწილო სუფრას დატოვებს, მაშინვე ყველა ქალი სიძეს მივარდება და კოცნის. იგივე ხდება პატარძლის დატოვების შემთხვევაშიც, ოღონდ, ამჯერად პატარძალს კოცნიან სუფრაზე დამსწრე მამაკაცები.

**ირლანდიაში**, როდესაც ნეფე პატარძალს ეცეკვება, პატარძლის ფეხები არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოსწყდეს იატაკს. თუ მოსწყდა, ირლანდიელებს სჯერათ, რომ ბოროტი ფერიები მოვლენ და პატარძალს გააქრობენ. იმავე ირლანდიის სოფლებში ირჩევენ 9 ახალგაზრდა მამაკაცს, რომლებსაც მოიხსენიებენ, როგორც „ჩალის ბიჭებს“. ქორწილის წინა ღა- ▶



# ბეჭედს ატარებენ მარჯვენა ხელის არათითზე. ეს ჩვეულება დამკვიდრდა იმიტომ, რომ სწორედ ამ თითზე გადის გულთან დაკავშირებული ვენა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მეს ეს ბიჭები მივლენ პატარძლის სახლში და მას ეცეკვებიან. თუ სხვა ქალებიც არიან სახლში, ჩალის ბიჭები მათაც გამოიცეკვებენ და იმართება გართობა და მოლხენა.

**ესპანეთში** საქმრო პატარძალს 13 მონეტას ჩუქნის იმის ნიშნად, რომ მას შეუძლია მასზე ზრუნვა და ცხოვრებაში მისი მხარდაჭერა. მთელი ცერემონიის განმავლობაში პატარძალს ეს მონეტები სპეციალურ საფულეში უდევს. ადრე ესპანეთში ფართოდ იყო გავრცელებული საქორწილო ლხინის მერე ახალდაქორწინებულთა განცალკევების ჩვეულება. ზოგჯერ მათ პირველი საქორწილო ღამის გატარება სპეციალური ბადრაგის თანდასწრებითაც უწევდათ, რომელიც სქესობრივი ტაბუს დაცვას ადევნებდა თვალყურს.

**ავსტრიაში** ახალდაქორწინებულები მაჩის ბიუროსთან ან ეკლესიასთან მიახლოებისას რაც შეიძლება მეტ ხმაურს გამოსცემენ, რათა უწმინდურები შეაშინონ, ამიტომ ისინი მანქანას ძველ ყუთებს და სხვა ნაყარ-ნუყარს აბამენ. პატარძალი თავის ლეჩაქს რთავს მურტით, რომელიც სიცოცხლის ყვავილს წარმოადგენს. როდესაც ახალდაქორწინებულები ეკლესიაში შედიან, ბავშვები (ხშირად ეს გოგო და ბიჭია) მათ ყვავილების კალათით მიჰყვებიან, ხოლო ჯვრისწერის შემდეგ გარეთ გამოსვლისას მათ გზას ყვავილებით ფენენ.

**კუნძულ იავაზე**, ისევე, როგორც მრავალ ქვეყანაში, დაწესებულია გადასახადი ქორწინების რეგისტრაციისთვის. მაგრამ საინტერესო ისაა, რომ გადახდა ხდება არა ფულით, არამედ ვირთხის კუდებით! ქორწილის დარეგისტრირების მსურველებმა ადგილობრივ მუნიციპალიტეტში 25 ვირთხის კუდი უნდა მიიტანონ.

**მაკედონიაში** პირველ ღამეს ახალდაქორწინებულები მთავარი განძის — ქუდისა და ჩექმის დასაუფლებლად იბრძვიან. ვინც ორივე ნივთს მოიპოვებს, ოჯახის უფროსიც ისაა.

**ინდონეზიაში** დაქორწინებულ წყვილს თაფლობის თვეში საპირფარეშოში გასვლა 3 დღით ეკრძალებათ. წყვილს 3 დღის განმავლობაში აკვირდებიან. მათ მინიმალური რაოდენობის საკვების მიღება შეუძლიათ. ინდონეზიური საქორწინო ტრადიციის შესრულების შემდეგ ცოლქმარს ბედნიერი თანაცხოვრება ექნება და ბევრი შვილი გაუჩნდება.

**ბალიზე** ახალდაქორწინებულნი ნარკოზის გარეშე კბილებს იქლიბავენ. ამით იმის დამტკიცება უნდათ, რომ მათში ბოროტი სული არ ბუდობს. სადღესასწაულო სუფრასთან მხოლოდ ქალები სხედან. მამაკაცები მთელი ღამე კერძებს ამზადებენ და დილით ისვენებენ.

**სამოაში** პატარძლის კაბა შექმნილია თუთის ხის ქერქისგან.

**ალბანეთში** პირველი ღამის მცნება ძალიან პირობითია. ქორწილიდან 3 დღისა და ღამის განმავლობაში ცოლმა წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს მეუღლეს ცოლ-ქმრული მოვალეობის შესრულებაზე. ამას იმისთვის აკეთებენ, რომ ბოროტი სულები დააბნიონ.

**ინგლისელმა** პატარძალმა კი ცალი ხელით უნდა ასწიოს სკივრის თავსახური – ასე ამოწმებენ მის ამტანობას.

ინგლისური და ამერიკული ტრადიციების თანახმად, ქორწილში პატარძალმა ერთი ახალი, ერთი ნათხოვარი, ერთი ძველი და ერთი ცისფერი ნივთი უნდა ჩაიცვას.

ინგლისელ წყვილს ეკლესიაში უნდა შეუძღვეს პატარა გოგონა, რომელიც ნეფე-პატარძალს გზაზე ვარდის ფურცლებს უყრის.

მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთში მცხოვრებთათვის თეთრი საპატარძლო კაბა ჩვეულებრივია, დანარჩენი მსოფლიოსთვის ეს დიდ უცნაურობას წარმოადგენს. ქვეყნების უმეტესობაში საპატარძლო კაბა კაშკაშა ფერებით სავსეა.

ყველაფერი 1840 წლიდან იწყება, როდესაც დედოფალი ვიქტორია თეთრებში გამოეწყო პრინც ალბერტზე ქორწინებისას. დედოფლის ასეთი ნაბიჯი იმ დროისთვის დიდი ხნის მანძილზე კამათის საგნად რჩებოდა, რადგან თეთრი ფერი გლოვასთან იყო ასოცირებული. მაგრამ ეს კიდევ ერთი მაგალითი აღმოჩნდა იმისა, თუ როგორ სწრაფად იცვლება მსოფლიო. დედოფალი ვიქტორიას ამ მეამბოხე გადაწყვეტილებამ, ჩაეცვა თეთრი, ის გამოიწვია, რომ სულ რაღაც ათწლეულის შემდეგ ყველა პატარძალს თეთრის ჩაცმა სურდა.

ინგლისის სოფლებში პატარძალი და მისი სტუმრები ეკლესიამდე ერთად მიდიან. მსვლელობას პატარა გოგონა უდგას სათავეში, რომელიც გზაზე ყვავილებს ყრის, რათა პატარძლის ცხოვრება ბედნიერი და ყვავილებით სავსე იყოს. პატარძლები ბედნიერების ნიშნად კაბას რაიმე თილისმას აკერებენ, მაგალითად, პატარა ვერცხლის ნალს და თავიანთ გარდერობს ისეთნაირად ირჩევენ, რომ მასში რაღაცა ახალი, რაღაც ნახმარი, რაღაც ნათხოვი და რაღაც ცისფერი იყოს თავმოყრილი.

**უელსში** ჩაცმულ ყმაწვილს და მანდილოსანს ერმანეთზე თოკით აბამდნენ, კვანძს ტოვებდნენ და ლოგინში ისე აწვენდნენ, თუ მათ ერთმანეთზე დაქორწინება არ სურდათ, ისინი ღამით კვანძს ხსნიდნენ, ხოლო თუ კვანძი გაუხსნელი რჩებოდა — მათ პატარძლად და საქმროდ აღიარებდნენ.

**ბელგიელებს** ბოროტი სულის დასაფრთხობად საკმაოდ ხმაურიანი, მაგრამ სახალისო წესი აქვთ. ისინი ახალდაქორწინებულთა მანქანაზე ბაწრით ალუმინის ცარიელ ქილებსა და სხვა ათას ნივთს აბამენ, მანქანის დაძვრისას ატეხილი ხმაურით კი ირგვლივ ყველა ხვდება, რომ მანქანაში ახალშეუღლებული წყვილი ზის.

**გერმანულ** ქალაქ ბრემენში საქმრომ ქალაქის კიბე უნდა დაგავოს, საპატარძლომ კი ყურადღებით შეამოწმოს მის მიერ დაგვილი მიდამო – მომავალი ქმარი სისუფთავის მოყვარული უნდა იყოს.

ქორწილის დღეს ჭურჭლის დამსხვრევა ბევრ ქვეყანაში სულაც არ არის გასაკვირი. პოლტერაბენდი კი წმინდა გერმანული ტრადიციაა. ამ ტრადიციის მიხედვით, ქორწილის წინა ღამეს მისი ყველა სტუმარი ამტვრევს ფაიფურის ჭურჭელს, რათა ახალდაქორინებულებს იღბალი მოუტანონ.



გერმანიაში ქორწილის დღეს საქმრო ჯიბეში ცოტაოდენ მარცვლეულს იდებს, რომელსაც, მათი რწმენით, სიმდიდრე და წარმატება მოაქვს. კეთილი სურვილების ნიშნად, სტუმრები ახალდაქორწინებულთა გზაზე ნაძვის ტოტებს აფენენ, რისთვისაც ცხვირსახოცებით საჩუქრდებიან. ამ ცხვირსახოცებში სტუმრები საქორწილო სუფრის შემდეგ დარჩენილ საჭმელს ახვევენ და თან მიაქვთ.

**საბერძნეთში** პატარძლის მშობლები მაჭანკალს ბეჭედს და მდიდრულად ამოქარგულ თავსაფარს ჩუქნიან. ეს საჩუქრები მას საქმროს სახლში მიაქვს, სადაც მათ ოქროს მონეტასა და შავ აბრეშუმის თავსაფარზე წითელი აბრეშუმის ძაფით მიკერილ სხვა ბეჭედზე ცვლის. საქმროს ოჯახი პატარძალს მაჭანკლის ხელით ყვავილებსა და ტკბილეულობას, ხოლო მისი ოჯახის სხვა წევრებს საჩუქრებს უგზავნის. ქორწილის წინ აუცილებლად ხდება პატარძლის მზითევის ჩამონათვალის გამოცხადება, რომლის შემდეგაც საქმროს მამალს ჩუქნიან. საქმროს ნათლიმამა საპატიო სტუმარია, რომელიც წყვილს გვირგვინს ადებს და მათ სამჯერ შემოატარებს საკურთხეველს. პატარძალი ქორწილის დღეს ხელთათმანში შაქრის ნატეხს იდებს, ეს იმისთვის, რომ სიყვარული ძალიან ტკბილი იყოს. მეგობრები სპეციალურ ტანსაცმელში არიან გამოწყობილი, რომელზეც აუცილებლად თვალი უნდა იყოს გამოსახული, რომელიც ახალგაზრდა წყვილს წარუმატებლობისგან დაიცავს; ხოლო ახალდაქორწინებულების სარეცელზე საბერძნეთში ჯერ ბავშვებმა უნდა გაირბინონ, ეს ახალგაზრდა წყვილის ჯანმრთელ შთამომავლობას უზრუნველყოფს.

**უნგრეთში** საქორწილო ესკორტის დანახვისას მძღოლები აუცილებლად იწყებენ სიგნალის მიცემას, ამით ისინი ახალდაქორწინებულებს ესალმებიან და ულოცავენ. საქმრო პატარძალს მონეტებით სავსე ჩანთას ჩუქნის, ხოლო პატარძალი საქმროს — 3 ან 7 (ორივე რიცხვი ბედნიერ რიცხვად ითვლება) ცხვირსახოცს. უნგრული ადათის მიხედვით, პატარძალი სიხარულით ეცეკვება ყოველ სტუმარს, მაგრამ ეს ცეკვა უფასო არ არის და ასეთი პატივისთვის ყოველ მსურველს საკმაოდ სოლიდური თანხის გაღება უწევს.

**ნორვეგიაში** საქორწილო სუფრის ბოლოს პატარძალი ყველს არიგებდა. ის ვალდებული იყო შემოევლო სტუმრებისთვის და ყოველი მათგანისთვის ყველის ნაჭერი მიეწოდებინა. იმის მიხედვით, თუ რაოდენ ოსტატურად იყო ყველი დაჭრილი, ახალგაზრდა ცოლის საოჯახო საქმეების ცოდნასა და ნიჭზე მსჯელობდნენ.

**ფრანგულ** პოლინეზიაში, მარუესას კუნძულებზე საქორწილო წვეულების შემდეგ პატარძლის ნათესავები წვებიან მიწაზე, სახით ქვემოთ. ნეფე-პატარძალი მათზე, როგორც ნოხზე, ისე გადაივლის.

საფრანგეთში დაქორწინებული წყვილის სახლიდან მეგობრები ქუჩაში გამოდიან და ქვაბებით, კოვზებითა და მსგავსი ჭურჭლით ყურის წამღებ, გამაღიზიანებელ ხმებს გამოსცემენ. ამასობაში ნეფე-პატარძალი ვალდებულია, გარეთ გავიდეს და მოჟრიამულეები ტკბილეულობითა და სასმელით დაამშვიდოს.

**ჩეჩნეთში** ქალებისა და მამაკაცებისთვის საქორწილო სუფრა ცალ-ცალკე იშლება. პატარძალი, რომელსაც სახე ფატით აქვს დაფარული, მთელი დღე კუთხეში დგას. „წყალი მომიტანე!" — მიმართავენ მიმლოცველები, შემდეგ მის მიერ მოტანილ თასს ცლიან და შიგ ფულს უდებენ.

**ინდოეთში** მრავალი რელიგიის არსებობის გამო საქორწინო ტრადიციები მეტად განსხვავებულია. ის ბევრი რიტუალისგან შედგება. ხშირად გვხდება წინასწარ მოლაპარაკებული ქორწინება, ოჯახები თანხმდებიან გამოსასყიდის ოდენობაზე, ქორწინების თარიღზე. შემდეგ საპატარძლოს ძმა კორტეჟით მიდის სასიძოსა და სტუმრების წამოსაყვანად ქორწინების ადგილზე. პატარძლის ოჯახი უმასპინძლდება სტუმრებს, წვეულების დამთავრებისა და კურთხევის მიღების შემდეგ ნეფეს პატარძალი სახლში მიყავს.

მიუხედავად იმისა, რომ უმეტესობა საქორწილო ცერემონიებისა ბეჭდის ხელის თითებზე გაკეთებას ითვალისწინებს, ტრადიციული ინდოელები მას ფეხის თითზე იკეთებენ. ნეფე საქორწილო ბეჭედს პატარძალს მარცხენა ფეხის თითზე უკეთებს ცერემონიისას.

ინდოეთში საქორწინო ბეჭედს დაახლოებით ისეთივე როლი აქვს, როგორც დასავლეთში, იმის გამოკლებით, რომ ინდოეთში ნეფე ვალდებული არაა, იგი გაიკეთოს ან ატაროს.

ინდოეთის ზოგიერთ რეგიონში, მოსახლეობის აზრით, ქალი დაწყევლილი არსებაა, რამაც მეუღლის ადრე გარდაცვალება შეიძლება გამოიწვიოს. ამიტომ ქალბატონს მამაკაცზე დაქორწინებამდე ხეზე ათხოვებენ. იმისთვის, რომ წყევლა ბოლომდე მოიხსნას, აუცილებელია, ხე მოიჭრას.

ინდოეთის ზოგიერთ ნაწილში ქორწილის დღეს ოჯახის წევრები საპატარძლოსა და სასიძოს ფეხსაცმლის მოპარვას ცდილობენ. თუ საპატარძლოს ნათესავებმა სასიძოს ფეხსაცმელი მოპარეს, სასიძოს მათთვის ფეხსაცმლის გამოსასყიდის გადახდა მოუწევს.

**კორეაში** დაქორწინებამდე სასიძოს ტერფებში თევზს ან ლერწამს ურტყამენ. რა თქმა უნდა, დარტყმა მტკივნეულია, მაგრამ ამას საქორწინო რიტუალის ერთ-ერთ სახალისო მომენტად თვლიან. ტრადიციის შესრულების შემდეგ სასიძოს პირველ ღამეს იმედი არ გაუცრუვდება.

**იტალიელმა** სასიძომ ბედნიერების დასაბედებლად ქორწილის დილას მწვანე პერანგი უნდა ჩაიცვას. იტალიელ ახალდაქორწინებულებს ვარდის ფურცლებს, ბრინჯსა და შაქარში ამოავლებულ ნუშს აყრიან. ამ უკანასკნელს ისინი იჭერენ და ერთმანეთს აჭმევენ.

**ბერმუდის კუნძულებზე** ერთი საუცხოო წესი აქვთ — ახალშეუღლებული წყვილი, თავისი სახლის წინ რგავს ხის პატარა ნერგს, რომელიც მათი ახალშექმნილი ოჯახის სიმბოლოა.

**ქართული** ქორწილი იწყებოდა პატარძლის სახლში სიძის მაყრიონის მისვლით. შემდეგ მეფე-პატარძალი ჯდებოდა შემაღლებულ ადგილზე მოწყობილ მაგიდასთან.

აქ სკამებზე დებდნენ ბალიშს და ბავშვს აწვენდნენ.

მთელი ქორწილის განმავლობაში მეფე-პატარძალი ხალხთან ერთად რჩებოდა. მათ გვერდით ჰყავდათ ხელისმომკიდე, ანუ მეჯვარეები.

პატარძლის ოჯახში ქორწილი გრძელდებოდა რამდენიმე საათი, შემდეგ კი მაყრიონი მიდიოდა ბიჭის ოჯახში. აქ მისვლისთანავე ნეფე-პატარძალს ატეხინებდნენ თეფშს, აჭმევდნენ მურაბას და მიჰყავდათ სუფრასთან. ქორწილი თითქმის მთელი ღამე გრძელდებოდა.

**ქრისტიანობაში** ქორწინება დაურღვეველია, მისი საფუძველი ერთგულებაა. მეუღლეები ურთიერთთანხმობითა და მშობლების დასტურით ქორწინდებიან. რელიგიური ცერემონიის დროს წყვილი ცვლის ბეჭდებს, პირობას დებს, იცხოვროს ქრისტიანული პრინციპებით. ბეჭედს ატარებენ მარჯვენა ხელის არათითზე. ეს ჩვეულება დამკვიდრდა იმიტომ, რომ სწორედ ამ თითზე გადის გულთან დაკავშირებული ვენა.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## მეცნიერებმა იდეალური მკერდის ფორმა და ზომა გამოთვალეს

**ლონდონის უნივერსიტეტის მეცნიერებმა იდეალური მკერდის ფორმა და ზომა გამოთვალეს.** მათი თქმით, კემბრიჯის ჰერცოგინია ქეით მიდლტონსა და ჰოლივუდის ვარსკვლავ სკარლეტ იოჰანსონს იდეალური მკერდი აქვთ. სიაში ამ ორი ქალბატონის გარდა სხვა ცნობილი სახეებიც მოხვდნენ. ესენი არიან: **მეგან ფოქსი, მირანდა კერი, ქეთი პერი** და **კელი ბრუკი.**

## ტორტები NASA-სგან



**NASA-ს ყოფილი ინჟინერი ბეთ ენ გოლდბერგი თავის საინჟინრო განათლებასა და სამუშაო გამოცდილებას გამაოგნებელი კონსტრუქციების შესაქმნელად იყენებს — ამჯერად უკვე კულინარიაში.**

NASA-ში სამუშაო კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდეგ ბეთ ენ გოლდბერგმა საკუთარი ცხოვრების კარდინალურად შეცვლა გადაწყვიტა და ყველასთვის მოულოდნელად მენლო პარკში, კალიფორნიაში, საკონდიტრო Studio Cake გახსნა.

„საინჟინრო სკოლამ პრობლემების საუკეთესო გადამჭრელად ჩამომაყალიბა. რასაც უნდა ვაკეთებდე — მცირე ბიზნესის გახსნით დაწყებული, მეტრზე მეტი სიმაღლის ტორტების ცხობითა და დეკორირებით დამთავრებული, ყველაფერი პრობლემაა, მე კი, როგორც გითხარით, პრობლემების გადაჭრის სპეციალისტი და საუკეთესო გამოსავლის მპოვნელი ვარ!“ — ამბობს ბეთ ენი.

გოლდბერგი თავისი დროის უმეტეს ნაწილს ულამაზესი საქორწინო ტორტების დიზაინს უთმობს. ამ საოცარ ქმნილებებს, ალბათ, უფრო სკულპტურები შეიძლება ვუწოდოთ, ვიდრე საკვები.

საოცარი ტექნიკით შექმნილმა ტორტებმა სწრაფად მოიპოვა პოპულარობა. თავად ბეთ ენ გოლდბერგი კი არაერთი კულინარიული კონკურსის გამარჯვებული გახდა.









## მეცნიერებმა გვირაბის ბოლოს სინათლის დანახვის ფენომენი ახსნეს

**ამერიკელმა ექიმებმა ახალი ახსნა მოუძებნეს მითებს, რომლებზეც ადამიანები კლინიკური სიკვდილის ან გულისცემის გაჩერების დროს ყვებიან. ისინი თვლიან, რომ გვირაბის ბოლოს სინათლე, საუბრები მიცვალებულ ახლობლებთან სრულიად არარეალურია.**

სამედიცინო ცდებით დადგინდა, რომ ტვინის მიმართულებით გლუკოზისა და ჟანგბადის რაოდენობის შემცირება უეცრად ტვინის ძლიერ სტიმულირებას იწვევს.

კვლევა მიჩიგანის შტატის მეცნიერებმა ჩაატარეს. სასურველი შედეგის მისაღწევად მათ თაგვები ასფიქსიამდე მიიყვანეს, მღრღნელების ჯანმრთელობის მდგომარეობას თვალყურს შესაბამისი მოწყობილობა ადევნებდა.

ექსპერიმენტის შედეგად გაირკვა, რომ გულის გაჩერებიდან დაახლოებით 30 წამში უეცრად იზრდება თავის ტვინის აქტიურობა, რომელიც უჩვეულო ხილვების გამომწვევ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს. თუკი გულის გაჩერების დროს, წამლის საშუალებით ადამიანის ორი ორგანოს კავშირის ბლოკირება მოხდება, ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის ალბათობა მნიშვნელოვნად გაიზრდება.



## 65 წლის ქალი ოთხ ტყუპს ელოდება

**ამ ქალმა რეკორდი დაამყარა — ჯერ არავის გაუჩენია ამ ასაკში ოთხი ტყუპი. მას უკვე ჰყავს 13 შვილი და 7 შვილიშვილი. ამბობს, რომ კიდევ ერთხელ დაორსულება უმცროსი ქალიშვილის თხოვნით გადაწყვიტა, რომელიც ახლა 9 წლისაა.**

ანეგრეტ რაუნიკი ბერლინში ცხოვრობს. რუსული და ინგლისური ენების მასწავლებელია. 65 წლის ასაკში თავისით ველარ დაორსულდებოდა, ამიტომ ჩარია ექიმები და ხელოვნური განაყოფიერება გაიკეთა. თუმცა ამას ნამდვილად არ ელოდა, რომ ერთდროულად ოთხი ტყუპი ჩაესახებოდა.

ახლა 21 კვირის ორსულია და მოუთმენლად ელოდება შვილებს. ამბობს, რომ არ ეშინია – იმედი აქვს, უფროსი შვილები დაეხმარებიან გაზრდაში. ორსულობა გართულების გარეშე მიმდინარეობს. როცა ეკითხებიან თავისი შვილების მომავალზე, ქალი აღნიშნავს, რომ სავსებით გაცნობიერებული აქვს თავისი ასაკი, თუმცა თავს გაცილებით ახალგაზრდულად გრძნობს. თანაც, მისი უფროსი შვილები ჰპირდებიან, რომ ყველანაირად ამოუდგებიან მხარში — უფროსი ვაჟი უკვე 44 წლისაა.

„ჩემი გადაწყვეტილების შესახებ ერთს ვიტყვი — დაე, ყველამ თავად გადაწყვიტოს, რაც სურს და არ მოუსმინოს, სხვები რას ლაპარაკობენ“.



დღემდე ყველაზე მხცოვანი დედა, რომელმაც ოთხი ტყუპი გააჩინა, 55 წლის მერილ ფუელია. ყველაზე ასაკოვანი ქალი კი, რომელმაც საერთოდ გააჩინა შვილი, ინდოელი ომკარი პანვარია — მან 70 წლისამ იმშობიარა.

## სიმჭიდროვის არქიტექტურა

**გერმანელმა ფოტოგრაფმა მაიკლ ვოლფმა შექმნა არაჩვეულებრივი ფოტოსერია, რომელსაც „სიმჭიდროვის არქიტექტურა“ უწოდა.**

ვოლფის მიერ გადაღებულ ფოტოებზე ჰონგკონგის მასიური ბლოკებით აშენებული ან მშენებარე საცხოვრებელი კვარტლებია ასახული.

ეს სანახაობა თავისებურად ლამაზიც კია, თუმცა ამავე დროს — მონოტონური, ერთფეროვანი და შემაძრწუნებელი.

დღეს ჰონგკონგი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიულ ერთეულად მიიჩნევა.



## ყველაზე ეფექტიანი პროდუქტი კიბოსთან საბრძოლველად

**კლემსონის უნივერსიტეტის მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევა, რომელიც აშშ-ის მთავრობის მიერ დაარსებული მოლეკულური ბიოლოგიის კვლევის მთავარ ინტერნეტრესურსზეა ატვირთული, კიბოს უჯრედებთან მებრძოლ კენკრაზე მოგვითხრობს.**

როგორც გაირკვა, ჟოლო სიმსივნურ უჯრედებს ანადგურებს.

ამასთან, ცნობილია, რომ იგი ანტიოქსიდანტის ფუნქციასაც ითავსებს. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ჟოლოში არსებობს ანტისიმსივნური კომპონენტი.

სპეციალისტების თქმით, არც ერთი ცნობილი ანტიოქსიდანტი 90%-ით არ ანადგურებს სიმსივნურ უჯრედებს. გარდა ამისა, სიმსივნეს კლავს კონკრეტული ნივთიერებების ნაერთი, რომელიც ჟოლოშია კონცენტრირებული.

არსებული კვლევების მიხედვით, სიმსივნის დამარცხება შეუძლია ნებისმიერი სახის ჟოლოს, თუმცა ადრე ვარაუდობდნენ, რომ ეს მხოლოდ რამდენიმე სახეობის ჟოლოს შეეძლო.

ჟოლოს სხვა სასარგებლო თვისებებიც აქვს, მასში ბევრია C ვიტამინი, რომელიც მამაკაცური ფერტილურობისთვისაა აუცილებელი, და მაგნიუმი, რომელიც ტესტოსტერონის გამოყოფაში დიდ როლს ასრულებს.





## ჩინეთში დინოზავრის 46 კვერცხი აღმოაჩინეს

**ჩინეთში, პროვინცია გუანდუნში, საგზაო სამუშაოების დროს დინოზავრის 43 გაქვავებული კვერცხი აღმოაჩინეს, რომელთაგან 19 დაუზიანებელია.** ყველაზე მსხვილი კვერცხის დიამეტრი 13 სანტიმეტრს აღწევს. ნაპოვნი ადგილობრივ მუზეუმში გაგზავნეს გამოკვლევისთვის. მეცნიერებს სურთ, გაარკვიონ, რომელი სახეობის დინოზავრს ეკუთვნის აღმოჩენილი კვერცხები.

ჩინეთი ცნობილია, როგორც „დინოზავრების სახლი“. იქ ინახება მსოფლიოში ყველაზე დიდი დინოზავრების კვერცხების კოლექცია — 10 000 ეგზემპლარზე მეტი. ეს შედეგი გინესის რეკორდების წიგნშია შეტანილი.

ქრონოგრაფი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბერმუდის სამკუთხედის საიდუმლო ამოხსნილია

**ბერმუდის კუნძულები კაცობრიობისთვის ცნობილი 1492 წლიდან არის, როდესაც ისინი კოლუმბმა აღმოაჩინა, თუმცა მათი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მისტიკური და ამოუხსნელი ფენომენის, ნამდვილი ისტორია ცოტათი მოგვიანებით დაიწყო. პირველი გემის გაქრობა ამ აკვატორიაში 1918 წლით თარიღდება. გაქრობის მიზეზის ამოხსნა შეუძლებელი იყო.**



მას შემდეგ ბერმუდის სამკუთხედის რაიონში ასობით ხომალდი გაუჩინარდა. ქრებიან გემები, თვითმფრინავები, ზონდები და თანამგზავრები. ყველაზე არგუმენტირებული და რაციონალური ამოხსნა ამ მოვლენებისა ეკუთვნით ამერიკელ მეცნიერებს, რომლებიც ყველაფერს გიგანტურ მეთანის ბუშტებს აბრალებენ. ამ თეორიის თანახმად, ბერმუდის ფსკერზე ოდესღაც არსებობდა ვულკანები, რომლებიც მეთანს აფრქვევდნენ, დღეისთვის კი იქ შენარჩუნებულია სასიკვდილო აირის შემცველი ბუშტები. ცდებით არის დამტკიცებული, რომ გემი, რომელიც ასეთ ბუშტში მოექცევა, ჩაძირვას იწყებს. მეცნიერები ირწმუნებიან, რომ აირის ბუშტები იმდენად დიდია, რომ თვითმფრინავების ჩამოგდებაც შეუძლიათ.

უფოლოგები კი აქ არამიწიერი ცივილიზაციების არსებობის მტკიცებულებას ხედავენ. მათი აზრით, ბერმუდის სამკუთხედის ფსკერზე არის მფრინავი თეფში, რომლის მცხოვრებლებიც შეისწავლიან კაცობრიობას.



# მესიჯი კოსმოსიდან

**ასტროფიზიკოსები აგრძელებენ თანამედროვე რადიოასტრონომიის მთავარ ამოცანაზე, ე. წ. სწრაფ რადიოტალღებზე მუშაობას. მათ გაარკვიეს, რომ ეს ტალღები უცნაური მათემატიკური კანონზომიერების მიხედვით ჩნდება. შესაძლოა, ამ ახალმა აღმოჩენამ დაადასტუროს არამიწიერი გონიერი ორგანიზმების არსებობა და მათი გაგებაც შესაძლებელი გახადოს.**

ზუსტად არავინ იცის, რა იწვევს ამ რადიოტალღების წარმოქმნას. ისინი მხოლოდ რამდენიმე წამს გრძელდება. ამ დროში ტალღები იმხელა ენერგიას გამოიმუშავებს, რამდენსაც მზე ერთი თვის განმავლობაში. ტალღების კვლევის შედეგად ცნობილია, რომ მათი წარმომავლობა დედამიწასთან ახლოსაა, მაგრამ ჩვენი გალაქტიკიდან არ მოდის.

ზოგი მეცნიერი ემხრობა თეორიას, რომ ტალღები არა ბუნებრივი, არამედ ანთროპოგენური წარმომავლობისაა. ასევე, არსებობს მოსაზრება, რომ ეს ტალღები არის უცხო ცივილიზაციის შეტყობინებები. ჯერჯერობით დაზუსტებით რაიმეს თქმა მეცნიერებს არ შეუძლიათ, რადგან საკმარისი ფაქტობრივი მტკიცებულება არ აღმოუჩენიათ.

# სახლი მზის ბატარეებზე

**დანიელი არქიტექტორის საოცარმა საოჯახო და საագარაკე პროექტმა Single Pole House-მა დიდი მოწონება და აღფრთოვანება გამოიწვია. სახლი მზის ბატარეებზეა და შესაბამისად, შესაძლებელია, აშენდეს ნებისმიერ ადგილას, მით უმეტეს, ამ სახლს ფართობი თითქმის არ ესაჭიროება. პროექტი სამოთხეს წარმოადგენს მათთვის, ვისაც მოგზაურობა და ბუნება უყვარს.**





# ფეხსაცმლის საცხობი



**ფეხსაცმლის მწარმოებელმა კომპანიამ მათთვის, ვინც ერთნაირად გიჟდება ნამცხვრებსა და ფეხსაცმელზე, ორიგინალური დიზაინის პროდუქცია გამოუშვა — The Shoe Bakery-ს მიერ წარმოდგენილი ახალი კოლექციის თითოეული ექსპონატი ისე გამოიყურება, შეჭმა მოგინდება.**

კოლექციაში წარმოდგენილია ქალის ათამდე ფეხსაცმელი, რომელთა ზედაპირიც მეტისმეტად წააგავს ტორტს, დონატებსა და სხვა ნამცხვრებს.

**„მთავარია, სახლში, სადაც ბავშვებიც ცხოვრობენ, ასეთი ფეხსაცმელი უმეთვალყურეოდ არ დატოვოთ – მეტისმეტად მადისაღმძვრელად გამოიყურება“,** — ამბობენ The Shoe Bakery-ს წარმომადგენლები.

„ფეხსაცმლის საცხობის“ სათაო ოფისი ორლანდოში (ფლორიდა, აშშ) მდებარეობს და ორიგინალური, საინტერესო კოლექციებითაა ცნობილი.





# ვიოლინოს ფორმის აუზი

**ეს ვიოლინოს ფორმის აუზის პროექტი დიზაინის სტუდიამ Cipriano Landscape and Design შექმნა.** 125 კვარატული მეტრის ფართობის აუზი რიჯვუდში (ნიუ ჯერსი, აშშ) აშენდა. 12 ადამიანზე გათვლილი აუზი სტრადივარიუსის ვიოლინოს ფორმას იმეორებს. ორიგინალური კონსტრუქციის გასანათებლად 250 ნათურაა გამოყენებული. წყლის დონის, ასევე გათბობისა და აუდიო სისტემების გაკონტროლება მფლობელს iPhone-ს საშუალებით შეუძლია.

# ქალი, რომელიც სახლს ტყედ გადააქცევს

**დიზაინის სტუდიამ Hilden & Diaz შეიმუშავა ჭაღის არასტანდარტული დიზაინი, რომელიც საღამოობით სულ სხვა სამყაროში გადაგიყვანთ.**

„შუქი ისე ეცემა ტოტებს, რომ ჩრდილებით ზღაპრული სამყარო იქმნება. ეს ჭაღი თავს შუა ტყეში, კოცონთან გაგრძნობინებთ“, – ასე აღწერეს Hilden & Diaz-ის წარმომადგენლებმა თავიანთი ინსტალაცია. მართლაც, ჩრდილის 360-გრადუსიანი ფორმირების წყალობით, ოთახის ოთხივე კედელზე, ჭერსა და იატაკზეც კი ჯუნგლების იმიტაცია იქმნება.

კომპანიის დამფუძნებლებმა და დიზაინერებმა — თირა ჰილდენმა და ფიო დიაზმა ჭაღს, რომელიც ბუჩქის გამხმარი ტოტებისა და ფესვებისაგანაა შექმნილი, Forms of Nature (ბუნების ფორმები) უწოდეს.





# დიპლომატთა სკოლის იდეამ გაამართლა

**თავისუფალი უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის სტუდენტთა ინიციატივით, ამუშავდა შაბათ-კვირის დიპლომატთა სკოლა, სადაც სწავლა ერთი თვის განმავლობაში შეეძლებათ IX-XII კლასელებს. მოსწავლეები აღფრთოვანებულნი არიან მიღებული ცოდნით. ერთ-ერთმა მათგანმა გვითხრა: „ჩვენი თაობა უფროსებს არ მოსწონთ, მაგრამ, ლექციებზე რომ დავენახეთ, ნამდვილად იამაყებდნენ, იმდენი რამ ვისწავლეთ, უკვე ვიცით, ტელეეთერიდან ვინ გვატყუებს და ვინ — არა“.**

## «დიპლომატთა სკოლაში სწავლამ ბევრ რამეზე შემაცვლევინა აზრი, რაც მთავარია, დებატები ვისწავლე, ვფიქრობ, შევძლებ, საწინააღმდეგო აზრის მქონე ადამიანის ჩემ მხარეზე გადმოყვანას»



**რევაზ თოფურია,** თავისუფალი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი, მომავალ დიპლომატთა კლუბის აღმასრულებელი დირექტორი:

— დიპლომატიის სკოლის იდეის განხორციელება აზიისა და აფრიკის ინსტიტუტისა და მომავალ დიპლომატთა კლუბის ერთობლივი ძალისხმევით შევძელით. ეს იდეა ერთი წლის წინათ გაგვიჩნდა, მაგრამ სკეპტიკურად განვეწყვეთ, ვფიქრობდით, რომ შაბათ-კვირის სკოლა არ გაამართლებდა, რადგან ბავშვებს დასვენება სჭირდებათ და ამისთვის ვერავინ მოიცლიდა.

წელს კი გადავწყვიტეთ, მაინც გაგვერისკა და იდეის განხორციელებას შევუდექით.

**დიპლომატიის სკოლა განკუთვნილია IX-XII კლასელებისთვის და დაინტერესებულ ბავშვებს აძლევს საშუალებას, მიიღონ უფრო მეტი ცოდნა ისეთ საკითხებში, როგორიცაა პოლიტიკური იდეოლოგიები, დიპლომატიის ისტორია, საერთაშორისო ურთიერთობები და ა.შ.** სულ რვა საგანი ისწავლება. ლექციებს ამავე უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტები კითხულობენ, პროგრამა კი პროფესორ-მასწავლებლების მიერაა შემუშავებული. ლექციებს პროფესორებიც კითხულობენ, ერთი დღე ეთმობა გამოჩენილი ექსპერტის ლექციასაც.

დიპლომატიის სკოლაში საჯარო სკოლისგან განსხვავებული სისტემაა, აქ ქულებს არ ვწერთ, არ ვცდილობთ, მიწოდებული მასალა დაიზეპირონ, ვისმენთ მათ აზრს; მოწაფეებს კრიტიკული აზრის გამოხატვას ვასწავლით.

ერთთვიანი კურსის შემდეგ ვატარებთ გამოცდას. ერთი თვე დიდი დრო არ არის, მაგრამ გამოცდაზე აშკარად დავინახეთ, რომ მოსწავლეებს მართლაც საკმაოდ დიდი ცოდნა მიუღიათ. გამოცდა თავისუფალი უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში ჩატარდა, ყველა კურდამთავრებულმა შეძლო დადგენილი ბარიერის გადალახვა, რაც ჩვენთვის, პროგრამის ორგანიზატორებისთვის, სასიხარულო იყო. ჩვენმა იდეამ გაამართლა.

დიპლომატთა სკოლის პირველ ნაკადში 63 მოსწავლე იყო, მეორეში 115 მოსწავლეა. იმ ბავშვებისთვის კი, რომლებმაც პირველი ეტაპი გაიარეს, ვცდილობთ, შევქმნათ პროგრამა, რომელიც ორიენტირებული იქნება მათ აზროვნებასა და გამოცდილებაზე.

**— ბავშვებს, რომლებიც დიპლომატთა სკოლაში სწავლის სურვილს გამოთქვამენ, აქვთ თუ არა თანხა გადასახდელი?**

— დიახ, არის სიმბოლური გადასახადი 40 ლარის ოდენობით, დანარჩენს თვითონ უნივერსიტეტი ანაზღაურებს. ბავშვების შემოტანილი ფულით ვყიდულობთ ბლოკნოტებს, კალმებსა და პრიზებს. გამოგვიჩნდნენ სპონსორებიც, ბავშვებს კარგი საჩუქრები გადასცეს, ეს იყო წიგნები, რომლებიც კურსდამთავრებულებისთვის ძალიან საინტერესოა. დიპლომატთა სკოლის მეორე ნაკადში მოსწავლეები რეგიონებიდანაც გვეყოლება. მსურველი ბევრია.

**— ამ სკოლის არსებობის შესახებ ახლახან შევიტყვე. როგორ უნდა მოგაგნოთ მოსწავლემ, რომელსაც დიპლომატთა სკოლაში სწავლის სურვილი აქვს?**

— გვაქვს ვებგვერდი, აგრეთვე, ფეისბუქგვერდი და იქ ყველა ინფორმაციის მოპოვება შეიძლება. დავდივართ სკოლებშიც და ვცდილობთ, ადგილზე გავაცნოთ ბავშვებს ამ სიახლის შესახებ. მთავრი იყო, დიპლომატთა სკოლის პირველ ნაკადს მოსწონებოდა ჩვენი პროექტი და კმაყოფილნი ყოფილიყვნენ, რაც შემდეგი ნაბიჯების გადადგმის საშუალებას მოგვცემდა.

**— თქვენი დაინტერესება რა არის? ხელფასს გიხდიან, სამეცნიერო კარიერას იკეთებთ თუ ცოდნას იღრმავებთ?**

— არ ვფიქრობ ლექტორობაზე, დიპლომატიური საქმიანობა მაინტერესებს, უბრალოდ, ამით ცოდნას ვიღრმავებ. კარგია, როდესაც შენს ცოდნას სხვას გადასცემ, თანაც ისეთი ენით, რომ სკოლის მოსწავლეებისთვის გასაგები იყოს. ბავშვების დაინტერესება დავინახეთ და ეს ჩვენთვის უკვე მიღწევა იყო. სკოლის მოსწავლეებისთვის დიპლომატთა სკოლის კურსის დამთავრება სამომავლოდ ტრამპლინი იქნება.



**სოფიკო ჯიჭონაია, დიპლომატიის სკოლის კურსდამთავრებული:**

**— სოფიკო, როგორ იპოვე დიპლომატიის სკოლა და რატომ დაინტერესდი იქ სწავლით?**

— თავისუფალი უნივერსიტეტის გაცნობით პროგრამაზე მივედი, ძალიან მომეწონა და მათ ვებგვერდს „დავუმეგობრდი“, სკოლის შესახებ ინფორმაციაც ამ ვებგვერდიდან შევიტყვე. ყველა დეტალს გავეცანი, მივხვდი, რომ ზუსტად ის იყო, რაც მჭირდებოდა. საბუთები საჭირო არ იყო, მხოლოდ დავრეგისტრირდი და შემდეგ კონკურსის საფუძველზე ამირჩიეს. **აქ მეგობრული გარემო დამხვდა და, რაც მთავარია, მივიღე ცოდნა და უნივერსიტეტში სწავლის გამოცდილება. ძალიან საინტერესო იყო ყოველი დღე. ახლა ვიცი, რა მინდა და არჩევანი რაზე შევაჩერო.**



**გიორგი ქარუმიძე, დიპლომატიის სკოლის კურდამთავრებული:**

— ძალიან დიდი ცოდნა და გამოცდილება მივიღეთ. უნივერსიტეტში შესვლისას ცოტა დაბნეული და გაუცხოებული ხარ, იმ ერთმა თვემ კი, რომელიც აქ გავატარეთ, ყველა ბარიერი მოგვიხსნა. მზად ვარ, ჩავაბარო უნივერსიტეტში და უკვე ვიცი, რაც უნდა ვისწავლო. ყველასთან ვმეგობრობთ, მათ შორის, ლექტორებთან. ახლა სულ ვაწუხებ, ვეკითხები, ექნებათ თუ არა კიდევ რაიმე საინტერესო პროექტი. დიდი სურვილი გვაქვს, უფრო რთული პროგრამაც შევისწავლოთ. პირველად რომ მოვედი, ვფიქრობდი, სკოლაში მეზარება სწავლა და აქ რა უნდა გავაკეთო-მეთქი, მაგრამ დიპლომატთა სკოლაში სწავლა სახალისო აღმოჩნდა.

**დიპლომატთა სკოლაში სწავლამ ბევრ რამეზე შემაცვლევინა აზრი, რაც მთავარია, დებატები ვისწავლე, ვფიქრობ, შევძლებ საწინააღმდეგო აზრის მქონე ადამიანის ჩემ მხარეზე გადმოყვანას.**



**მარიამ ხიდეშელი, დიპლომატთა სკოლის კურსდამთავრებული:**

— ყოველი აქ მოსვლა სახალისო იყო. ჩემს მეგობრებსაც ვურჩიე ამ სკოლაში მოსვლა, უამრავი რამ გავიგე და შევისწავლე. **მთავარი იყო, გამერკვია, სწორი იყო თუ არა ჩემი არჩევანი, შემესწავლა დიპლომატია. გადაწყვეტილების მიღებაში სკოლა ძალიან დამეხმარა, დღეს ზუსტად ვიცი, რა მინდა.**

**ჩვენს თაობაზე ცუდი შეხედულება აქვთ და ამიტომ გული გვწყდება, მაგრამ, ლექციებს რომ დასწრებოდნენ, უფროსი თაობის ადამიანები ჩვენით იამაყებდნენ.**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

---

**გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი ვერა გიუნაშვილი, რომელიც მეოთხედი საუკუნის განმავლობაში რედაქტორობდა გაზეთ „ეკრანის ამბებს“.**



**ქალბატონ ვერას, ამ კდემამოსილ და განსწავლულ ქალბატონს, თავის მეუღლესთან, პროფესორ ედუარდ მენაბდესთან ერთად, რომელიც საქტელერადიოს საერთაშორისო მიმომხილველი იყო, წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ქართული ჟურნალისტიკის განვითარების საქმეში.**

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ შემოქმედებითი კოლექტივი გულწრფელად თანაუგრძნობს მისი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.**

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“
ჟურნალისტები**

---

## თბილისის 24-ე სკოლაში ტუბერკულოზის ოთხი შემთხვევა გამოვლინდა

**განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაურის განცხადებით, თბილისის 24-ე საჯარო სკოლაში ტუბერკულოზის ოთხი შემთხვევის გამოვლენის გამო სწავლის შეწყვეტის საჭიროება არ დგას.**



როგორც გიგაურმა ჟურნალისტებს განუცხადა, დაავადების კონტროლის ცენტრმა განათლების სამინისტროს თბილისის 24-ე სკოლაში ტუბერკულოზის ოთხი შემთხვევის გამოვლენის შესახებ შეატყობინა.

„შეატყობინეს სკოლასაც. დაავადების კონტროლის ცენტრს ისე აქვს სისტემა, რომ ყველა კავშირს იკვლევს — ვისთან ჰქონდათ ამ ბავშვებს კავშირი, როგორც სკოლის ტერიტორიაზე, საკლასო სივრცეში, ასევე ნათესაურ კავშირებს. შემდეგ ხდება მათი გამოკვლევა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება“, — განაცხადა გიგაურმა.

მისი აზრით, აღნიშნული ფაქტის გამო 24-ე საჯარო სკოლაში სწავლის შეწყვეტის საჭიროება არ არის.

---

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვევენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894